

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის ქართველოლოგიის
პროგრამა

PROGRAM ON GEORGIAN STUDIES, DAVIS CENTER, HARVARD UNIVERSITY

ახალგაზრდა მეცნიერთა V საერთაშორისო
ინტერდისციპლინური სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ
მეცნიერებაებში

V INTERNATIONAL INTERDISCIPLINARY SYMPOSIUM
OF YOUNG SCHOLARS IN THE HUMANITIES

თ ე ზ ი ს ე ბ ი

ABSTRACTS

ივლისი 7-9 JULY

თბილისი 2023 TBILISI

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის ქართველოლოგიის პროგრამა
PROGRAM ON GEORGIAN STUDIES, DAVIS CENTER, HARVARD UNIVERSITY

თეზისები

ახალგაზრდა მეცნიერთა V საერთაშორისო სიმპოზიუმი
ჰუმანიტარულ მეცნიერებაებში

ABSTRACTS

V INTERNATIONAL SYMPOSIUM OF YOUNG
SCHOLARS IN THE HUMANITIES

ივლისი 7-9 July

2023

თბილისი / Tbilisi

მასაღებში დაცულია ავტორების სტილი.

In the proceedings the authors' style is retained.

სამეცნიერო კომიტეტი/Scientific Committee:

ჯაბა სამუშია/Jaba Samushia

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველო
Professor, Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

მერაბ ხალვაში/Merab Khalvashi

პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველო
Professor, Rector of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

სტივენ ჯონსი/Stephen Jones

ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის ქართველოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს თანამედროვე ისტორიის პროფესორი, აშშ
Director of the Program on Georgian Studies, Davis Center, Harvard University, Professor of Modern Georgian History, Ilia State University, USA

ნანა გაფრინდაშვილი/Nana Gaprindashvili

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საქართველო
Professor, Dean of the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

თეიმურაზ პაპასკირი/Teimuraz Papaskiri

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საქართველო
Professor, Deputy Dean of the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ეკატერინე ნავროზაშვილი/Ekaterine Navrozashvili

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, საქართველო
Associate Professor, Head of the Office of Academic Research and Development, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

დარეჯან გარდავაძე/Darejan Gardavadze

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველო
Professor, Head of the Institute of Oriental Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ნინო ჩიქოვანი/Nino Chikovani

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კულტურის კვლევების ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველო
Professor, Head of the Institute of Cultural Studies, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ივანე წერეთელი/Ivane Tsereteli

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კულტურის კვლევების ს/ს ინსტიტუტი, საქართველო
Associate Professor, Institute of Cultural Studies, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ქეთევან კაკიტელაშვილი/Ketevan Kakitelashvili

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კულტურის კვლევების ს/ს ინსტიტუტი, საქართველო
Associate Professor, Institute of Cultural Studies, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ირაკლი ჩხაიძე/Irakli Chkhaidze

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კულტურის კვლევების ს/ს ინსტიტუტი, საქართველო
Associate Professor, Institute of Cultural Studies, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

თეა ქამუშაძე/Tea Kamushadze

მონვეული ლექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო
Invited Lecturer, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ბალაშ ტრენშენი/Balázs Trencsényi

პროფესორი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტი, უნგრეთი
Professor, Department of History, Central European University, Hungary

ტატიანა პერგა/Tatiana Perga

წამყვანი მკვლევარი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, უკრაინა
Leading Researcher, Institute of World History, Ukrainian Academy of Sciences, Ukraine

ქარსტენ შაფქოუ/Carsten Schapkow

პროფესორი, ოკლაჰომას უნივერსიტეტი, შუსტერმანის სახელობის იუდაიზმისა და ისრაელის კვლევების ცენტრი, ნაციონალიზმის შესწავლის ცენტრის დირექტორი, აშშ
Professor, University of Oklahoma, Schusterman Center for Judaism and Israel Studies, Director of the Center for the study of Nationalism, USA

საორგანიზაციო კომიტეტი/Organizing Committee:

ნათია ფუტკარაძე/Natia Putkaradze

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, საქართველო

PhD in Philology, Senior Specialist at the Office of Academic Research and Development, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ირინა ნოზაძე/Irina Nozadze

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკად. შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრის უფროსი სპეციალისტი, საქართველო

PhD Student, Senior Specialist at Shota Dzidziguri Baskology Center, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

სოფიო პაპიაშვილი/Sophio Papiashvili

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, საქართველო

PhD Student, Senior Specialist at the Quality Assurance Office, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ირმა ჭანტურია/Irma Tchanturia

მაგისტრანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველო

MA Student, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ლიზა კახაბერიძე/Liza Kakhaberidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი, საქართველო

BA Student, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ნიკოლოზ შაფაქიძე/Nikoloz Shapakidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი, საქართველო

BA Student, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

თარგმანი, როგორც ინტერდისციპლინარული და ინტერკულტურული
დიალოგი
Translation as an Interdisciplinary and Intercultural Dialogue

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, კომუნიკაცია, დიალოგი, ინტერკულტურული, მეხსიერება
Keywords: Translation, Communication, Dialogue, Intercultural, Memory

თარგმანი სოციალური, ფილოსოფიური და კულტურული ფენომენია და, გარკვეულწილად, კულტურათა გზაჯვარედინიც; ამდენად, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში. თარგმანის კომუნიკაციური ზეგავლენა პირდაპირ არის დამოკიდებული მის მთავარ კომუნიკაციურ ფუნქციაზე. თარგმანის ტექსტი ერთგვარი მექანიზმია კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესისა, რომელიც მოიცავს როგორც თავდაპირველ, ასევე მიმღებ კულტურას. თარგმანის მიზანია შექმნას ტექსტი, რომელიც სრულიად შეძლებს პირველადი ტექსტის ჩანაცვლებას ენათაშორისი კომუნიკაციის პროცესში. შესაბამისად, მოხსენებაში განხილული იქნება თარგმანის, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნიკალური მოვლენის საკითხი, ისეთი ცნებები, როგორებიცაა, თარგმანის ადეკვატურობა და რელევანტურობა. წინამდებარე კვლევის მასალად გამოყენებულია ჩვენ მიერ თარგმნილი ნაწარმოები, კერძოდ, მანანა დუმბაძის ნოველა „ავღანეთი ბარონის ჭუჭრუტანიდან“ (გამომც.: "Verlag Expeditionen", 2016). აღნიშნულ ნაშრომში მწერალი აღწერს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს 2016 წლის პროექტში მიღებულ გამოცდილებას; მასში მოცემულია ავღანური კულტურისა და ავღანელი ხალხის მენტალიტეტის დაწვრილებითი ანალიზი; ნაშრომი უაღრესად საინტერესოა სხვადასხვა სამეცნიერო პერსპექტივის თვალსაზრისით, რამდენადაც წიგნში განხილული ავღანელთა ცხოვრებისა და კულტურის ამსახველი ინფორმაცია მრავალი ახლებური დასკვნის გამოტანასა და გადააზრებებს გვთავაზობს.

წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ტექსტის კვლევის ორიენტირებული კვლევის მეთოდი.

ინტერკულტურული კომუნიკაცია და თარგმანი ურთიერთგადაჯაჭვული ცნებებია და ერთი მეორეს გარეშე ვერ იარსებებს. ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნილი იდიომატური გამოთქმები, ანდაზები და სლენგის მაგალითები თვალნათლივ აჩვენებს, თუ რამდენად მჭიდროა კავშირი თარგმანსა და კულტურას შორის და რაოდენ მნიშვნელოვანია მთარგმნელის როლი ინტერკულტურული ინტერაქციისა და და გააზრების პროცესში. კვლევის მეშვეობით წარმოჩნდა მთარგმნელის, როგორც ინტერკულტურული მედიატორის როლი

თარგმნის პროცესის სისტემატიზებისა და განზოგადების თვალსაზრისით. მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი ფაქტორები: ქართველი ავტორის მიერ მოცემული ინტერკულტურული განსხვავებები, ლინგვისტიკური ნიუანსები, იდიომატური გამოთქმები და ფრაზული ზმნები.

საკუთარი მთარგმნელობითი საქმიანობის პროცესში სხვადასხვა კულტურული ზეგავლენით გამოწვეული უამრავი გამოწვევის წინაშე ვმდგარვარ, შესაბამისად, ნათელი გახდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გარკვეული ინფორმაციის ფლობა სხვა ერის კულტურის, მათი ისტორიისა და მემკვიდრეობის შესახებ; სამიზნე ენის ლექსიკასა და სინტაქსს, ისევე, როგორც მის ღირებულებათა სისტემის სტრატეგიებს აქტიურად ვიყენებთ ინტერკულტურული თარგმანის თანმხლებ სირთულეთა დასაძლევად. საჭიროა კულტურის გაშიფვრა, ხელახალი გაშიფვრა და შემდგომ – დაშიფვრა. ამდენად, ინტერკულტურული ინტერაქცია თარგმანის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს. როგორც თარგმანის, ისე ინტერკულტურული კომუნიკაციის სირთულის კვლევა ინტერდისციპლინურ მიდგომას მოითხოვს. ამდენად, თარგმანთმცოდნეობა და ინტერკულტურული კომუნიკაცია დამოუკიდებელ დისციპლინებად ყალიბდება საერთო მსგავსებებსა და განსხვავებებზე, მეთოდებსა და ცნებებზე ფოკუსირებით.

Translation is social, philosophical and cultural phenomenon and in a sense it is the crossroads of cultures. Therefore, it plays a big role in the process of intercultural communication. The communication effect of translation is directly dependent on its main communicative function. The text of the translation is the tool in the process of cross-cultural communication - the original culture and the culture of the recipient. The purpose of translation is to create a text that can completely replace the original in the process of cross-language communication. Therefore, the presentation will focus on the issue of translation as a unique phenomenon of cross-cultural communication, such concepts as the adequacy and equivalence of translation. The scientific novelty is that it uses as the case study the original piece of work translated by the presenter. Namely, the novel written by the Georgian writer Manana Dumbadze “Afghanistan: Through the Keyhole of Baron Compound” published by Verlag Expeditionen in Germany in 2016. The writer spent almost a year in a USAID project in Afghanistan and this is the book of her experience there. The book offers a close look into the culture and mentality of Afghan people which not many literary pieces offer. Therefore, analyzing this work from multiple perspectives and letting the audience know about Afghan life and culture is new and provides a lot of novel findings.

The product-oriented research method is used to research the textual product that is the outcome of the translation process.

The intercultural communication and translation are closely related and one can not exist without another. Based on certain selected examples of idiomatic expressions, proverbs and slang translated from Georgian into English, it was defined how translation and culture are closely connected and underscore the significant role the translator plays in facilitating intercultural interaction and understanding. The study analyzed how the translator, as an intercultural mediator, systematized and generalized the process of translation. The following factors were taken into consideration: intercultural differences, linguistic subtleties, idiomatic expressions and phrasal verbs as provided by the Georgian author.

Various cultural influences presented serious challenge to me as the translator. Therefore, the process showed that gaining some knowledge about other cultures, their history and heritage were crucial. Lexical content and syntax of the target language as well as its value systems were the strategies applied with a view to resolving difficulties that accompanied intercultural translation. It required cultural decoding, re-coding and en-coding. Therefore, intercultural interaction represents an important aspect of translation. The study of the complexity of both the translation and intercultural communication requires an interdisciplinary approach. Thus, by building on shared commonalities and differences in the focus, methods, and concepts, both translation studies and intercultural communication studies can successfully develop as independent disciplines.

საბა ბუგიანიშვილი Saba Bugianishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

უადრესი წონითი სისტემები საქართველოს ტერიტორიაზე (მოლოდინები და არსებული რეალობა) Earliest Weight Systems on the Territory of Georgia (Expectations and Reality)

საკვანძო სიტყვები: არქეოლოგია, ბრინჯაოს ხანა, საწონები, მეტროლოგია, ვაჭრობა
Keywords: Archaeology, Bronze Age, Weights, Metrology, Trade

პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული, ადამიანებმა სხვადასხვა საზოგადოებასა და ცივილიზაციაში დაიწყეს ნორმების, ღირებულებებისა და სტანდარტების ჩამოყალიბება ობიექტების რაოდენობის, სიგრძის, მოცულობისა და წონის განსაზღვრად. სტანდარტების შემუშავება და ნორმალიზება იყო გარდაუვალი პროცესი საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების ფონზე. ადრეული მეტროლოგიური სტანდარტების შესწავლა გვაძლევს ძვირფას ინფორმაციას ამ ხალხის აზროვნების, მათი საზოგადოებების ორგანიზებისა და მეზობელ კულტურებთან ურთიერთობის შესახებ. მაშინ, როცა ბევრი ობიექტის რაოდენობის განსაზღვრა დათვლით ან მოცულობის დადგენითაა შესაძლებელი, მეტალების ან ძვირფასი ქვების შემთხვევაში ეს მეთოდები არც თუ ისე პრაქტიკულია. გასაკვირი არ არის, რომ საწონები სწორედ მას შემდეგ ჩნდება კაცობრიობის ისტორიაში, რაც მსგავსი მასალა აქტიურ, ყოველდღიურ ხმარებაში შემოდის, მათზე მოთხოვნილება იზრდება და იწყება მათი ინტენსიური მიმოცვლა.

კვლევის ძირითადი ინტერესი მიმართულია აწონის იდეისა და წონითი ერთეულების გაჩენაზე და იმაზე, თუ როგორ გავრცელდა ეს იდეა საქართველოს ტერიტორიაზე. საწონების გამოჩენა, ნებისმიერ ცივილიზაციაში, უკვე რთული სავაჭრო მექანიზმების არსებობაზე მიუთითებს. ამ საკითხის კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია ადრეული საზოგადოებების კულტურული, ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების, მათი ორგანიზებისა და პირველადი პოლიტიკური წარმონაქმნების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ძნელი სათქმელია, თუ ზუსტად სად, როდის და როგორ გაჩნდა აწონის იდეა. თუმცა, საწონების, დღეისათვის ცნობილი, ყველაზე ადრეული ნიმუშები მესოპოტამიიდან და ეგვიპტიდან არის ცნობილი და დაახლოებით ძვ. წ. 3000 წლით თარიღდება. ეს ახალი მიღწევა ნელ-ნელა გავრცელდა მეზობელ რეგიონებში და ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის მიწურულისათვის წონითი სისტემები უკვე აქტიურად გამოიყენება დასავლეთ ევროპიდან მოყოლებული, ვიდრე ინდის დაბლობამდე.

დასახული მიზნების მისაღწევად კვლევა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ. III-I ათასწლეულებით დათარიღებული პოტენციური საწონებისა და წონით რეგულირებადი არტეფაქტების იდენტიფიკაციას, კატეგორიზაციას და კომპლექსურ

შესწავლას. ამ ეტაპისათვის უკვე შესწავლილია სამასამდე ერთეული, რომლებიც შეყვანილია მონაცემთა ერთიან ბაზაში. აღსანიშნავია, რომ საწონების იდენტიფიკაცია განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული სრულიად პრეისტორიულ კონტექსტში და მეტწილად ჰიპოთეზურ პროცესს წარმოადგენს. „ჰიპოთეზური“ ამ შემთხვევაში აუცილებლად საეჭვოს ან არა აკურატულს არ ნიშნავს, ის უბრალოდ გულისხმობს, რომ იდენტიფიკაცია უნდა მიჰყვეს ჰიპოთეზების შემოწმების მკაცრ და შრომატევად პროცესს.

ეს საკითხი სრულიად ახალია ქართული არქეოლოგიისთვის, პრაქტიკულად არ არსებობს სამეცნიერო გამოცდილება და კვლევის მეთოდოლოგიაც არ არის შემუშავებული. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით კვლევებმა აქტიური სახე, ზოგადად, მსოფლიოშიც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მიიღო. ამას მოჰყვა მაგალითად, ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულით დათარიღებული ადრეული საწონების აღმოჩენა ეგეოსურ სამყაროში და ირანის ტერიტორიაზე.

პირველად ქართული არქეოლოგიის ისტორიაში გამოვლინდა ძვ. III-II ათასწლეულებით დათარიღებული პოტენციური საწონები და წონით რეგულირებული არტეფაქტები. ამ შედეგების მიხედვით, კავკასია შესაძლოა იმ ადრეული ცივილიზაციის ცენტრების გვერდით დადგეს, სადაც წონითი მეტროლოგია ჯერ კიდევ საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე არსებობდა.

კვლევის წინასწარი შედეგები წინ წამოსწევს საინტერესო საკითხებს საქართველოს ტერიტორიაზე წონითი სისტემების განვითარების შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს ხელთაა პოტენციური საწონები უკვე ძვ. წ. III ათასწლეულისათვის, ხოლო ძვ. II ათასწლეულის მიწურულისათვის ჩვენთვის საინტერესო ერთეულები კიდევ უფრო დიდი რაოდენობით გვხვდება. წონითი სისტემებისა და საწონების ადრეული ნიმუშების კვლევა კავკასიაში დაგვეხმარება, ნათელი მოვფინოთ რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დღემდე უცნობ ასპექტებს.

Since the prehistorical era, people in diverse societies and civilizations began to set up norms, values and standards to determine the number, length, volume and weight of objects. The elaboration and normalization of standards was the inevitable process reasoned with the exchange of trade necessities. In this regard, the identification of early metrology standards gives us valuable scientific insights into the social organization and relations in the intertribal and intercultural terms. It is worth mentioning, that while it is possible to quantify many objects by counting or determining volume, these methods are not very applicable in the case of metals or precious stones.

The main interest of the study is focused on the emergence of weighing and weight units and how this idea spread on the territory of ancient Georgia. The appearance of weights, in any civilization, indicates the existence of already complex trading mechanisms. Research on this issue is extremely important to obtain information on the cultural, economic or social development of early societies, their organization and primary political formations.

It is difficult to say exactly where, when and how the idea of weighing originated. However, the earliest known specimens of balance weights date back to around 3000 BC in Mesopotamia and Egypt. This new achievement slowly spread to neighbouring regions, and already by the end of the 2nd millennium BC,

weight systems were already in active use, from Western Europe to the Indus Valley. To achieve its goals, the research envisages the identification, categorization and complex study of potential weights and weight-regulated artefacts found on the territory of Georgia, dating to the III-I millennia BC.

This is a completely new issue for Georgian archaeology, there is practically no scientific experience and the research methodology is not elaborated. It is noteworthy that the research in this direction, in the world generally, has intensified during the last two decades. This was followed by the discovery of early weights dating back to the third millennium BC, for example, in the Aegean and Iran.

For the first time in Georgia, we have revealed the potential weights and weight-regulated artefacts of the III-II millennia BC. Based on these results, the Caucasus might stand next to those early civilization centres where weight metrology still existed in the early stages of development.

The preliminary results of the research show interesting insights about the development of weighing in the territory of Georgia. As it was expected, we have some potential balance weights already in the III millennium BC, while for the end of the II millennium BC, more promising specimens are presented. The early samples of weights in the Caucasus are going to shed light on unknown aspects of the trade-economic and cultural relations in the region.

თათია ბუნურაძე Tatia Butsuradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

არტეფაქტების ორი ჯგუფი გუდიაშვილის მოედნიდან (სფეროკონუსები, ჩიბუხები) Two Groups of Artefacts from Gudiashvili Square (Sphero-Conical Vessels, Tobacco Clay Pipes)

საკვანძო სიტყვები: გუდიაშვილის მოედანი, შუა საუკუნეები, ურბანული არქეოლოგია, სფეროკონუსები, ჩიბუხები

Keywords: Gudiashvili Square, Middle Ages, Urban Archaeology, Sphero-conical vessels, Tobacco clay pipes

გუდიაშვილის მოედანი მდებარეობს კალოუბანში, ძველი თბილისის ისტორიულ ნაწილში. 1735 წელს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რუკაზე ეს მოედანი „ბეჟანას ბაღის“ სახელწოდებით მოიხსენიება. 1988 წლამდე, როდესაც მას ლადო გუდიაშვილის სახელი ეწოდა, რამდენჯერმე შეიცვალა დასახელება (მოღნისის, აბას-აბადი, ალავერდიანი). გუდიაშვილის მოედანი, როგორც ჩანს, მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ კართან, რომელსაც „კოჯრის კარი“ ეწოდება და რომელიც მდებარეობდა იქ, სადაც დღეს ლესელიძის (ახლანდელი კოტე აფხაზის ქუჩა) ქუჩა თავისუფლების მოედანს უერთდება. გუდიაშვილის მოედანი ისტორიულად და არქეოლოგიურად მნიშვნელოვან არეალში მდებარეობს, რაც აქ გამოვლენილი დიდი რაოდენობით როგორც მოძრავი, ისე უძრავი არქეოლოგიური ობიექტებით დასტურდება. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებს შორის 20-ზე მეტი ჯგუფი გამოიყო. აღნიშნული კვლევა ეხება სფეროკონუსებსა და ჩიბუხებს, რომლებიც არც თუ ისე დიდი რაოდენობით არის გამოვლენილი.

გუდიაშვილის მოედანზე სფეროკონუსები სამი ფრაგმენტით არის წარმოდგენილი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სრული სახით შემორჩენილი. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მონაცრისფრო-მომწვანოდ გამომწვარი სფეროკონუსები სითხეს არ ატარებენ და გამოწვის მალალი ხარისხით ხასიათდებიან, მაშინ, როდესაც მოყვითალოდ გამომწვარი სფეროკონუსები სითხის გამტარუნარიანობით ხასიათდებიან და IX-XIII საუკუნეებით თარიღდება. გუდიაშვილის მოედანზე ორივე სახის თიხისაგან დამზადებული სფეროკონუსებია წარმოდგენილი. სფეროკონუსები გამოვლენილია თბილისში, ქარვასლაში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს, ერეკლე II-ის მოედანზე, ქუთაისში, დმანისის ციხეზე, რუსთავის ნაქალაქარზე და სხვა. სფეროკონუსებთან დაკავშირებით გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, მათგან სამი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოსაზრება გამოყო ვახტანგ ჯაფარიძემ. აღნიშნულ კვლევაში შედარებისთვის, გამოყენებულია ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოვლენილი სფეროკონუსები, როგორებიცაა, იერუსალიმში, ბანიაში და სხვა.

რაც შეეხება ჩიბუხებს, გუდიაშვილის მოედანზე სულ 11 ერთეულით არიან წარმოდგენილი. ოსმალური ჩიბუხები კი გამოვლენილია ყველგან, სადაც ოსმალეთის იმპერიის გავლენის არეალი ვრცელდებოდა. თავდაპირველად (XVII საუკუნეში) ჩიბუხები თეთრი და ნაცრისფერი თიხისაგან მზადდებოდა, ხოლო მოგვიანებით, XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში წითელი თიხისაგან დაიწყეს ჩიბუხების დამზადება. გუდიაშვილის მოედანზე გამოვლენილი ჩიბუხები, ორნამენტაციის მიხედვით, შვიდ განსხვავებულ ჯგუფში გაერთიანდა, რომელთაგან უმეტესობა (4 ცალი) პალმეტების გამოსახულებებით. მსგავსი გამოსახულებებით გაფორმებული ჩიბუხები გამოვლენილია კორინთოში, ბაბადალში, ურდოვიცას კონცხთან ჩაძირულ გემზე, ასევე ტუნისში, საქართველოს ტერიტორიაზე კი ჯავახეთის ახალქალაქში, ნარიყალაზე, გონიო-აფსაროსში და სხვა. პალმეტებიან ჩიბუხებს შორის გამოირჩევა ერთი ჩიბუხი, რომელზეც სამი მსგავსი დამლა დატანილი. მსგავსი დამლაიანი ჩიბუხი გამოვლინდა ურდოვიცას კონცხზე, რომელიც მკვლევრის მიერ მიჩნეულია „ალაჰის“ სარკისებურ ანაბეჭდად. შესაძლებელია, რომ გუდიაშვილის მოედანზე გამოვლენილ ჩიბუხზეც დატანილი დამლა მსგავსი შინაარსის მატარებელი იყოს.

ე. ჯანდიერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თიხის ჩიბუხების გავრცელება საქართველოში იმ ერთ-ერთ რთულ პერიოდს უკავშირდება, რომელიც დაკავშირებულია თურქ-ოსმალთა მიერ XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოს სასაზღვრო რაიონების დალაშქვრას.

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანი ნაბიჯია გუდიაშვილის მოედნის შესწავლისა და მისი ადგილის დამკვიდრებისთვის ურბანულ არქეოლოგიაში გამომდინარე იქიდან, რომ როგორც არქეოლოგიური ობიექტი ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინ გახდა. გუდიაშვილის მოედნის მასალების კვლევა საბოლოო ნაშრომის სახით მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სამეცნიერო ლიტერატურაში, დაეხმარება და მნიშვნელოვან ცნობებს მიაწვდის ყველას, ვინც დაინტერესებულია თბილისის წარსულის შესწავლით და წარმოაჩენს გუდიაშვილის მოედნის, როგორც არქეოლოგიური ობიექტის, მნიშვნელობას.

Gudiashvili Square is located in Kalaubani, in the historical part of Old Tbilisi. On the map dated to 1735 and created by Vakhushti Batonishvili, this place is mentioned with the name of „Bezhan Garden“. Until 1988 when this place was renamed into Lado Gudiashvili Square it has changed the name several times (Moghni, Abas-abad, Alaverdiani). As it seems, Gudiashvili Square is located near to the one of the gates of Tbilisi- Kojori Gate that is located in the place where Leselidze Street (present Kote Apkhazi Street) connects to Freedom Square. Gudiashvili square is located in historically and archaeologically sensitive area. Ceramic materials are subdivided into more than 20 groups. The present research addresses two groups: sphero-conical vessels and tobacco clay pipes.

On Gudiashvili Square sphero-conical vessels are represented with three pieces, from which only one is whole preserved. In the scientific literature it is remarked that vessels that are made from gray-greenish clay are waterproof, while vessels with yellowish clay are not waterproof and date to IX-XIII centuries. On Gudiashvili Square we have both kinds of sphero-conical vessels. Those vessels are also found at different places in Tbilisi: in Caravanserai, on Erekle II square, in Kutaisi, in Dmanisi fortress,

in Rustavi settlement and etc. According to those vessels' function, there are several supposition. Vakhtang Japaridze subdivided three mostly common ones. In this research for the parallels are used spherico-conical vessels found in Jerusalem, Baniyas and etc.

As for the tobacco clay pipes, they are represented with 11 items on Gudiashvili Square. Ottoman clay pipes have been revealed everywhere where the influence of the Ottoman Empire was spread. At first (in XVII century) pipes were produced with white and gray clay and later, at the end of XVII and in the beginning of XVIII century they were made from red clay. Tobacco clay pipes from Gudiashvili Square are unified into seven different groups, from which four are decorated with palmette ornamentation. Such decorated pipes have been revealed in Corinth, Babadag, on the shipwreck below Cape Urdoviza, in Tunis. As for the pipes from the territory of Georgia they were found in Akhalkalaki, Narikala fortress and Gonio-Apsaros. Among similar decorated pipes is one is distinguished with the stamp. Such stamped pipes were discovered in Cap Urdoviza, which are read by Halabi as a mirror image of the word „Allah”.

E. Jandieri remarks that the distribution of the pipes on the territory of Georgia connects to one of the complicated periods connected to the Ottoman Empire's campaigns of the border regions in XVI-XVIII centuries.

This research is very important step for the study of Gudiashvili Square and setting its role in the urban archaeology according to the fact that it became known as an archaeological object only several years ago. The researches of the materials from the square will help to understand more about the Medieval Tbilisi, its connections to the adjacent regions and will help the scientists to learn more about the history of Tbilisi emphasizing the importance of Gudiashvili Square as an archaeological object.

რიკი ბრაუნი

Rikki Brown

კალიფორნიის უნივერსიტეტი/საშ
University of California/USA

აღმოსავლეთი თუ დასავლეთი? – ეროვნული მუზეუმის ნარატივები და
ისტორიები ქართული მეღვინეობის შესახებ
East or West? – National Museum Narratives and Histories of Georgian
Winemaking

საკვანძო სიტყვები: ეროვნული იდენტობა, ღვინო, მემკვიდრეობა, მუზეუმები, ეთნოგრაფია

Keywords: National Identity, Wine, Heritage, Museums, Ethnography

In the Republic of Georgia, winemaking dates back 8000 years, with archaeological evidence pointing to Georgia as an origin point of winemaking. However, as anthropological scholarship shows, localized narratives of place frequently contest historical interpretations of archaeological evidence, and nation-states often use this evidence to lay claims to material heritage that actually has uncertain origins. In the public discourse, Georgian national narratives have capitalized on archaeological evidence to show Georgia's historic ties to winemaking, especially in "qvevri"— an amphorae-shaped clay vessel implanted into the ground, used to ferment and store wine, by claiming “8000 years of winemaking,” "Georgia – Cradle of Wine," or "Georgia -- birthplace of wine" This paper examines if museum narratives reify the role of winemaking in Georgian national culture and how the museum is a conduit for nation-state discourses. Through over twelve months of participant observation at wineries, visits to museums throughout Georgia, and interviews with winemakers, this paper utilizes reverse ethnoarchaeology to explore how the past is articulated in the present. It examines the connection between archaeological evidence and national winemaking narratives to unearth new themes at play in defining Georgia's historic role as a leading winemaking country, suggesting that wine is not actually a significant theme in Georgia's national museum narrative, but a distinctive Western historical identity is, and this Western-facing emphasis in national narratives plays a role in how wine is utilized in contemporary public discourses as historically Georgian.

თამარ გიორგაძე
Tamar Giorgadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

„ცხოველური სტილი“ კოლხური გრავირებული აბზინდების მიხედვით
“Animal Style” Based on Colchian Engraved Bronze Buckles

საკვანძო სიტყვები: კოლხეთი, კავკასია, აბზინდა, ინკრუსტაცია, ცხოველური სტილი
Keywords: Colchis, Caucasus, Buckle, Incrustation, Animal Style

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს, გრავირებული, რკინით ინკრუსტირებული აბზინდების შესწავლა კავკასიური „ცხოველური სტილის“ კონტექსტში. ამიერკავკასიაში მხატვრული ხელოსნობისა და გრაფიკული ხელოვნების კვლევისას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბრინჯაოს სარტყლებს, ცულებსა და ჭვირული კომპოზიციებით შედგენილ ბალთებს. უნდა აღინიშნოს, რომ ზოომორფული გამოსახულებებით შემკული აბზინდები მხატვრული, სემანტიკური და ფუნქციური თვალსაზრისით განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენდა ადრეული რკინის ხანაში. სანამ კულტურული კუთვნილების და ქრონოლოგიის პრობლემატიკას შევხებით, აუცილებელია, განიმარტოს საკმაოდ კრებითი ხასიათის, პირობითი ტერმინი „ცხოველური სტილი“, რაც აერთიანებს ევრაზიის კონტინენტზე, ძვ.წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარსა და პირველ ათასწლეულში სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურაში ზოომორფული თემატიკით დატვირთული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს ძვალში, ხესა და ფერად ლითონში.

კავკასიური ცხოველური სტილი გვიანბრინჯაოს ხანაში ვითარდება და მისი ორი ლოკალური ვარიანტი არსებობს: კოლხურ-ყობანური და განჯა-ყარაბაღული. კავკასიური ცხოველური სტილი მეტწილად წარმოდგენილია მრავალფეროვანი ლითონის ნაწარმზე: ჭურჭელი, ავეჯი, ცულები, შტანდარტები, სარტყლები, ბალთები, აბზინდები და სხვ.

ნაშრომი განიხილავს კოლხურ-ყობანური კულტურის არეალში ზოომორფული ორნამენტით შემკული, რკინით ინკრუსტირებული ბრინჯაოს აბზინდებს, მათ ტიპოლოგიას, სტილისტურ თავისებურებებს, გავრცელებასა და ქრონოლოგიას. აღნიშნული ჯგუფის ნივთების შესწავლისას შეიძლება გამოიყოს რიგი საკითხები: ადგილობრივი წარმოების თვითმყოფადობა; ახალი ფორმებისა და მხატვრული ხერხების განვითარება; სოციალური და ეკონომიკური წინაპირობები.

აბზინდები უმეტესწილად ცხოველური და გეომეტრიული გამოსახულებებით არის გაფორმებული. ფორმის თვალსაზრისით, გვხვდება მართკუთხა ფორმის აბზინდები, რომლებიც სწორკუთხა მოყვანილობისაა და მათი სამი ვარიანტი შეიძლება გამოვყოთ: სწორკუთხა მარტივი ფორმის, წელში გამოყვანილი და ტეხილი. აბზინდები, ფორმის თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია, მაგრამ ზომები არის განსხვავებული და ორნამენტული მოტივები კი ძალზედ მრავალფეროვანია როგორც სიუჟეტური, ასევე – კომპოზიცი-

ური და სტილისტური თვალსაზრისით. ტექნიკური ხერხებიდან გამოიყენება გრავირება, კვეთა და ინკრუსტაცია. ინკრუსტაციისთვის იყენებდნენ რკინას, ბაცი ფერის ბრინჯაოსა და სხვადასხვა ფერის მინისებურ ჰასტას. არსებობს, აგრეთვე, სრულიად სადა აბზინდებიც.

გრაფიკულად დამუშავებული აბზინდების შემკულობაში ვხვდებით ძაღლის, ირმის, ცხენის, თევზისა და გველის გამოსახულებებს. გეომეტრიულ ორნამენტაციაში გამოიყენება ერთმანეთზე გადაბმული ხვიებისგან შედგენილი სპირალები, რომბები, სამკუთხედები, წრეები, მკლავმონხრილი ჯვრები, სვასტიკები, „მეანდრები“, ბადისებურად დაშტრიხული და წიწვისებური ორნამენტული ზოლები. ზომომორფული თუ გეომეტრიული მოტივები უშუალოდ იმეორებენ იმ ორნამენტულ ფორმებს, რომლებიც გვხვდება კოლხურ ცულებსა თუ ბრინჯაოს სარტყლებზე.

აბზინდების შესწავლა ცალკეულ არქეოლოგიურ კონტექსტში (სამარხეული ინვენტარი, განძები) საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ ამ ნივთის როგორც კოსტიუმის შემადგენელი ნაწილის ფუნქცია და სხვა სამოსის ელემენტებისა და სამკაულების შეჯერების საფუძველზე ვცადოთ, მოვახდინოთ კოსტიუმის რეკონსტრუქცია. უნდა ვივარაუდოთ, რომ სადღესასწაულო/ფორმალურ კოსტიუმსა და ყოველდღიურ სამოსს შორის არსებითი განსხვავება არ იყო. მართკუთხა აბზინდებს იყენებდნენ როგორც ქალები, ასევე – მამაკაცები და საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სრული სამოსი ისე იყო შედგენილი, რომ სქესობრივი ნიშნით დიფერენციაცია არ არსებობდა. აქვე უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ სხვადასხვა კულტურასა და ხალხში იქნებოდა ეს ქრისტიანული თუ წინაქრისტიანული საზოგადოებები. სამოსი მკაცრად მისადაგებული იყო კონკრეტულად რომელიმე საზოგადოებასა თუ ეთნიკურ ჯგუფში არსებულ ნორმებს. აბზინდები კი, როგორც სამოსის შემადგენელი ან დანამატი ელემენტი, ამ ნორმებთან შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო. ამიტომაც, აბზინდების და, საზოგადოდ, კოსტიუმის თავისებურებების განსაზღვრა და დახასიათება მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საზოგადოების ესთეტიკურ მოთხოვნილებების, როგორც თვითმყოფადობაზე, ასევე ტომთაშორის ურთიერთობებზე, გავლენებზე, რაც არსებობდა კოლხეთის როგორც დაბლობში, ასევე – მთიან რეგიონებში, აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

The research offers the study of the bronze, engraved, iron-encrusted buckles found in the territory of Georgia in the context of the Caucasian "animal style". In the study of artistic crafts and graphic arts in Transcaucasia, special attention was paid to bronze belts, axes, and buckles composed of transparent compositions. It should be noted that absinthes decorated with zoomorphic images were a special novelty from an artistic, semantic, and functional point of view.

The Caucasian animal style develops in the Late Bronze Age and there are two local variants of it: Colchian-Koban and Ganja-Karabakh. The paper examines iron-encrusted bronze buckle-clasps decorated with zoomorphic patterns, their typology, stylistic variations and consistency, distribution area, and chronology in the area of Colchian-Koban culture. When studying the items of the mentioned group, several issues can be distinguished: the identity of local production; the development of new forms and artistic techniques; Social and economic prerequisites.

The bronze buckles are mostly decorated with zoomorphic and geometric images. From the point of view of shape, there are mostly rectangular and three variations can be distinguished: simple straight rectangular shapes, elongated buckles with concave bodies, and broken rectangle or wing-shaped buckles. The morphology of these objects is mostly uniform, but ornamental motifs are extremely diverse both in terms of plot, composition, and style. Engraving, carving, and inlaying were the common techniques used by craftsmen. For inlaying, they applied to iron, light-colored bronze, and vitreous paste of various colors. There are also completely plain buckles.

Graphically decorated buckles are featured with images of dogs, deer, horses, fish, and snakes. In geometric ornamentation, spirals, rhombuses, triangles, circles, cross-armed crosses, "meanders", and mesh-like and flame-shaped ornamental bands are common. Zoomorphic or geometric motifs directly repeat the same ornamentation and imagery represented on the Colchian axes and bronze belts.

The study of buckle-clasps in a separate archaeological context (burial inventory, hoards) allows us to underline the function of this item as a part of the costume and try to reconstruct the costume based on the comparison of other clothing elements and ornaments. It's noteworthy to remark that there was no significant difference between festive/formal costumes and everyday wear. Rectangular buckles were used by both men and women and, significantly, the existence of traditional outfits was not gender-differentiated. It should also be taken into account that in different cultures and peoples, whether it be Christian or pagan societies, clothing was strictly adapted to the norms of a particular society or ethnic group. The bronze buckle as a component or additional element of clothes had to comply with common norms and traditions. Therefore, defining and characterizing features of buckles and general costume provides us with important information about the aesthetic needs of the society, identity, and inter-tribal relations, influences that existed in Colchian plains and mountains, the east and south Georgia or the Koban valley in the edge of second and first millennia BC.

ნინო გოგელია Nino Gogelia

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი/საქართველო
International Black Sea University/Georgia

აქტორები, როგორც „ტექსტისა და დისკურსის ფილტრი“ და კონკრეტული დისკურსული დინამიკის ნაწილი Actors as “Filters of Text and Discourse” and Part of Specific Discursive Dynamics

საკვანძო სიტყვები: დისკურსის დინამიკის გეგმა, აქტორები, სოციალური გარემო, ტექსტი, დისკურსის ფორმირება, დისკურსული „წესები“

Keywords: Linguistic Discourse Analysis, Actors, Social environment, Text, Discourse formation, Discursive rules

დისკურსულ-ლინგვისტიკური ანალიზის საგანს ჩვეულებრივ ის ენობრივი ქმედებები წარმოადგენს, რომლებიც კონკრეტული ტექსტების კონკრეტულ დისკურსში ჩართვას ან, პირიქით, მისგან იზოლირებას განაპირობებენ. ქმედებაზე ორიენტირებული დისკურსის ლინგვისტიკის ფოკუსში მოქცეულია აქტორი – სოციოლოგიური მეცნიერებების და ლინგვისტიკური კვლევების ერთ-ერთი მთავარი კატეგორია. თემატურად შემოფარგლული და ინსტიტუციურად განთავსებული დისკურსი კონკრეტული გამონახტვის ფორმას იძენს როგორც საზოგადოებრივი აქტორების, ასევე – დისპოზიტივების ქსელის მეშვეობით. აქტორები განსაზღვრავენ ასევე ცალკეული ტექსტის მიკუთვნებულობას კონკრეტული დისკურსისადმი. ერთი მხრივ, აქ გადამწყვეტ როლს თამაშობენ ე. წ. „დისკურსული წესები“, რომლებიც გამონათქვამების დისკურსში თანამონაწილეობას ზღუდავენ. ისინი აქტორების მეშვეობით „ფილტრავენ“ გამონათქვამებს, განსაზღვრავენ მათ პოზიციებს დისკურსში და აღძრავენ საზოგადოებრივ ინტერესს. შედეგად კონკრეტულ სოციალურ მსჯელობებში კონკრეტულ გამონათქვამებზე, მათი კომენტირების ან მარგინალიზების მიზნით. მეორე მხრივ, ფილტრაციის პროცესი მიმდინარეობს ე. წ. „დისკურსის ფორმირებით“, რადგან ყოველი ტექსტის ფორმირება დისკურსული ნიშნით ხდება, რასაც ენის სოციალური ხასიათი განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ტექსტი დისკურსის მიღმა ისევე წარმოუდგენელია, როგორც ტექსტი ინტერტექსტუალური მიმართებების გარეშე (Spitzmüller/Warnke 2011).

ჩემს მოხსენებაში განვიხილავ ორ საანალიზო კატეგორიას, რომლებიც კონტექსტით განპირობებული „დისკურსული წესებისა“ და „დისკურსის ფორმირების“ შედეგად იქმნებიან და დისკურსსა და ცალკეულ ტექსტს შორის ფილტრის ფუნქციას ასრულებენ. ესენია: აქტორების ინტერაქციული როლები (პროდუცენტისა და რეციპიენტის როლები) და დისკურსის შემადგენელი გამონათქვამების მედიალოგობა (მედიუმი, კომუნიკაციის ფორმები და ქცევის მოდელები).

The object of discourse linguistic analysis, are as a rule, the linguistic actions which lead to the inclusion of certain texts in a certain discourse or, on the contrary, to their isolation from it. At the center of action-oriented discourse linguistics is the actor - one of the main categories of sociological and linguistic studies. A discourse that is thematically bounded and institutionally located acquires a concrete form of expression through a network of both public actors and dispositifs. Actors also determine the affiliation of a particular text to a particular discourse. On the one hand, the so-called "discourse rules" that restrict the participation of utterances in discourse play a crucial role here. They "filter" utterances by actors, determine their positions in the discourse and arouse public interest. As a result, certain utterances are discussed in a particular society with the aim of commenting on or marginalizing them. On the other hand, the filtering process occurs through "discourse formation" because every text is discursively constructed, which is determined by the social character of language. Therefore, a text outside of discourse is as unthinkable as a text without intertextual relations (Spitzmüller/Warnke 2011).

In my report, I discuss two analytical categories that emerge as a result of contextual "discourse rules" and "discourse formation" and serve as filters between the discourse and the individual text. These are: the interactional roles of the actors (producer and recipient roles) and the mediality of the expressions that constitute the discourse (medium, forms of communication, and models of behavior).

ზაალ გოგენია Zaal Gogenia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

ფეხბურთი და ანტიკომუნიზმი ფრანკისტულ ესპანეთში Football and Anti-communism in Francoist Spain

საკვანძო სიტყვები: ფეხბურთი, ანტიკომუნიზმი, ესპანეთი
Keywords: Football, Anti-communism, Spain

ფრანკისტულ იდეოლოგიურ სისტემაში ანტიკომუნიზმი ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია, ამ მიმართულებით ფეხბურთი ხშირად გამხდარა პოლიტიკური ბრძოლის და პროპაგანდის მძლავრი იარაღი. 1960 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დროს, სატურნირო ბადის მიხედვით, მეოთხედფინალში ერთმანეთს უნდა შეხვედროდა სსრკ-სა და ესპანეთის ნაკრებები (პირველი მატჩი უნდა ჩატარებულიყო 29 მაისს მოსკოვში, ათი დღის შემდეგ – ესპანეთში). ანტიკომუნიზმმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, ფრანკომ აკრძალა ნაკრების მოსკოვში გამგზავრება. სსრკ ფეხბურთის ფედერაციამ თავის განცხადებაში კატეგორიულად დაგმო „ფაშისტი ფრანკოს“ უხეში ჩარევა სპორტულ საქმეში. ნ. ხრუშჩოვმა კი ესპანელი დიქტატორის საქციელი შეადარა „ამერიკის ინტერესების დამცველის მიერ საკუთარ კარებში გატანილ გოლს“. ოთხი წლის შემდეგ, 1964 წლის ივნისში, ევროთასის ფინალში ერთმანეთს მაინც დაუპირისპირდნენ ესპანეთის და სსრკ ნაკრებები. დაპირისპირება სათამაშო მოედანზე ატარებდა უაღრესად მწვავე და პრინციპულ ხასიათს. სპორტულის გარდა მატჩი საინტერესოა პოლიტიკური კონტექსტის თვალსაზრისით. ფრანკოს რეჟიმის საგარეო პოლიტიკა ახალ ფაზაში გადავიდა, საბოლოოდ დასრულდა იზოლაციის პერიოდი, ქვეყანას სჭირდებოდა იმიჯის გაუმჯობესება საზღვარგარეთ, ავტარკამ გზა დაუთმო ეკონომიკური ლიბერალიზაციის, ფრანკოს სურდა ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოება. საგარეო საქმეთა მინისტრი კასტიელია არწმუნებდა კაბინეტს, თუ რა დიპლომატიური უპირატესობა ექნებოდა ფინალის ესპანეთში ჩატარებას. ესპანეთს უნდა ეჩვენებინა მსოფლიოსთვის, რომ გახდა უფრო ტოლერანტული და სტუმართმოყვარე. ანტიკომუნისტური რიტორიკაც ოდნავ შესუსტდა. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა ფინალის მნიშვნელობას, ეს იყო ფრანკოს რეჟიმის 25 წლისთავი. როცა გაირკვა, რომ ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა ესპანეთი და სსრკ, თამაშმა უდიდესი პროპაგანდისტული მნიშვნელობა შეიძინა. ესპანური მედია, კონკრეტულად გაზეთი "ABC", ერიდებოდა იდეოლოგიური და პოლიტიკური მოდელების შედარებას და ამ დაპირისპირებას წარმოაჩენდა როგორც იდენტობათა კონფრონტაციას, რაც მხარეთა თამაშის სტილში აისახებოდა. სსრკ-ს ბუნებიდან გამომდინარე, საბჭოთა ნაკრების თამაშში გამოკვეთილი იყო კოლექტივი, რასაც უპირისპირდებოდა ესპანური ინდივიდუალიზმი, ასე დამახასიათებელი ესპანელებისთვის და ლათინოამერიკელებისთვის. ამრიგად, სათამაშო მოედანზე უპირისპირდებიან ერთმანეთს არა მხოლოდ ნაკრებები, არამედ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სოციუმის ტიპები.

გაზეთი ამტკიცებდა, რომ „ესპანელებმა ასწავლეს თამაში საბჭოთა ფეხბურთელებს“ და მოყვანილი იყო 1937 წელს ესპანელთა ნაკრების სსრკ-ში თამაშის ისტორია. რეალურად აქ საუბარი იყო რესპუბლიკური ესპანეთიდან ბასკი ფეხბურთელების საფეხბურთო ტურნეზე, მაგრამ საინტერესოა, რომ გაზეთი არ აკონკრეტებდა რომელ გუნდზე იყო საუბარი, და დამალული იყო ნამდვილი კონტექსტი, რაც რეჟიმისთვის უფრო საზიანო იყო, ვიდრე – სასარგებლო. ფრანკო პირადად ესწრებოდა თამაშს, თუმცა დაგვიანების გამო, მატჩი ნახევარი საათით გვიან დაიწყო. კაუდილიომ სპეციალურად დააგვიანა, რათა დამატებით ზეწოლა მოეხდინა მოწინააღმდეგეზე. ამ მეთოდს ის ხშირად მიმართავდა და საკმარისია, გავიხსენოთ ჰიტლერთან შეხვედრა ენდაიში, როდესაც ფიურერი ერთი საათი ალოდინა და ამით ერთგვარად მოამზადა უარყოფითი პასუხისთვის. პრესაში და ტელევიზიაშიც ძირითადი აქცენტები კეთდებოდა იმაზე, თუ რა „მხურვალე ტაშით“ შეეგება 120 ათასი ესპანელი ფრანკოს და მის მეუღლეს, რითაც ხაზი ესმებოდა ესპანელი ხალხის ერთიანობასა და რეჟიმისადმი ერთგულებას. მსოფლიოში მილიონობით ადამიანმა ნახა ეს და ამ მიმართულებით ფრანკო ვერ მალავდა თავის კმაყოფილებას სალგადო არაუხოსთან საუბარში. საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის, ისევე როგორც ფრანკოსთვის, ეს არ იყო მხოლოდ ფეხბურთი. ეს იყო დაპირისპირება არა ნაკრებებს, არამედ სისტემებს, არა ფეხბურთელებს, არამედ ჯარისკაცებს შორის. ეს არ იყო მატჩი, ეს იყო ბრძოლა და ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ფრანკომ. ნ. ხრუშჩოვისთვის ფრანკისტებთან წაგება იყო პოლიტიკური დამარცხება, საბჭოთა სახელმწიფოს ღირსების შებღალვა. შესაბამისად, აშუქებდა ამ მოვლენას საბჭოთა პრესაც. ფრანკოს რეჟიმის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ფეხბურთის გამოყენება, როგორც პროპაგანდის იარაღად, მხოლოდ ევროთასზე მოპოვებული გამარჯვებით არ შემოიფარგლება. ბევრ თამაშს ჰქონდა საინტერესო პოლიტიკური კონტექსტი. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრები და მადრიდის რეალი, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ეს იყო გუნდი რომელიც ყველაზე უკეთ ემსახურა რეჟიმს.

In the Francoist ideological system, anti-communism is one of the most important elements, in this sense football has often become a forceful weapon of political struggle and propaganda. During the 1960 European Cup, according to the tournament grid, the teams of the USSR and Spain were supposed to meet each other in the quarter-final game (the first match was to be played on May 29 in Moscow, ten days later in Spain). Anti-communism decided the fate of this match, Franco forbade the national team to travel to Moscow. USSR Football Federation categorically condemned the fascist Franco's gross interference in sports affairs. N. Khrushchev compared the behavior of the Spanish dictator to "a goal scored in his own door by the defender of American interests". Four years later, in June 1964, the teams of Spain and the USSR faced each other in the final of the European Cup. The confrontation on the playing field had an extremely acute and principal character. Apart from sports, the match is interesting from the point of view of political context. The foreign policy of Franco's regime entered in a new phase, the period of isolation finally ended, the country needed to improve its image abroad, Autarky gave way to economic liberalization, Franco wanted to get closer to European structures. The Minister of Foreign Affairs Fernando Castiella, assured the cabinet of the diplomatic advantages of holding the

final matches in Spain. Spain had to show the world that it had become more tolerant and hospitable. The anti-communist rhetoric also weakened. Another factor that determined the importance of the final game was the 25th anniversary of the Franco regime. When it became clear that Spain and the USSR would face each other in the final game, the game acquired great propaganda significance. The Spanish media, specifically the newspaper ABC, avoided comparing ideological and political models and presented this event as a confrontation of identities, which was reflected in the game style of the parties. Due to the nature of the USSR, in the game of the Soviet team, the collective was highlighted, which was opposed to the Spanish individualism, so typical for the Spaniards and Latin Americans. Thus, on the playing field, not only national teams but also completely different types of society face each other. The newspaper claimed that "Spaniards have taught the game to Soviet football players" and cited the history of the Spanish national team playing in the USSR in 1937. Actually, it was talking about a football tour of Basque players from Republican Spain, but it is interesting that the newspaper did not specify which team it was talking about, and there was hidden a real context, that did more harm than good to the regime. Franco personally attended the game, however, due to the delay, the match started half an hour late. The Caudillo specifically came late in order to put additional pressure on the opponent. He used this method and it is enough to remember the meeting with Hitler in Hendaye, when the Führer waited for an hour and somehow was prepared for a negative answer. In the press and on television, the main emphasis was made on the "fervent applause" of 120 thousand Spaniards for Franco and his wife, thus underlaying the unity of the Spanish people and their loyalty to the regime. Millions of people around the world saw this, and in this direction Franco could not hide his satisfaction in his conversation with Salgado Araujo. For the Soviet leadership, as for Franco, it was not just football. It was a confrontation, not between national teams but between systems, not between football players but between soldiers. It was not a match, it was a battle, and Franco won the battle. For Khrushchev, losing the game was a political defeat, a violation of the honor of the Soviet state. Accordingly, the Soviet press also covered this event. Due to the duration of Franco's regime, the use of football as a propaganda tool was not limited with victories in the European Cup. Many of the games had an interesting political context. According to the majority of researchers, the Spanish football team and Real Madrid were the team that served the regime the best.

ანა გოგუაძე
Ana Goguadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

წარმოსახვიდან აქტუალურამდე: შესაძლო სამყარო ჩენ ციოუფანის
რომანში „ნარჩენების ტალღა“
From Imagination to Real: Possible World of Chen Qiufan's "The Waste Tide"

საკვანძო სიტყვები: ჩენ ციოუფანი, ნარჩენების ტალღა, შესაძლო სამყაროები, დისტოპია
Keywords: Chen Qiufan, The Waste Tide, Dystopia, Possible Worlds (PW)

ჩენ ციოუფანის „ნარჩენების ტალღა“ იკვლევს ტექნოლოგიებისა და კაპიტალიზმის შედეგებს ფუტურისტულ დისტოპიურ სამყაროში. წინამდებარე შესაძლო სამყაროსა და რეალურ (აქტუალურ) სამყაროს შორის კავშირის დასადგენად, შესაძლო სამყაროთა თეორიის ჩარჩოს გამოყენებით, სტატია იკვლევს შესაძლო სამყაროს ნიშნებს რომანში. სტატია იძლევა რომანის კრიტიკულ ანალიზს, იკვლევს იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც რომანი ასახავს ან აკრიტიკებს თანამედროვე სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს, ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით გამოწვეულ გარემოს განადგურებასა და სოციალურ უთანასწორობას.

კვლევა, ასევე, განსაზღვრავს რომანის გამოგონილ სამყაროში, სილიკონის კუნძულზე, შესაძლო სამყაროს ხუთ ნიშანს: ელექტრონული ნარჩენები, კლასობრივი დაყოფა, კორპორაციული ძალა, ტექნოლოგიური წინსვლა და გარემოს გადაგვარება. რომანის გამოგონილი სამყარო ბევრ მსგავსებას იზიარებს რეალურ სამყაროსთან, რაც ხაზს უსვამს ცვლილებების გადაუდებელ აუცილებლობას ჩინეთში გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობების პრიორიტეტის მინიჭების მიზნით.

რომანი ასახავს სამ კლასად დაყოფილ საზოგადოებას: მდიდარ ელიტას, რომელიც აკონტროლებს ტექნოლოგიასა და რესურსებს, სახიფათო პირობებში მომუშავე მარგინალიზებულ მუშებს და „ნარჩენების ადამიანებს“, რომლებიც ტოქსიკურ ნარჩენებში იქექებიან. მთავარი გმირი მიმი კორუფციისა და სიხარბის ქსელში ხვდება და ნარჩენების მართვის ინდუსტრიის ბნელ საიდუმლოებებს ხდის ფარდას.

წინამდებარე სტატია განიხილავს, თუ როგორ აკრიტიკებს რომანი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციას და კაპიტალისტური სისტემების დეჰუმანურ შედეგებს. ასევე, გამოვლენილია და გაანალიზებულია რომანის სამყაროსა და აქტუალური სამყაროს შორის მსგავსება-განსხვავება.

მთლიანობაში, ეს ანალიზი ცხადყოფს, რომ რომანი „ნარჩენების ტალღა“ არის გამაფრთხილებელი შეტყობინება შეუზღუდავი ტექნოლოგიური წინსვლისა და კაპიტალიზმის საფრთხეების შესახებ და ხაზს უსვამს გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის საკითხების მნიშვნელობას.

სტატიაში ხაზგასმულია დისტოპიურ ლიტერატურაში შესაძლო სამყაროთა ანალიზის მნიშვნელობა და ამ მიდგომის პოტენციური ლიტერატურასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის შესასწავლად.

Chen Qiufan's "A Waste Tide" offers a powerful critique of capitalist systems and technology in a dystopian society. This research paper provides a multi-step approach to analyze the presentation of possible worlds in the novel using the framework of possible world theory. The paper begins by identifying the key themes, characters, and plot points that contribute to the presentation of possible worlds. A literary analysis is then conducted to explore the ways in which the author constructs and presents the possible worlds, and the significance of the identified themes, characters, and plot points.

The paper then uses possible world theory to examine the relationship between the possible worlds presented in the novel and the real world. This involves analyzing how the novel reflects or critiques contemporary social, political, and economic issues. The similarities and differences between the possible worlds presented in the novel and the real world are also identified and analyzed. The implications of the possible worlds presented in the novel for society and culture are then considered. The paper examines the ways in which the novel offers critiques or alternatives to contemporary social norms and power structures.

Chen Qiufan's "A Waste Tide" presents a future world that is starkly divided into three classes. The novel portrays the wealthy elite controlling technology and resources, the marginalized workers laboring in hazardous conditions, and the "waste people" scavenging through toxic waste. The protagonist, Mimi, discovers the dark secrets of the waste management industry and becomes caught in a web of corruption and greed. The novel critiques the exploitation of natural resources and the dehumanizing effects of capitalist systems.

Using the possible world theory, this research paper identifies the ways in which the novel reflects contemporary social, political, and economic issues. The rapid development of technology and unchecked capitalism have caused environmental destruction and social inequality. The novel's dystopian society offers a cautionary tale about the dangers of these systems and highlights the importance of environmental and social justice.

The paper concludes by emphasizing the significance of analyzing possible worlds in dystopian literature using possible world theory. By comparing the possible worlds presented in the novel to the real world, this analysis identifies the similarities and differences between them, highlighting the novel's potential to offer alternatives and insights into contemporary society. The paper also highlights the implications of the possible worlds presented in the novel for society and culture, showing how the novel offers critiques or alternatives to contemporary social norms and power structures. Overall, this research paper demonstrates the importance of "A Waste Tide" as a cautionary tale, and highlights the potential of this approach for analyzing the relationship between literature and society.

ფიქრია ვარდოსანიძე
Pikria Vardosanidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

ინტერნაციონალიზაციის პროცესები საქართველოს უმაღლესი
განათლების სივრცეში
The Processes of the Internationalization in the Space of Higher Education of
Georgia

საკვანძო სიტყვები: ინტერნაციონალიზაცია, უმაღლესი განათლება, საქართველო
keywords: Internationalization, Higher Education, Georgia

სამყარო იცვლება, იცვლება უმაღლესი განათლებაც და უმაღლესი განათლების საერთაშორისო განზომილება. ის ხდება უფრო მნიშვნელოვანი და ამავდროულად რთული. ჩემ მიერ წარმოდგენილი კვლევის მიზანია საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.

თემის აქტუალობა განაპირობა ახალმა მოთხოვნებმა საგანმანათლებლო სივრცეში, სადაც ხდება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლება, ერთიან სამეცნიერო სივრცეში კვლევების მოქცევა და ა. შ. ბოლო პერიოდში უფრო და უფრო აქტუალური გახდა სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის საკითხი. საქართველო, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის სიახლეებს თუ გამოწვევებს, რომლებიც გლობალურად მიმდინარეობს. უმაღლესი განათლებისათვის მნიშვნელოვანი თემებიდან კი წინამდებარე მოხსენებისთვის შევარჩიე განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხი. კვლევის მიზანია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის პროცესების შესწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.

კვლევისათვის შერჩეული და გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კვლევისთვის საჭირო გახდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სადოქტორო პროგრამების, ინტერნაციონალიზაციის პროცესების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვება. ასევე, ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩაწერა სამიზნე უნივერსიტეტების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებსა და დოქტორანტებთან.

რაოდენობრივი კვლევის კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, სტანდარტულად ყოველწელს იღებენ სტუდენტებს სადოქტორო საფეხურზე და დოქტორანტების რაოდენობას განსაზღვრავს კონკრეტული პროგრამა და ფაკულტეტი; საყურადღებოა, ძალიან დიდი სხვაობა კონკრეტულ წელს მიღებულ დოქტორანტებსა და სადოქტორო ხარისხის დაცულ კანდიდატებს შორის. თვისებრივი კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის შესახებ მკაფიოდ უწერიათ სტრატეგიულ გეგმებსა თუ მისიებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ აქვთ ორგანიზაციული მიდგომა, თუმცა, დეტალურად გაწერილი შესრულების მექანიზმები და/ან შემდეგ შემოწმების დეტალური ფორმები და

კრიტერიუმები არ არის. ამის გარეშე კი ინტერნაციონალიზაციის მრავალფეროვანი პროცესი მხოლოდ ფორმალურ ელფერს იძენს. გარდა ამისა, უნივერსიტეტები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს, პირველი სტანდარტის მოთხოვნის საფუძველზე ადასტურებენ ინტერნაციონალიზაციის გარკვეულ კომპონენტს, თუმცა, იკვეთება განხორციელებისა და შეფასების/განვითარების ნაწილში ფორმალობა. ამ პრობლემების გადასაჭრელად ეფექტურია ინტერნაციონალიზაციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების შესაბამისი მოდელი, რომელიც მორგებულია ქართული განათლების სივრცეს.

The world is changing, higher education and the international dimension of higher education are also changing. It becomes more important and difficult at the same time. The purpose of the research presented by me is to study the policy of internationalization in the state higher educational institutions of Georgia at the third level of higher education.

The relevance of the topic was determined by new requirements in the educational space, where there is a convergence with international standards, an increase in the quality of teaching and research, bringing research into a unified scientific space, etc. Recently, the issue of internationalization of teaching and research has become more and more relevant. Georgia, naturally, cannot ignore the news or challenges that are taking place globally. Among the important topics for higher education, I have chosen for the present study the issue of internationalization of education. The aim of the study is to study the processes of internationalization in higher education institutions at the third level of higher education. Quantitative and qualitative methods were selected and used for the research. For the research, it was necessary to collect quantitative information about doctoral programs and internationalization processes of higher educational institutions. As well as in-depth interviews were conducted with representatives of relevant services and doctoral students of the target universities. results:

Based on the analysis of the data obtained within the scope of the quantitative research study, it was determined that the higher educational institutions, as a standard, accept students at the doctoral level every year, and the number of doctoral students is determined by a specific program and faculty; It is noteworthy that there is a very large difference between the doctoral students received in a particular year and the candidates who have secured the doctoral degree. On the basis of qualitative research, it can be said that as long as the universities clearly write about internationalization in their strategic plans or missions, it can be assumed that they have an organizational approach, however, there are no detailed implementation mechanisms and/or detailed forms and criteria for checking afterwards. Without this, the diverse process of internationalization acquires only a formal tone. In addition, during the accreditation of educational programs, universities confirm a certain component of internationalization based on the requirements of the first standard, however, there is a formality in the part of implementation and evaluation/development. To solve these problems, an appropriate model of planning, implementation and evaluation of internationalization, adapted to the space of Georgian education, is effective.

გვანცა ევანისელი Gvantsa Evaniseli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

1346-1348 წწ. „შავი ჭირის პანდემიის“ გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე (წყაროები, ვარაუდები, დასკვნები) The Impact of the 1346-1348 Bubonic Plague Pandemic on the Political Life of Georgia (Sources, Assumptions, Conclusions)

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ილხანთა საყაენო, შავი სიკვდილი
Keywords: Georgia, Ilkhanate, the Black Death

„შავი სიკვდილის“ სახელით ცნობილი პანდემია ევროპას 1347 წელს დაატყდა თავს, თუმცა მისი კერა შორეულ აზიაში ბევრად უფრო ადრე გაჩნდა.

საზოგადოების აღქმა, იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დაემართათ მსგავსი უბედურება, მიუხედავად მათი რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა, ერთნაირი გახლდათ. ისინი აღნიშნულს ცოდვების მომრავლებასა და ღმერთის სასჯელს უკავშირებდნენ. შესაბამისად, მაქსიმალურად ცდილობენ, მონანიების გზას დასდგომოდნენ. მსგავსი ვითარება საქართველოშიც. სვანეთში აღმოჩენილი დოკუმენტებიდან ერთ-ერთში გარკვევით ვკითხულობთ, რომ ჭირის გავრცელების შემდეგ რამდენიმე პირი წმინდა მიწაზე, ქრისტეს საფლავის მოსალოცად წავიდა, რათა უფლისთვის სენისაგან განთავისუფლება ეთხოვათ.

სამწუხაროდ, წყაროთა სიმწირიდან გამომდინარე, არ შეგვიძლია ზუსტად დავასახელოთ საქართველოს ის ტერიტორიები, რომლებსაც მომაკვდინებელი ჭირი შეეხო. ჯერჯერობით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი გავრცელებული უნდა ყოფილიყო ქსნის ხეობაში. ამის დამადასტურებელ ცნობას ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილ პარაკლიტონში ვაწყდებით.

უკანასკნელ ხანებში (2018 წ.) ცნობილი გახდა, რომ დაავადება სვანეთშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამას მოწმობს ისტორიკოს ვაჟა კიკნაძის მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებული სვანეთის საბუთები. მანვე გამოთქვა ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა ჭირს თავად საქართველოს მეფე, გიორგი V ბრწყინვალეც, ემსხვერპლა. სამწუხაროდ, ამ ჰიპოთეზის დასადასტურებლად ან უარსაყოფად წყაროები არ გაგვაჩნია.

რა ხდებოდა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ჩვენთვის უცნობია. მიუხედავად ამისა, ნაშრომში, კავკასიის რეგიონში არსებული ირიბი წყაროებისა, თუ დოკუმენტების საფუძველზე, გამოთქმულია ვარაუდი, საქართველოს კიდევ რომელ რეგიონს შეიძლება შეხებოდა „შავი სიკვდილი“.

ამასთანავე, შევეცადეთ, არგუმენტირებულად დაგვესაბუთებინა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ საქართველოს დამპყრობელ ილხანთა საყაენოს დასუსტებისა და დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, შინააშლილობასთან ერთად, სწორედ შავი ჭირი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ამას კი, როგორც ცნობილია, საქართველოს მონღოლთა ასწლოვანი ბატონობისაგან განთავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა.

ვფიქრობთ, აღნიშნული კვლევა აქტუალურია გასული წლების პანდემიური გამოცდილებიდან გამომდინარე. ამასთანავე, სტატიის შედეგების გაცნობა საინტერესო იქნება არა მხოლოდ ისტორიკოსთათვის, არამედ გეოგრაფიით, ეკონომიკითა და კულტურის კვლევებით დაინტერესებული მკვლევართათვისაც. იმის ასახსნელად, თუ რატომ ვრცელდებოდა „შავი სიკვდილი“ განსხვავებული სისწრაფით აღმოსავლეთსა და დასავლეთში, გეოგრაფიული არეალების თავისებურებების გამოკვეთა და შედარება დაგვჭირდა, ხოლო გავრცელების მიზეზების გასაგებად ამ პერიოდის მთავარი ეკონომიკური მაგისტრალის – აბრეშუმის გზის მიმართულებებისა და სავაჭრო ცენტრების მდებარეობის განსაზღვრა.

ნაშრომზე მუშაობის დროს ძირითადად გამოყენებულ იქნა წყაროთა კრიტიკული ანალიზის მეთოდი. ასევე, პირველწყაროებზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ჰერმენევტიკული და შედარების მეთოდები. ძირითადი მასალა, რომელსაც სტატიის წერის პროცესში დავყრდენით, ქართული წერილობითი ცნობები და დოკუმენტებია, მათი სიმწირიდან გამომდინარე კი, ყურადღება გავამახვილეთ სომხურ ანდერძ-მინაწერებსა და სპარსულ წყაროებზე.

The dreadful pestilence known by the name of the Black Death burst upon Europe in 1347, but, as a matter of fact, it had broken out in the Far East long before.

Regardless of their religious or ethnic affiliation, people viewed the plague in the same way, considering that the misfortune had befallen them in consequence of God's retribution for the increase of sins. Hence, they tried in every way to tread the path of repentance. And so it was in Georgia. It is clearly mentioned in a document found in Svaneti that after the outbreak of the plague some people took a pilgrimage to the Holy Land to visit the tomb of the Saviour and entreat the Lord for their deliverance from the calamity.

Unfortunately, due to the paucity of sources, it is not possible to accurately determine areas in Georgia that were struck by the deadly pestilence. According to the currently prevalent view among Georgian historiographers, the plague raged in the area of the Ksani River Valley. We find evidence for that in the Octoechos copied by the scribe Avgaroz Bandaisdze.

Recently (2018), it came to light that the plague was rampant in Svaneti as well. The evidence for that can be found in the Svanetian records studied and published by the historian Vazha Kiknadze. He also speculated that among the victims of the plague was the Georgian King Giorgi V the Magnificent himself. Unfortunately, due to a lack of sources on this matter, we can neither confirm nor refute that hypothesis.

We are not aware how things were in the rest of Georgia. Notwithstanding, based upon some indirect sources and documents obtained in the Caucasus region, in the present paper we make a conjecture about other areas in Georgia which could have been affected by the Black Death.

We are also offering some arguments to reasonably prove that the bubonic plague, apart from internal strife, was one of the principal causes of the decline and dissolution of the Ilkhanids, under whose sway Georgia had been bowed. And that, in turn, culminated in the deliverance of our country from a century-long Mongol domination and the restoration of the state independence of Georgia.

From our point of view, the study is highly relevant, particularly in light of the recent COVID-19 pandemic. The conclusions stated in the article may be of interest not only to the professional historian, but also to those who are fond of subjects like geography, economy, and culture. To explain why the Black Death spread through the East and the West with varying degrees of rapidity, we needed to highlight and compare their geographical peculiarities, and to ascertain the causes of its rise, we needed to determine the locations of trading centres and the major trade route of those times, the Silk Road.

While working on the paper, the method of critical analysis of sources was mostly applied. When working with primary sources, a comparative hermeneutic approach was also employed. We mainly relied on Georgian written accounts and documents in the course of writing the paper. Given their insufficiency, we paid particular attention to colophons to Armenian manuscripts and Persian sources.

არპად ელემი

Árpád Éles

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

„მოგზაური მეფის კარზე“ – საქართველო უნგრულ მოთხრობაში
(ლაიომ ტარდი: „იაკუბ ბეი“)
“A Traveler in the King’s Court” – Georgia in a Hungarian Novel
("Jakub Bei" by Lajos Tardy)

საკვანძო სიტყვები: ქართულ-უნგრული ურთიერთობები, ისტორიული რომანი, სათავგადასავლო
დიგეზაგუხა, ბიოგრაფია, შედახებითი დიგეზაგუხა, კულტურის კვლევები

Keywords: Georgian-Hungarian connections, Historical novel, Adventure, Non-fiction, Comparative literary
studies, Cultural studies

მოხსენებაში ვისაუბრებთ უნგრელ ისტორიკოსზე, ლაიომ ტარდზე (Tardy Lajos, 1914 – 1990 წწ.), რომელიც ბედისწერის გაუთვალისწინებლობით პირველი უნგრელი ქართველოლოგი გახდა. მან საყურადღებო ნაშრომი შექმნა ქართულ-უნგრულ პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობებზე. ლ. ტარდე კვლევაში მრავალი საუკუნის მოვლენას აჯამებს. თუმცა ჩვენს მოხსენებაში გავაანალიზებთ მის რომანს „იაკუბ ბეი“ (1961 წ.). რომანის მოქმედება ერეკლე მეორის დროს, მე-18 საუკუნის ბოლო პერიოდში მიმდინარეობს. მთავარი უნგრელი გმირის, იაკუბ რეინეგის, ცხოვრება ავტორის ბიოგრაფიის ალეგორიად ითვლება, მაშასადამე, წიგნი ბიოგრაფიისა და მხატვრული ლიტერატურის ზღვარზეა. რომანი შთამბეჭდავ თემას აძლევს ქართულ-ევროპული ურთიერთობებით დაინტერესებულ მკვლევრებს, ვინაიდან ის შედარებითი ლიტერატურის, კულტურის კვლევებისა და, აგრეთვე, ისტორიის კუთხითაც ცნობათა მდიდარი წყაროა.

In our presentation we shall address Hungarian historian, Lajos Tardy (1914 – 1990), who became the first Hungarian kartvelologist due to unpredictable twists of destiny. He summed up the history of Hungarian-Georgian political and cultural connections from the beginning until 1848, that was a inevitable and outstanding achievement in this field. Although his oeuvre could be also an interesting topic, the presentation focuses on his novel, *Jakub bei* (1961). It tells a story on Jakob Reineggs and Erekle II, therefore it can be defined as a non-fiction novel in the frontier of several genres. *Jakub bei* is also can be considered as an allegory of Tardy’s life and provides several questions to discuss in the field of comparative literary studies, cultural studies and history as well.

მანანა ერემაშვილი
Manana Eremashvili

დამოუკიდებელი მკვლევარი/საქართველო
Independent Researcher/Georgia

სხეულის რეპრეზენტაცია და გენდერის პერფორმაცია კულტურული
დისკურსის ფარგლებში ნანა აბულაძის „აკუმსა“ და ვირჯინია ვულფის
„ორლანდოში“

Representation of the Body and Gender Performativity within the Cultural
Discourse in the Texts of Nana Abuladze and Virginia Woolf
("Akumi" and "Orlando")

საკვანძო სიტყვები: გენდერი, ბიოლოგიური სქესი, პერფორმაცია, განსაცმედი, იდენტობა
Keywords: Gender, Biological sex, Performative act, fashioning, Identity

საკვლევი საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის, პირველად ტექსტებსა და გენდერულ თეორიებზე დაყრდნობით, წინამდებარე ნაშრომი ამოცანებად ისახავს გამოარკვიოს, თუ რა გავლენას ახდენს სოციოკულტურული გარემო პიროვნების იდენტობის ფორმირებაზე;

რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ვლინდება სხეულის, როგორც ბიოლოგიური სქესის განმსაზღვრელი პოსტულატის, გადააზრების თაობაზე განსხვავებულ კულტურულ სივრცეებში „ორლანდოსა“ და „აკუმის“ პერსონაჟების მხატვრული სახეების შედარებითი ანალიზის მიხედვით.

საკვლევი საკითხის აქტუალობას ცხადყოფს თავად ნაწარმოებების სიუჟეტური ხაზიც; ორლანდოს შემთხვევაში ნიშანდობლივია პრობლემის მრავალწლიანი სტატიკურობა; მას შემდეგ, რაც ოცდაათი წლის მშვენიერი ყმაწვილი, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი, სამეფო კარზე მეტად სასურველი და დაფასებული ორლანდო მისტიკური ღამის შემდეგ აღმოაჩენს, რომ ქალად გადაიქცა, იცვლება მისი მანერულობა, ინტერესის სფეროები, სტატუსი საზოგადოებაში; იწყება პერსონაჟის პერსონალური პრიორიტეტების გადააზრება გაბატონებულ ნორმატიულ შეხედულებებზე დაქვემდებარებით, რათა შეძლოს იდენტობის/ქალურობის პოზიციონირება კულტურულ გარემოში. ორლანდოს ქალად ყოფნის სამსწლიანი ისტორიის გადააზრებისას საქმე ეხება დროსა და კულტურული ღირებულებების დუალისტურ მიმართებას – მიუხედავად დროის მდინარებისა, ქალურობის ფენომენი საზოგადოებრივ ასპარეზზე კვლავ სტატიკურია, სოციოკულტურული გარემო ჩანასახშივე სთავაზობს ინდივიდს ნორმატივების ერთობლიობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქალი, როგორც ბიოლოგიურად განსაზღვრული მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი. თუმცა რა ხდება მაშინ, როცა ინდივიდს არ გააჩნია გარეგნულად გამოხატული ბიოლოგიური ნიშნები? როგორ რეაგირებს საზოგადოება „მესამე სქესზე“? სწორედ ამ შეკითხვებს ეხმიანება ნანა აბულაძის რომანი „აკუმი“, რომელშიც ნათლადაა გადმოცემული საზოგადოების შიში „უცხოსადმი“, მცდელობა, დაიმორჩილოს და დაუქვემდებაროს იგი ტრადიციულ

ნორმებს, როგორ შეიძლება ინდივიდი იქცეს სოციალური თუ მეცნიერული ექსპერიმენტის ნაწილად და როგორ აისახება ყოველივე ადამიანის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. დასახელებული საკითხების აქტუალობას განსაზღვრავს „აკუმის“ ლიტერატურული კრიტიკის ფონზე მოპოვებული წარმატება. ნანა აბულაძე 2021 წელს გახდა როგორც ლიტერატურული პრემიის „საბას“, ასევე „თავისუფალი ლიტერას“, ლაურეატი ნომინაციაში „წლის საუკეთესო დებიუტი“, თუმცა, საკითხის სიახლიდან გამომდინარე, მასზე ჯერ არ დაწერილა სამეცნიერო ნაშრომები (თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით) და გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები არ არსებობს. აქედან გამომდინარე, „აკუმისა“ და „ორლანდოს“ შედარებითი ანალიზი ნათლად წარმოაჩენს, რამდენად გლობალურ პრობლემად რჩება გენდერის გადააზრება XXI საუკუნეში არა მხოლოდ ქართული საზოგადოებისთვის, არამედ ფართომასშტაბიან კულტურულ სივრცეში („აკუმში“ სიუჟეტური ხაზი მხოლოდ საქართველოში არ ვითარდება. საკითხის პრობლემატურობა განფენილია ევროპასა და უკიდურესი აზრის ქვეყნებშიც კი სხვადასხვა პერსონაჟის მხატვრული სახის წარმოდგენის წყალობით), როგორი სტატიკური შეიძლება იყოს საზოგადოებრივი შეხედულებები ქალურობაზე მიუხედავად დროსა და სივრცის სხვაობისა.

ზემოთ წამოჭრილი საკვლევი საკითხები სტატიაში განხილული იქნება ამერიკელი ფსიქოლოგისა და პოსტსტრუქტურალისტის, ჯუდიტ ბატლერის თეორიულ მიდგომებზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც, გენდერი ეს არის კვლავგანმეორებადი ქცევების შედეგად ფორმირებული დისკურსული წარმონაქმნი, რასაც მკვლევარი სხეულის პერფორმაციულობას უწოდებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთება, როგორ არის წარმოდგენილი სხეულის რეპრეზენტაციით გენდერის პერფორმაციის საკითხი შერჩეულ ტექსტებში და როგორ იქცევა ტანსაცმელი ამ პერფორმანსის წარმართვის ერთ-ერთ ცვლად პოსტულატად.

For the deep analysis of the research question, based on primary texts and gender theories, the present work aims to find out what kind of influence does the socio-cultural environment have on the formation of a person's identity; According to the comparative analysis of the artistic characters of "Orlando" and "Akumi", What common and distinguishing features are revealed regarding the rethinking of the body as a postulate that determine biological sex in different cultural spaces. The actuality of the research issue is revealed by the plot line of the works themselves; In the case of Orlando, the multi-year static nature of the problem is significant; After a beautiful thirty-year-old Young man, Orlando, who remains as a highly desired and appreciated person at the royal court, discovers that he has turned into a woman after a mystical night, his mannerisms, areas of interest, status in society are about to change; He/She begins to rethink his/her personal priorities by subordinating them to the prevailing normative views in order to identify himself/herself within the specific cultural environment. Despite the passage of time, the phenomenon of femininity is still static in the public arena, considering the three-hundred-year history of being a woman in "Orlando", it is a dualistic relationship of time and cultural values - the socio-cultural environment offers the individual a set of norms, which must be met by a woman as a representative of the biologically defined female sex. But what happens when a person has no outwardly visible biological sex? How does society react to the "third sex"? Nana Abuladze's novel "Akumi" echoes those questions; Society has some fears of

approving the "foreigner", attempt to subjugate and subordinate it to traditional norms in order to force the individual to become a part of a social or scientific experiment that affects one person's psycho-emotional estate. The relevance of the mentioned issues is determined by the success of "Akumi"; In 2021, Nana Abuladze became the laureate of the literary awards of "Saba" and "Tavisupali Litera" for nomination of the "Best Debut of the Year", however, due to the novelty of the issue, scientific papers have not been published yet. Therefore, the comparative analysis of "Akumi" and "Orlando" clearly shows how the rethinking of gender remains a global problem in the 21st century, not only for Georgian society, but also in a large-scale cultural space (the story line in "Akumi" does not exist only in Georgia. The problematic nature of the issue is spread across Europe and Far Asia).

The research issues will be discussed based on the theoretical approaches of Judith Butler, an American psychologist and post-structuralist, according to the theory, gender is a discursive formation as a result of repetitive behaviors, which is considered as a performative of the body. As a result of the research, it will be revealed how the issue of gender performance is represented in the selected texts and how clothes and fashion may become one of the variable postulates for directing this performance.

ქეთევან ეფაძე
Ketevan Epadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

კავკასიის ომის მემორიალიზაცია აფხაზეთის დე-ფაქტო სახელმწიფოში
(1987-2021)
Memorialization of the Caucasian War in the De-facto State Of Abkhazia
(1987-2021)

საკვანძო სიტყვები: საქართველო, აფხაზეთი, პოსტ-კოლონიური, წინააღმდეგობა, რუსეთი
Keywords: Georgia, Abkhazia, Post-colonial, Resistance, Russia

კავკასიის ომის მსხვერპლთა დღე ყოველწლიურად აღინიშნება აფხაზეთში, პერესტროიკის შემდგომი პერიოდიდან. ცერემონიის დროს, აფხაზი მოსახლეობა და პოლიტიკოსები ყვავილებით ამკობენ მსხვერპლთა მემორიალს, რომელიც 1980-იან წლებიდან მოყოლებული უბრალო ქვის სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო 2010 წელს ის ბრინჯაოს ფიგურამ ჩაანაცვლა. აფხაზმა მოქანდაკემ, გენადი ლაკობამ, ცხენიდან ჩამოვარდნილი მხედარი გამოსახა, რომელსაც ერთი ხელით მუშტი აქვს შეკრული. ეს სკულპტურა განასახიერებს როგორც აფხაზთა კოლექტიურ ტრაგედიას რუსეთის იმპერიისგან მიღებული დანაკარგების გამო, ასევე რწმენას, რომ სისხლიანი წარსულიდან აუცილებლად დაიბადება ახალი მომავალი.

2021 წელს კავკასიის ომის გახსენების ცერემონიამ პროტესტი გამოიწვია კრემლის მხარდამჭერ რუს ჟურნალისტებში. გამოჩნდა რამდენიმე სტატია, რომლებშიც მწვავედ იყო გაკრიტიკებული აფხაზი მოსახლეობა და პოლიტიკოსები. სტატიებს მოჰყვა გამომხაურება გამომწერთა მხრიდან. რუსი ჟურნალისტებისა და მათი მხარდამჭერების მთავარი შეტყობინება ის იყო, რომ რუსეთი აფხაზეთის დახმარებისთვის საზღაურს არ იღებს, ამიტომ მოუწოდებდნენ კრემლს გამოესწორებინა შეცდომა და შეეერთებინა აფხაზეთი.

აფხაზმა პოლიტიკოსებმა რუს ჟურნალისტებს მედია ინტერვიუებით უპასუხეს. დე-ფაქტო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, ვადიმ ხაზარამ, განაცხადა, რომ ვიღაც ცდილობდა, მემორიალიზაცია ანტირუსულ დემონსტრაციად შეეფუთა და შორს მიმავალი დასკვნები გამოეტანა. მან ასევე აღნიშნა, რომ აფხაზებს არ სურდათ რუსეთის განაწყენება, მათი მიზანი კავკასიის მსხვერპლთა გახსენება იყო.

ამ დებატებიდან ნათლად ჩანდა, რომ აფხაზეთს და მის თანამედროვე მფარველს, განსხვავებული წარმოდგენები აქვთ მომავალზე. ეს ნაშრომი შეისწავლის კავკასიის ომის გახსენებას აფხაზი პოლიტიკოსების მიერ პერესტროიკიდან თანამედროვე პერიოდამდე. მასში ნაჩვენებია, რომ რუსეთი, რომელიც აფხაზეთის ყოფილი კოლონიური მმართველი და თანამედროვე პატრონია, აწესებს ლიმიტებს კოლონიალური წარსულის გახსენებაზე. აფხა-

ზები ეწინააღმდეგებიან ამ პროცესს. თუმცა, მათი წინააღმდეგობა ეფუძნება არა სწორხაზოვან და მკაფიო პოლიტიკას, არამედ ლავირებას და ორმაგ სტანდარტს.

მთავარი საკვლევი შეკითხვებია – როგორ იხსენებენ აფხაზი პოლიტიკოსები კავკასიის ომს აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფოში? რა ლიმიტები არსებობს რუსეთთან დაკავშირებული კოლონიური წარსულის გახსენებაზე და რატომ? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ნაშრომი მეხსიერების ნარატივებს პოსტკოლონიური წინააღმდეგობის ჩარჩოში გაანალიზებს, რუსეთის რეაქციას აფხაზურ ნარატივებზე და აფხაზთა პასუხს რუსულ მოთხოვნებზე.

ნაშრომში სხვადასხვა სახის წყაროა გამოყენებული კავკასიის ომის მემორიალიზაციის და რუსულ-აფხაზური დისპუტის საჩვენებლად, მათ შორის აფხაზი ისტორიკოსების ტექსტები, აფხაზი და რუსი პოლიტიკოსების განცხადებები, ონლაინ პუბლიკაციები და პერსონალური ბლოგები.

The Day of the Victims of the Caucasian War is annually celebrated in Abkhazia, from the post-perestroika period. The Abkhaz population and politicians bring the flowers to the memorial, which was presented in the form of a simple stone from the end of the 1980s, and from 2010 it was replaced by a bronze sculpture made by an Abkhaz artist Genadi Lakoba. The sculpture depicts a rider with a clenched fist and falling from a horse. This figure represents both: the collective tragedy of the Abkhaz who fought against the Russian Empire and hope to give a birth to a new present from the bloody past.

In 2021 the commemoration of the war in Abkhazia was met with the protest among the pro-Kremlin Russian Journalists. Several articles appeared in Russian social media outlets criticizing de-facto Abkhazia's governance and population, were followed by the heated discussion among the Russian followers. Their main message from the journalists and their supporters was that Russia does not receive anything in return for helping Abkhazia. To correct this mistake they asked for the Russian officials to the annexation of the de-facto state.

Abkhaz politicians have responded to the Russian journalists. Chairman of the de-facto State Committee Vadim Khazaria in an interview with the Abkhaz journalists had responded that someone fabricates memorialization activities as anti-Russian demonstrations and draws far-reaching conclusions, while Abkhaz has no intention to irritate Russia, they only want to honor the memory of the victims of the Caucasian War.

The dispute between Russian journalists and Abkhaz politicians clearly demonstrate that both the de-facto state and its modern patron have different views on the future. The paper offers an empirical contribution to the reader. Memorialization of Caucasian war in Abkhazia and building the narrative of common battle against Russian Empire and Russia's reaction to the Abkhaz narrative was not an issue for study so far.

This paper studies commemorations of the Caucasian war by the Abkhaz politicians from the perestroika period up to the present days and in so doing it shows that Russia, which embodies both former colonial centers and Abkhazia's modern patron, sets limits on the memorialization of the colonial past in the de-facto state of Abkhazia. The Abkhaz resist to this process, however their resistance is based not on a straightforward politics but maneuvering and double-level game.

Main questions addressed in this presentation are as follows: How Abkhaz politicians commemorate Caucasian war in the de-facto state of Abkhazia? What are the limits to remembering

Abkhazia's Russian colonial past and why? I aim to answer these questions through this paper and in so doing, this paper analyses memory narratives created in the de-facto state of Abkhazia in the framework of post-colonial resistance, Russia's reaction to these narratives and Abkhaz answer to the Russian demands. Different kind of sources are used to show memorialization of Caucasian war in Abkhazia and Russian-Abkhaz dispute, such as - works of Abkhaz historians, speeches of the Abkhaz and Russian politicians, Russian language online publications and personal blogs.

ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის ცნობები თბილისის შესახებ (შედარებითი ანალიზი) References of At-Tabari and Ibn Al-Athiri About Tbilisi (Comparative Analysis)

საკვანძო სიტყვები: ატ-ტაბარი, იბნ ალ-ასირი, თბილისი, ახაბთა დაშეჩობები კავკასიაში
Keywords: At-Tabari, Ibn Al-Athir, Tbilisi, Arab Campaigns in the Caucasus

შუა საუკუნეების არაბ-მუსლიმი ავტორების თვალთახედვის არეში მუდმივად ხვდება თბილისი და გამონაკლისს არც ატ-ტაბარი და იბნ ალ-ასირი წარმოადგენენ. X საუკუნის არაბულენოვან ისტორიკოსთა შორის ატ-ტაბარი ყველაზე ცნობილი ფიგურაა, რომლის შემოქმედება შემდგომში მოდელად იქცა სხვადასხვა არაბ-მუსლიმი ავტორისთვის. XII-XIII საუკუნეების ავტორის იბნ ალ-ასირის ნაშრომები ითვლება სანდო წყაროებად შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის, არაბულ-ისლამური სამყაროსა და მისი მეზობელი ტერიტორიების, მათ შორის, კავკასიის ისტორიის შესწავლის საქმეში.

იბნ ალ-ასირის თხზულება ნაწილობრივ მოიცავს ატ-ტაბარის თხზულების გარკვეულ მონაკვეთებს. მოხსენების მიზანია, შედარების საფუძველზე, წარმოვაჩინოთ მსგავსება-განსხვავებანი ცნობებს შორის. შედარებისთვის კი, პირველ რიგში, მოცემული გვექნება სათანადო მონაკვეთების თარგმანები, რომლებიც ეხება ცნობებს თბილისის შესახებ. მართალია, ო. ცქიტიშვილმა 1963 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში შეიტანა ატ-ტაბარის ცნობების თარგმანები, მაგრამ ის ძირითადად ბუღა თურქის მიერ თბილისზე ლაშქრობის ეპიზოდს ეხება. ასევე, ავტორის მიზანი თბილისისა და სოლდაბილის სტატუსისა და ურთიერთმიმართების დადგენა იყო და არა ატ-ტაბარის ცნობების შედარებითი ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს ფრანგული ენიდან იბნ ალ-ასირის ცნობები თარგმნა ი. მაჭავარიანმა, მას თავის თარგმანში არ შეუტანია იბნ ალ-ასირის თხზულებაში არსებული ცნობები VII-IX ს. თბილისის შესახებ. ი. მაჭავარიანის მიერ თარგმნილი იბნ ალ-ასირის ცნობები, მოგვიანო პერიოდის, XI-XIII საუკუნეების, საქართველოს ისტორიას ეხება.

შესადარებელი საკითხები მოიცავს ისეთ ისტორიულ მოვლენებს, როგორებიცაა: არაბთა პირველი ლაშქრობები კავკასიაში; ე.წ. „დაცვის სიგელი“; ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰის ლაშქრობა; ისჰაკ იბნ ისმაილი, პროვინცია არმინიის ჯანყი და ბუღა თურქის ლაშქრობა.

საბოლოოდ, შეჯერებულია ამ ორი ავტორის ცნობები და მოცემულია სათანადო ვარაუდები, შეფასებები თუ დასკვნები განხილულ ცნობებთან და თემატიკასთან დაკავშირებით.

Medieval Arabic sources are important in studying the history of Georgia. Whether it is the history of Georgia itself or the cultural-social-economic-political relations that took place between the peoples/countries of the Georgian world and the Middle East. It is worth noting that relations between Georgians and Arabs were established in the first years of the Arab wars of conquest in the Caucasus, and accordingly this was reflected in Arab historiography. Later on, the relations had a long and permanent character, to the extent that Tbilisi, according to many authors, is a part of the Arab-Muslim culture and represents the last point of the spread of Islam in this geographical direction. It should be based on this factor that most often Tbilisi and related issues are mentioned/described in medieval Arabic historiography.

At-Tabari is the author of over twenty completed works, most of which deal with Islamic law, the Quran, Hadith, and Islamic ethics. The History of at-Tabari is actually a world history that tells the story from the creation of the world (in terms of Abrahamic religions) to the age of at-Tabari. The author's field of vision includes the stories of different peoples and countries, which are directly or indirectly connected with the Arab-Islamic world.

At-Tabari and his work are widely known to Georgian scientific and historical circles. Of the translations, O. Tskitishvili's translation of the 1963 "Moambe" reports about the capture of Tbilisi by Bugha Turk, which accompanies the article that deals with the issue of Isani. Also, E. Sikharulidze translated from Arabic the so-called "Datsvis Sigeli" (a treaty of peace) issued by Habib Ibn Maslama to the population of Tbilisi and Jurzan.

As for the works of Ibn al-Athiri, the most important of his works is the work "The Complete History". which is in fact an analogue of at-Tabari's "History", includes a portion of at-Tabari's writings and adds the post-at-Tabari period up to 1230, and 1231 is considered the date of completion of the works. Along with at-Tabari's "History", "The Complete History" is considered one of the fundamental works of Arab-Islamic historiography.

At-Tabari is often referred to as the "Father of Islamic historiography" and this is obviously not without reason. At-Tabari is actually the first historian who attempted to create a complete historical work from the creation of the world to his era. For centuries, Arab-Muslim historians and representatives of other sciences used the writings of at-Tabari, and in many cases directly copied the text, which was not alien to the Middle Ages. As for Ibn al-Athir, he is in fact a continuation of at-Tabari's traditions, and much of his historical writings include at-Tabari's work, although we have some differences in details, be it dates, toponyms, etc. Also, at-Tabari's information about Tbilisi is somewhat more extensive compared to Ibn al-Athir's information. Likewise, the letter and "Datsvis Sigeli" (a treat of protection) issued by Habib Ibn Maslama to the people of Tbilisi are not found in Ibn al-Athir's work; also, In 764 (or 765) the capture of Tbilisi by the Khazars and the death of Harb ar-Rawandi, whose name, as at-Tabari writes, was named after one of the districts of Baghdad. In addition, the information about Bugha Turk's campaign with at-Tabari is much more extensive and detailed. However, we have certain details with Ibn al-Athir that are not found with at-Tabari, such as the appointment of Jarah as the governor of Arminia (729 or 730) and his coming to Tbilisi to fight the Khazars.

The information given by at-Tabari about the capture of Tbilisi by Bugha Turk is quite extensive. Where he focuses on certain details. For example, he lists the five gates of Tbilisi and talks about the fortification of Soghdabil. Gives the physical description of Amira Ishaq ibn Ismail, who according to his own narration was short, big-headed, bald, red-haired, with blue stripes on his

body, as well as the details of his capture and execution. It also gives us the strategy by which Bugha attacked the city. Actually, it happened from all three possible sides. Zirak attacks from the north, Abu al-Abbas from the south, and Bugha himself from the east, from the Soghdabili side, who used flamethrowers and set fire to the city. In fact, it was a decisive event in the battle for Tbilisi, because Amira Ishak, who was already fighting Zirak outside the city, found himself caught between fire and Zirak. We note here that some information is also lacking with at-Tabari. For example, with Ibn Khordadebeh (9th century) we have a report about Amira Ishaq, which takes place about ten years before the Bugha campaign. This is the episode where Amira Ishaq is mentioned as the owner (Sahib) of the Province of Arminia.

To sum up, we can say that the reports of at-Tabari are invaluable and Ibn al-Athir appears to complement him in this case, as some of the accounts of at-Tabari are either missing or erroneous. In any case, these references are important sources in terms of Arab conquests and Tbilisi's relations with them. At the same time, it would probably be more correct if we consider Bugha Turki's campaign on Tbilisi in a broader context, namely, his goal is not only to punish the Amir of Tbilisi but also to subjugate the entire region to the Caliphate. Also, the reason for his campaign is apparent, it was not only the disobedience of the Amira, who declared de-facto independence much earlier, along with the punishment of the Tbilisi Amira, but the goal of the Bugha's campaign is also the subjugation of rebellious Arminia. And as for the campaign on Bailakan and the capture of Sahl Ibn Sumbat, we assume that it should be evaluated as Bugha's attempt to restore the influence and power of the Caliphate in the South-Eastern Caucasus. Evidently, Ibn al-Athir used at-Tabari's references to supplement his work, although it is clear that at-Tabari was not his only source. In addition, an important part of the information coincides with each other, we have more than one different situation that is not found in at-Tabari's work. Herewith, it is strange that references to the "Datsvis Sigeli" given by at-Tabari and the letter to the people of Tbilisi are not found in Ibn al-Athir's work. Based on this, we can assume that Ibn al-Athiri did not rely on at-Tabari's work directly, but on some later compilation or reworked version. On the other hand, Ibn al-Athir added references from other authors, which were additionally found by him.

The article provides parallel translations of the works of at-Tabari and Ibn al-Athir from the original language. A similar type of situation makes it possible to directly and easily see the similarities and differences in the references about Tbilisi given by two authors of the Middle Ages. Around the named issues, research may continue in different directions, be it the analysis of historical comparison or the analysis of the actual texts in relation to the works of other Arab-Muslim authors.

ნინო ზანდუკელი
Nino Zandukeli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

ეროვნული გმირის კონცეფცია მარია ტოდოროვას „განხეთქილების
ვაშლის“ მიხედვით. საქართველოსა და ბულგარეთის
ეროვნულ ფიგურათა ანალიზი
The Concept of a National Hero According to Maria Todorova's "Bones of
Contention". Analysis of National Figures in Georgia and Bulgaria

საკვანძო სიტყვები: მარია ტოდოროვა, თავისუფლების მოციქული, ილია ჭავჭავაძე, ვასილ ლევსკი,
ეროვნულ ფიგურათა ანალიზი

Keywords: Maria Todorova, The Apostle of Freedom, Iliia Chavchavadze, Vasil Levski, Analysis of National
Figures

მოხსენება ეფუძნება საქართველოსა და ბულგარეთში ეროვნული ფიგურების ჩამოყალიბების თავისებურებებს და მათი პოლიტიკური მიზნით გამოყენების საკითხებს. ისტორიკოს მარია ტოდოროვას წიგნი „განხეთქილების ვაშლი“ ყურადღებას ამახვილებს ბულგარეთის ეროვნულ გმირ ვასილ ლევსკიზე, რომელსაც „თავისუფლების მოციქულს“ უწოდებენ. ნაშრომი ნათლად ასახავს ვასილ ლევსკისგან გმირის დაბადების პროცესს და მისი გმირობით მანიპულაციების მცდელობებს. ვ. ლევსკი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა და ბულგარეთის პირველ ლეგიონში მსახურობდა.

მარია ტოდოროვა აშშ-ში ესწრებოდა 1996 წელს ბულგარეთის საელჩოს მიერ ვაშინგტონისთვის ვ. ლევსკის ძეგლის გადაცემასა და გახსნის ცერემონიალს.

ვ. ლევსკის ბიუსტზე მიწერილი გამონათქვამი ინგლისურ და ბულგარულ ენებზეა. საკითხი ძალიან საინტერესოა, რადგან ბიუსტზე წერია: „თავისუფლება და თითოეულს საკუთარი“. გამონათქვამი ინტერპრეტირდა როგორც კერძო საკუთრებაზე მოწოდება მზარდ პრივატიზებაზე აქცენტით. სინამდვილეში კი, ეს არის ვ. ლევსკის ფრაზა, რომელიც 1871 წელს გაზეთ „სვაბოდაში“ დაიბეჭდა. კერძოდ, ის ამბობდა: „ბულგარელები უნდა დაეყრდნონ მხოლოდ საკუთარ ძალებს. დანა უნდა ლაპარაკობდეს, მელანი აღარ შველის“. ლოზუნგი „თავისუფლება და თითოეულს საკუთარი“, ფაქტობრივად, ენება კოლექტიურ უფლებებს, ერს, როგორც ერთ დიდ მთლიანობას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ფიგურა. დაწყებული „საბჭოთა ილიას“ ფორმირებით, დამთავრებული საბაზრო კაპიტალიზმის ნეოლიბერალურ იდიომში მისი მოქცევის მცდელობებით. ქვეყნის განვითარების საკითხები ილიასთვის იწყებოდა ასევე, სახალხო მმართველობით.

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა! / მე ვარო შენი თანმდევი, უკვდავი სული“ [ჭავჭავაძე].

„თუ მოვიგე, მოვიგე მთელი ერისთვის, თუ წავაგე, მხოლოდ საკუთარ თავს ვკარგავ“ (ლევსკი).

მოხსენება ეყრდნობა თომას კარლაილის ჰეროიზმის განმარტებას, რომელიც გმირის ხედვის სახესხვაობებს გვთავაზობს. კარლაილის მოდელი, ამ შემთხვევაში, მიემართება გმირს და მის კულტს, რომელიც საზოგადოების რეაქციებზეა დამოკიდებული. ვ. ლევსკიც და ილიაც რიტუალიზებულ გმირებადაა აღქმული და ამიტომაც ისინი ხელშეუხებელია.

ორივე გმირი საკმარისად მოქნილი იყო იმისთვის, რომ დაკავშირებული ყოფილიყვნენ ნებისმიერ მოვლენასთან. ისინი გამოსახეს როგორც უზენაესი ავტორიტეტები.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ როგორებიც იყვნენ ისინი, თითქოს, ისეთივე დარჩა თითოეულის სამშობლო. ვ. ლევსკის სიკვდილის შემდგომი ბედის საგა, რომელიც უკვე დაახლოებით საუკუნე ნახევარს მოიცავს, მრავალი თვალსაზრისით, მისი განსახიერებაა. მ. ტოდოროვას მიხედვით, ბულგარულმა ნაციონალიზმმა არ შექმნა ძლიერი პანთეონი, რადგან ლევსკი არის ერთადერთი და უკონკურენტო ფიგურა. ილიას შემთხვევაშიც, ქვეყანა დანაწევრებულია და დიქტომიურადაა გაშლილი. ქვეყნის ვალად, აკიდებული ილიას მკვლელობის გამოსყიდვა ყველას უნდა, მაგრამ იქმნება თუ არა ყალიბები, „განხეთქილების ვაშლი“ ვარდება, მისი წართმევის ჟინით აღტყინებული საზოგადოება კი გვიან აცნობიერებს, რომ ეს ყოველივე ქვეყნის იერსახეს შრამებივით ემჩნევა.

1907 წელს ილია ტყვიით მოკლეს წიწამურში. იმავე წელს, მისმა მეგობარმა აკაკი წერეთელმა დაწერა ლექსი „ილიას მოკვლის გამო“. ხოლო ვ. ლევსკი 1872 წელს თურქებმა შეიპყრეს და ჩამოახრჩვეს, რაზეც 1873 წელს ხრისტო ბოტევმა, რომელიც ასევე ვ. ლევსკის ერთგული მეგობარი იყო, დაწერა ლექსი სათაურით, „ვასილ ლევსკის ჩამოხრჩობაზედ“. თითქოს, ორივე ლექსში, ლევსკიც და ილიაც საკრალურად ჩანან.

The research aims to discuss the peculiarities of the formation of national figures in Georgia and Bulgaria and the issues of their use for political purposes. Historian Maria Todorova's book "Bones of Contention" focuses on Bulgaria's national hero Vasil Levski, who is called the "The Apostle of Freedom." The work depicts the process of the birth of a hero from Vasil Levski and attempts to manipulate his heroism. Levski fought against the Ottoman Empire and served in the First Bulgarian Legion.

In 1996, in the USA, Todorova attended the handing over and opening ceremony of the Levski monument to Washington by the Bulgarian Embassy. The words on Levski's bust are in English and Bulgarian languages. The issue is exciting because it has a quote that says, "Freedom, and to each his own." The phrase was interpreted as a call for private ownership and an emphasis on increasing privatization. This is Levski's phrase, which was printed in "Svaboda" newspaper in 1871. Actually, he said: "Bulgarians should rely only on their own strengths." "The knife should be speaking; the ink does not help anymore." The slogan "Freedom and to each his own" refers to collective rights, the nation as a whole, or the individual writ large.

From this point of view, the figure of Ilia Chavchadze is also interesting. starting with the formation of "Soviet Ilya" and ending with attempts to convert it into the neoliberal idiom of market capitalism. For Ilia, the country's development issues also started with public governance.

"Always and everywhere, Georgia, I am with you!" I am your accompanying spirit!"

["The Ghost," 1859, Chapter VII]

"If I win, I win for the whole nation; if I lose, I am losing myself." [Levski]

The research is attentive to Thomas Carlyle's definition of heroism, which offers a variety of visions of the hero. Carlyle's model refers to the hero or how his cult turns out, which depends on the reactions of society. Both figures are perceived as ritualized heroes, and therefore they are untouchable. The heroes were flexible enough to be attached to any event. They were portrayed as supreme authorities. The impression is created that they remained as they were, just as their country did. Indeed, the saga of Levski's posthumous fate, which has already spanned about a century and a half, is in many ways its embodiment. According to Todorova, Bulgarian nationalism did not create a strong pantheon because Levski is the only uncontested figure. In the case of Ilya, the country is divided and spread dichotomously because he also represents everyone. People want to atone for the murder of Ilya, It's the country's debt. Society, irritated by the desire to take it away, but realizes only too late that all of this has manifested itself visibly as scars on the country's appearance.

In 1907, Ilya was killed by a bullet in Tsitsamuri. After this tragedy, his friend Akaki Tsereteli wrote a poem called "Because of the Killing of Ilya." In contrast, Levski was captured and hanged by the Turks in 1872. Therefore, in 1873, Hristo Botev, also Levski's friend, wrote a poem, "The Hanging of Vasil Levski."

გიორგი თავაძე Giorgi Tavadze

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი/საქართველო
East European University/Georgia

ადგილები და სივრცეები უნივერსიტეტის შიგნით და მის მიღმა Places and Spaces in and outside of the University

საკვანძო სიტყვები: ადგილი *ხოგოხც მნიშვნელობის ცენტრი*, ადგილი, *ხოგოხც ხელოვნება*, ადგილები და სივრცეები, ადგილებით აღსავსე უნივერსიტეტი

Keywords: Place as a center of meaning, Place as an event, Places and spaces, Placeful University

ადგილები არ არის უბრალოდ ფიზიკური მოცემულობები: ისინი მნიშვნელობის ცენტრებია, რომლებიც იცვლებიან. იმ ადგილების ერთობლიობა, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რომელთა შორისაც ჩვენ ვმოძრაობთ და სხვა ადამიანებთან ვურთიერთობთ, ჩვენი ადგილების სამყაროს აყალიბებს. არსებობს პროცესები, რომლებიც განამტკიცებს ჩვენი ადგილების სამყაროს (ადგილებზე ზრუნვა, ადგილში მიმდინარე მოვლენებში ჩართულობა, ადგილის მიერ ჩვენთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შემოთავაზება და ა. შ.). სამწუხაროდ, არსებობს პროცესებიც, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადგილების სამყაროს და ასუსტებს მას (ომი, კონფლიქტი, დისკრიმინაცია, ადგილის შეცვლა ან გაქრობა და ა. შ.).

პროექტი „ადგილები და სივრცეები უნივერსიტეტის შიგნით და მის მიღმა“ მიზნად ისახავს, განავითაროს ადგილის შეგრძნება (sense of place) და ადგილებზე ზრუნვა, ხელი შეუწყოს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ადგილების როლის უფრო სიღრმისეულ გააზრებას და ისეთი ადგილების/სივრცეების შექმნას უნივერსიტეტში, რომლებიც მათში ჩართულ ინდივიდებს პიროვნული განვითარების მრავალფეროვან შესაძლებლობებს შესთავაზებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროექტი ადგილებით აღსავსე უნივერსიტეტის (placeful university) შექმნას ესწრაფვის. პროექტს საფუძვლად უდევს რწმენა, რომლის თანახმად, უმაღლეს განათლებაში სერტიფიცირებული ცოდნის გადაცემაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური ურთიერთობების გაღრმავება და ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა მონაწილის პიროვნულ განვითარებას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებასა და საერთო-საკაცობრიო ღირებულებების კულტივირებას.

მოხსენების ფარგლებში განხილული იქნება პროექტის მიმდინარეობა, განხორციელებული აქტივობები და არსებული გამოწვევები, ხოლო პროექტის საფუძველმდებარე იდეები ონტოლოგიური განათლების ჭრილში იქნება გაანალიზებული.

Place is not a mere physical setting: it is a center of meaning, which changes. Totality of places, in which we dwell, moving between them and interacting with others, constitutes our place-world. There are processes which strengthen our place-world (e.g. care for places, inclusion in the events happening at the place, places around us offering rich and diverse opportunities for development) and ^{unfortunately,} there are processes which undermine place-world and weaken it (war, conflicts, discrimination, destruction or transformation of places, etc.).

“Places and spaces in and outside of the university” is a project, carried out by Varlam Cherkeshvili Centre for Interdisciplinary Studies (East European University), which aims to develop the sense of place and care for places, promote deeper realisation of the role of places in university community and create places/spaces within university which offer to the individuals diverse opportunities for self-realisation. Underlying to the project there is a belief that within higher education the deepening of interpersonal relationships and creation of the atmosphere which fosters personal growth of each participant, mutual sharing of experience and cultivation of humanity’s shared values is no less important than the transfer of certified knowledge and achievement of measurable learning outcomes.

During the discussion I will address the unfolding of the project, implemented activities and existing challenges. The underlying ideas of the project will be situated in the context of ontological education.

სამეტყველო აგრესიის სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები Socio-Political Aspects of Verbal Aggression

საკვანძო სიტყვები: სამეტყველო აგრესია, ვერბალური აგრესია, პოლიტიკური დისკურსი, სოციალური დისკურსი

Keywords: Speech Aggression, Verbal Aggression, Political Discourse, Social Discourse

ენობრივ მოვლენათა კვლევის სიმრავლისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, ისეთი ენობრივი ფენომენი, როგორცაა ენობრივი/ვერბალური აგრესია, მკვლევართა ინტერესების ფოკუსში არც ისე ხშირად მოქცეულა ან ასახულა მათი კვლევების შედეგებში. აღნიშნული ფენომენის ლინგვისტიკური თუ სხვა სახის კვლევის აქტუალურობას თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა – კომუნიკაციის ისეთი სახის არსებობა და გააქტიურება განაპირობებს, როგორც არის აგრესია.

წინამდებარე მოხსენებაში მიზნად დავისახეთ სწორედ აღნიშნული ფენომენისა და მისი გამომწვევი სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა ფაქტორების კვლევა და მათი განსახილველად წარმოდგენა.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ტერმინს „ვერბალური აგრესია“ ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ მოეპოვება. ეს რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული, რომელთა შორის უპირველესია ის, რომ თავად ტერმინი გამოიჩენს პარალელური ვერსიების ერთდროულად არსებობისა და გამოყენების სიმრავლით („სამეტყველო აგრესია“, „ენობრივი აგრესია“, „სიტყვიერი აგრესია“, „კომუნიკაციური აგრესია...“).

ადამიანის აგრესიულ მდგომარეობაში ყოფნისა და ფუნქციონირების შესწავლა ცნოვრების სხვადასხვა სფეროში თანამედროვე მეცნიერებების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. კომუნიკაციის შემსწავლელი მეცნიერებებისთვის განსაკუთრებულ ინტერესს არა მხოლოდ ადამიანის აგრესიული განწყობის ენაზე გავლენის შესწავლა წარმოადგენს, არამედ იმ სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა სახის ფაქტორებისაც, რომლებიც არიან აგრესიისა და, შესაბამისად, მისი ენობრივი გამოხატულების გამომწვევი და განმაპირობებელი.

აგრესიის, როგორც სამეტყველო კომუნიკაციის ერთგვარი ფენომენის შესწავლა, დაკავშირებულია XX საუკუნის მეორე ნახევრის მოვლენასთან, რაც გულისხმობს შემდეგს: სტრუქტურულმა ლინგვისტიკამ ადგილი დაუთმო ფუნქციურ ლინგვისტიკას. სწორედ ამ დროს იწყებს დომინირებას ანთროპოცენტრიზმის პრინციპი („ადამიანი მეცნიერების ცენტრში“). ამ დროიდან ენათმეცნიერება აქტიურად იწყებს ინტერდისციპლინური პრობლემის კვლევას.

სამეცნიერო კვლევების უმრავლესობა „სამეტყველო აგრესიას“ განიხილავს როგორც ლინგვოფსიქოლოგიურ ფენომენს, სადაც აგრესიის ფსიქოლოგიური გაგება მეტწილად აისახება სამეტყველო ქცევაზე და მხოლოდ მისი გამოხატვის გზა ასოცირდება ენათმეცნიერებასთან. აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამეტყველო აგრესია უნდა განიხილებოდეს უფრო მეტად ენათმეცნიერების ჭრილში, ვიდრე ფსიქოლოგიურ დისკურსში, რადგანაც ტერმინი „სამეტყველო აგრესია“ უფრო ენათმეცნიერულია, განსხვავებით ტერმინისაგან „ვერბალური აგრესია“, რომელიც მეტწილად ფსიქოლოგიური ტერმინია.

ვინაიდან, ჩვენ ვიმყოფებით გლობალიზაციის, შესაბამისად, აქტიური და უწყვეტი ინტერკულტურული კომუნიკაციების ეპოქაში, მართებულად მიგვაჩნია, შევხვოთ ზემოხსენებული ფენომენის მთარგმნელობით ასპექტებს. ემპირიული მასალის კვლევისას, ორიგინალ და ნათარგმნ გამონათქვამებში ვერბალური აგრესიის დონის შედარებისას გაირკვა, რომ შემთხვევათა 71%-ში აგრესიის ხარისხი ეკვივალენტურია, გამონათქვამების 17%-ში სამიზნე ტექსტში „სიტყვიერი აგრესია“ უფრო მძაფრი აღმოჩნდა, ხოლო 12%-ში „ვერბალური აგრესია“ შემცირდა. ასეთი სტატისტიკა პრობლემის კვლევის კიდევ უფრო მეტ საფუძველს იძლევა.

წყარო ენიდან სამიზნე ენაზე „სამეტყველო (ვერბალური) აგრესიის“ გადათარგმნისას, მთარგმნელები ჩვეულებრივ ისეთ ხერხებს მიმართავენ, როგორებიცაა: ნულოვანი ტრანსფორმაცია, გამოტოვება, გრამატიკული ჩანაცვლება, დამატება, გენერალიზაცია, კონკრეტიზაცია, კომპენსაცია და სხვა.

ყველაზე ხშირად „სამეტყველო აგრესია“ თავს იჩენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში; სოციალურ, მასმედიაში და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებაში გავრცელებული აგრესიული მეტყველების ნიმუშები, ხშირად, განხილვისა და გაკაცხვის საგანი ხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიტიკა; წინასაარჩევნო კამპანიები, პოლიტიკოსთა სააგიტაციო-პროპაგანდული გამოსვლები თითქოსდა წარმოუდგენელია აგრესიული მეტყველების გარეშე. აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და არ ვახსენოთ „სამეტყველო აგრესიის“ გამომხატველი ენობრივი საშუალებების გამოყენების როლი მხატვრულ ლიტერატურაში, იმდენად, რამდენადაც სწორედ ეროვნული ლიტერატურა, კლასიკური ნაწარმოებები ასახავენ ერის ცნობიერებასა და გონებას, ხედვასა და შინაგან ბუნებას, აღწერენ ჭიდილს სამართალსა და უსამართლობას, კეთილსა და ბოროტს შორის, გასაბჭოებით, საბჭოთა კავშირის ოკუპაციური მარწუხებისგან გათავისუფლების აუცილებლობითა თუ სხვა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით განპირობებულ მძიმე მდგომარეობას.

კვლევის შედეგებიც სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულის კლასიფიცირებას, შეჯამებასა და გაანალიზებას წარმოაჩენს.

კვლევისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: ანალიზი, შედარება, აღწერა, დაკვირვება და სხვა.

Despite the multiplicity and diversity of language phenomena such as linguistic/verbal aggression, it has not been the subject of researchers focus or has not been explicitly elaborated in the results of their studies yet. One of the most important challenges of the modern world such as the existence and activation of such type of communication as aggression determines the actuality of linguistic or other kind of research of the following phenomenon.

The aim is to research and present for discussion the social, political and other factors that are related to the above mentioned phenomenon.

The term “verbal aggression” does not have a straightforward definition in modern Linguistics. This is caused by many reasons, the main of them being the existence of multiple versions of the term used in parallel: “speech aggression”, “linguistic aggression”, “oral aggression”, and “communicative aggression”.

The study of the aggressive state of the human is one of the main tasks of modern science in various spheres of life. Particular interests of the communication sciences is not only the study of the humans’ aggressive mood influence to the language, but also these social, political or other factors which cause aggressiveness and its linguistics expressions.

The study of aggression as a phenomenon of verbal communication is related to the following development in the twentieth century: the focus was shifted from Structural Linguistics to Functional Linguistics. Thus, this is the time when anthropocentrism, which placed “a human in the center of scientific focus”, has become the dominant approach. This became the starting point for linguistics to actively study interdisciplinary problems.

Most scientific studies consider “verbal aggression” as a linguopsycological phenomenon, whereas the psychological understanding of aggression is largely extrapolated to speech behavior and only the way it is expressed is associated with linguistics. It should also be mentioned that speech aggression should be discussed more in light of linguistical rather than psychological discourse.

Since we live in the era of globalization with its intensified and continuous cross-cultural communication, it is difficult to bypass and not to mention translation aspects of the above noted phenomenon.

In case of translating speech aggression from the source language into the target language, translators usually use the methods, such as: zero transformation, omission, grammatical substitution, addition, generalization, concretization, compensation, etc.

Speech aggression predominantly manifests itself in socio-political discourse. The examples of aggressive speech prevalent in society and mass media usually become the subject of discussion and reprimand. In this regard, politics is particularly noteworthy. Pre-election campaigns as well as propagandistic speeches of politicians are inevitable without aggressive speech. In this respect, we cannot ignore and not mention the role of the use its linguistic means of speech aggression in artistic discourse as much as the national literature, classical works reflect the consciousness and mind, vision and inner nature of human describe the struggle between justice and injustice, kindness and evil, the hardship of Georgia in becoming member of Soviet Union, and the need for liberation from the Soviet Union’s occupation and a difficult situation caused by other social or political events - it would be impossible to avoid aggression and hate speech.

The results of the research show the classification, summary and analysis of all the above mentioned aspects.

The research process employed the following methods: analysis, comparison, description, observation, etc.

ნათია იაკობიძე
Natia Iakobidze

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი/საქართველო
Georgian Institute of Public Affairs/Georgia

ChatGPT და აკადემიური კეთილსინდისიერება: გამოვიყენოთ თუ არა
ხელოვნური ინტელექტი უმაღლეს სასწავლებლებში?
ChatGPT and Academic Integrity: Examining the Feasibility of Artificial
Intelligence in Higher Education

საკვანძო სიტყვები: პლაგიატი, აკადემიური კეთილსინდისიერება, ხელოვნური ინტელექტი, ეთიკა,
უმაღლესი განათლება

Keywords: Plagiarism, Academic Integrity, Artificial Intelligence, Ethics, Higher education

2022 წლის ნოემბერში თურნიტინმა გამოაქვეყნა კვლევა, რომლის მიზანიც აკადემიური კეთილსინდისიერების და თაღლითობის მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულებებისა და ტექნოლოგიების როლის წარმოდგენა იყო. კვლევა ჩატარდა 6 ქვეყანაში: გაერთიანებულ სამეფოში, ყაზახეთში, თურქეთში, გერმანიაში, ესპანეთსა და ნიდერლანდებში. გამოიკითხა 1500 სტუდენტი. გამოკითხულთა 62.4 %-მა აღნიშნა, რომ სხვის მიერ ნაშრომის შექმნა პრობლემას წარმოადგენდა მათ ქვეყანაში. 23 %-მა კი აღნიშნა, რომ მას ან მის რომელიმე ნაცნობს ჩაურთავს მესამე პირი, რათა დაესრულებინა ნაშრომი (*The State of Integrity*, 2022).

აკადემიური კვლევის ეთიკა გულისხმობს, რომ ნაშრომი სტუდენტის მიერ უნდა იყოს შესრულებული და მესამე პირის ჩართვა ნაშრომის შესრულებაში პლაგიატია (Thomas, 2021).

ხელოვნურმა ინტელექტმა (ChatGPT) პლაგიატის რისკი გაზარდა. ChatGPT, ხელოვნური ინტელექტის ენობრივი მოდელი, რომელიც OpenAI-ს მიერაა შექმნილი, 2022 წლის 30 ნოემბერს გამოვიდა. მას შეუძლია სხვადასხვა ენობრივი დავალებების შესრულება – კითხვებზე პასუხის გაცემა, თარგმანი, ტექსტის შექმნა თუ შეჯამება.

არაერთი მკვლევარი აღნიშნავს ხელოვნური ინტელექტის სარგებლისა თუ რისკის შესახებ. ის შეიძლება გამოყენებული იყოს სწავლებისა და სწავლის პროცესში. მისი გამოყენება შეიძლება თითოეული სტუდენტის საჭიროებებსა და უნარებზე მორგებული დავალების, ასევე, ინტერაქციული, თამაშზე დაფუძნებული დავალების შესაქმნელად, კურიკულუმის შესადგენად, დავალების შესაფასებლად და სტუდენტისათვის უკუკავშირის დასაბრუნებლად (Cotton et al., 2023). მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სტუდენტების ხელოვნური ინტელექტის ეფექტური გამოყენებისათვის საჭირო უნარებით აღჭურვა გაზრდის სწავლის შედეგებს (Skrabut, 2023).

ისტორიულად განათლება მუდმივად ახალი ტექნოლოგიების გავლენის ქვეშ ექცეოდა. მას განიხილავენ როგორც სწავლისა და სწავლების უახლოეს, რევოლუციურ საშუალებას (Skrabut, 2023). დღეს უმაღლესი სასწავლებლები ახალი გამოწვევის წინაშე დგანან, ესაა ხელოვნური ინტელექტი: მისი ჩართვა სასწავლო პროცესში და პლაგიატისგან თავის დაცვა.

ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, ხელოვნური ინტელექტის პოტენციური სარგებლის გათვალისწინება და გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, მზადყოფნა შესაძლო რისკებთან, რაც არის პლაგიატის გაზრდილი რისკი.

დავალება უმაღლესი განათლების შემადგენელი ნაწილია, რაც აფასებს სტუდენტის სწავლის შედეგს. დავალების მომზადებასთან დაკავშირებულია პლაგიატის პრობლემა. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ესეს მომზადება, რაც სტუდენტის მიერ დაწერილი ესესგან რთულად თუ განსხვავდება.

პლაგიატის რისკებს შეამცირებს:

– საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტთა დავალებების იმგვარად შერჩევა, რომ სტუდენტმა მარტივად ვერ შეძლოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დავალების შესასრულებლად, რომელზეც მას არ აქვს აზრიანი პასუხები;

– ChatGPT-ს გამოყენების პოლიტიკის და პროცედურების განსაზღვრა;

– სტუდენტების დარწმუნება იმ სარგებელში, რასაც დავალების თავად შესრულება მოუტანს;

– სტუდენტებისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევის ეთიკის, ასევე, აკადემიური მუშაობის სწავლება;

– წერის პროცესში პლაგიატის ამომცნობი საშუალებების გამოყენება;

– სტუდენტების მიერ გაანალიზება, თუ რატომ იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, რომ ის არაა სრულყოფილი. ეს შესაძლებელია, თუ ChatGPT-ს გამოიყენებს როგორც დავალების ნაწილს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ, მხოლოდ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის დაცვის გათვალისწინებით, შესთავაზონ სტუდენტებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება.

In November 2022, Turnitin released a study that sought to investigate student perspectives on academic integrity and cheating, as well as the influence of technology in this context. The research encompassed a total of six countries, namely the United Kingdom, Kazakhstan, Turkey, Germany, Spain, and the Netherlands. A total of 1500 students were surveyed. Notably, findings revealed that a substantial proportion of respondents, accounting for 62.4%, perceived the creation of papers by individuals other than the designated authors as a prevailing issue within their respective countries. 23% of participants reported either their own involvement or knowledge of acquaintances engaging third-party assistance to accomplish academic papers (The State of Integrity, 2022).

The ethics governing academic research dictate that the responsibility for completing the work lies solely with the student, and any involvement of a third party in the process constitutes an act of plagiarism (Thomas, 2021). The advent of artificial intelligence, specifically ChatGPT, has introduced a heightened risk of plagiarism within academic contexts. ChatGPT, an advanced language model devised by OpenAI, was unveiled on November 30, 2022. This cutting-edge technology possesses the capacity to execute diverse language-related functions, encompassing question-answering, translation, text generation, and summarization.

Numerous scholars have highlighted the advantages and potential hazards associated with artificial intelligence (AI). Notably, AI finds utility within the realm of teaching and learning. Specifically, AI can be leveraged to develop personalized assignments that cater to the unique needs and abilities of individual students. Additionally, it enables the creation of interactive and game-based assignments, curriculum development, assessment of student assignments, and the provision of feedback (Cotton et al., 2023). Furthermore, some researchers contend that imparting students with the essential proficiencies necessary for proficient utilization of AI technologies can significantly enhance learning outcomes (Skrabut, 2023).

Throughout history, education has consistently experienced the impact of emerging technologies, often recognized as revolutionary tools for both learning and teaching practices (Skrabut, 2023). In contemporary times, higher education institutions confront a new challenge in the form of artificial intelligence (AI) and its integration into the educational landscape, alongside the imperative of safeguarding against the escalating risk of plagiarism. On one hand, it is crucial to acknowledge and harness the potential advantages offered by AI. On the other hand, it is imperative to proactively address the associated risks, specifically the heightened vulnerability to instances of plagiarism.

The assignment is a fundamental element within higher education, serving as a vital tool for evaluating students' learning outcomes. Plagiarism emerges as a significant concern intertwined with the process of assignment preparation. Artificial intelligence possesses the capability to generate essays that are indistinguishable, if not markedly similar, to those produced by human students.

To effectively mitigate the risks associated with plagiarism, the following strategies can be implemented:

- Careful selection of student tasks within educational programs, ensuring that assignments are designed in a manner that discourages students from relying on artificial intelligence to complete tasks.
- Establishment of policies and procedures governing the usage of ChatGPT or similar AI tools.
- Persuading students of the benefits derived from actively engaging with the assigned tasks.
- Equipping students with the knowledge and understanding necessary to uphold ethical standards in their academic work.
- Utilization of plagiarism detection tools during the writing process.
- Encouragement of students to critically analyze the role and limitations of artificial intelligence.

The implementation of artificial intelligence (AI) within institutions of higher education must be accompanied by careful consideration of academic integrity and the preservation of the quality of educational programs.

ქეთევან იმედაშვილი
Ketevan Imedashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

ცნება „ბრალთან“ დაკავშირებული პრობლემები ქართულსა და
ბრიტანულ ინგლისურში
The Problems of the Concept of Blame in the Georgian Language and British
English

საკვანძო სიტყვები: ბრალი, დანაშაული, სინონიმია, ნორმატიული თეორია

Key words: Blame, Crime, Synonymy, Normative Theory

წინამდებარე ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ცნება ბრალის განხილვა იურიდიულსა და მხატვრულ ჭრილში ქართულსა და ბრიტანულ ინგლისურში, რომელიც დაგვარწმუნებს მათ ენობრივსა და სამართლებრივ თავისებურებებში. საკვლევი ცნების მრავალასპექტიანობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა საკითხის დეტალურად განხილვა. აქედან გამომდინარე, ნაშრომში გამოკვლეულია ბრალის, როგორც იურიდიული ტერმინისა და ზოგადი ენობრივი ერთეულის, საკითხი სინქრონულ და დიაქრონიულ ჭრილში. ასევე, ეს ცნება შევისწავლეთ ლინგვისტიკური თვალსაზრისითაც. საკვლევ თემაში გამოყენებულია ისტორიული, შედარებით-ისტორიული, რაოდენობრივი და ლოგიკური მეთოდები.

ბრალი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, მიუხედავად ამისა, ის ნაკლებადაა დამუშავებული სამართლებრივი თვალსაზრისით და ლინგვისტიკური კუთხით კი, საერთოდ შეუსწავლელია, ვინაიდან ძირითადი აქცენტი უფრო დანაშაულისა და სასჯელის, ასევე სხვა სამართლებრივი ტერმინების პრობლემატიკაზეა გადატანილი. საკვლევი მასალა აღებულია ქართული და ინგლისური მხატვრული ლიტერატურებიდან, ასევე, გამოყენებულია ენობრივი კორპუსის მონაცემები და იურიდიული ლიტერატურა.

ბრალის, როგორც იურიდიულ ტერმინის, რამდენიმე განმარტება არსებობს: „დასჯის სიმძიმე განისაზღვრება ბრალის ხარისხით. ბრალი კი, თავის მხრივ, სასჯელის აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ბრალის დადგენის გარეშე არ შეიძლება სასჯელის შეფარდება, ე. ი. მათ შორის არსებობს აუცილებელი ურთიერთკავშირი“ (ტურავა, 2011). „ბრალი შეფასდა როგორც მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალური სამართლებრივი გაკიცხვა და ის მიჩნეულია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ელემენტად“ (ყუმიტაშვილი, 2005).

ქართულ და ბრიტანულ სამართლებრივ ტერმინოლოგიაზე საკმაოდ დიდი იყო ლათინური და ბერძნული ტერმინების გავლენა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ქართულის შემთხვევაში. ბრალი, სახარების ქართული თარგმანების მიხედვით ლათინურ "kulpas"

შეესატყვისება. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ სახარების ქართული თარგმანის „ბრალს“ ბერძნულ დედანში მიესადაგება „ჰეიატია“ (იოანე 18:38) (ნადარეიშვილი, 2005)

კარლო ჯორჯანელის „ქართულ სინონიმთა ვრცელ ლექსიკონში“ ბრალი გაიგივებულია დანაშაულთან, ხოლო თვითონ დანაშაულის ცნებასთან შემდეგი სინონიმები არის ჩამოთვლილი: ბრალი, ბოროტმოქმედება, ბოროტნამოქმედარი, (სამართ.) კრიმინალი (ჯორჯანელი, 2003).

ინგლისურ ენაში ცნება blame-ის სინონიმად მოიაზრება guilt, culpability, fault, sin.(dictionary.com), მაგრამ, ქართულისგან განსხვავებით, არ გვხვდება მისი სინონიმური ცნება accusation-თან ინგლისურენოვან ლექსიკონებში, რაც აიხსნება მისი ტერმინოლოგიური სიზუსტით.

როგორც კვლევამ აჩვენა, ახალ ქართულში რაოდენობრივად ჭარბობს ისეთი მაგალითები, სადაც ბრალის უკან არ იგულისხმება სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ ძველ ქართულში საპირისპირო სიტუაციაა. ინგლისურში ერთმანეთისგან გამიჯნულია ცნება blame-სა და accusation-ის სინონიმური რიგი. ცნება blame-ის უკან შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ბრალი, ასევე დანაშაული რომელიც თავისთავად არ გულისხმობს აუცილებლად სისხლის სამართლის დანაშაულს და ასევე სამართლებრივი დანაშაული. ყოველდღიურ მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში ვერსად შევხვდებით ცნება accusation-ს, რადგან იგი მოიაზრება როგორც სამართლებრივი ტერმინი, რომელიც მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობით იხმარება.

ამრიგად, ცნება ბრალი ინგლისურსა და ქართულ ენებში განიცდის ევოლუციას, განსაკუთრებით როგორც სამართლებრივი ტერმინი. ეს სინონიმური ლექსემები ერთმანეთთან უფრო ახლოს დგას ყოველდღიურ მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში, ვიდრე სამართლებრივ ტერმინოლოგიაში, რაც აიხსნება ტერმინოლოგიური სიზუსტის აუცილებლობით, მაგ: ცნება ბრალი ყოველდღიურ მეტყველებაში ითვლება დანაშაულის სინონიმად, მაგრამ როგორც სამართლებრივი ტერმინოლოგია წარმოადგენს დანაშაულის ელემენტს, ბრალი – ეს არის დანაშაულის ძირითადი ელემენტი, ბირთვული ნიშანი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ქცევის შეფასებასთან.

In the present work the topic of research is the study of the concept of blame considering the fictional and legal viewpoint in Georgian and British English which will convince us their legal and linguistic characteristics. Because of multi-sidedness of the concept, it is impossible to consider every aspect of this issue. Therefore, blame as legal term and general linguistic unit are researched in diachronic and synchronic way. We have also studied it according to linguistic viewpoint. We have used historic, comparative-historic, quantitative and logic methods during research.

The blame is one of the most principal concepts in criminal law, however it is less studied from legal viewpoint and wholly unstudied from linguistic point of view, because more attention is paid to study crime and punishment, also problems of different legal terms are considered more important. research material is taken from Georgian and British fiction, also data of language corpus and legal literature are used.

The blame as a legal term is defined in some ways: "the heaviness of punishment is determined by the quality of blame. The blame, itself, is the precondition of punishment. Correspondingly, according to principles of state law, suspect can not be sentenced without considering the blame, i.e. there is an essential connection between them." (Turava, 2011, p. 46) "The blame is assessed as individual legal reproach by the judge and it is considered as an element of crime taken into account by the code of criminal law" (Yushitashvili 2005)

Georgian and British terminology of law were under the huge influence of Latin and Greek terminology. It is especially evident in case of Georgian. The blame correspond to Latin "Culpa" according to Georgian translation of gospel Iv. Javakhishvili mentioned that the translation of "blame" of gospel corresponds to Greek "Heiastia" (Nadareishvili, 2005)

In the "Large Dictionary of Georgian Synonyms" by Karlo Jorjaneli blame is identified as crime, but the crime itself is followed with the following list of synonyms: blame, offence, evil deed (legal) criminal (Jorjaneli, 2003)

In English, concept of blame is synonym of guilt, culpability, fault, sin.(dictionary.com) but conversely to Georgian dictionary it is not considered as the synonym of accusation in English dictionaries, which can be explained by its terminological explicitness.

As the research has shown, in modern Georgian we have got more instances of blame which do not consider blame as the felony of criminal law, but we have got the opposite situation in old Georgian. In English there is a boundary between the concepts blame and accusation. The concept of blame sometimes considers the blame as well as felony. In every day speech and fiction we can not find the usage of the concept of accusation. Because it is considered as legal term, which has only legal use.

To conclude, the concept of blame has undergone evolution, especially as a legal term. In Georgian and British English crime and blame are considered synonyms in everyday speech and fiction, but it is not true in case of legal terms, which is explained by the necessity of explicitness of terminology, for instance : the concept of blame is synonymous of the concept of crime, but as a legal terminology it is an element of crime. The blame is a principal element of crime, nuclear sign, which is connected to the assessment of human behavior.

ჰარუსპიციის მხატვრული ინტერპრეტაცია ანტიკურ დრამაში The Function of Haruspicy in Ancient Drama

საკვანძო სიტყვები: ჰარუსპიცია, დივინაცია, ჰარუსპიცია ანტიკურ დრამაში
Keywords: Haruspicy, Divination, Haruspicy in Ancient Drama

კლასიკური ლიტერატურის კვლევის ფარგლებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ტექსტებში ჩართული რიტუალებისა და დივინაციის ხერხების კვლევას. დივინაცია პოპულარული პრაქტიკა იყო როგორც სოციალურ, ასევე – პოლიტიკურ სივრცეში. არსებობს ორი სახის დივინაცია, რიველაციური და ინდუქციური. რიველაციური დივინაცია ითვალისწინებდა ტრანსის მდგომარეობაში მყოფი ავგურის მიერ მომავლის ჰერეტიკას და შემდეგ ქურუმთათვის გადაცემას. ხოლო ინდუქციური დივინაცია მოიცავდა ბუნებრივი მოვლენებისადმი დაკვირვების პრაქტიკას, რომელთა მიერ გამჟღავნებულ ნიშნებს დივინატორი საკუთარი ინტერპრეტაციით მიიტანდა საზოგადოებამდე. სწორედ ინდუქციურ დივინაციას მიეკუთვნება ჰარუსპიცია, რომელიც ითვალისწინებს მსხვერპლშესაწირი ცხოველის შიგნულზე, განსაკუთრებით კი ღვიძლზე, დაკვირვების პრაქტიკას.

საგულისხმოა, რომ ძველ აღმოსავლეთსა და დასავლეთ კულტურებს შორის კავშირების დადგენისთვის ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებით ბევრი სამეცნიერო კვლევა ჩატარდა, თუმცა მისნობების საკითხის ამ კონტექსტში განხილვა ცალკე საკვლევი თემა არასდროს ყოფილა.

ჰარუსპიცია ინტერპრეტირდა ლიტერატურაშიც. როგორც ინფორმაციულ, ასევე, მხატვრულ ტექსტებშიც. ამ დივინაციის ერთადერთ სახეობაზე თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში საფუძვლიანი კვლევა არ არსებობს. ჰარუსპიცია, როგორც მხატვრული ხერხი, როგორც ავტორის სათქმელის გამომხატველია. ვფიქრობ, მხატვრული ტექსტების კვლევისთვის აუცილებელია სიუჟეტის ყოველი ნაწილის საფუძვლიანი კვლევა.

უნდა აღინიშნოს, ამ კონკრეტულ საკითხზე არ არსებობს ერთიანი კვლევა, მონოგრაფია, თუმცა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კონტექსტში საკმაოდ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი და სწორედ ამიტომ, ვთვლი, რომ საკითხის ამოწურვისთვის საჭიროა, დასაწყისისთვის, განხილული იყოს სამეცნიერო სფეროს მემკვიდრეობა, რომელიც მოიცავს როგორც აღმოსავლეთმცოდნეობას, ასევე ეტრუსკოლოგიასაც და სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმოჩნდეს ახალი დასკვნები. მოხსენების თეორიული ნაწილი ემყარება გამოსაკვლევი საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზსა და შესაბამისი მონაცემების დაჯგუფებას. ჩატარდა თვისებრივი კვლევა. ასევე განვახორციელე ლიტერატურული და ფუნქციონალური კვლევა (კონკრეტული რიტუალის ტექსტში ჩართვის

მიზეზი, მიზანი და შედეგი). მხატვრულ ტექსტებზე დაყრდნობით გამოვიყენე კომპარატივისტიკული და ჰერმენევტიკული მეთოდები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰარუსპიცია, როგორც სიუჟეტურ ქარგაში ჩართული მხატვრული ხერხი, ჯერ არ გამხდარა სამეცნიერო სფეროს ინტერესის ობიექტი, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ წარმოჩნდეს ამ რიტუალის კულტურული გავლენა საზოგადოებაზე სწორედ ყველაზე უფრო პუბლიკაზე მორგებული ჟანრის, დრამის, მაგალითზე. წარმოვადგენთ სამეცნიერო ნაშრომების ანალიზს, ხოლო ძირითადი ნაწილი დაეთმობა სამი დრამატურგის, ესქილეს, ევრიპიდესა და სენეკას, ნაშრომების ჩემუელ ინტერპრეტაციას, რასაკვირველია, სამეცნიერო საფუძვლის გათვალისწინებით.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული კვლევა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა და დივინაციის სხვა სახეების კვლევისთვისაც შესაბამის საფუძველს მოგვცემს. გამომდინარე იქიდან, რომ ტრაგედიები ანტიკური საზოგადოების ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო და, შესაბამისად, მათში ჩართული მინიშნებები თუ სიმბოლოები, შესაძლოა, კონკრეტული სათქმელის მატარებელი ყოფილიყო საზოგადოებისათვის, გამიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოცემული რიტუალების ანალიზის შედეგად არა მხოლოდ ტექსტის მთავარი სათქმელი იქნებოდა ჩვენთვის გასაგები, არამედ მათი სიმბოლური, სოციალური და პოლიტიკური დატვირთვაც.

საკითხის კვლევის პროცესში გამოიკვეთა ორი კონკრეტული დატვირთვა, რომელსაც შესაძლოა ტექსტში ჩართული რიტუალური სცენები ან კონკრეტული მეთოდის რეპრეზენტაცია ატარებდეს. ესენია: ჰარუსპიცია, როგორც ცოდნის სიმბოლო და ჰარუსპიცია, როგორც არსებული სიტუაციის შეფასება და მომავლის ერთგვარი დაანონსება, რაც, ჩემი აზრით, შესაბამის ყურადღებას იმსახურებს გამომდინარე იქიდან, რომ მისნობის თემა ძირითადად გაცდა მხოლოდ ღვთაებრივ დატვირთვას და შეიძინა როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური ქვეტექსტი, რის შედეგადაც ნათელი ხდება კონკრეტული პერიოდის საზოგადოების პრობლემატიკა და ავტორის ხედვა მათი გადაჭრის საკითხთან დაკავშირებით.

In ancient Greece and Rome divination was considered as the form of communicating with the divine world. There are different types of divination, such as: Intuitive and Inductive. Intuitive divination considered trance state as the main form of communication with gods and the shaman, augur was the person who represented the “actual voice of a god” addressing the person utilizing the service of the oracle.

The second type of divination, Inductive, contained reading divine will in animate nature, such as: lightning, birds, rising smoke and sacrificed animal’s viscera and etc.

The study analyzes Haruspicy, an inspection of the viscera of the sacrificed animals, in ancient drama.

Divination played an important social and political role in antiquity, which resulted in a broad representation of the divinatory rituals in Graeco-Roman literature. It has to be noted that drama in particular was the main form of representation of problems of society, political issues and also had ritualistic implication.

This study explores the questions such as: what was the author's purpose for incorporating the ritual in his writing? Is it significant which character carried out the ritual? Is the ritual intended to be taken as a manifestation of the divine knowledge, or as a commentary on the current social and political events and as a prediction of what is to come?

Throughout this work the assumptions are made also regarding the origins of the information about haruspicy with each author.

This paper aims to examine the works of the three Graeco-Roman tragedians: Aeschylus, Euripides and Seneca. It analyzes the passages pertaining to haruspicy in the broader context of the text and differentiates between the information-containing references and the examples of artistic interpretation of Haruspicy.

It is noteworthy that despite numerous studies regarding different forms of divination, including haruspicy, this particular form of Inductive divination as an artistic technique in ancient drama has not yet been systematically studied.

Based on hermeneutical method also literary, functional, qualitative and comparative analysis of particular parts of tragedies the work aims to determine which issues were the most important to underline in particular society and was the representation of rituals used as the guide to the main problem of not only the text, but society also.

When studying the issue, it was additionally revealed that ritualistic scenes in tragedies were not only important for the plot, narrative, it had symbolic meaning and held the particular message to the society. The scenes also held political undertones and my main interest was to understand how the ritualistic scene contributed to the revealing of the main idea of the text.

როსტომ კაჭახიძე
Rostom Katchakhidze

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University/Georgia

თამარ მეფის ეპოქა და შოთა რუსთაველის პორტრეტული
გამოსახულებები სევერიან მაისაშვილის შემოქმედებაში
The Epoch of King Tamar and the Portrait Images
of Shota Rustaveli in the Work of S. Maisashvili

საკვანძო სიტყვები: სევერიან მაისაშვილი, ხელოვანი, შოთა რუსთაველი, თამარ მეფე, პოეტური
Keywords: Severian Maisashvili, Artist, Shota Rustaveli, King Tamar, Portrait

XX საუკუნის დამსახურებული მხატვრის სევერიან მაისაშვილის იმ შემოქმედებითი ნაწილის ერთიანად გააზრებისას, რომელიც თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის თემატიკას ეხება, ჩნდება აზრი, რომ მხატვარი რუსთაველის ეპოქას ხატავს, რომელსაც თამარი მართავს, და არა თამარის ეპოქას, სადაც რუსთაველიც მოღვაწეობდა. თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ნარატივი გასდევს ყველა იმ ისტორიული ჟანრის ფერწერულ ნაწარმოებს, თუ პროზაული ლიტერატურის გაფორმებისთვის შექმნილ ილუსტრაციებს, რომლებსაც მხატვარი გვთავაზობს. ჩემი მოხსენება ეხება სწორედ ამ იდეური მოცემულობის განვრცობასა და მხატვრის შემოქმედებიდან ყველა იმ სიუჟეტური გამოსახულების განხილვას, სადაც შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური პორტრეტებია წარმოდგენილი.

მხატვარ სევერიან მაისაშვილზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი კარგად იცნობს შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობას, რადგან მისი შემოქმედება ტრადიციული ელემენტებით არის გაჯერებული. ზოგადად XX ს.-ში მრავლად გვხვდება როგორც რუსთაველის პორტრეტულ კომპოზიციებზე ასახული თამარის მიმართ პიროვნული პატივისცემის იდეის შთამაგონებელი ნახატები, ისე სიუჟეტური გამოსახულებები ლეგენდარულ თემაზე – თუ როგორ მიართმევს ან უძღვნის შოთა რუსთაველი პოემას თამარ მეფეს. პირველად სიუჟეტის ამგვარი გააზრება 1881 წელს მიხაი ზიჩმა წარმოგვიდგინა, შემდეგ კი, ეს თემატიკა საკმაოდ პოპულარული გამხდარა სხვათა შემოქმედებაში, მაგრამ სევერიან მაისაშვილის შემოქმედებაში დარღვეულია თამარსა და შოთას შორის მკაცრი დისტანცია, ყველგან მისეული წარმოსახვით შოთა სასახლის კარზე უფრო დაახლოებული პირია, თითქოს, თამართან იგი მეტი უფლებებით სარგებლობს, უშუალო შემხებლობაშია მასთან და არა იმ კრძალვით მიახლოებული, რომელსაც XX ს.-ის მხატვრები გვთავაზობენ.

თამარ მეფის პორტრეტული გამოსახულებები განსაკუთრებული სიხშირით XX ს.-დან იხატება, რაც განპირობებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციით, პოემის ღრმა შესწავლით ლიტერატურულ-სამეცნიერო კუთხით და სხვ. XX ს.-ის მხატვრები, თამარის სამეფო შესამოსლისა და აქსესუარების გამოსახვისთვის, ძირითადად, ვარძიისა და ბეთანის,

შედარებით უფრო უკეთესად შემორჩენილი ფრესკული მხატვრობიდან იღებენ მაგალითს. თუმცა, რამდენიმე მხატვართან აშკარად იგრძნობა მცდელობა სიახლის ძებნისა.

მოხსენებაში განხილული მხატვრული კომპოზიციები სევერიან მაისაშვილს შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში აქვს შესრულებული, ყოველთვის საგრძნობია იდეური სიახლოვე შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის პერსონებს შორის, რომელიც განმტკიცებულია „ვეფხისტყაოსნის“ ნარატივით: „სამი პოეტი“ 1936 წ., „შოთა რუსთაველის პორტრეტი“ 1936 წ., ორი კომპოზიცია – „გამოცანების თეატრი XII საუკუნე“ 1946 და 1948 წლებში შესრულებული, ირაკლი აბაშიძის პოემის – „რას გადაურჩა თბილისი“ ერთ-ერთი ილუსტრაცია 1950 წ., შოთა რუსთაველის ორი გრაფიკული პორტრეტი შესრულებული 1963 წელს, „თამარ მეფე“ 1946 წ., და გრაფიკული ილუსტრაციები, ოთარ ჭელიძის ლექსისთვის „ლეგენდა – თამარ მეფის საფლავი“. ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში იმდენად მნიშვნელოვანია რუსთაველისა და თამარის პორტრეტული გამოსახულებების თემატიკა, რომ მისმა განხილვამ საშუალება მოგვცა თითქმის მთელი XX ს.-ის მხატვართა შემოქმედების დიდი დიაპაზონის ჭრილში განგვხილა ს. მაისაშვილის შემოქმედება კომპარატივისტული შედარებით და მხატვრის შემოქმედებაში გამოგვეკვეთა მისი მხატვრული მიზნები, სიახლოვე ეროვნული მხატვრობის ტრადიციულ ფორმებთან, ქართული პატრიოტული შემართებით მუშაობა, ზოგან ქართულ-აღმოსავლური ელემენტების სინთეზი და ზოგან ფერადოვანი პალიტრის ძალიან ხალისიანი, მჟღერი ხასიათი, რიგ შემთხვევაში, ტექსტის შინაარსის ღრმა გააზრების საფუძველზე, ილუსტრაციებში იდეის ასახვის საქმე.

When understanding the creative part of Severian Maisashvili, the honored artist of the 20th century, which deals with the themes of King Tamar and Shota Rustaveli, the idea arises that the artist paints Rustaveli's era, ruled by Tamar, and not Tamar's era, where Rustaveli also worked. It's as if the narrative of “The Knight in the Panther’s Skin” pervades all the paintings of the historical genre, or the illustrations created for the decoration of prose literature that the artist offers us. My report refers to the extension of this ideological context and the discussion of all those narrative images from the artist's work, where both individual and group portraits of Shota Rustaveli and King Tamar are presented.

We can say about the artist Severian Maisashvili that he is well familiar with Georgian painting of the Middle Ages, because his work is saturated with traditional elements. In general, in the 20th century, there are a lot of pictures inspiring the idea of personal respect towards Tamar depicted on Rustaveli's portrait compositions, as well as plot images on the legendary theme - how Shota Rustaveli presents or dedicates a poem to King Tamar. For the first time, this kind of understanding of the story was presented to us by Mikhai Zich in 1881, and later, this theme became quite popular in the works of others, but just as in Severian Maisashvili's work, the strict distance between them is broken, everywhere in imagination Shota is closer to the door of the palace, as if he enjoys more rights with Tamar. It is in direct contact with him, and not approached with the restraint offered by the artists of the 20th century.

Discussed in the report if we take into account the fact that the above-mentioned compositions were performed by S.Maisashvili in different periods of his work, there is always a sense of ideological closeness between Shota Rustaveli and King Tamar, reinforced by the narrative of “The Knight in the Panther’s Skin”: “Three poets” in 1936, “Portrait of Shota Rustaveli” in 1936, two compositions –

“Riddle Theater XII century” performed in 1946 and 1948, one of the illustrations of I.Abashidze’s poem – “What Tbilisi Survived” in 1950, two graphic portraits of Shota Rustaveli made in 1963, “King Tamar” in 1946, and graphic illustrations for Otar Chelidze’s poem – “Legend – King Tamar’s grave”. The thematic portraits of Rustaveli and Tamar are so important in Georgian contemporary art that their discussion allowed us to look at S. Maisashvili’s works in a relatively wide range of works by artists of almost the entire 20th century. And allowed us to define the artist’s artistic goals, closeness to traditional forms of national painting, work with Georgian patriotic boldness, synthesis of Georgian-Oriental elements, sometimes very cheerful, sonorous character of color palette and in some cases – the work of demonstrating illustrations, based on a deep understanding of the content of the text.

კლაუდია კოსიციńska
Klaudia Kosicińska

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია/პოლონეთი
Polish Academy of Sciences/Poland

ტრანსლოკალურობის მკვიდრნი: მობილურობის განზომილებები და
საზღვრების დეტერმინაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს
აზერბაიჯანელებში

Settled in Translocality: Dimensions of Mobility and Boundaries Determination
Among Azerbaijanis in Southeast Georgia

საკვანძო სიტყვები: მობილურობა, გხანსდოკადუხი პიქტიკა, მახნუდი, აზერბაიჯანუდენოვანი,
საზღვრები, პოსტპანდემიუხი ეფექტი

Keywords: mobility, translocal practices, Marneuli, Azerbaijani speakers, boundaries, border checkpoint, post-pandemic effect

Migration usually requires adjustment to a new socio-cultural space. But what is happening when crossing the border does not entail such a tangible experience, and the area beyond the border seems to be an extension of the one left? How do we get closer to understanding people's social world when a trip from Georgia to Azerbaijan is not treated as a "trip abroad"? And how has the COVID-19 pandemic changed perceived borders, challenging practices of belonging?

Marneuli district in Georgia is a borderland area of great communication importance in Kvemo Kartli region, situated close to the border with Azerbaijan and Armenia. The Azerbaijanis are the largest minority there, which leads to local strategies for maintaining peaceful interethnic relations and produces unique phenomena, making the location particularly interesting for research.

The border between Georgia and Azerbaijan suddenly became material again after the outbreak of first a pandemic and then the war in Nagorno-Karabakh. Have trips to Azerbaijan been replaced by other practices, and if so, which ones? Did permanent residence on one side of the border make Georgian Azerbaijanis feel all the more settled in Georgia, separating them not only physically from Azerbaijanis across the border but also mentally? How do those who stayed on the other side by their own choice, for reasons related to issues of legality of residence and family ties, react to it? The aim of the proposed abstract is to show how mobility patterns and translocal practices among the Azerbaijani minority in south-east Georgia have been affected by the pandemic. Marneuli, the ethnically diverse raioni, was completely quarantined and isolated for fifty-five days due to a Covid-19 outbreak in March 2020. Inhabitants whose livelihoods depend on land cultivation, trade, and temporary migration have had to go through a very tough time, made even more difficult by the lack of access to adequate information in their native, Azerbaijani language.

In this presentation, to find the answer to the research question, I want to look at the border between Georgia and Azerbaijan and the contexts in which it manifests and (dis)appears. I understand the border as the material phenomenon of division between states, still negotiated and contested as exemplified by the pandemic and armed conflict in Nagorno-Karabakh, as well as the perimeters between community (boundaries) and the state (Barth 1969). These themes are the focus of my research, in which I analyse the phenomenon of mobility, translocal practices and how it is related to the identity in the Azerbaijani villages located in south-east Georgia. Through ethnographic research which I undertook between 2018 and 2022 and participant observation, I try to examine the process of constructing the border between the two countries in material, social, and symbolic dimensions following a pandemic.

კულტურული იდენტობის პრობლემა მრავალეთნიკურ სამუშაო გარემოში:
კატარის ავიახაზების მაგალითი
The Problem of Cultural Identity in a Multiethnic Workspace:
The Case of Qatar Airways

საკვანძო სიტყვები: კულტურული იდენტობა, მრავალეთნიკური სამუშაო გარემო, კატარის ავიახაზები
Keywords: Cultural Identity, Multiethnic Workspace, Qatar Airways

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ტრანსნაციონალური და მულტიკულტურული კომპანიების გამოცდილებაში დაგროვდა კულტურათაშორისი განსხვავებებით გამოწვეული კონფლიქტების შემთხვევები, რასაც შედეგად მოჰყვა არაერთი ბიზნესის წარუმატებლობა და, ზოგ შემთხვევაში, სრული კრაზიცი კი. ვერშემდგარი ან წარუმატებელი ინტერკულტურული კომუნიკაციის შედეგად წარმოქმნილმა გაუგებრობებმა ფატალური შედეგებიც კი მოიტანა (ავიანას, აზიანას და ტენერიფეს ავიაკატასტროფები). ამ ყველაფერმა, ბუნებრივია, წარმოქმნა მრავალეთნიკურ გარემოში კულტურული განსხვავებულობების გაცნობიერების და, შესაბამისად, ამა თუ იმ კულტურული იდენტობის შესწავლა-გაანალიზების აუცილებლობა.

ჩვენი კვლევის საგანია პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც განსხვავებულ კულტურათა ურთიერთქმედების დროს იკვეთება კატარის ავიახაზების მრავალეთნიკურ სამუშაო სივრცეში. კვლევის მიზანი – მულტიკულტურული სამუშაო სივრცის ფარგლებში განსხვავებულ კულტურათა ურთიერთქმედების შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და კომუნიკაციის ბარიერების იდენტიფიცირება, ინტერკულტურული დიალოგის მნიშვნელობისა და მისი პრაქტიკული ღირებულებების განსაზღვრა. სამიზნე ჯგუფად შერჩეულ იქნა კატარის ავიახაზების, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი მულტიკულტურული კომპანიის, ბორტგამცილებლები, რომელთა ნაციონალური კუთვნილება 120 ქვეყანას აღემატება. კვლევითი სამუშაო მიმდინარეობდა დროის ორ განსაზღვრულ მონაკვეთში – პანდემიამდელ და „კოვიდ 19-ის“ პანდემიის პერიოდში.

მართალია, მრავალეთნიკურ სივრცეში კულტურათაშორისი კომუნიკაციის საკითხის მეცნიერულად შესწავლას საინტერესო ტრადიცია აქვს, მაგრამ ჩვენი კვლევის სიახლეს წარმოადგენს ამ საკითხის განხილვა კონკრეტულ წილში (კონკრეტულ სივრცესა და დროის მონაკვეთებში), რაც გარკვეული განზოგადებისა და ზოგიერთი ვარაუდის განმტკიცების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევის პროცესში გამოყენებული იყო მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი (ინტერნეტ გამოკითხვა-ანკეტირება) და თვისებრივი მეთოდები. მონაცემები დამუშავდა თვისებრივი შინაარსობრივი ანალიზისა და ინტერპრეტაციული ანალიზის გზით. თეორიულ

ჩარჩოდ გამოვიყენეთ კულტურათა ტიპოლოგიის თეორიები (ე. ჰოლი, რ. ლუისი, გ. ჰოფსტედე და მ. მინკოვი).

კვლევამ დაგვანახა, რომ ამა თუ იმ კულტურის მატარებელი ბორტგამცილებლები, საკუთარი ფასეულობებისა და ცხოვრების წესიდან გამომდინარე, განსხვავებულად ურთიერთქმედებენ, განსხვავებული აქვთ კომუნიკაციის სტილი და მეთოდები, ჟესტიკულაცია და მანერები, დამოკიდებულება პირადი სივრცისადმი (ტერიტორიალიზმი), მზერისა და თვალთ კონტაქტისადმი. პანდემიის მიმართ საპასუხო რეაქციების შესწავლამ და მათზე დაკვირვებამ ასევე ნათლად წარმოაჩინა გაურკვევლობისადმი დამოკიდებულებისა და შფოთვის სხვადასხვაგვარი ხარისხი სხვადასხვა კულტურაში; შესამჩნევი გახდა „კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მიმართ რესპონდენტთა განსხვავებული დამოკიდებულება; პანდემიის“ მიმართ ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურების განსხვავებული მიდგომა; შემოღებულ წესებისა თუ შეზღუდვებისადმი დამორჩილება/არ დამორჩილების სხვადასხვაგვარი მზაობა. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული სხვაობები ამა თუ იმ საზოგადოების „მენტალური პროგრამით“, ანუ კულტურული ფაქტორებით არის განპირობებული. ჩვენ მიერ შესწავლილი ინტერკულტურული ინციდენტები ადასტურებს, რომ აღნიშნული კულტურათაშორისი სხვაობები კომუნიკაციისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ადაპტაციის უნარებს მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სერიოზული გაუგებრობების წყაროდ იქცევა. ამავე დროს, მიუხედავად კულტურათაშორისი ბარიერებისა და სხვაობებისა, ყოველდღიური შეხება სხვა კულტურის მატარებელ ჯგუფებთან არათუ აფერხებს განსხვავებულ კულტურათა ინტერაქციის პროცესს, არამედ პირიქით, ზრდის თანამშრომლობის შესაძლებლობებს, მნიშვნელოვნად მცირდება კულტურათაშორისი ბარიერებისა და გაურკვევლობების დონე, რაც ხელს უშლის კულტურათაშორისი კონფლიქტების ესკალაციას. მეტიც, ინდივიდის თავდაპირველი კულტურული იდენტობა ეტაპობრივად განიცდის გარკვეულ ტრანსფორმაციას, რის შედეგად ყალიბდება ე. წ. „ინტერკულტურული იდენტობა“ – ახალი, ბევრად უფრო მოქნილი, უნივერსალური და „ჩვენ“ ჯგუფით ნაკლებად შემოსაზღვრული ორიენტირი.

The study of intercultural diversity has been actively shifted from the scientific field to the business sector since the 1970s. International transnational business companies realized that misunderstandings caused by the failed or unsuccessful communication in a multicultural environment led to large financial losses. Moreover, it even brought fatal consequences (the case of Korea's Asiana Airlines, Tenerife and Avianca air disasters). Therefore, study of the problem of cultural identity for understanding cultural differences in multicultural workplace became an actual issue from theoretical as well as practical perspective.

The aim of my research is to identify problems and communication barriers in the process of interaction of different cultures in multicultural working environment; to determine the importance of intercultural dialogue and its practical values. Cabin Crew of Qatar Airways, with national affiliations in more than 120 countries, was selected as a target group for the case study. The research was carried out in the two periods of time - the pre-pandemic period and the coronavirus pandemic situation of the last years.

Originality of the research is the consideration of the issue in a specific context (concrete space and period of time), which provides the opportunity to make certain generalization and to prove some assumptions.

The study is based on the quantitative research method (Internet interview-questionnaire) and the qualitative method (participant observation) of data collection. For processing and analyzing the obtained data, the method of qualitative content analysis was used, which allowed us to study specific aspects of the intercultural communication in a multiethnic workspace. The conceptual framework of the research is based on the theories of cultural typology (E. Hall, R. Lewis, G. Hofstede, M. Minkov).

The results of the research clearly demonstrate that flight attendants from various cultures interact differently, depending on their values and lifestyle. They have different communication styles and methods, gestures and manners, attitudes towards personal space (territorialism), time, and eye contact. The study of the material from the pandemic period revealed changing attitudes of different cultures toward uncertainty and anxiety; various degree of readiness to obey/disobey the rules or restrictions introduced in the pandemic situation. These differences could be explained based on the “mental program” of a certain society, i.e. cultural factor. However, despite the intercultural barriers, daily contact of the groups having different cultures does not hinder the process of their successful interaction; on the contrary, it increases the opportunities of cooperation, the level of intercultural acceptance and sensitivity. In a multiethnic workspace, individual cultural identity gradually undergoes a certain transformation, and a new, much more flexible “intercultural identity” is formed.

ანტიგმირის მხატვრული სახის ევოლუცია ქართულ მხატვრულ ტექსტებში Evolution of the Image of Anti-hero in Georgian Fiction

საკვანძო სიტყვები: ევოლუცია, პროტაგონისტი, ანტაგონისტი, გმირი, ანტიგმირი, ეპოქა
Keywords: Evolution, Protagonist, Antagonist, Hero, Anti-hero, Era

პროტაგონისტისა და ანტაგონისტის დაპირისპირების სქემა ჯერ კიდევ ანტიკური დრამიდან იღებს სათავეს. ჩვენი დაკვირვების საგანია, თუ რა ესთეტიკური მახასიათებლებით გამოირჩეოდა, როგორ იცვლებოდა, რა ევოლუციას განიცდიდა ანტიგმირის მხატვრული სახის გამოსახვის ფორმები, გზები, საშუალებები ქართული ლიტერატურული პროცესის სხვადასხვა ეტაპზე: ძველში, ახალსა და უახლესში, რეფლექსურ-ტრადიციული კულტურის ეპოქიდან პოსტტრადიციულ ეპოქამდე – ჰაგიოგრაფიიდან პოსტმოდერნიზმამდე; ქართული ლიტერატურის ძველი პერიოდი, რომელიც ნიმუშის, კანონის, კონვენციის ესთეტიკას ეფუძნება, ხასიათდებოდა მწყობრი მსოფლმხედველობითა და იდეალური სახეების გამოსახვით. მწერლობა ესწრაფოდა ახალ აღთქმაზე დაფუძნებული ადამიანის კონცეფციის გამყარებას ნიმუშის ესთეტიკით. ძველ ქართულ მწერლობაში ცენტრალური ფიგურა იყო წმინდანი ან იდეალური მიჯნური, რაინდი, მეგობარი. ადამიანი გამოისახებოდა, როგორც ღვთისმსახური. მწერალი აჩვენებდა რთულ გზას, რომელიც გმირმა გაიარა დამცრობილი „ხატებისა და მსგავსების“ აღსადგენად. ლიტერატურის არსებობის მიზეზი დიდი ხნის მანძილზე გმირების არსებობა იყო. ანტიგმირის ფუნქცია წმინდანის სახის მეტად განათებას ემსახურებოდა და მხოლოდ ერთგვარი ანტურაჟის როლს ასრულებდა. ის იდეალური გმირის სახის შესაქმნელად საჭირო ფონი იყო და ხშირ შემთხვევაში უკანა პლანზე მკრთალად ან პროფილში გამოისახებოდა. მე-19 საუკუნეში ანტიგმირის ფუნქცია გაიზარდა. ახალმა ეპოქამ ანტიგმირის სახეს დაუკავშირა ზოგადი იდეები, ისინი იქცნენ კრებსით მოდელად და მათი საშუალებით მწერლობამ, როგორც სარკემ, შეძლო აერეკლარეალობა. შემდგომი ლიტერატურაც ამ ტენდენციას აგრძელებს და ანტიგმირთა არაერთ დასამახსოვრებელ სახეს ქმნის. კარდინალურად იცვლება ანტიგმირის ფუნქცია პოსტმოდერნიზმში. აქ ნიშანდობლივი გახდა განსაკუთრებული მისიის დაკისრება უღირს, გარიყულ ადამიანთათვის. კლასიკური გაგებით გმირი უკვე არ ჩანს. ვფიქრობთ, ეს ტენდენცია დეკონსტრუქციის ერთ-ერთი მაგალითია (ამას ფესვები შეიძლება სახარებაში ჰქონდეს). ტენდენციის ზოგადი სურათის დასახატად ავარჩიეთ პერსონაჟები: ძველი მწერლობიდან – იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ (ვარსკენი), მე-19 საუკუნიდან – ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ (ლუარსაბ თათქარიძე), თანამედროვე ლიტერატურიდან: ივანე ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ (ჯაყო და თეიმურაზი), ჯემალ ქარჩხაძის „ბიძაჩემი

იონა“ (იონა), აკა მორჩილადის „ობოლე“ (მადონა), ზურა ჯიშკარიანის „საღეჭი განთიადები უშაქროდ“ (მოგზაურთა ჯგუფი). ვიმედოვნებთ, ამ ნაწარმოებთა კომპარატივისტული კვლევა საკმაოდ საინტერესო მოსაზრებების გამოთქმის საფუძველს მოგვცემს შემდეგ შეკითხვებზე: რატომ ჩაენაცვლა გმირს ანტიგმირი? რა განასხვავებს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ანტიგმირებს? როგორ უკავშირდებიან ეპოქალურ პრობლემატიკას? რა იდეას, პრინციპებს ასახიერებს, რას უპირისპირდება, რით განემსგავსება იდეალურ გმირს, რის დამკვიდრებას ცდილობს, ქმნის თუ არღვევს რამეს? რა ხდის ანტიგმირად? როგორ შემოდის მხატვრულ ქსოვილში და რატომ განეწყობა მისდამი მკითხველი ცალსახად უარყოფითად? როგორ ეძლევა მკითხველს მისი ქცევის ინდექსი, როგორც ანტიგმირისა? ცალსახად ნეგატიურია თუ აქვს პიროვნული მახასიათებლები, ინდივიდუალობით აღბეჭდილი? სიუჟეტს რომელი ამოძრავებს – გმირი თუ ანტიგმირი? რა ინტენსივობით ჯდება თხზულების რიტმში? როგორია თანაფარდობა გმირსა და ანტიგმირისადმი დათმობილ აღწერებში? არის თუ არა ნაწარმოებში (არის თუ არა ასეთი შემთხვევები?) და ა. შ. ვფიქრობთ, ლიტერატურა „მიჩქმალული გმირობის ქომავობა“ იყო და დარჩება მარად, თუმცა, რომანტიზმის შემდეგ იწყება დეჰეროიზაცია, მოდერნიზმში საერთოდ უჩინარდება, პოსტმოდერნიზმიდან კი იწყება ანტიგმირის გამოსახვა ახალ ხარისხში. ჩვენი დაკვირვება მოგვცემს ადამიანის გამოსახვის ევოლუციის ზოგად სურათს ქართული ლიტერატურული პროცესის მთელ სიგრძეზე და ამგვარი კვლევის მოსალოდნელი დასკვნებიც მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ ლიტერატურისა და ხელოვნების, არამედ ფილოსოფიურ კონტექსტშიც – ვინ არის ანტიგმირი და რა როლი აქვს მას საზოგადოების განვითარების პროცესში?

Confrontation scheme of the protagonist and the antagonist originates from ancient drama.

The subject of our interest is the evolution of antihero's artistic character: the ways of it's representation from old Georgian literature to postmodern.

In old period of Georgian literature main character was protagonist. Antagonist was just episodic character. Only required to highlight martyr's character.

In nineteenth century Georgian literature the destination of antihero has grown. They became collective models of the problems of era. This century didn't give us the new ways of representation protagonist and antagonist.

Postmodernism has radically change the view. The subject of it's interest became annoyed people with hard past and an uncertain future. We can't even think that they may become heroes, but we see, that they can change world. We think, that this trend comes from society. They want to believe, that even the worst person can do something very important.

„ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა H-ტიპის სოციალური კავშირი H-shaped Social Network of the Characters in “The Knight in the Panther’s Skin”

საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსანი, სოციალური კავშირი, სოციალური სტრუქტურა
Keywords: The Knight in the Panther’s Skin, Social Network, Social Structure

ადამიანის არსი მისი სოციალური კავშირების ჯამია. იგივე ითქმის ლიტერატურული ნაწარმოებების პერსონაჟებზეც, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მხატვრულ სახეებზე. ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი საგანძურის, „ვეფხისტყაოსნის“, პერსონაჟები XI-XII საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ცოცხალი ინდივიდუალური ხასიათებია.


მოხსენებაში ვცდილობთ, გავანალიზოთ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა განმსაზღვრელი გეოგრაფიული და კლასობრივი ფაქტორები, კერძოდ, რომელი ქვეყნიდან ან რეგიონიდან არის კონკრეტული პერსონაჟი და რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელია იგი.

ცხრილი 1: „ვეფხისტყაოსანში“ გეოგრაფიული და კლასობრივი ინფორმაცია

ფენა გეოგრაფია	მაღალი ფენა	საშუალო ფენა	დაბალი ფენა
ინდოეთი	ფარსადანი, ნესტან-დარეჯანი	ტარიელი	ასმათი
არაბეთი	როსტევანი, თინათინი	ავთანდილი, სოგრატი, უსამი	შერმადინი
მულაზანზარი	ფრიდონი	-	-
გულანშარო	ფატმანი, უსენი	-	-
ხატაეთი	რამაზი	-	-

ასევე, ვცდილობთ, დავადგინოთ H-ტიპის სოციალური კავშირი პერსონაჟთა შორის, სადაც, სავარაუდოდ, სწორედ საშუალო ფენა ამყარებს პერსონაჟთა კავშირებს სხვადასხვა კლასსა და სხვადასხვა ქვეყანას შორის. ყოველი პერსონაჟის სოციალური მანძილი არის 2 (სოციალური მანძილი თითოეულ კლასს შორის არის 1 და სოციალური მანძილი თითოეულ ქვეყანას შორის არის 1).

სქემა 1 : „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა H-ტიპის სოციალური კავშირი



ასეთი მიდგომის საფუძველზე შეგვიძლია, დავაკვირდეთ შემდეგ სამ შემთხვევას:

1) სხვადასხვა ქვეყანასა და ფენას შორის კავშირების დამყარების ძირითადი მედიატორები საშუალო ფენის პერსონაჟები არიან. მათ შეუძლიათ მიაღწიონ და დაამყარონ კავშირი როგორც დაბალ, ასევე მაღალ ფენასთან ერთსა და იმავე ქვეყანაში. მაგალითად, პოემაში ყველაზე ხშირად ჩნდება სახელები ავთანდილი და ტარიელი.

2) გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, მაღალი და დაბალი ფენების მოძრაობა ნაკლებია იმიტომ, რომ სხვადასხვა მაღალ და დაბალ ფენას შორის კავშირი მცირეა. ეს ფენები, ძირითადად, საშუალო ფენის მეშვეობით ამყარებენ ქვეყნებს შორის კავშირებს. მაგალითად, პოემაში არ არსებობს პირდაპირი კავშირი არაბეთისა და ინდოეთის მეფეებს შორის. დაბალი ფენების კავშირი კი კიდევ უფრო მეტად შეზღუდულია ქვეყნებს შორის კავშირების თვალსაზრისით; მაგალითად, შერმადინს სოციალური კავშირები მხოლოდ არაბეთის ფარგლებში (მეფესთან, სპასპეტთან და მეფის ასულთან) აქვს.

3) გეოგრაფიული ფაქტორების გარდა, გარკვეულწილად კლასობრივი ფაქტორებიც მოქმედებს კავშირის დამყარებაზე, განსაკუთრებით დაბალ ფენებს (ყმებს) და მეორე ქვეყნის მაღალ ფენებს (მეფეებს) შორის კავშირები, რომლებიც პოემაში საერთოდ არ ჩანს – არ არსებობს. მაგალითად, ინდოეთის მონა ასმათს არ აქვს კავშირი არაბეთის მეფე როსტევანთან და/ან მის თანამესაყდრე თინათინთან, ხოლო არაბეთის მსახურს შერმადინს, ასევე, არ აქვს კავშირი ინდოეთის მეფე ფარსადანთან.

ამგვარი დაკვირვებიდან გამომდინარე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შოთა რუსთაველის მიერ აგებული XI-XII საუკუნეების საქართველოს სოციალური სტრუქტურა და კლასობრივი მიგრაციის სურათი:

1) საშუალო ფენა ყველაზე მოძრავი ფენაა და მასთან მიმართებაში, მაღალი და დაბალი ფენის შეზღუდული სოციალური მანძილის გამო, აქტუალიზებულია „დამყარებული საზოგადოებრივი ფენის ფენომენი“. დაბალი ფენისთვის რთულია ფენებს შორის არსებული

იერარქიის საფეხურებზე აღმასვლა, ხოლო მაღალი ფენისთვისაც არაა ადვილი ფენების იერარქიის საფეხურებზე დაღმასვლა-დადაბლება.

2) სოციალური მანძილით შეზღუდული, ნაკლებად აქტიურია მოსახლეობის ფართომასშტაბიანი მიგრაცია ქვეყნებს შორის – ამის მთავარი ფაქტორია, განვითარების გამოწვევის თვალსაზრისით, პასიური მიგრაცია, როგორცაა, მაგალითად, ომის, შიმშილის, ცუდი გარემოსა თუ სხვა ფაქტორებით გამოწვეული მიგრაციები. გარკვეულწილად, ეს ხელს უწყობს საქართველოს საკუთარი უნიკალური და დამოუკიდებელი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას.

The essence of the human being is the synthesis of social relations, and the same is true for characters in literary works, for example, Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin”. It is a treasure trove of Georgian literature and the characters in “The Knight in the Panther’s Skin” reflect the Georgian social and political life of the 11th-12th centuries.


In this report, we try to analyze the geographical and class factors determining the characters of “The Knight in the Panther’s Skin”, in particular, which country or region a particular character is from and which social class he/she is a representative of.

Table 1: Geographical and class information in “The Knight in the Panther’s Skin”

Class Geography	Upper Class	Middle Class	Lower Class
India	Parsadan, Nestan-Darejan	Tariel	Asmat
Arabia	Rostevan, Tinatin	Avtandil, Socrates, Usam	Shermandin
Mulghazanzari	Pridon	-	-
Gulansharo	Phatman, Usen	-	-
Khataeti	Ramaz	-	-

Based on geographical and class information, we try to establish an H-shaped social network among characters that is probably the middle class that establishes character connections between different classes and different countries. Each character’s social distance is 2 (the social distance between each class is 1 and the social distance between each country is 1).

Graph 1: H-shaped social network among characters in “The Knight in the Panther’s Skin”



In the H-shaped social network, there are three conclusions according to geographic and class information of characters:

1) The middle class is the mainstream for establishing social network between different countries and classes. For example, “Avtandil” and “Tariel” appear most frequently in “The Knight in the Panther’s Skin”, and they are the core of the social network of the characters.

2) Considering geographical factors, there is less mobility between the upper class and the lower class, so there is little connection between the upper class and the lower class in different countries, and they mainly establish connections through the middle class. For example, there are no direct connections between the kings of Arabia and India.

3) Class factors also affect the establishment of connections to a certain extent, especially those between the lower class (servants) and the upper class (kings) in different countries are few. For example, the servant asmati from India had no connection with the kings Rostevan and Tinatin from Arabia.

Based on the discussion above, we can figure out the picture of the social structure and migration of Georgia in the 11th-12th centuries conveyed by Shota Rustaveli:

1) The middle class is the mainstay of societies with the highest most mobility. Due to the limited social distance between the upper and lower classes, class breakthroughs are difficult because of “class solidification”.

2) Limited by social distance, large-scale population migration between countries is less active - the main factor for this is passive migration in terms of development challenges, such as migrations caused by war, famine, bad environment or other factors. To some extent, this helps to preserve Georgia’s own unique and independent cultural traditions.

ირაკლი ლეონიძე
Irakli Leonidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა საკომლო ქონების კერძო
საკუთრებად გარდაქმნის მაგალითზე
Building an Independent State: Transformation of Household Property into
Private Property

საკვანძო სიტყვები: კომლის შემადგენლობაში ახსებუდი მიწის ნაკვეთი, სასამართლო პრაქტიკა,
მედიაცია

Keywords: Household Land, Judicial Practice, Mediation

2022 წლიდან საქართველოში მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც 2022-2024 წლების განმავლობაში, ითვალისწინებს საქართველოს მიწის ფონდის სამიზნე ნაწილის მასშტაბურ უფლებრივ და საკადასტრო რეგისტრაციას და უკვე აღრიცხული მონაცემების ციფრულ სრულყოფას საჯარო რეესტრში. რეფორმის მიმდინარეობამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა საკომლო საარქივო ცნობის ისტორიული, სოციალური და სამართლებრივი დატვირთვა, რაც დადებითი თუ უარყოფითი თვალსაზრისით, თანაბრად წარმოაჩინს მიწის რეგისტრაციის ისტორიას საქართველოში, შემდგომში დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას საკომლო ქონების კერძო საკუთრებად გარდაქმნის მაგალითზე.

საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან განსახილველი თემის შეფასება არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას საჭიროებს, არამედ მოითხოვს კომბინირებულ შეფასებას, ამ ცოდნის მისადაგებას ყოველ პრაქტიკულ შემთხვევასთან. მწირია სამეცნიერო კვლევები და დაინტერესება, რის გამოც თითქმის არ არსებობს აღიარებული მოსაზრება ამ თემის ირგვლივ წამოჭრილი პრობლემების რეგულირებასთან დაკავშირებით. საკომლო საარქივო ცნობების არაციფრული ხასიათი, ერთიანი ციფრული საკომლო რეესტრის არარსებობა და ცნობების მოძიების სირთულე ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ისტორიული თვალსაზრისით, განსახილველი საკითხი კერძო საკუთრებისა და კერძომესაკუთრული ინტერესის განვითარებას მოიცავს. სოციალური პერსპექტივა გამოიხატება კომლის წევრი და არაწევრი პირების საოჯახო და მემკვიდრეობითი ურთიერთობების წარმოშობის აღქმაში, რაც ასახულია ცნობების შინაარსში, ხოლო სამართლებრივი დილემა დაკავშირებულია მხარეთა შორის სადავო და რთულ სასამართლო შემთხვევებთან.

საქართველო დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოა. მიწა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი რესურსია. ამავდროულად, იგი უძრავი ნივთი და კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების ობიექტია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში შეიცვალა მიწათსარგებლობის ტრადიციები და მოქალაქეთა შორის მიწის ნაკვეთების

განაწილება. საბჭოთა სახელმწიფოს დაშლის მიუხედავად, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების კანონისმიერი შესაძლებლობების დადგენა და უფლების რეგისტრაცია გარკვეული უარყოფითი თავისებურებებით ხასიათდებოდა, რის გამოც კანონმდებელმა ისტორიულად მნიშვნელოვანი კომლის საკუთრება უფუნქციო სამართლებრივ ფორმად მოიაზრა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ორგანოები კონსტიტუციურ უფლებამოსილებას ვერ ახორციელებენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რის გამოც ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული საკომლო მიწის ნაკვეთები არაკანონიერად განიკარგება სხვა პირთა მიერ და განადგურებულია უფლების დამდგენი საკომლო საარქივო ცნობები. საუბარიც ზედმეტია მათ გაციფრულებაზე, რადგან მატერიალურად აღარ არსებობს ცნობების დიდი ნაწილი.

პრობლემაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არ არის დადგენილი ზოგადად კომლის და უშუალოდ საკომლო ქონების ცნება. კომლის ქონების დაინტერესებულ პირებზე / მემკვიდრეებზე განაწილება კი არაერთგვაროვნად, არასწორად და შეუსაბამოდ მიმდინარეობს. პარალელურად, საკომლო საარქივო ცნობის მნიშვნელობას საერთო სასამართლოები განსხვავებულად აფასებენ, მათთვის ეს ცნობა ხშირად ხარვეზიანი და არასანდოა, რაც ხშირ შემთხვევაში სიმართლეა. მთელი ეს პროცესი კი ქმნის მიწის რეგისტრაციის ისტორიას საქართველოში, მასში ასახულია საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების განხორციელებისა და ხელყოფის შემთხვევები, როდესაც მოქალაქის საკუთრების უფლების უარყოფა საკომლო საარქივო ცნობას ეფუძნება ან პირიქით. ეს იმიტომ, რომ საარქივო ცნობამ დაკარგა პრაქტიკული ფუნქცია, რის გამოც გახშირდა მასში მცდარი, ხარვეზიანი, არასწორი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევები.

კომლთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების არამიზნობრივმა სიხშირემ და რეალური პრობლემების დაურეგულირებლობამ წარმოშვა კომლის საკუთრების რეგისტრაციისა და მისგან წარმოშობილი სასამართლო დავების რთული შემთხვევები. საკომლო საარქივო ცნობის ისტორიული, სოციალური და სამართლებრივი ფუნქცია უგულებელყოფილი აღმოჩნდა კანონმდებლის მიერ, თუმცა შენარჩუნდა მისი იურიდიული ძალის მქონე ბუნება. კვლევის მიზანია, შეფასდეს საკომლო საარქივო ცნობის ისტორიული, სოციალური და სამართლებრივი ფუნქცია მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ახალი ეტაპის განხორციელების პროცესში. გაირკვეს, თუ როგორ გაართვეს ამ პრობლემას თავი სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებმა და ისტორიულად რა მეთოდები განავითარეს კომლთან დაკავშირებული რთული შემთხვევების დასარეგულირებლად.

კვლევაში განხილული იქნება ლიეტუვის მიწის რეფორმასთან დაკავშირებული მაგალითები. შესაძარებელ ქვეყნებს აერთიანებთ საკომლო საარქივო ცნობის რეგულირების ისტორია. რაც უკავშირდება ამ ცნობების გაციფრულებას და ხარვეზიანი მონაცემების შევსების ეფექტური მექანიზმის შემოღებას. ამდენად, კვლევა ხელს შეუწყობს საკომლო საარქივო ცნობის მნიშვნელობის ახსნასა და ციფრული საკომლო საარქივო ცნობათა რეესტრის შექმნის დასაბუთებას დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისას.

the large-scale legal registration of the target part of the land fund of Georgia and the digital perfection of already recorded data in the public register. The course of the reform has once again highlighted the historical, social and legal burden of the household archival record, which, from a positive or negative point of view, equally presents the history of land registration in Georgia, subsequently, the construction of an independent state as an example of the transformation of household property into private property.

The issue is particularly important, because the assessment of the discussed topic does not only require theoretical knowledge, but also requires a combined assessment, applying this knowledge to each practical case. There is little scientific research and interest, which is why there is almost no recognized opinion regarding the regulation of the problems raised around this topic. The non-digital character of household archival information, the absence of a unified digital household register and the difficulty of finding information are one of the acute problems. From a historical point of view, the issue to be discussed includes the development of private property and private property interest. The social perspective is expressed in the perception of the origin of family and inheritance relations of members and non-members of the household, which is reflected in the content of the reports, and the legal dilemma is related to the disputed and complex court cases between the parties.

Georgia is an independent and united. Land property is an important resource of our country. At the same time, it is an immovable thing and an object of universal right of private ownership. After gaining independence, land use traditions and distribution of land plots among citizens changed in Georgia. Despite the collapse of the Soviet state, the independent state's determination of the legal possibilities of obtaining ownership rights to land and the registration of the right were characterized by certain negative features, which is why the legislator considered the historically important household ownership as a non-functional legal form. It should be noted that the state bodies cannot exercise their constitutional powers in the entire territory of the country, which is why the plots of residential land in the occupied territories are illegally disposed of by other persons and the residential archival records establishing the right are destroyed. It is unnecessary to talk about their digitization, because a large part of the information no longer exists materially.

The problem is that the Civil Code of Georgia does not establish the concept of household in general and household property directly. The distribution of the property of the household to the interested persons/heirs is uneven, incorrect and inappropriate. At the same time, the general courts evaluate the importance of the household archival certificate differently, for them this certificate is often flawed and unreliable, which is true in many cases. This whole process creates the history of land registration in Georgia, it shows the cases of violation of the constitutional rights of Georgian citizens, when the denial of the citizen's right to property is based on the land registry certificate or vice versa. This is because the archival notice has lost its practical function, which is why the cases of finding false, flawed, incorrect information in it have become more frequent.

The untargeted frequency of legislative changes related to the household and the non-regulation of real problems have given rise to difficult cases of household ownership registration and legal disputes arising from it. The historical, social and legal function of the household archival record was neglected by the legislator, although its legally binding nature was preserved. The purpose of the study is to evaluate the historical, social and legal function of the household archival record in the process of implementing the new stage of the state reform of systematic land registration. Find out how other post-Soviet states have dealt with this problem and what methods they have historically developed to regulate difficult cases related to the household.

The study will discuss examples related to land reform in Lithuania. Comparable countries combine the history of household archival notice regulation, which is related to the digitization of these information and the introduction of an effective mechanism for filling in incomplete data. The research will contribute to explaining the importance of household archival records and the rationale for the creation of a digital household archival records registry during the construction of an independent state.

სალომე ლომოური Salome Lomouri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

მირზა გელოვანის ომის ლირიკის პოეტიკა The Poetics of Mirza Gelovani's War Lyrics

საკვანძო სიტყვები: მიხზა გელოვანი, ომის ლირიკა, პოეზია, ვერსიფიკაცია, მეოხე მსოფლიო ომის პოეზია

Keywords: Mirza Gelovani, War Lyrics, Poetry, Versification, World War 2 poetry

მირზა გელოვანის საარქივო კრებულ „დაბრუნებაში“ 316 ლექსია შესული. ამათგან 40-მდე ომის ლირიკას მიეკუთვნება. პოეტის ადრეული პერიოდის ლექსები ვერსიფიკაციული ძიებებითაა მდიდარი. იგი იყენებს ქართული ლექსწყობისთვის ცნობილ თითქმის ყველა საზომს და თვით იზოზილაბურ ლექსებშიც კი საზომთა რიტმულ ვარიაციებს გვთავაზობს. თამარ ბარბაქაძე მიუთითებს, რომ მირზა გელოვანის 30-იანი წლების პოეტურ ტექსტებში უკვე შეინიშნება საგანგებო ძიების კვალი სტროფიკის სფეროშიც: გვხვდება სონეტი, მრჩობლელი, აშულური, სამტაეპედებითა და სექსტინით დაწერილი ლექსები.

რიტმული პოლიფონიურობა, რაც მირზა გელოვანის ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, ნაკლებად შესამჩნევია მის ომის ლირიკაში. 1940-43 წლებში იგი, უმეტესად, 10-მარცვლიან საზომს იყენებს. გვხვდება 14-, 12-, 9-, 8-, 7-, და 6-მარცვლედეზიც, მათგან ზოგი მხოლოდ ჰეტეროსილაბურ ლექსებში. აღსანიშნავია, ორი ვერლიბრი და სონეტი „*** (არ არის ძნელი)“.

მირზა გელოვანის პოეზია მიდრეკილია ჰეტეროსილაბიზმისკენ. იგი ქმნის ე.წ. „შერეული ტიპის“ ლექსებსაც. „მეტრული ორგანიზაციის თვალსაზრისით, ეს ნიმუშები, ერთგვარად, შუალედურ მდგომარეობას ასახავს თავისუფალ და კონვენციურ ლექსს შორის. მართალია, აქ მეტრული წესრიგი ზუსტად დაცული არ არის, მაგრამ სტრიქონთა სიდიდეები მათივე მსგავსი სტრუქტურული ერთეულების სახით ენაცვლებიან ერთმანეთს“ (შ. ქურთიშვილი). თუმცა, ომის ლირიკა განსხვავებულ სურათს გვაძლევს. 1940 წლიდან 1944 წლის ჩათვლით პოეტი 36 ლექსს წერს. აქედან 25 იზოზილაბურია.

მიუხედავად იმისა, რომ მ. გელოვანის ომის ლირიკა საზომთა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მისი ბევრი შედეგრი სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება. პოეტი ფრონტულ ლექსებში ოსტატურად ახერხებს ომის სისასტიკის გადმოცემას. ბრძოლის ველზე, სადაც სულიერი ღირებულებების დაკარგვა ყველაზე მარტივია, პიროვნული ღირსების შენარჩუნება მირზა გელოვანისთვის გადამწყვეტი ხდება. „სისხლის წვიმაში, ტყვიების ჩქერში,/ მე არ ვკარგავდი სიმაღლეს ჩემსას,/ რომელიც ოდეს გიყვარდა ჩემში“ – წერს პოეტი („*** იქ, სადაც სხვები...“, 1943 წ.). ლირიკული გმირი ხშირად უმანკო ბავშვს ედარება, რომელიც ომის ქარცეცხლშია მოყოლილი: „და სასიკვდილო ტყვიების ფარფატს/ ღამეში გაწვდილთ

ცეცხლის ენებად,/... მე ვუცქეროდი თვალებით ბავშვის“ (მ. გელოვანი, „***იქ, სადაც სხვები...“).

მირზა გელოვანის ომის ლირიკას სტილისტიკური და სემანტიკური მრავალფეროვნება ახასიათებს. ლირიკული გმირი ოცნებობს სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ, ამავდროულად, მას არ ტოვებს სიკვდილის გარდუვალობის განცდა. სატრფოსადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტი დაჟინებით იმეორებს, რომ დაბრუნდება, მაგრამ ეს დაპირება ზოგჯერ საკუთარი თავის დარწმუნების მცდელობას ემსგავსება.

მირზა გელოვანი პატივს მიაგებს დაღუპულ თანამებრძოლებს, მაგრამ ომი მისთვის პეროიკული არ არის. იგი წერს სამშობლოს მონატრებასა და ფრონტული ყოფის გაუსაძლისობაზე: „...სიკვდილის ნატვრა გამიხდა დარდად,/ ვდგევარ სხვებივით, სველი ფარაჯა/ არაფერს მაძლევს სიცივის გარდა“ (მ. გელოვანი, „*** სახეში გვათოვს“), მაგრამ სიკვდილზე უარესია თანამებრძოლთა ტანჯვის ყურება („შენ გახსოვს, ტყვია მე როგორ ამცდა/ და ამხანაგის გულში გაცივდა“ (მ. გელოვანი, „შენ“, 1942 წ.).

მირზა გელოვანის ომის ლირიკა დიქოტომიურია – ერთდროულად ფაქიზი და შემზარავი, იმედითა და სასოწარკვეთილებით სავსე. „ცასავით სუფთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონი“ პოეტის ლექსებში ჩანს სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი და შეუდრეკელი სიმამაცე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მირზა გელოვანის შემოქმედებისადმი ინტერესი გაიზარდა, მისი ომის ლირიკა ვერსიფიკაციული და პოეტიკური თვალსაზრისით ნაკლებად არის შესწავლილი.

Mirza Gelovani's archival collection "Return" (Dabruneba) contains 316 poems. About 40 of them belong to the war lyrics. Versification searches can be found in abundance in the poems of the poet's early period. He employs almost all of the meters common to Georgian poetry and even in isosyllabic poems he offers rhythmic variations of meters. According to Tamar Barbakadze, Mirza Gelovani's poetry of the 1930s already reveals the traces of extraordinary search in the field of stanza. They are sonnets, mrchobledi (rhyming couplets), ashughuri, verses written in tercet and sextain. The rhythmic polyphony that distinguishes Mirza Gelovani's lyric poetry is less noticeable in his war lyrics. In 1940-43, he mainly employed 10-syllable meters. There are also found 14-, 12-, 9-, 8-, 7-, and 6-syllables, some of them only in heterosyllabic verses. It is worth noting two free verses and the sonnet "*** is not difficult".

Mirza Gelovani's poetry tends to heterosyllabism. He creates the verses of so-called "mixed type" too. "In terms of metrical organization, these patterns represent, in a way, an intermediate state between free verse and conventional verse. True, the metric order is not precisely preserved here, but the size in lines alternate with each other in the form of similar structural units" (Sh. Qurtishvili). However, the war lyric poetry paints a different picture. From 1940 to 1944, the poet wrote 36 poems. Of them 25 are isosyllabic.

Although M. Gelovani's war poetry is not distinguished by a variety of poetic meters, many of his masterpieces belong just to this period. The brutality of war on the front lines is skillfully captured by the poet. For Mirza Gelovani, maintaining personal dignity becomes crucial on the battlefield, where it is easiest to abandon spiritual values. "In the rain of blood, in the whistle of bullets, / I did not lose

myself, / you once loved in me" - writes the poet ("*** Where others are...", 1943). The lyrical hero often compares himself with an innocent child caught in the flames of war: "And the roar of deadly bullets/ in the night spread like tongues of fire,/... I looked through the eyes of a child" (M. Gelovani, "*** Where others are...").

Mirza Gelovani's war lyric is characterized by stylistic and semantic diversity. The lyrical hero yearns to return to his homeland, but at the same time, the feeling of the inevitability of death does not leave him. In the poems dedicated to his beloved, the poet insistently repeats that he will return, but sometimes it seems like he's just trying to convince himself. Mirza Gelovani pays tribute to his fallen comrades, but he does not view the war as heroic. He describes how being on the front lines is unbearable and how homesickness affects him: "...the wishes of death have become a pain for me,/ I stand, like others, in wet raincoat / feel nothing but cold" (M. Gelovani, "*** * snow in our faces"), but looking at the suffering of comrades is worse than death. ("remember the bullet that missed me/ getting cold in the heart of fellow warrior" – "You").

Mirza Gelovani's war lyric poetry is dichotomous - time refined and terrifying simultaneously, full of hope and despair. In poet's verses "pure as the sky" one can sense unquenchable passion for life and unwavering courage.

Despite the rise in interest in Mirza Gelovani's work in recent years, the poetics and versification of his war poetry has received less attention.

ნინო მაისურაძე Nino Maisuradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

ერის ევროპული კონცეფციები და მათი გავლენა საქართველოში ერის ცნების ფორმირებაზე 1893-1917 წლებში European Concepts of Nation and Their Influence on The Formation of The Concept of Nation in Georgia (1893-1917)

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ერის ცნება, ერის თეორიები, ნაციონალიზმი
Keywords: Georgia, The Concept of Nation, Theories of the Nation, Nationalism

1893-1917 წლებში ქართველი ერის წინაშე სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად იდგა ერის ერთიანობისთვის ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი დამოუკიდებლობის პრობლემა, რადგან საქართველო მეფის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა და, შესაბამისად, რუსეთში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები პირდაპირ აისახებოდა ქართულ რეალობაზე. საინტერესოა, რომ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილი ირჩევდა ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას, თეორიულ საფუძვლად კი იყენებდნენ ევროპელი ავტორების მიერ ერის ცნების შესახებ შექმნილ ცნობილ კონცეფციებს (ერნესტ რენანი, პასკვილე სტანისლაო მანჩინი, იოჰან კასპარ ბლუნჩლი, ლუდვიგ გუმპოლოვიჩი და სხვ.). ევროპელი მოაზროვნეების შეხედულებები ერის ცნების შესახებ ქართველი ეროვნული პოზიციის დამცველი პოლიტიკოსებისთვის იქცა გარკვეულ თეორიულ ბაზისად. ამიტომ, შეუძლებელია, ამ კონცეფციების და მათი გავლენების შესწავლის გარეშე, გავიაზროთ 1893-1917 წლების საქართველოში ერის ცნების ფორმირების საკითხი.

დასმული საკითხი აქტუალურია, რადგან დღევანდელი გამწვავებული დებატების ფონზე საქართველოს ევროპული იდენტობის შესახებ, კვლევა გვიჩვენებს ისტორიულ კავშირს ევროპულ ღირებულებებთან, რაც გამოიხატებოდა ევროპული ერის თეორიების გავლენით თანამედროვე სახით ქართველი ერის ფორმირებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ პერიოდში საქართველო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, ქართველმა ინტელექტუალებმა და პოლიტიკურმა ელიტამ მოახერხა და შეინარჩუნა კულტურული კავშირი ევროპულ სამყაროსთან დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. ქართველები თავს მიიჩნევდნენ ქრისტიანული ევროპული ცივილიზაციის ნაწილად, რომელსაც ამ სივრციდან იზოლაცია მოუხდა აგრესიული მუსლიმი მეზობლების გამო. ქართველთა დიდი ნაწილისთვის მეფის რუსეთთან გაერთიანება ევროპაში დაბრუნების საწინდარი იყო. ეს ნაწილი საზოგადოებისა თვლიდა, რომ კავშირი ევროპასა და რუსეთს შორის გაწყდა მხოლოდ ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ (საბანაძე, 2010).

დღეს სამეცნიერო წრეებში ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას იმ ევროპულ ავტორებზე, რომლებმაც 1893-1917 წლებში დიდი გავლენა მოახდინეს ქართველი ეროვნული პო-

ზიციის დამცველთა ნაწილზე. თუმცა, ქვეყნის ისტორიაში სწორედ ეს პერიოდი გამოირჩევა ეროვნულ საკითხზე გამართული მწვავე დისკუსიით, რომელშიც დაპირისპირებულ მხარეებს პოლიტიკური პარტიები წარმოადგენდნენ. XX საუკუნის დასაწყისში გამწვავდა იდეოლოგიური დაპირისპირება პოლიტიკურ პარტიებს შორის. დაპირისპირებისა და დისკუსიის მთავარი საკითხი იყო ერის ცნება და ეროვნული პრობლემატიკა. იმ პერიოდის ეროვნული პოზიციის დამცველი ქართველი მოღვაწეები სხვადასხვა ავტორის კონცეფციებს ირჩევდნენ საკუთარი თვალსაზრისის დასაცავად. ეროვნული პოზიციების დამცველთა (არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე და სხვ.) აქტიურობის მიუხედავად და მცდელობისა, რომ მათი მოღვაწეობა მხოლოდ თეორიული მსჯელობით არ შემოფარგლულიყო და რეალურ პოლიტიკაშიც გარკვეული ნაბიჯები გადადგმულიყო, მაინც სოციალ-დემოკრატიული პარტია უფრო დიდი პოპულარობით და მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა. თავად ხალხისთვის გაცილებით მომხიბვლელი იყო იმ კონკრეტულ პერიოდში სოციალური უთანასწორობის მოსპობის დაპირება, ვიდრე თუნდაც დამოუკიდებლობის მიღწევა. პოლიტიკოსების, ისევე როგორც საზოგადოების, ნაწილი თვლიდა, რომ უპერსპექტივო იყო სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა. ასეთი ნაწილისათვის უფრო მისაღები იყო ახლად დამკვიდრებული კოსმოპოლიტიზმის იდეა. კვლევის მთავარი მეთოდია მეორადი წყაროების ანალიზი, ქართველი პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების შეხედულებები ერის ცნების შესახებ შესწავლილია მათი სტატიებიდან, ნაშრომებიდან, გამოსვლებიდან და პირადი წერილებიდან. კვლევა თვისებრივია და გამოყენებულია როგორც შედარებითი მეთოდი, ასევე – მიზნობრივი ინტერვიუები. კვლევის მიზანია, შეისწავლოს და შეაფასოს ის ევროპული ერის კონცეფციები, რომელთაც გარკვეული გავლენა ჰქონდათ საქართველოში 1893-1917 წლებში გამართულ დისკუსიაზე ერის ცნების შესახებ.

მეცნიერული სიახლეა თავად კვლევის მასშტაბი, რადგან ის მოიცავს, როგორც ევროპელი ავტორების შეხედულებებს ერის შესახებ, ისე ქართველი ავტორების მხრიდან მათ ინტერპრეტაციასა თუ კრიტიკას. ასევე სიახლეა, მოდერნიზმის წარმომადგენლების თეორიების გამოყენება (ბენედიქტ ანდერსონი, მიროსლავ ჰროში) ქართველი ერის თანამედროვე სახით ფორმირების ასახსნელად. კვლევის შედეგი აჩვენებს, რომ 1893-1917 წლებში ქართველი ინტელექტუალები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ერის ემოციურ გაგებას და იმ თეორიებს, რომლებშიც ხაზგასმული იყო ეროვნული სოლიდარობის არსი. ერის ევროპული კონცეფციებიდან ერნესტ რენანის თეორია და ავსტრომარქსისტული ერის განსაზღვრება ყველაზე გავლენიანი იყო ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებსა და მათ მხარდამჭერებში.

In the years 1893–1917, among other socio-economic problems, the Georgian nation faced the problem of independence, which was the greatest threat to the unity of the nation as Georgia was part of Tsarist Russia, and the socio-political events in Russia had a direct impact on the Georgian reality. It is worth noting that part of the Georgian political elite, to achieve independence, chose a European-oriented policy and used as a theoretical foundation the well-known concepts of the nation of European authors (Ernest Renan, Pasquale Stanislao Mancini, Johann Kaspar Bluntschli, Ludwig Gumplowicz,

and others). These theories have become the theoretical basis for politicians defending the national position of Georgia. Therefore, it is impossible to understand the emergence of the concept of nation in Georgia between 1893 and 1917 without examining these theories and their influences.

The topic is relevant because, against the backdrop of today's intensified debate on Georgia's European identity, the study reveals the historical connection with European values, as shown by the influence of European theories of the nation on the formation of the Georgian modern nation. Although Georgia was not yet an independent state at the time of the study, Georgian intellectuals and political elites managed to establish and maintain cultural contacts with the European world on the road to independence. Georgians felt that they were part of the Christian European civilization, which had to isolate itself from the region because of its violent Muslim neighbors. For many Georgians, the king's reunification with Russia meant their return to Europe. This part of society believed that the connection between Europe and Russia had been severed only after the Bolshevik Revolution (Sabanadze, 2010).

In scientific circles, less attention is paid today to the European authors who exerted a considerable influence on Georgian defenders of national position between 1893 and 1917. However, this moment in the country's history is characterized by a heated debate on a national question, with political parties representing opposing sides. The ideological struggle between political parties intensified at the turn of the twentieth century. The basic point of contention was the concept of a nation and national problems. The Georgian personalities who represented the national point of view at that time resorted to the theories of different authors to support their views. Despite the attempts of the defenders of a national position (Archil Jorjadze, Mikhako Tsereteli, Dimitri Uznadze, Aleksandre Janelidze, and others) to move beyond theoretical thinking into real politics, the Social Democratic Party gained popularity and support. At that time, the goal of eliminating inequality in society was much more attractive to people than achieving independence. Some politicians and citizens considered the restoration of state independence to be pointless. The concept of newly emerging cosmopolitanism was better suited for such a task. The primary research approach is secondary source analysis, in which the perspectives of Georgian politicians and public figures on the concept of the nation are examined in their articles, works, speeches, and personal letters. The study is qualitative, using a comparative method and focused interviews. The aim of the study is to examine and evaluate the European concepts of the nation that had an impact on the debate on the concept of nation that took place in Georgia between 1893 and 1917.

The extent of the study is a scientific novelty in that it contains both European authors' perspectives on the nation and their interpretation and criticism by Georgian authors. It is also particularly important to employ the theories of modernism (Benedict Anderson, Miroslav Hroch) to explain the formation of the modern Georgian nation. According to the findings of the study, Georgian intellectuals paid significant attention to the emotional perception of the nation and ideas that emphasized the need for national solidarity from 1893 to 1917. Among European notions of the nation, Ernest Renan's theory and characterization of the Austro-Marxist nation were the most influential among Georgian political and public figures and their supporters.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) საგრანტო პროექტის [№ PHDF-22-3237] ფარგლებში. / The research was carried out with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG). Grant number [№ PHDF-22-3237]

თეა მაჭავარიანი
Tea Matchavariani

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Akaki Tsereteli State University/Georgia

საბჭოთა ეპოქის რეცეფცია გურამ ფანჯიკიძის რომანში „ეშმაკის ქვა“
Reception of the Soviet Era in Guram Panjikidze's Novel "The Devil's Wheel"

საკვანძო სიტყვები: *რეცეფცია, პოსტკოლონიალიზმი, ტრავმატიკული მეხსიერება, საბჭოთა
გოგადიგაჩიზი*

Keywords: *Reception, Postcolonialism, Traumatic Memory, Soviet Totalitarianism*

კვლევის მიზანია, შესწავლილ იქნას საბჭოთა ეპოქის რეცეფცია „პერესტროიკის“ შემდგომ შექმნილ ტექსტებში, კერძოდ, გურამ ფანჯიკიძის რომანში „ეშმაკის ბორბალი“, რომელშიც მწერალმა უკვე შეცვლილ ვითარებაში გადააფასა მეოცე საუკუნის ტრაგიკული მოვლენები, ასევე, შემოგვთავაზა მიმდინარე ისტორიული ვითარების მხატვრული რეფლექსია, მისი თავისებურებები, მაშინდელი მნიშვნელოვანი მოვლენების კრიტიკული აღქმა.

გურამ ფანჯიკიძის შემოქმედება, დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა პერიოდში, როცა ხდება გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის გადააზრება შეცვლილი ისტორიულ-სოციალური ვითარების ფონზე, თანამედროვე თეორიების მეშვეობით, რაც ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა.

საბჭოთა კავშირის ნგრევა გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა ქართული მწერლობისათვის. რუსული კოლონიალიზაციის პერიოდში დაგროვებული მუხტი ნაციონალური, მორალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური ასპექტით გამონაგონისა და ნამდვილის, ილუზორულისა და რეალურის ონტოლოგიურ აღრევას წარმოადგენდა. საჭირო შეიქმნა მწერლობა გათავისუფლებულიყო თაობათა ფსიქოლოგიაში ფესვებგადგმული მიკერძობების, ირაციონალური სიძულვილის, ისტორიული ფიგურების და როლების გაყალბების „პოლიტიკური კორექტულობისაგან“. ამ კონტექსტში მეტად საინტერესო აღმოჩნდა გურამ ფანჯიკიძის რომანი „ეშმაკის ბორბალი“, რომელიც საბჭოთა იმპერიის ნგრევის ზღვარზე დაიწერა და, შესაბამისად, ასახავს მემკვიდრეობით მიღებული მეხსიერების მოდელს 1937 წლის რეპრესიებიდან დაწყებული ეროვნული აქციებით დასრულებული. ამასთან, ხრუშჩოვის ხანის საბჭოთა საქართველოს, 9 მარტის სისხლიანი მოვლენების, ავღანეთის ომის ტრაგედიის ერთ-ერთი პირველი მხატვრული განსახოვნებაა.

როგორც ცნობილია, გურამ ფანჯიკიძე გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია, მისი რომანები კი მოიაზრება როგორც ეპოქის სულის გამომხატველობად, ამ გზით იგი აყალიბებს იმ ეპოქის ადამიანებისათვის დამახასიათებელი სახეების, შეხედულებების აზროვნების მოდულს.

საყურადღებოა რომანის განსხვავებული აზრობრივი ხაზი. გურამ ფანჯიკიძე ისტორიულ პირებთან ერთად გამოგონილი პერსონაჟებით ერთ სიბრტყეზე მოქცევით თხზავს, აღადგენს წარსულს. საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი ისტორიული ფიგურებისა და რო-

ლების გაყალბების ხანა დასრულდა. ნარატორის ხელშეწყობით, ავთენტური ისტორიული ფაქტების/პირების ქრონოტიპებად ქცევის საშუალებით ქართველი მკითხველის ცნობიერებაში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ კოლექტიური მეხსიერება ფორმირდება არსებული ლიტერატურული კანონების ტრანსფორმირებისა და რეალობის ახლებურად ასახვის გზით.

აღსანიშნავია, რომ რომანს პირველად ვაანალიზებთ კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობის მიდგომით, თანამედროვე ლიტერატურული თეორიული მეთოდოლოგიების ოპერირებით. რომანის კვლევისას ყურადღება მიექცევა ბიოგრაფიზმის, ისტორიზმის, კრიტიკულ-ანალიტიკური, კულტურულ-შედარებითი და ინტერდისციპლინური მოდუსების გამოვლენას.

რომანის სპეციფიკის შესწავლა მიმდინარეობს ლიტერატურული კომპარტივისტიკის ჭრილში, რეცეფციული და შედარებითი ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით. კვლევა ეფუძნება ანალიზის ინტერდისციპლინური და კონცეპტუალური ინტერპრეტაციის, ჰერმენევტიკულ მეთოდებს. კვლევის პროცესში გამოყენებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობის მიდგომა. ასევე, გამოყენებულია ისტორიულ-თეორიული მეთოდი, რომელიც ლიტერატურული ტექსტების განმარტებისათვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს ნაწარმოების შესაბამის ისტორიულ კონტექსტში გაანალიზებას.

გურამ ფანჯიკიძის რომანის „ემშაკის ბორბალი“ პოსტკოლონიური რეცეფციის განმსაზღვრელი, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები აღმოჩნდა. მწერლის მიზანია, ტრავმული ფსიქოლოგიის დაძლევა, გაყალბებული ისტორიის თეთრი ლაქების ამოვსება, ავთენტური ისტორიული ფაქტების/პირების ქრონოტიპებად ქცევის საშუალებით ქართველი მკითხველის ცნობიერებაში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ კოლექტიური მეხსიერების ფორმირება, ნაციონალური იდენტობით გამოწვეული ღირებულებების გადაფასება. ამ ტიპის ტექსტები წარმოადგენს მუდმივ დიალოგს აწმყოსა და წარსულს შორის, ამიტომაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის ერთი კულტურულ-ისტორიული კონტექსტიდან მეორეში გადანაცვლების პროცესს, რაც ალუზიურად აღიქმება რომანის სათაურში. ემშაკის ბორბალი – ატრაქციონი, წრე, რომელიც მარადისობის სიმბოლოა, ემშაკის ბორბალი – მარადიული არსებობის, მოქმედების სიმბოლო.

The purpose of the research is to study the reception of the Soviet era in the texts created after the "perestroika", specifically, in Guram Panjikidze's novel "The Devil's Wheel", in which the writer re-evaluated the tragic events of the twentieth century in a transformed situation, and offered an artistic reflection of the current historical situation, its peculiarities, critical perception of the important events of that time.

The topicality of the issue: Guram Panjikidze's work has not been properly studied till now, especially in the post-Soviet period, when the Georgian literature of the last century is being rethought against the background of the changed historical and social situation through modern theories, which is one of the urgent tasks of the Georgian literary studies.

The collapse of the Soviet Union turned out to be a turning point for Georgian literature. Accumulated impetus during the period of Russian colonization represented an ontological confusion of the imaginary and the real, the illusory and the real in national, moral, psychological, and physical

aspects. It was necessary to liberate writing from the “political correctness” of bias, irrational hatred, falsification of historical figures and roles rooted in generational psychology. In this context, Guram Panjikidze's novel "The Devil's Wheel" turned out to be very interesting, which was written on the verge of the collapse of the Soviet Empire and, therefore, reflects the inherited model of memory starting from the repressions of 1937 and ending with national rallies. In addition, it is one of the first artistic representations of Soviet Georgia in the Khrushchev era, the bloody events of March 9, and the tragic war in Afghanistan.

As it is known, Guram Panjikidze is one of the outstanding writers of the 60-70s of the last century, and his novels are considered as an expression of the spirit of the era, in this way he forms the image and the mode of thinking of the people of the era.

The novel's different line of thought is noteworthy. By creating fictional characters and putting them on the same plane as historical figures, Guram Panjikidze makes up and restores the past. The era of falsification of historical figures and roles characteristic of the Soviet era is over. With the support of the narrator, by turning authentic historical facts/persons into chronotypes, a collective memory against the colonial policy is formed in the consciousness of the Georgian reader by transforming the existing literary laws and reflecting reality in a new way.

The scientific novelty lies in the fact that the novel will be analyzed for the first time with the approach of complex literary studies, using modern literary theoretical methodologies. During the research of the novel, attention will be paid to the detection of biographical, historicist, critical-analytical, cultural-comparative, and interdisciplinary modes.

Research methods: the specifics of the novel are studied in terms of literary comparativistics, using the receptive and comparative typological method. The research is based on interdisciplinary and conceptual interpretation, hermeneutic methods of analysis. In the research process, the approach of complex literary studies is used. Also, the historical-theoretical method is applied, which considers the analysis of the work in the relevant historical context as one of the best means for the interpretation of literary texts.

Intermediate or final results of the research: The determinant of the post-colonial reception of Guram Panjikidze's novel "The Devil's Wheel" was, first of all, the current political processes in the country. The writer's goal is to overcome traumatic psychology, fill in the white spots of falsified history, form a collective memory against the colonial policy in the minds of Georgian readers by turning authentic historical facts/persons into chronotypes, and reevaluate the values caused by national identity. These types of texts represent a constant dialogue between the present and the past, which is why the principal importance is given to the process of shifting the text from one cultural-historical context to another, which is alluded to in the title of the novel. Ferris wheel - a roller coaster, a circle that is a symbol of eternity, Ferris wheel - a symbol of eternal existence, action.

მარინე მახათაძე
Marine Makhatadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

ფრაზეოლოგიზმები ქართული და ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა
ინგლისურ აკადემიურ ტექსტებში
(სასწავლო კორპუსული შედარებითი ანალიზი)
Phraseology in English Academic Texts of Georgian and Ethnic Minority Students
(Learner Corpus-based Comparative Analysis)

საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიზმები, სასწავლო კორპუსი, ეთნიკური უმცირესობის სტუდენტები
Keywords: Phraseology, Learner Corpus, Ethnic Minority Students

უცხოური ენის შემსწავლელთა წერილობითი და ზეპირმეტყველების მონაცემები ენობრივი კომპეტენციისა და ლინგვისტიკური თავისებურებების განსაზღვრისათვის უტყუარ რესურსს წარმოადგენს. სასწავლო კორპუსი მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული საბაზაა, რომლის მეშვეობით ხორციელდება უცხოური ან მეორე ენის შემსწავლელთა ენობრივი ინტერნალიზაციაზე დაკვირვება. ენაში აქტუალიზებული სიტყვათხმარების შემთხვევების ანალიზის მიზნით, ვქმნით სასწავლო კორპუსს დასმული პრობლემის გადასაჭრელად.

კორპუსლინგვისტიკაში ენობრივი ინტერნალიზაციის პროცესის შესწავლა შედარებითი მეთოდით ხორციელდება. სასწავლო კორპუსის კვლევა ჩვეულებისამებრ მოიცავს ენის შემსწავლელთა რამდენიმე ჯგუფის შედარებას. ენობრივ ტრანსფერზე დასაკვირვებლად ეფექტურია ერთი და იმავე სამიზნე ენის შემსწავლელების კვლევა, რომლებიც სხვადასხვა მშობლიურ ენაზე საუბრობენ.

სოციოლინგვისტიკურმა კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ სოციალური ცვლადები, როგორებიცაა სქესი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების დონე, სოციალური როლები, ეთნიკური წარმომავლობა ან იდენტობა გავლენას ახდენს ენის გამოყენებაზე. არა მხოლოდ სოციოლინგვისტიკური მიდგომები შეისწავლის ენის ცვალებადობას, არამედ ლინგვისტიკის მრავალი სხვა მიმართულება მიზნად ისახავს, ახსნას სხვადასხვა სახის ენობრივი ვარიაცია.

ჩვენი კვლევის მიზანია: ა) კულტურათაშორის ჭრილში წარმოვაჩინოთ ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და კონსტრუქციების გამოყენების თავისებურებები ქართველ და ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების ინგლისურენოვან აკადემიურ ტექსტებში; ბ) სტატისტიკურ საზომებზე დაყრდნობით, რომელი ფრაზეოლოგიური ერთეულები გვხვდება ჭარბად ან იშვიათად ქართველ და ეთნიკურად არაქართველ სტუდენტთა ნაწერებში; გ) მოვახდინოთ შეპირისპირებითი ანალიზი ჩვენ მიერ შექმნილ სასწავლო კორპუსსა და „საკონტროლო“ კორპუსს შორის, რომელშიც თავმოყრილია მშობლიურ ენაზე (ამ შემთხვევაში – ინგლისურ ენაზე) მოსაუბრეთა ენობრივი ნაწარმი. ჩვენი კვლევის ფარგლებში ვიყენებთ

მიჩიგანის სასწავლო კორპუსს: the Michigan Corpus of Upper-Level Student Papers (MICUSP); დ) ჩვენს სასწავლო კორპუსში თავმოყრილი სტუდენტების მიერ შესრულებული ნაწერები ანოტირებულია (POS-tagging) და კორპუსის კონკორდანსზე დაყრდნობით ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ ლექსიკური მასალა.

ჩვენი საკვლევი თემის აქტუალურობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში აქამდე არ შექმნილა ინგლისური ენის სასწავლო კორპუსი, რის გამოც შეუძლებელი იყო დაგვედგინა, როგორი ლექსიკური თავისებურებებით ხასიათდება ინგლისური ენის ქართველ და ეთნიკურად არაქართველი სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია.ა

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად ვაანალიზებთ ინგლისური ენის შემსწავლელ ქართველ და ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა ტექსტობრივ ნიმუშებს, რომლებიც აქამდე არ ყოფილა მეცნიერულად შესწავლილი. ნაშრომის სიახლე განისაზღვრება იმით, რომ გამოკვლევა არის უცხოური ენის შემსწავლელთა ტექსტების ლინგვისტიკური ანალიზის პირველი ცდა კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რომელიც ტექსტების პროგრამულ დამუშავებასთან არის დაკავშირებული. კვლევა აღნუსხავს, იკვლევს და აანალიზებს ფრაზეოლოგიზმების ენობრივ არსენალს.

კვლევა წარმართულია კორპუსზე დამყარებული მეთოდოლოგიით და იმ პროგრამული ინფრასტრუქტურით, რომელიც ფრაზეოლოგიური მონაცემების კვლევის საშუალებას იძლევა. კვლევის რაოდენობრივი მეთოდი დაგვეხმარა სასწავლო კორპუსისათვის ჩვენ მიერ შეგროვებული წერილობითი მასალისა და სხვა მეტამონაცემების სხვადასხვა კრიტერიუმით შესწავლაში, ასევე, საკვლევ მასალაში მოძიებული ინფორმაციის რაოდენობრივ შედარებასა და პროცენტული მაჩვენებლების კალკულაციაში.

სტატისტიკური საზომების გამოყენებით დავადგინეთ, რა მსგავსება/განსხვავებაა ჯგუფებს შორის და რა ხარისხით მოახდინა გავლენა სხვადასხვა ცვლადმა ლინგვისტურ ფენომენზე. ფრაზეოლოგიზმების სიხშირე და გავრცელებადობა ორივე კორპუსში ააშკარავებს ჭარბ ან ნაკლებად გამოყენების თავისებურებებს. შუალედური შედეგების მიხედვით, ინგლისური ენის ქართველ და ეთნიკურად არაქართველ შემსწავლელთა მონაცემებში რიგი ფრაზეოლოგიზმები ჭარბად გამოიყენება, მაგრამ იგივე ლექსიკური ერთეულები დაბალი სიხშირით ვლინდება მიჩიგანის კორპუსში. მაგალითისათვის, საძიებო ლექსიკური ერთეული *as we can see* ჩვენ მიერ შექმნილ კორპუსში გვხვდება 27 ტექსტში (11.3%), ეთნიკურად არაქართველი სტუდენტების ნაწერებში მოცემული ფრაზეოლოგიზმის რაოდენობა 2-ჯერ მეტია ქართველ სტუდენტთა ნაშრომებში აღმოჩენილ ოდენობაზე. ამის საპირისპიროდ, მიჩიგანის კორპუსში მხოლოდ 1 ტექსტში (0,06%) ვხვდებით მოცემულ ფრაზას; შუალედური კვლევა ცხადყოფს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკა ხშირ შემთხვევაში განზოგადებულია ენის შემსწავლელთა მიერ და ერგება ისეთ კონტექსტებს, რომლებშიც მშობლიურ ენაზე მოსაუბრეები იშვიათად იყენებენ.

მიღებული შედეგების გათვალისწინება უნდა მოხდეს არა მხოლოდ ლექსიკოგრაფების მიერ, რათა გაუმჯობესდეს სალექსიკონო სიტყვა-სტატიები ორენოვანი ლექსიკონების

სათვის, არამედ, პედაგოგიური საქმიანობაშიც, უცხოური ენის შემსწავლელთა ფრაზეოლოგიური რეპერტუარის გასამრავალფეროვნებლად.

The written and oral data of foreign language learners are an infallible resource for determining language competence and linguistic peculiarities. The learner corpus is an important lexicographic deposit by which the linguistic internalization of foreign or second language acquisition is observed. In order to analyze the cases of the actualized word usage in the language, we compile a learner corpus to solve the problem.

In corpus linguistics, the study of the language internalization process is carried out by the comparative method. Learner corpus research also commonly involves comparison of different learner groups. Language transfer is effectively observed by learners of the same target language who speak different first languages.

Sociolinguistic research demonstrated that social variables such as gender, socio-economic status, level of education, social roles, ethnicity or identity have an impact on language use. Not only sociolinguistic approaches deal with the variation in language, but many other branches of linguistics also see it as their task to describe and explain linguistic variation of different kinds.

The purpose of our research is to a) demonstrate the peculiarities of the use of phraseological units and constructions in the English-language academic texts of Georgian and ethnic minority students in a cross-cultural perspective; b) based on statistical measures, which phraseological units are overused or underused in the writings of Georgian and ethnically non-Georgian students; c) to perform a comparative analysis between the corpus we have created and the "control" corpus, of comparable native-speaker linguistic production (in this case - English). In the framework of our research, we use the Michigan educational corpus: the Michigan Corpus of Upper-Level Student Papers (MICUSP); d) Academic texts collected for our learner corpus are grammatically annotated (POS-tagging) and we aim to analyze the lexical material based on the concordance of the corpus.

The relevance of our research topic is determined by the fact that in the Georgian scientific reality, no learner corpus of the English language has been created so far, which is why it was impossible to determine the lexical idiosyncrasy of the language competence of Georgian and ethnically non-Georgian students of English.

The scientific novelty of the work lies in the fact that it is the first time we analyze the textual samples of Georgian and ethnic minority students learning English, which have not been scientifically studied before. The novelty of the work is determined by the fact that the research is the first attempt at linguistic analysis of texts of foreign language learners using modern research methods related to software processing of texts. The research lists, examines and analyzes the language repertoire characteristic of the phraseology.

The research is conducted by a corpus-based methodology and a software infrastructure that allows to research the phraseological data of the students. The quantitative method of the research helped us to study the written data and the metadata, as well as to compare the information found in the research material quantitatively.

Using the statistical measures, we determined the similarities and differences between the groups and to what degree different variables influenced the linguistic phenomenon. The frequency and prevalence of phraseology in both corpora reveal features of over- or under-usage of the items. According to the interim results, in the data of Georgian and ethnically non-Georgian learners of English, a number of phraseological units are overused, but the same lexical units appear with low

frequency in the Michigan corpus. For example, the searchable lexical unit as we can see is found in 27 texts (11.3%), the number of phraseological units in the writings of ethnically non-Georgian students is twice higher than the amount found in the works of Georgian students. In contrast, in the Michigan Corpus we find the mentioned phrase in only 1 text (0.06%); Interim research shows that the semantics of phraseological units is often generalized by language learners and adapted to contexts in which native speakers rarely use them.

The obtained results should be taken into account not only by lexicographers in order to improve lexical word articles for bilingual dictionaries, but also in pedagogical activities to diversify the phraseological repertoire of foreign language learners.

მიხეილ მეფარიშვილი
Mikheil Meparishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakishvili Tbilisi State University/Georgia

შუა საუკუნეების იუდაურ-ქრისტიანული ნარატივი
ქართველი ერის მშენებლობის პროცესში
(XIX საუკუნის მეორე ნახევარი – XX საუკუნის დასაწყისი)
Medieval Judeo-Christian Narrative in the Process of Building the Georgian
Nation (Second Half of the 19th Century – Beginning of the 20th Century)

საკვანძო სიტყვები: გამოჩენის ნახატი, კოლექტიური მეხსიერება, ქართველები ებრაელები, ისტორიის ხეპყვებენაცია, კულტურული წახსუდი

Keywords: Narrative of distinctiveness, Collective Memory, Georgian Jews, Representation of History, Cultural History

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს, რამდენად აისახა შუა საუკუნეების იუდაურ-ქრისტიანული ნარატივი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილ იდენტობის მაშენებელ ტექსტებში. თუ როგორ და რატომ მიიჩნეეს ებრაელები ჩვენ ჯგუფის წევრებად; რომელმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა ამ პროცესზე და რამდენად იყო დაკავშირებული ახლად შექმნილი ნარატივი ქართველების შემოქმედებით ბუნებისა, შუა საუკუნეების იუდაურ-ქრისტიანულ ტრადიციებთან.

საკითხის აქტუალობა. საკითხი აქტუალურია, რამდენადაც აღნიშნული ნარატივები დღესაც აგრძელებენ არსებობას. 2018 წელს საქართველოში ებრაულ-ქართული ურთიერთობის 26 საუკუნოვანი ტრადიციის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ქართულ-ებრაული თანაცხოვრების თაობაზე შექმნილი დოკუმენტები მოგვითხრობენ ამ გამოცდილების უნიკალურობაზე. 26-საუკუნოვანი თანაცხოვრების ნარატივის ფონზე ანტისემიტიზმის გამოვლინებები ჩვენს საზოგადოებაში ცალკეულ გამოვლინებად არის მიჩნეული.

ნაციონალიზმის თეორიისა და კოლექტიური მეხსიერების კონცეფციების შუქზე განხილულია ერის მშენებლობის პროცესში შექმნილ ნარატივებსა და შუა საუკუნეებში შექმნილ ნარატივებს შორის კავშირი.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური თეორია, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო და საზიარო იდეოლოგიასა და თვალსაწიერზე დაფუძნებული მოდერნული ერი, როგორც სოლიდარული ძალა, მანამდე არსებული ეთნიკური იდეებს რამდენიმე ატრიბუტს და ითავისებს მის მითებს, მეხსიერებასა და სიმბოლოებს. სმიტის მიხედვით, პოლიტიკური მომავალი და კულტურული წარსული არის საგანი მოდერნულ სამყაროში ერების შექმნის პროცესის გამოკვლევისა (Smith, 1987). ტექსტების ანალიზისას გამოვიყენეთ ალეიდა ასმანის კულტურული ნიმუშების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, მეხსიერების ქმნალობას აქვს არამხოლოდ განგრძობითი სიცოცხლე (Afterlife)

განმეორებადი ტრანსფორმაციების სახით, არამედ – პრეისტორია, რაც მეხსიერებას ამარაგებს ნიმუშებით (templates), რომლებსაც მამოძრავებელი ძალა აქვს ჩვენს მენტალურ სამყაროში (Assmann, 2015). თვისებრივი შინაარსობრივი ანალიზი ტექსტის დეტალური და სისტემატური შესწავლისა და ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა კონკრეტული შინაარსის, თემების თუ ტენდენციების გამოსავლენად. ტექსტების შექმნა, გავრცელება და გამოყენება სოციალური ინტერაქციის შედეგია, ტექსტური მასალის ანალიზიდან მიღებული დასკვნები კი კონკრეტულ კონტექსტს ასახავს (წულაძე, 2020).

ერის მაშენებელმა მამებმა გააცოცხლეს ძველ ისტორიულ ტექსტებში იუდაურ-ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ნარატივი ბაგრატიონების და ქართლის ღვთივ გამორჩეულობისა, რაც ებრაელებთან, როგორც რჩეულ ერთან, კავშირის იდეაზე გადიოდა. მათ იდენტობის ნარატივები ებრაელებთან საერთო ისტორიას დაუკავშირეს. შესაძლებელი გახდა, რომ ქართველი ებრაელები, ვინც საუკუნეების განმავლობაში სახლობდნენ ქართველების გვერდით, მათთან აკავშირებდათ კულტურული წარსული, საუბრობდნენ ქართულად, ეცვათ ქართულად, ამასთანავე, არსებობდა მეხსიერება ებრაელების ქართლის სამეფოსთან კავშირის შესახებ, მიჩნეულიყვნენ ჩვენ ჯგუფის ნაწილად. ამავდროულად, ქართველმა ავტორებმა მე-19 საუკუნეში გახშირებული ანტისემიტური მღელვარების ფონზე, შეიმუშავეს ნარატივი, რომელიც ანტისემიტურ პოგრომებსა და სისხლის ცილისწამების ფაქტებს რუსეთიდან შემოტანილად მიიჩნევდა, ხოლო საქართველოს იმ ქვეყნად აცხადებდა, სადაც ანტისემიტურ დამოკიდებულებებს ადგილი არ ჰქონია. ეს არის ქართველების ბუნებითი შემწყნარებლობის ნარატივი, რომლის მიხედვითაც, ქართველებმა არა თუ არ დევნეს ებრაელები შუა საუკუნეებში, არამედ ევროპისგან განსხვავებით, მათ არ მოუწყვიათ განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ჯგუფების დევნა. აღნიშნული ნარატივი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ავტონომიის მოპოვების კონტექსტში, მე-20 საუკუნის დასაწყისში, იმის არგუმენტად, რომ ქართველებს არასოდეს უდევნიათ სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფები და ეს არც მომავალში მოხდებოდა. ქართველი ინტელექტუალები იყენებენ კულტურულ წარსულს პოლიტიკური მომავლის შესაქმნელად.

This paper aims at analyzing the extent to which the Judeo-Christian narratives of the Middle Ages were reflected on the identity building texts of 19th and 20th centuries. Particularly, how and why Jews were considered in-group community of the Georgian nation; which political, social and cultural factors influenced this process and how much the newly created narrative about the tolerance of Georgians was linked to the Judeo-Christian traditions of the Middle Ages.

Actuality of the topic. Jewish Georgian 26 Century Old Friendship was registered as a non-tangible cultural heritage monument in 2018. This narrative of peaceful coexistence underestimates, as isolated occasions, particular manifestations of anti-Semitism in modern Georgia.

Scientific novelty. In the light of the nationalism theories and the concepts of collective memory, the interconnectedness of the modern civil and medieval Judeo-Christian narratives is analyzed.

Research methods. The ethnosymbolist theory of nationalism is the theoretical framework of this paper. The modern nation based on a civil and shared ideology and perspective, takes some attributes

from the previously existing "ethnie" and appropriates its myths, memories and symbols. The political future and the cultural past are the subjects of inquiry into the process of nation-building in the modern world (Smith, 1987). Concept of cultural patterns, the creation of memory has not only an afterlife in the form of repeated transformations, but also a prehistory that supplies memory with templates that have a driving force in our mental world (Assmann, 2015) is a tool to analyze the texts. Qualitative content analysis allows a detailed and systematic study and interpretation of the text to reveal specific content, themes or trends (Tsuladze, 2020).

Results of the study. The founding fathers of Georgian nation revived the narratives of divine distinctiveness of Bagrationi royal family based on the Judeo-Christian worldview, which went through the idea of connection with the Jews as the chosen nation. It became possible that Georgian Jews, who lived next to Georgians for centuries, connected their cultural past with them, to be considered part of in-group community. At the same time, against the anti-Semitic excitement in the 19th century, Georgian intellectuals developed a narrative that considered anti-Semitic pogroms and blood libels imported from Russia. This is the narrative of the essential tolerance, according to which Georgians did not persecute Jews in the Middle Ages. This narrative became especially relevant in the context of gaining autonomy at the beginning of the 20th century, as an argument that Georgians had never persecuted other ethnic or religious groups and would not do so in the future. Georgian intellectuals use the cultural past to create a political future.

ლუსი მინიკოზი-ვილენდი

Lucy Minicozzi-Wheeland

ჰარვარდის უნივერსიტეტი/აშშ

Harvard University/USA

დამოუკიდებლობის ფასი: რუსეთის სამომარი მოქმედებებისა და
ოკუპაციის გავლენა ადგილობრივ ქართულ თემებზე
The Price of Independence: Impacts of Russian Warfare and Occupation on
Local Communities in Georgia

საკვანძო სიტყვები: საქართველო, სამაჩაბლო, სამხეთ ოსეთი, ომი, ოკუპაცია, გორი

Keywords: Georgia, Samachablo, South Ossetia, War, Occupation, Gori

Russia's invasion of Ukraine has become one of the most pressing geopolitical issues of the last two years. What many international audiences fail to recognize, however, is that this is not the first time Russia has invaded a neighboring country with imperial intent. In the 1980s, 1990s, and again in 2008, Russia waged wars against Georgia, and it continues to occupy 20% of Georgian territory.

In 2008, Russian forces occupied the small city of Gori and the surrounding villages following its direct military conflict with Georgia. After two weeks of bombardment and occupation, Russia withdrew to the region of South Ossetia, which it still occupies today. The memories of this war and physical reminders, such as bullet holes in buildings, have profoundly impacted these communities. Being so close to the administrative boundary line (ABL) also continues to cause problems for residents. For example, occupying forces have been slowly carrying their barbed-wire fences further into Georgian territory at night. This creeping advance is known as "borderization." It leads to villages, farms, and schools becoming increasingly inaccessible and dangerous for locals, who approach the fence – which sometimes divides their own property – at their own peril, lest they risk kidnapping and detention by Russian forces.

This paper documents the impact of Russian warfare and the illegal occupation of South Ossetia – which is frequently called Samachablo or Tskhinvali Region in Georgia – on Gori and other local communities near the ABL. It draws on the results of a group interview with four students from Gori State University (GSU). One student is from Gori, while the others are from nearby villages – Variani, Kveshi, and Surami, respectively.

Although Russia continues to occupy Abkhazia as well, this paper focuses on Gori and the surrounding villages, which are immediately adjacent to occupied South Ossetia. Further study is required to include more regions of Georgia, which is also critically important work.

The GSU students who participated in this study have similar, vivid memories of the war as children, some of whom described still having trauma and flashbacks due to what they endured. In the years since the war ended and the Russian military withdrew from Gori, all four of the students expressed that their communities had changed. Although much of the physical damage – destroyed houses, broken windows, bullet holes, tank tracks – has slowly been repaired, the psychological impact of the conflict has deeply affected residents. From losing loved ones to traumatic memories to the lasting fear of another Russian incursion, all of these communities have felt the impact of the violence.

While the most heated fighting is over, the war has not ended. It has instead morphed into a slow but ever-progressing seizure of territory by occupying forces. Borderization has directly impacted many of the students. Russian soldiers even seized part of the property belonging to one of the student's family members. Being cut off from loved ones on the other side of the ABL is another common experience for these students and people in their communities. There is also a sense of grief that comes with losing a part of your homeland.

Although the end of the conflict will only come after a full Russian withdrawal and finding common ground with Abkhazia and South Ossetia, the students have hope that grassroots Georgian-Ossetian dialogues and projects could be a way of healing current divisions. Two of the students have participated in dialogues and conferences that bring youth from both sides of the ABL together, and they were overjoyed with what they learned. The people they met from South Ossetia had many of the same concerns and experiences that they have, and they are eager to work together and build connections. While the impact of the war and occupation on these communities is intense, there is much reason to hope for the future.

This paper is a brief look into the memories and experiences of these four GSU students who are affected by Russia's war and occupation of their country. Additional research is required to understand further what life is like for residents of cities and villages immediately adjacent to the ABL and how people interact with the partition dividing their country. Academic studies and reports regarding these communities are essential, as they communicate important insight to the governments responding to these wars.

Policymakers cannot make just policies without empathizing with the people those policies affect. They cannot negotiate with and prosecute perpetrators and invaders without constant awareness of those who have been harmed. Western policymakers, experts, and journalists who seek to support Georgia or Ukraine as they defend themselves against Russian aggression must remember that the conflict has not stopped just because the hottest part of the war is over. Russian occupation, borderization, kidnappings, and other effects of the aggression in Georgia continue.

There are countless other stories like the ones presented in this paper, spread across regions intensely impacted by Russian aggression. From Washington D.C. to Brussels to Tbilisi and Kyiv, policymakers must always consider the human cost of warfare and occupation and the bravery and resilience of those who stand up to it.

ნანა მუქერია
Nana Mukeria

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

არისტოფანეს „ლისისტრატეს“ ტრანსკოდირების ძირითადი ხერხები
სპაიკ ლის ფილმში „ჩი-რაკი“
The Basic Ways of Transcoding Aristophanes' Lysistrata
in Spike Lee's Movie Chi-Raq

საკვანძო სიტყვები: ადაპტაცია, სპაიკი, დისისგჩაგა, კრიტიკა, დი, სექსუალობა, ჟანრი, მოძრაობა
Keywords: Adaptation, Spike, Lysistrata, Critique, Lee, Sexuality, Genre, Movement

საყოველთაოდ ცნობილია, რომ არაერთი მხატვრული ფილმი არსებობს, რომელიც ეფუძნება ანტიკური დრამის, განსაკუთრებით კი – ბერძნული ტრაგედიის სიუჟეტებს. როგორც წესი, რეჟისორებს ხიბლავთ მხატვრულად ინტერპრეტირებული უნივერსალური მითოსური პარადიგმები, რომლებსაც ის ვიზუალური გამომსახველობა თუ მსოფლმხედველობრივი ასპექტები შესძინეს, რომლებიც მათ სოციალპოლიტიკურ კონტექსტსა თუ ესთეტიკურ ხედვას შეესაბამებოდა. ანტიკურ კომედიას, რომელიც მეტწილად მოკლებულია მითოსურ საფუძველს და ძირითადად მიმართულია ანტიკური ეპოქის კონკრეტული პრობლემების მხილებისაკენ, ერთი შეხედვით, თითქოს ნაკლებად უნდა რგებოდა თანამედროვე კინოხელოვანთა ყურადღება, თუმცა არისტოფანეს კომედიები, მათი მარად აქტუალური თემატიკითა და დინამიკური სიუჟეტებით, კარგად მოერგნენ კინემატოგრაფიულ შესაძლებლობებსა და გამომსახველობით ხერხებს. ამ თვალსაზრისით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული ე.წ. „გენდერული რევოლუციის“ კვალდაკვალ, განსაკუთრებით პოპულარული გახდა არისტოფანეს კომედია „ლისისტრატე“, რომლის ეკრანიზაციის არაერთი მაგალითი არსებობს.

უკანასკნელ ხანებში გადაღებულ ფილმებს შორის უდავოდ გამოირჩევა ამერიკელი რეჟისორის, სპაიკ ლის 2015 წლის ფილმი „ჩი-რაკი“ (Chi-Raq; 2015), რომელმაც სკანდალური ხასიათით მაშინვე მიიპყრო მაყურებელთა და კინოკრიტიკოსთა ყურადღება. ფილმში თავიდანვე მითითებულია, რომ მისი სიუჟეტი არისტოფანეს „ლისისტრატეს“ ეფუძნება და ფილმის მთავარ გმირსაც სწორედ ამიტომ, არისტოფანეს კომედიის მსგავსად, ლისისტრატა ჰქვია.

მოხსენებაში შესწავლილია, თუ როგორ „თარგმნის“ სპაიკ ლი არისტოფანეს კომედიის სიუჟეტსა და ძირითად იდეებს კინოხელოვნების ენაზე. კონტექსტური ანალიზისა და შედარებითი მეთოდის საფუძველზე ერთმანეთთან შედარებულია არისტოფანეს „ლისისტრატესა“ და სპაიკ ლის ფილმის „ჩი-რაკი“ ნარატიული და სიუჟეტური სეგმენტები, გაანალიზებულია, რამდენად და რა ფორმით არის ტრანსკოდიფიცირებული ან ტრანსკულ-

ტურიზებული ის ფორმალურ-ესთეტიკური სტრატეგიები თუ საშუალებები, რომლებიც არისტოფანეს კომედიის მთავარ კონცეპტუალურ გზავნილს წარმოადგენს;

საყურადღებოა, რომ, მიუხედავად ფილმის შესახებ არსებული არაერთი რეცენზიისა, ეს საკითხი სისტემურად არ ყოფილა შესწავლილი. როგორც კვლევამ აჩვენა, „ლისიტრატეს“ ტრანსკულტურიზაციის პროცესში სპაიკ ლიმ უფრო მეტად დაუკავშირა ჩიკაგოს ყოველდღიურობის ამსახველი ფილმი ანტიკურ სამყაროს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით იყო მოსალოდნელი. საკითხის შესწავლისას დამატებით გამოიკვეთა, თუ რამდენად მოდერნიზირებულია არისტოფანეს ტექსტის ძირითადი მნიშვნელობა. კვლევისას დადგინდა, რომ ფილმი წარმოადგენს არისტოფანეს კომედიის ნაწილობრივი მოდერნიზაციის მაგალითს. თხზულების ტრანსკოდირებისას, მართალია, ფილმში იცვლება დრო-სივრცული კონტექსტი, მაგრამ შენარჩუნებულია ტექსტის ძირითადი ნარატიული სემანტიკები, მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია სადიალოგო პარტიების ხასიათი, სიმბოლოები, ენა და გამომსახველობითი ფორმები. მოხსენებაში დეტალურად გაანალიზებულია და ერთმანეთთან შედარებულია კომედიისა და ფილმის ძირითადი იდეა, შეტყობინებები, ჟანრობრივი მახასიათებლები, პერსონაჟები, ძირითადი სიმბოლოები და მხატვრული ენის თავისებურებანი. მოხსენებაში შესწავლილია ის ძირითადი განსხვავებები, რომლებიც შეინიშნება სპაიკ ლის ფილმსა და არისტოფანეს კომედიას შორის და ამ განსხვავებათა ძირითადი მიზეზები და მოტივაცია. საყურადღებოა, რომ ფილმში ერთმანეთთან ორიგინალურად თანაარსებობს როგორც თანამედროვე, აქტუალური ამბავი, ისე, ძველი, ე. წ. „უკვდავი“, მარადიული ნარატივი. განსხვავებით არისტოფანესგან, რომელმაც ქალების ყოვლისშემძლეობა დაუშვა საკუთარ ფანტაზიაში, ლიმ ეს ამბავი რეალისტურად, სრულიად შესაძლებლად მიიჩნია. „ჩი-რაკმა“ თანამედროვე მაყურებელი დაუახლოვა ძველ კომედიას, ახალი სული ჩაჰბერა არისტოფანეს ორიგინალურ სიუჟეტს, კომედიოგრაფოსის ფანტაზია რეალისტურ, ტრაგიკომიკურ და ამავდროულად, სატირულ ამბად აქცია და თანამედროვე მაყურებელი დააფიქრა იმ მარადიულ საკითხებზე, რომლებიც თითქმის 2500 წლის წინ აღელვებდა არისტოფანეს თანადროულ ბერძნულ სამყაროს.

It is well known that there are a lot of movies based on the plots of ancient dramas, especially Greek tragedies. As a rule, film directors are fascinated by artistically interpreted universal mythical paradigms to which they usually add the visual expression or worldview aspects that correspond to their socio-political context or aesthetic vision.

Ancient comedy, which largely lacks a mythical basis and is mainly aimed at exposing specific problems of the ancient era, seems at first glance to have received little attention from modern filmmakers. However, Aristophanes' comedies, with their ever-present themes and dynamic plots, have adapted well to cinematic possibilities and expressive methods.

The 2015 film *Chi-Raq* (2015) by the American director Spike Lee undoubtedly stands out among the recent films, which immediately attracted the attention of viewers and film critics due to its scandalous nature. The film indicates from the beginning that its plot is based on Aristophanes' *Lysistrata*, which is why the film's main character is called *Lysistrata*, just like Aristophanes' comedy.

The study examines how Spike Lee "translates" the plot and main ideas of Aristophanes' comedy into the language of film art. Based on contextual analysis and comparative method, the narrative and plot segments of Aristophanes' "Lysistrata" and Spike Lee's film *Chi-Raq* are compared. One of the aims is to define to what extent and in what form those formal-aesthetic strategies or means that represent the main conceptual message of Aristophanes' comedy are modernized.

It is noteworthy that, despite the numerous reviews of the film, this issue has not been systemically studied. As the research has shown, Spike Lee connected the film, depicting the daily life of Chicago, with the antique Greek world more than it was expected at first glance.

When studying the issue, it was additionally revealed how much the basic meaning of Aristophanes' text is modernized. During the research, it was determined that the film is an example of partial modernization of Aristophanes' comedy. While transcoding the works, although the time-spatial context changes in the film, the main narrative segments of the text are preserved along with the dialogue parts; symbols, language, and expressive forms are more maintained. The study analyzes in detail and compares the main idea, messages, genre characteristics, characters, main symbols, and features of the artistic language of the comedy and the film. The study examines the main differences that can be observed between Spike Lee's film and Aristophanes' comedy and the main reasons and motivations for these differences. It is worth noting that in the film both a modern story and an old one, the so-called "Immortal", an eternal narrative, coexist originally. *Chi-Raq* brought the modern audience closer to the ancient comedy, breathed new life into the original story of Aristophanes, and turned his imagination into a realistic, tragicomic, and at the same time satirical story. This way Spike Lee made the modern audience think about the eternal issues that troubled Aristophanes' world almost 2500 years ago.

თამარ ნამგლაძე
Tamar Namgaladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakishvili Tbilisi State University/Georgia

გენდერი და იდენტობის პოლიტიკა საბჭოთა საბავშვო მხატვრულ
ლიტერატურაში
Gender and Identity Politics in the Soviet Children's Literature

საკვანძო სიტყვები: გენდერი, საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა, საბჭოთა იდენტობის პოლიტიკა
Keywords: Gender, Soviet children's Literature, Soviet Identity Politics

იდენტობის პოლიტიკის შესწავლა ზოგადად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია. სწორედ ამიტომ, ის განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს, როდესაც საქმე ეხება იდენტობის მიზანმიმართულ ჩამოყალიბებას გარკვეული იდეოლოგიების ზეგავლენით. საბჭოთა კავშირის იდენტობის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი თვისობრივად ახალი ადამიანის – ჰომოსოციალური ჩამოყალიბება იყო. ეს პროცესი შეეხო გენდერულ საკითხსაც, კერძოდ კი, ქალისადმი დამოკიდებულებას, მის ადგილს სოციალურ გაცხადებაში, რომელიც საბჭოთა კავშირი შედგებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურებისგან. შესაბამისად, განსხვავდებოდა ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულებაც ქალისადმი. ამ შემთხვევაში, საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი კონკრეტული კულტურის ფასეულობებთან ურთიერთქმედებას განიცდიდა. კვლევის მიზანია, უკეთ წარმოაჩინოს, თუ როგორ გადაამუშავა და გამოხატა კონკრეტულმა კულტურამ იდეოლოგიის მიერ „მიწოდებული“ ხატი. ზემოთ დასახელებული მიზნიდან გამომდინარე, მოცემულ კვლევაში შედარებულია საბჭოთა რუსული და ქართული კულტურები (ცენტრი-პერიფერიის კონტექსტში). საკვლევ ერთეულად აღებულია საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა, რადგან მომავალი თაობისთვის კონკრეტული გენდერული ხატების მიწოდება იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს სტრუქტურალიზმი, ხოლო მეთოდს – ნარატივის ანალიზი. კვლევის აქტუალურობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მომავალი თაობის იდენტობის ჩამოყალიბება ყოველი საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია.

საკვლევი პერიოდი მოიცავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს და მთავრდება ბრეჟნევის ეპოქის დადგომით (კვლევაში განხილული ნაწარმოებების თარიღები მოიცავს 1947-1963 პერიოდს: „ვასილ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“ (ოსეევა, 1947-1951), „დაშნა“ (რიბაკოვი, 1948), „ბრინჯაოს ფრინველი“ (რიბაკოვი, 1955-1956), „ათფურცლიანი რვეულები“ (ყიფიანი, 1956), „როცა მთავრდება ბავშვობა“ (ჩხაიძე, 1956), „მოწაფის დღე-ური“, „კორეელი გმირები“ (ნაკაშიძე, 1957) „იყალბოვანი ბიჭები“ (მრელაშვილი, 1957) „უთაური ბიჭის კანას თავგადასავალი“ (იოსელიანი, 1960), „ბორკა, მე და უჩინმაჩინი“ (ტომინი, 1962), ხუთი რობინზონი (კატაევი, 1963)).

შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ ქართული ნაწარმოებების უმრავლესობაში ქალი და/ან გოგო მამაკაცთან ან ბიჭთან მიმართებაშია წარმოდგენილი. ამ კუთხით განსხვავდება ნაკაშიძის ნაწარმოებები, რასაც კონკრეტული მიზეზიც აქვს. როგორც ქართულ, ისე რუსულ ნაწარმოებებში იკვეთება ქალის შემდეგი როლები: 1. მებრძოლი 2. პიონერი, რგოლის ხელმძღვანელი, პიონერხელმძღვანელი 3. დედა.

პირველი – გოგო ან ახალგაზრდა ქალი მებრძოლის როლში ხშირად გვხვდება ომის შემდგომ რუსულენოვან ნაწარმოებებში, ქართულ საბავშვო ლიტერატურაში შედარებით უფრო იშვიათია.

მეორე – პიონერის, რგოლის ხელმძღვანელის ან პიონერხელმძღვანელის როლი ჩვეულებრივია, მაგრამ შეინიშნება ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება – რუსულ ნაწარმოებებში გოგოები ამ როლ(ებ)ში სრულიად სერიოზულად და ანგარიშგასაწევად არიან აღქმულნი, რაც არც ისე ხშირია ქართულში. კვლევაში განხილულ ქართულ ნაწარმოებებში გოგოები ხელმძღვანელის როლში არასერიოზულად, ირონიულად არიან აღქმულნი ბიჭების მხრიდან. ხელმძღვანელი გოგოს დაცინვაც სრულიად დასაშვები და ჩვეულებრივი ქცევაა.

რაც შეეხება ქალის როლს, კვლევაში განხილული ნაწარმოებების მიხედვით (ქართული, რუსული), მოცემული საკითხი უმრავლესობაში ძირითადად მასწავლებლის, დედისა და ცოლის ხატებთან არის გადაჯაჭვული. თუმცა სრულიად განსხვავებულია ხასიათები და მათდამი დამოკიდებულება. რუსულ ნაწარმოებებში ქალის ეს მდგომარეობაც მოიცავს იდეოლოგიურ კონტექსტს (თუნდაც კონკრეტულ იდეოლოგიურ თემებზე საუბრები შვილთან), ხანდახან გარკვეულ სტატუსსაც გულისხმობს სოციუმში. ეს არც ისე ხშირია ქართულ ნაწარმოებებში, არსებობის შემთხვევაში კი, შინაარსობრივ-აზრობრივი დატვირთვა ნაკლებად გამოხატულია.

Research of identity politics is an important topic. Meaning of such research increases when identity politics is controlled by specific ideologies – Soviet ideology in this case. Identity politics of Soviet Union was aimed on forming and shaping a new type of person – Homo Sovieticus. To shape the identity of future generation(s), children were the most important group for manipulations. Literature was one of the effective ways of such influence, therefore, the information given to a child was carefully controlled, defined and manipulated by ideology.

The process included gender topic: constructing social roles for females and one of the ways of reinforcement of these roles was children's literature. However, Soviet Union encompassed different cultures, which means that every culture already had its own definition of gender and women's role in society. As a consequence, the process of forming soviet identity was interconnected with values of every culture it affected discretely. Therefore, the goal of the research is to analyze ideologically affected culture – how did it incorporate the model given by ideology with the values it already embodied. We used narrative analysis as a method of research and structuralism as a framework. The importance of the study is defined by the essence of identity politics – forming and shaping identity is a crucial part of any society, thus studying the methods of influence keeps its significance nowadays.

For better representation of the topic, in the research Soviet Russian and Georgian cultures are compared (Centre-periphery context) by analyzing children's literature. The necessity of such study is

based on the importance of giving next generation certain models of gender in order to alter the process of forming identity.

The literature, analyzed in the research covers the time period from 1947 to 1963. It includes: “Vasyok Trubachev and his Comrades” (V. Oseeva 1947-1951), “The Dirk” (A. Rybakov, 1948), “The Bronze Bird” (A. Rybakov 1955-1956), “Ten-sheet Notebooks” (E. Kifiani, 1956), “When Childhood Ends” (A. Chkaidze, 1956), “The Diary of a Pupil” “Korean Heroes” (N. Nakashidze, 1957), “The Boys from Ikalto” (L. Mrelashvili, 1957), “The Adventure of Kakha” (O. Ioseliani, 1960), “Borka, I and the Invisible” (Y. Tomin, 1963), “Five Robinsons” (P. Kataev, 1963).

The comparison of Russian and Georgian texts shows three roles that are constructed for women: 1. Warrior – girl/woman is often represented as a warrior in Russian children’s texts, but not quite common in Soviet Georgian Children’s literature 2. Pioneer, leader of pioneers – this kind of role for a girl is usual for both Georgian and Russian literature. However, in Russian texts they are taken seriously and respected, while in Georgian texts boys often make fun of them, their opinions ignored or overlooked. 3. Mother, teacher, wife – these are three main roles appointed to a woman. Though there is a difference - in Russian texts women as mothers/teachers still represent soviet ideology (having discussion about ideological topic with children, or status in society); Georgian texts seldom have ideological context for mothers, teachers or wives and even when they have, it shows less intensity or importance than Russian.

The comparison also showed that in Georgian texts woman’s or girl’s character usually is not understood individually, but in connection with man’s/boy’s character. However, there is an exception – stories of N. Nakashidze, and this exception has its own causes.

ირინა ნოზაძე
Irina Nozadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakishvili Tbilisi State University/Georgia

ევგენი ზამიატინის რომანის „ჩვენ“ ქართული თარგმანი და
თარგმანმცოდნეობითი პრობლემები
Georgian Translation of Yevgeny Zamyatin's Novel "We" and the Issues of
Translation Studies

საკვანძო სიტყვები: ზამიატინი, „ჩვენ“, ქართული თარგმანი, თარგმანმცოდნეობითი პრობლემები
Keywords: Zamyatin, "We", Georgian Translation, Issues of Translation Studies

ევგენი ზამიატინის „ჩვენ“ სოციალური ფანტასტიკის ერთ-ერთი ქვეჟანრის – ანტიუტოპიის საუკეთესო ნიმუშია. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ ზამიატინი XX საუკუნის ანტიუტოპიის ჟანრის ფუძემდებლად შეიძლება იქნეს მიჩნეული. საგულისხმოა, რომ მისი ანტიუტოპია წინ უსწრებს ოლდოს ჰაქსლისა და ჯორჯ ორუელის ანტიუტოპიურ ნაწარმოებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზამიატინის „ჩვენ“ საბჭოთა ცენზურის წნეხის ქვეშ მოექცა, საზღვარგარეთული კრიტიკა მას დიდი ინტერესით შეხვდა. მშობლიურ ქვეყანაში კი პოლიტიკურ შეცდომად მიჩნეული რომანი მასობრივი კრიტიკის ობიექტად იქცა. „ჩვენ“ დაწერიდან მხოლოდ 70 წლის შემდეგ დაიბეჭდა რუსეთში. ამ ფონის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ტატა ნიკოლაძისეული პირველი ქართული თარგმანი, რომელიც 2018 წელს გამოიცა. ფაქტობრივად, თანამედროვე ქართველმა მკითხველმა ევგ. ზამიატინი სწორედ ამ თარგმანით გაიცნო.

ევგ. ზამიატინის რომანის „ჩვენ“ და მისი პირველი ქართული თარგმანის ურთიერთშეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე მოხსენებაში თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სფეროსთვის საგულისხმო სხვადასხვა საკითხზე გამახვილდება ყურადღება. ზამიატინი თავის რომან-ანტიუტოპიაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მხატვრულ მახასიათებელთა გამოკვეთას, პერსონაჟთა სიმბოლური სახელდებით დაწყებული და ფილოსოფიური ელემენტების შემოტანით დამთავრებული, ამიტომ, მთარგმნელი მეტად საპასუხისმგებლო გამოწვევის წინაშე დგას.

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის, ერთი შეხედვით მარტივი, ანთროპონიმების გადმოტანის საკითხი. მთარგმნელი ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ რომანის პერსონაჟთა სახელები არ ექვემდებარება ტრადიციული სახელდების პრინციპს და წარმოდგენილია გრაფემებისა (წერის ორგვარი სისტემის გამოყენებით – ლათინური და რუსული ანბანის საშუალებით) და რიცხვების სახით. შესაბამისად, ეს ანთროპონიმები ისე გადმოაქვს, როგორც სახითაც დედანშია წარმოდგენილი. თარგმნისას ამგვარი მიდგომა მოცემული შემთხვევის-

თვის გამართლებულია, რადგან შენარჩუნებულია მწერლის ჩანაფიქრის მკითხველამდე სწორი დატვირთვით მიტანა.

დედნისა და თარგმანის შედარებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი ისეთი საკითხების განხილვას, როგორებიცაა დედნისეული რიტმისა და ინტონაციის თარგმანში წარმოდგენის პრობლემა. საგულისხმოა, რომ ზამიატინი რიტმსა და ინტონაციას მხატვრულ-ემოციური ეფექტის შექმნისთვის განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს, რასაც ხშირად ლაკონიური სინტაქსური კონსტრუქციებითა და წინადადების წევრთა განლაგების თავისებური მეთოდის საშუალებით ახერხებს. მთარგმნელი ამ მიზნის მისაღწევად ითვალისწინებს ქართულ ენაში დადგენილ ნორმებს.

ერთ-ერთი საინტერესო საკითხია დედანში არსებული ტერმინოლოგია, რომელსაც ზამიატინი ან ლათინურად წარმოადგენს, ან ტრანსლიტერაციით, რაც გარკვეული ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურება. მთარგმნელი ცდილობს, რომ ზამიატინის იდეას ფორმა არ შეუცვალოს და მსგავსი ენობრივი ერთეულები მიმღებ ენაში ქართული ენის შესაბამისი დერივატებით უთარგმნელად გადმოიტანოს.

აღსანიშნავია ტროპული მეტყველების რამდენიმე ნიმუშის მიმღებ ენაში გადმოტანის საკითხიც. გარკვეულ გამონაკლისთა გარდა, უმეტეს შემთხვევაში მთარგმნელი იდეურ-შინაარსობრივ სიზუსტეს იცავს.

ეგვ. ზამიატინის რომანის „ჩვენ“ ქართული თარგმანი მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიური ერთეულების გადმოტანის მხრივაც. აღსანიშნავია, რომ ქართულსა და რუსულ ენებში ბევრია აბსოლუტურად ერთი მნიშვნელობისა და ერთნაირი სიტყვებით გამოხატული ფრაზეოლოგიზმები, აქედან გამომდინარე, ქართულ ენაში დედანში დადასტურებული ცალკეული ფრაზეოლოგიზმების ზუსტი ეკვივალენტები მოიპოვება, რაც თარგმნის პროცესს ამარტივებს. ასევე, ვადასტურებთ ისეთ შემთხვევას, როდესაც მთარგმნელი განსაზღვრულ ადგილას ფრაზეოლოგიზმს გვთავაზობს, დედანში კი ის საერთოდ არაა, თუმცა შეინიშნება შინაარსობრივი სიახლოვე, ასე რომ, მწერლის სათქმელი ზუსტადაა გადმოცემული. გვხვდება ისეთი ერთეულებიც, რომლებიც მთარგმნელს ხატოვანი საფუძვლის დაკარგვის გარეშე, მცირედი ლექსიკური ცვლილებით გადმოაქვს, თუმცა, ამასთან, წარმოდგენილია კალკირებული ვარიანტიც, რომელიც ქართულისთვის ხელოვნურია.

ამდენად, ეგვ. ზამიატინის რომანი-ანტიუტოპია „ჩვენ“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. თავისი იდეურ-მხატვრული დატვირთვის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მისი თარგმნა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. დედნისა და ტატა ნიკოლაძისეული ქართული თარგმანის ურთიერთშეპირისპირებითა ანალიზმა გვაჩვენა, რომ თარგმნისას ყოველგვარი ნიუანსის განსაზღვრა-გათვლა ხშირად არც ისე მარტივია. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული თარგმანით, ფაქტობრივად, ერთგვარი საფუძველი შეიქმნა ქართველი მკითხველისთვის აქამდე უცნობი მწერლის – ეგვენი ზამიატინისა და მისი რომანის – „ჩვენ“ აღმოჩენისა და გაცნობისთვის, რაც მომავალში კიდევ უფრო აქტუალურს გახდის მისი შესწავლისა და კვლევის საკითხს.

Yevgeny Zamyatin's "We" is the best example of one of the subgenres of social fiction – dystopia. It is unanimously recognized in the scientific literature that Zamyatin can be considered as the founder of the 20th century dystopian fiction. It is significant that his dystopia precedes the anti-utopian works of Aldous Huxley and George Orwell.

Although Zamyatin's "We" came under the pressure of Soviet censorship, it was met with great interest by foreign critics. In his native country the novel, which was considered as a political mistake, became the object of mass criticism. "We" was printed in Russia only 70 years after it was written. Considering this background, Tata Nikoladze's first Georgian translation, which was published in 2018, has a particular importance. In fact, it was through this translation that modern Georgian readers got to know Zamyatin.

Based on the comparative analysis of Zamyatin's novel "We" and its first Georgian translation, the report will focus on various issues relevant to the field of translation theory and practice. In his anti-utopian novel Zamyatin devotes a special place to highlighting artistic features, starting with the symbolic names of the characters and ending with the introduction of philosophical elements, therefore, the translator faces a very responsible challenge.

The seemingly simple issue of translating anthroponyms creates a special difficulty. The translator takes into account the fact that the names of the characters in the novel are presented in the form of graphemes (using two types of writing systems – Latin and Russian alphabets) and numbers. Accordingly, the translator conveys these anthroponyms in the way they are presented in the original.

While comparing the original and the translation, we paid special attention to the discussion of issues important for the theory and practice of translation, such as the problem of presenting the original rhythm and intonation in the translation. It is significant that Zamyatin gives special importance to rhythm and intonation for the creation of an artistic-emotional effect, which he often achieves through concise syntactical constructions and a peculiar method of arranging sentence parts.

Georgian translation of Zamyatin's novel "We" is also important in terms of translating phraseological units. It should be noted that in Georgian and Russian languages there are many phraseological units with absolutely one meaning and expressed in the same words, therefore, there can be found exact equivalents of individual phraseological units confirmed in Georgian language, which simplifies the translation process.

Thus, Zamyatin's novel-dystopia "We" is an important work in many ways. Due to the complexity of its ideological and artistic content, its translation is a very responsible task. The comparative analysis between the original text and Tata Nikoladze's Georgian translation showed us that it's often not so simple to determine and calculate any nuances during translation. However, it should be noted that the translation, in fact, created a kind of basis for the discovery and familiarization of the previously unknown writer – Yevgeny Zamyatin and his novel "We", which will make the study and research about this writer even more relevant in the future.

ბაია ჟუჟუნაძე
Baia Zhuzhunadze

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია/საქართველო
Tbilisi State Conservatoire/Georgia

მესხური მუსიკალური დიალექტის მრავალხმიანობის საკითხისათვის
For the Issue of Polyphony of Meskhetian Musical Dialect

საკვანძო სიტყვები: მრავალხმიანობა, მულტიკულტურალიზმი, ეთნომუსიკოლოგია
Keywords: Polyphony, Multiculturalism, Ethnomusicology

როდესაც ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე მსჯელობენ, აქცენტი, ძირითადად, მრავალხმიანობასა და მის ურთულეს ფორმებზე კეთდება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მტკივნეული ისტორიული პროცესების შედეგად საქართველოს არა ერთ კუთხეში (გგულისხმობ ისტორიული საქართველოს ტერიტორიებს) საქმე გვაქვს მრავალხმიანი მუსიკალური პრაქტიკის წყვეტასთან. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოხატულება მესხური მუსიკალური დიალექტია, სადაც მრავალხმიანობა მთლიანად ჩაანაცვლა ერთხმიანობამ.

მესხურ მუსიკალურ კულტურაში მრავალხმიანობის ქრობის საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ ლოკალური, არამედ, ზოგადად, ამ პროცესის მსოფლიო მიგრაციებისა და ტრანსკულტურული ტენდენციების კონტექსტში განხილვის თვალსაზრისითაც. უახლესი მონაცემების თანახმად, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს არაერთ წერტილში შეინიშნება მრავალხმიანი სასიმღერო პრაქტიკის დაკარგვის მზარდი ტენდენცია. თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიურ ფორუმებზე ამ თემას საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს, XIX-XX საუკუნის მესხური მუსიკალური ტრადიცია განიხილოს ისტორიულ-ეთნომუსიკოლოგიურ ჭრილში. წარმოაჩინოს ის სოციალურ-კულტურული პროცესები, რომლებმაც ამ ტრადიციაში მრავალხმიანობის ქრობა და მონოფონიურობის გაბატონება განაპირობა.

საკითხის კვლევისას იკვეთება ძირითადი შეკითხვა: რა გახდა საქართველოს ამ რეგიონში უძველესი ავტოქთონური მრავალხმიანი სტილის გაქრობის ძირითადი მიზეზი?

კვლევის ჰიპოთეზა. გაძევების ეს გრძელვადიანი პროცესი ამ კუთხეში ოსმალეთის იმპერიის სამსაუკუნოვან ბატონობასა და მის ისლამიზაციას უკავშირდება, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა კულტურული კონტექსტიც. ოსმალთა ბატონობის ეპოქიდან განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს მესხეთში სომხური კათოლიციზმის კულტურული დომინირება, რომელიც ჯერ ოსმალეთთან, მოგვიანებით კი მეფის რუსეთთან შეთანხმებულ ანტიქართულ პოლიტიკას აწარმოებდა. მესხური მრავალხმიანობა, ერთი მხრივ, თურქული, მეორე მხრივ კი, სომხური მონოდიის გარემოცვაში მოექცა. ეროვნული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით, სურათი კიდევ უფრო დაამძიმა შემდგომში უკვე მეფის რუსეთის მიერ განხორციელებულმა მიგრაციულმა პროცესებმა.

სწორედ ზემოთ განხილული მიგრაციული და კულტურულ-პოლიტიკური პროცესები განდა ავტოქთონური მუსიკალური კულტურის საბოლოო „გაქრობის“ განმაპირობებელი ფაქტორი.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ინტერდისციპლინარული ხასიათისაა, რომელიც აერთიანებს კულტუროლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ეთნომუსიკოლოგიურ, შედარებით, სოციოლოგიურ, ისტორიულ (სინქრონულ და დიაქრონიულ) მეთოდებს.

საკითხის კვლევის ისტორია. 1830-იანი წლებიდან მესხეთი განდა ტერიტორიული დავის მიზეზი მეფის რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის. ეს უთანხმოება მემკვიდრეობით ერგო საბჭოთა კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას. საზღვრისპირა რეგიონის ასეთმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად განაპირობა მკვლევართათვის შეზღუდული ხელმისაწვდომობა რეგიონში სავსელე სამუშაოების ჩასატარებლად. რამდენადაც ამ მხარეში შესვლა მკაცრად კონტროლდებოდა ხელისუფლების მიერ, მესხეთის ეთნოგრაფიული და ეთნომუსიკოლოგიური შესწავლა მხოლოდ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. მესხური მუსიკალური დიალექტის ფუნდამენტური შესწავლა კი 1960-იან წლებამდე ვერ განხორციელდა.

საბჭოთა მმართველობის პერიოდში რეგიონის შესწავლით დაინტერესებული ყველა მკვლევრის მთავარი მიზანი გახლდათ მესხეთში შემორჩენილი წმინდად ქართული პლასტის მოძიება და დაფიქსირება, რეგიონის ზოგად ქართულ კულტურულ კალაპოტში დაბრუნება, რაც იმჟამინდელი სახელმწიფოს პოლიტიკითა და იდეოლოგიითაც იყო ნაკარნახევი. აქედან გამომდინარე, ინტერესს მიღმა დარჩა იმჟამინდელი მესხეთის მულტიეთნიკური და მულტირელიგიური მემკვიდრეობა, რაც დღევანდელი გადასახედიდან ამ კუთხის კულტურულ სიმდიდრეს წარმოადგენდა. ვფიქრობ, ამ სიმდიდრის ფასი კარგად ექნებოდათ გააზრებული თავად მკვლევრებსაც, მაგრამ სტალინიზმის რეპრესიული რეჟიმის დიქტატი ვიწროდ ნაციონალისტური მიდგომებით კვლევას მოითხოვდა.

რა დროიდან ქრება მრავალხმიანობა მესხეთში? მესხური მუსიკალური დიალექტის შესახებ პირველი ფუნდამენტური კვლევის ავტორის, ვალერიან მაღრაძის მიერ 1960-იან წლებში გამოკითხული ექვსი მესხური სოფლის 18 უხუცესი ადასტურებს, 1890-1920-იანი წლების ჩათვლით, მესხეთში ორ და სამხმიანობის არსებობას. მის მიერ დაფიქსირებული აუდიო მასალის უდიდეს ნაწილი მონოფონური სიმღერებია. მრავალხმიანობა აქ მხოლოდ მცირედი ნარჩენებითაა წარმოდგენილი.

რამდენადაც მესხური მუსიკალური დიალექტი დღემდე არ გამხდარა კვლევის საგანი სოციალურ-კულტურული პროცესების ჭრილში, მოცემული მოხსენება საკითხის დასმის პირველი მცდელობაა.

When the discussion concerns Georgian traditional music, the accent is usually made on the polyphony and its most complex forms. Yet, it is also true that, due to painful historical processes, in many regions of Georgia (territories and provinces of the historic Georgia are implied here) we deal with the disappearance of the polyphonic singing practice. The Meskhetian musical dialect can serve as one of the most evident examples, where polyphony has been completely substituted by monophony.

Disappearance of polyphony in the Meskhetian musical culture is a topical issue not only in view of the local context, but also in view of discussions of this process in the context of global migrations and trans-cultural tendencies. According to the most recent data, since the second half of the 20th century in many locations of the world the growing tendency of losing of the polyphonic singing practice is observed. The modern ethnomusicological forums pay great deal of attention to this topic.

During the research, the central question arose: what has become the main cause of disappearance of the most ancient aboriginal polyphonic style in this region of Georgia?

Research hypothesis. This long-term process of the loss of polyphony is connected with a three-century domination of the Ottoman Empire in this part of Georgia, as well as Islamization of the local population. The latter event has made an important impact to the cultural context as well. Together with the epoch of domination of the Turks, the cultural domination of the Armenian Catholicism in Meskheta must be also specially mentioned. The Armenian Catholicism has been actively implementing the anti-Georgian politics well agreed with the politics of Tsarist Russia. The Meskhetian polyphony has found itself, on one hand, in the Turkish entourage, and on the other hand, in the environment of Armenian monody. The situation was worsened by the immigrational processes caused by the hostile politics of Tsarist Russia.

In my opinion, the above-mentioned immigrational and associated cultural-political processes have turned out to be the central factor causing the disappearance of the autochthon musical culture.

Research methodology. The research is interdisciplinary in nature, combining cultural, anthropological, ethnomusicological, comparative, sociological, historical (synchronic and diachronic) methods.

Research history of the issue. From the 1830s Meskheta was the site of a territorial dispute between the Tsarist Russia and Ottoman empires, succeeded by the dispute between the USSR and Turkey. Such a political situation in the border region significantly limited the availability of researchers to conduct fieldwork. As access to this area was strictly controlled by the government, the ethnographic and ethnomusicological study of Meskheta began only in the 1930s. The fundamental study of the Meskhetian musical dialect could not be carried out until the 1960s.

During the period of Soviet power, the main goal of all researchers interested in studying the region was to find and fix the purely Georgian remnants of the Meskheta, to return the region to the general Georgian cultural mainstream, which was dictated by the politics and ideology of the modern state. Therefore, the current multi-ethnic and multi-religious heritage of the Meskheta remained out of interest, which from today's point of view was the cultural richness of this region. I think the price of this richness would be well understood by the researchers themselves, but the dictates of the repressive regime of Stalinism required research with narrow nationalist approaches.

When did Polyphony Disappear in Meskheta? Eighteen elders from six Meskhetian villages, questioned in the 1960s by Valerian Maghradze, the author of the first fundamental study on the Meskhetian musical dialect, certify the existence of two-part and three-part singing in Meskheta by the 1890-1920s. The dominating part of the field recordings are monophonic songs. Polyphony occurs there only in the form of small remnants.

Since the Meskhetian musical dialect has not been the subject of research in terms of social-cultural processes, this report is the first attempt to raise the issue.

მარი სიმონიშვილი
Mari Simonishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

გივი მარგველაშვილის ეთიკური მრწამსი, ანუ როგორ აგრძელებენ
პერსონაჟები სიცოცხლეს
Givi Margwelashvili's Ethical Beliefs or How the Characters Continue their Lives

საკვანძო სიტყვები: გივი მარგველაშვილი, პოსტმოდერნიზმი, მკითხველი, ავტორი, ინტერპრეტაცია
Keywords: Givi Margwelashvili, postmodernism, Reader, Author, interpretation

მხატვრული ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის უსასრულობის პრობლემა ესეთიკის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. „ხელოვნების ნებისმიერი ფორმით გამოვლინება მიეკუთვნება სინამდვილის იმ სფეროს, რომელიც გაგებას მოითხოვს“ (ყულიჯანიშვილი). ფილოსოფიური ჰერმენევტიკა სიცოცხლის ფილოსოფიას უკავშირდება და დღის წესრიგში დგება უკვე გაგების ინტუიციური განცდა; გარემომცველი სინამდვილე ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანს, ეს უკანასკნელი კი თავად იქცევა გამოცანად, ხან შემოქმედის, ხან რეციპიენტის, ხანაც თანაავტორის როლში (ყულიჯანიშვილი).

ცხადია ისიც, რომ კონკრეტული, პრობლემური საკითხის გადაჭრა, ტექსტისმიერი სინამდვილის რომელიმე ასპექტის დეკოდირება არ გულისხმობს საბოლოო ატარაქსიულ განწყობას. იმისთვის, რომ სინამდვილის არსს ჩავწვდეთ, საჭიროა ჯერ ეს სინამდვილე გამოვაშკარაოთ. ამიტომ მკითხველი ერთდროულად ანგრევს და აშენებს სამყაროს, იმ სინამდვილეს, რომელიც თან მზამზარეულია და თან ახლიდან აღმოსაჩენი. ჰაიდეგერის აზრით, „პოეტიკა ნიშნავს გამოღებას, გამოაშკარავებას შექმნის, შემოქმედების თვალსაზრისით“ (ყულიჯანიშვილი).

გივი მარგველაშვილის პერსონაჟებისთვის მკითხველს, თავად წაკითხვის პროცესს მოაქვს სინამდვილის შემეცნების განცდა. მათი გაგებით ტექსტისმიერი რეალობა შორსაა იმ „რეალობისგან“, რომელიც წიგნის ყდებს მიღმაა, ამიტომ ებრძვიან მუდამ ამ ფატალურ მოცემულობას და სურთ, შეცვალონ ის დეტერმინირებული სიუჟეტი, დიქტატორმა ავტორმა რომ შექმნა მათთვის.

ჩაკეტილი, მოჯადოებული, თემების გამხსნელია გივი მარგველაშვილი და ამიტომაც მისი პროზა დაუმორჩილებლობის ნამდვილი მანიფესტი. მისი შემოქმედების – რომანების, მოთხრობების, მინიატიურების, პიესების, ფილოსოფიური თუ ენათმეცნიერული თხზულებების მთავარი თემა ყოფიერებასა და მუნყოფიერებას შორის ორთაბრძოლა, მცდელობა, გადაწყვეტილება, შემართება, დაუცხრომლობა და მუდმივი მზაობაა – განწყობა იმისა, რომ ლიტერატურულად „ითამაშო“. შილერი ხომ ადამიანის თანდაყოლილ ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებებს მესამესაც უმატებდა და მიიჩნევდა, რომ თამაში თვითონ კი არის არასე-

რიოზული, თუმცა სერიოზულ როლს ასრულებს. თამაშის დროს ადამიანი არის შინაგანად თავისუფალი და, ამასთანავე, თავისუფალი ბუნებრივად.

ნაირა გელაშვილი აღნიშნავს, რომ გივი მარგველაშვილის წიგნის სამყაროს თავისი კანონები აქვს, მწერლის მთავარი იარაღი შემოქმედებით ფანტაზიასთან ერთად ფილოსოფიური სიზუსტე და თანმიმდევრობაა. ეს გულისხმობს იმას, რომ თუ რეალურად ერთი კონკრეტული ადამიანის დაბადება ქმნის მხოლოდ ერთჯერად ისტორიას, წიგნის გმირის ცხოვრება მარადიულობასთანაა წილნაყარი და მისი სიცოცხლე დამოკიდებულია სხვაზე, მკითხველზე, რადგან ეს უკანასკნელი უბერავს გმირებს სულს. შესაბამისად, მარადიულ წრებრუნვას ემორჩილება ლირიკული გმირი და უსასრულოდ ელის წამკითხველს (გელაშვილი).

გივი მარგველაშვილი კარგად იცნობს ფუკოსა და დერიდას ფილოსოფიურ კონცეფციას. სწორედ, რომ ნიშანი, კვალი, ცნობიერების შეცვლაა ის მთავარი კონცეპტები, ასე რომ ერწყმიან ერთმანეთს დერიდას ფილოსოფიასა და მარგველაშვილის ინტერპრეტირებულ ტექსტში.

„გივი მარგველაშვილის ნაწარმოებები იძლევა საშუალებას, გადამერს თუ დავესესხებით, უფრო ღრმად შევიდეთ წიგნისმიერ რეალობაში, უფრო მივუახლოვდეთ დამალულ ჭეშმარიტებას, რათა კოდები მოვხსნათ იმ ქმნილებას, რომელიც თავისთავში ატარებს ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას; ამისთვის საჭიროა სათანადო ფონური ცოდნა და ენის შეგრძნება, იმ ენისა, რომელიც ყოფიერების სახლად და ჭეშმარიტი ურთიერთობების – ავტორისა და მკითხველის საშუალებად ქცეულა. მარგველაშვილი წიგნის გმირების მხსნელად იქცევა, მათ ყოფიერებას იკვლევს და მიიჩნევს, რომ ადამიანები ტექსტით ვართ განსაზღვრულები. ყველა დიდი რომანი, რომელიც მისი ხელიდან გამოვიდა, სწორედ, რომ წიგნის გმირების განსაკუთრებული თვისებების კვლევას ეძღვნება. „ეს არის გივი მარგველაშვილის ერთ-ერთი ძირეული შეგრძნება და აზრი, მისი პოეტიკის ბირთვი: ყველაფერი ტექსტია: სამყაროც, ისტორიაც, ადამიანიც; დაწერილი ტექსტები (წიგნები) ხშირად სხვა ტექსტებს: რეალურ ისტორიას, ადამიანთა ბედისწერებს, კაცობრიობის გზას განსაზღვრავენ. ადამიანი სამყაროში, ისტორიაში, ქვეყანაში – ეს არის ტექსტი ტექსტებში“.

The problem of infinity of understanding and interpretation of the artistic text plays an important role in the history of aesthetics. "The manifestation of art in any form belongs to the field of reality that requires understanding" (Kulijanishvili 2006:301). Philosophical hermeneutics is related to the philosophy of life, and the intuitive feeling of understanding is already on the agenda; The surrounding reality puts a person in front of new challenges, and the latter itself becomes a riddle, sometimes in the role of a creator, sometimes a recipient, sometimes a co-author (Kulijani-shvili A., Aesthetics, vol., Meridian, 2006).

It is also clear that solving a specific, problematic issue, decoding any aspect of textual reality does not imply a final ataraxic mood. In order to understand the essence of Sinadvil, we need to reveal this reality first. That's why the reader simultaneously destroys and builds the world, the

reality that is ready to be discovered at the same time. According to Heidegger, "poetics means extraction, exposure from the point of view of creation" (Kulijanishvili 2006: 311).

For the characters of Givi Margwelashvili, the reading process itself brings the feeling of knowing the truth to the reader. In their understanding, the reality of the text is far from the "reality" that is behind the book covers, so they always struggle with this fatal fact and want to change the deterministic plot that the dictatorial author created for them.

Givi Margwelashvili is closed, enchanted, the opener of topics and that is why his prose is a real manifesto of defiance. The main theme of his creations - novels, short stories, miniatures, plays, philosophical or linguistic works - is the battle between existence and non-existence, effort, decision, attitude, unyieldingness and constant readiness - the mood to literally "play". He added a third to spiritual needs and considered that the game itself is frivolous, although it plays a serious role. During play, a person is free internally and at the same time free naturally.

Naira Gelashvili points out that the world of Givi Margwelashvili's book has its own laws, the writer's main weapon is creative imagination along with philosophical accuracy and consistency. This means that if in fact the birth of one particular person creates only one-time history, the life of the hero of the book is shared with eternity and his life depends on someone else, the reader, because the latter breathes life into the characters. Accordingly, the lyrical hero obeys the eternal cycle and endlessly waits for the reader (Gelashvili N., "I am the hero of the book," Tb., Georgian edition, Aloni LLC, 2018).

Givi Margwelashvili is well acquainted with the philosophical concept of Foucault and Derrida. The sign, trace, change of consciousness are the main concepts, so they merge with each other in Derrida's philosophy and Margwelashvili's interpreted text.

Givi Margwelashvili's works allow us, if we borrow from Gadamer, to go deeper into the reality of the book, to get closer to the hidden truth, in order to remove the codes from the creation that carries information of interest to us; For this, proper background knowledge and feeling of the language is needed, the language that has become the house of existence and the means of true relationships - author and reader. Margwelashvili becomes the savior of the heroes of the book, examines their existence and believes that we are defined by the text. All the great novels that came out of his hands are dedicated to the study of the special qualities of the characters of the book. "This is one of Givi Margwelashvili's basic feelings and thoughts, the core of his poetics: everything is a text: the world, history, and man; Written texts (books) often define other texts: real history, destinies of people, the path of humanity. Man in the world, in history, in the country - this is a text within texts".

თინათინ სოზიაშვილი
Tinatin Soziashvili

დამოუკიდებელი მკვლევარი/საქართველო
Independent Researcher/Georgia

ასურელები საქართველოში: იდენტობის თანამედროვე გამოწვევები
(სოფელ ქანდის მაგალითზე)
Assyrians in Georgia: Current Challenges for the Identity
(the Case of the Village Kanda)

საკვანძო სიტყვები: კულტურული ნაციონალიზმი, ეთნოსიმბოლიზმი, იდენტობა, ეთნოკლასიკალიზაცია, იდენტობის პრობლემები, ასიმილაცია

Keywords: Cultural Nationalism, Ethnosymbolism, Identity, National Minority, Identity issues, Assimilation

მოხსენებაში განხილულია სოფელ ქანდაში მცხოვრები ასურელი მოსახლეობის თანამედროვე ყოფა, თუ რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგას მათი კულტურული თვითმყოფადობა საქართველოში, ასურელების მიერ საკუთარი მომავლის ხედვა, ქართულ საზოგადოებასთან ასურელთა ინტეგრაციის ხარისხი, როგორია მიმართება საერთო სამოქალაქო იდენტობასთან?

სოფელი ქანდა მდებარეობს ქართლში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანის თემში. მცხეთის რაიონში არსებობს ორი ქანდა, პატარა, რომელიც ეთნიკურად ქართველებით არის დასახლებული და ძველი ქანდა, რომლის ძირითადი მოსახლეობა ასურელია. ჩემი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს ძველი ქანდა. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელ ძველ ქანდაში ცხოვრობს 1106 ადამიანი, ასურელების ხვედრითი წილი კი 58,7% შეადგენს. აქ მცხოვრები ასურელების უმეტესი ნაწილი ქრისტიანული აღმსარებლობისაა. მათი სამეტყველო ენა ქართულია, ასურულ ენას კი საოჯახო ენის სტატუსი ჰქონდა. თუმცა, მათი აქტიურობის შედეგად, 2016-2017 წლებში ასურული ენის სწავლება დაიწყო სკოლებშიც. ასურელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გარე სამუშაოზე შრომით (მაგალითად, ხელოსნობა) ირჩენს თავს, ხშირია უცხოეთში მიგრაციული პროცესებიც, თუმცა კოვიდ პანდემიის პერიოდში ბევრი მათგანი შინ დაბრუნდა. ასევე, აქვთ მცირე მეურნეობები, რომლის განვითარებასაც ხელს უშლის სარწყავი არხების უქონლობა. მოსახლეობა უჩივის უწყლობას, უმუშევრობასა და დემოგრაფიულ პრობლემას.

კვლევის ძირითად თეორიულ საყრდენს ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური თეორია წარმოადგენს. იგი თავის ფოკუსში აქცევს იმ ეთნოსებს, რომლებიც მიისწრაფვიან საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ. როგორც ენტონი სმითი აღნიშნავს, თვითგანსაზღვრისა და საკუთარი ადგილის ძიების პროცესი ნაციონალური იდენტობის გასაღებია, რომელსაც გაზიარებული უნიკალური კულტურის მეშვეობით ვაცნობიერებთ. სწორედ ასეთი მაგალითია სოფელი ქანდა და მისი ასურელი მოსახლეობა. ეთნოსიმბოლისტური თეორიის ჭრილში ქანდის ასურელი მოსახლეობის პრობლემათა განხილვისას, ყურადღება გავამახვილე ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა მათი საერთო კოლექტიური მენსიერება, ღი-

რებულებები, ტრადიციები, სენტიმენტები, მითები და სიმბოლოები, რამაც მომცა მათი კულტურული მახასიათებლებისა და ღირებულებების უკეთ გააზრების შესაძლებლობა.

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება სოფელ ქანდაში ჩატარებულ სავსელ სამუშაოებს. ასურელების კულტურის ელემენტების უკეთ გასაცნობად გამოვიყენე დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდი. არაფორმალური ინტერვიუების მეთოდით, შევეცადე შემეგროვებინა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენად ინარჩუნებენ საკუთარ ტრადიციებს, ენას, იდენტობას და რა გამოწვევების წინაშე დგანან. მეორეული ანალიზის მეთოდით დავამუშავე ასურელებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. ინტერნეტ სივრცეში არსებული სტატიები და რეპორტაჟები კი, შინაარსობრივი ანალიზის მეთოდით გავანალიზე.

კვლევამ აჩვენა, რომ ქანდელი ასურელები ინარჩუნებენ თავიანთი ისტორიული სამშობლოსადმი მიკუთვნებულობის განცდას, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ქანდაში მივევლინა ეთნიკურად ასურელი მოძღვარი. მისმა გამოჩენამ საზოგადოება უფრო მეტად შეკრა და გააერთიანა, გაზარდა მორწმუნეთა რაოდენობა და გააღვივა საკუთარი ენისადმი ინტერესი. სწორედ ენისა და რელიგიის, როგორც მთავარი მარკერების, საფუძველზე განსაზღვრავენ ისინი საკუთარ იდენტობას. ამავე დროს, მათ აფიქრებთ ასურული ენის შენარჩუნების პერსპექტივა. ქართულ საზოგადოებასთან ასიმილაციის გზაზე დამდგარმა ასურელებმა, საკუთარი იდენტობის შენარჩუნების ძირითად საშუალებად ენა მიიჩნიეს. ისინი მადლობელნი არიან ქართული საზოგადოებისა, რომელმაც ასურელები მიიღო, მაგრამ არ ივიწყებენ საკუთარ წარმომავლობას. კვლევის შედეგების მიხედვით, ეს არის ეთნიკურ-ენობრივი უმცირესობა, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს საკუთარი ლინგვისტიკური, ეთნიკური და რელიგიური მახასიათებლები.

The paper discusses modern life of the Assyrian population of the village Kanda with the aim to answer the following questions: What are the main challenges for Assyrian cultural identity in Georgia? How do the Assyrians' see their own future? To what degree are they integrated into the Georgian society and what is their understanding of the shared civil identity?

The village Kanda is located in Kartli, the municipality of Mtskheta, the community of Mukhrani. There are two villages under this name in the region: the smaller one, which is populated by ethnic Georgians, and the old Kanda, where Assyrians comprise 58.7% of the population. The aim of my study is the village of Old Kanda. Most of the Assyrians living there are Christians. Their spoken language is Georgian, and the Assyrian language represents the family language. However, as a result of their activity, beginning from 2016-2017, Assyrian language is taught in schools as well. The majority of Assyrians depend on outside employment (e.g. craftsmanship) to survive. The migration processes abroad are still common, although many Assyrians returned home during the Covid pandemic. They have small farms as well, but their development is hindered by the lack of irrigation channels. The population complains about lack of water, unemployment rate and demographic issues.

The ethnosymbolist theory of nationalism serves as the theoretical framework of my study. It focuses on ethnic groups which aspire to maintain their unique identity. The process of self-determination and finding one's place in the broader society is essential to form a sense of national identity, which is manifested through the shared culture. I refer to the ethnosymbolist theory to analyze

the challenges which are faced by the Assyrian community in Kanda, focusing on the issues of shared collective memory, values, traditions, sentiments, myths, and symbols. This enables to better comprehend their cultural values and characteristics.

The paper is based on the field work conducted in the village Kanda. I used the method of observation and survey design in order to grasp the elements of Assyrian culture. Using the method of informal interviews, I tried to learn more about the challenges of Assyrian identity, their traditions and language. The method of secondary analysis was employed for comprehending the academic writings on the Assyrians. Finally, content analysis method was used for processing the articles and documentary videos that are available online.

According to my research, the Assyrians of Kanda still maintain a sense of connection to their ancient homeland, which has strengthened since an ethnic Assyrian priest moved to the village. His arrival reinforced and consolidated the community, increased the number of believers, and gave an impetus to the interest toward their native tongue. Language and religion are the main markers of Assyrian identity. They believe that language was the primary means of preserving their identity as they moved toward assimilation with the Georgian society. The study reveals that Assyrians represent an ethno-linguistic minority that strives to maintain its linguistic, ethnic, and religious distinctiveness.

ნატო სონღულაშვილი Songhulashvili Nato

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakishvili Tbilisi State University/Georgia

განათლება და ეროვნული იდენტობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) Education and National Identity in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)

საკვანძო სიტყვები: ეროვნული, საქართველო, განათლება, იდენტობა
Keywords: National, Georgia, Education, Identity

1918 წელს 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თუმცა სხვა მრავალი პრობლემის მოგვარებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა განათლების რეფორმას. 117 წლის მანძილზე რუსული განათლების სისტემამ უარყოფითი კვალი დააჩნია ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და ამიტომ აღნიშნული მოვლენის ქართულ რეალობაზე მორგება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა. განათლების როლი და ფაქტორი საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და ამა თუ იმ საუკუნეში ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე საზოგადოების ცნობიერების ფორმირება-განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა. იმ პერიოდში, როდესაც საგანმანათლებლო სივრცეს უურადღება მიექცა და სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს არა მხოლოდ განათლების მიცემის, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ფუნქცია მიენიჭა, საქართველო ამ ყოველივეს განსხვავებულ რეალობაში ხვდება. რუსული მმართველობის სისტემა განათლებას მაქსიმალურად იყენებდა ქართველი ხალხის გარუსებისა და გარდაქმნისათვის. სწორედ ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ თუ კულტურულ ელიტას ორმაგი საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებასთან ერთად, საგარეო თუ საშინაო პრობლემების გადაჭრის ფონზე, განათლების რეფორმა ქვეყნის ამოსავალი პრინციპი გახდა.

ბუნებრივია, განათლების პრობლემით დაინტერესება მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი და ამ ყოველივეს გარკვეული წინაპირობები გააჩნდა. დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში იწყება სრულიად ახალი ეტაპი, რაც გულისხმობდა განათლების მასშტაბის განსაკუთრებულ გაზრდას და, რაც მთავარია, მის ხელმისაწვდომობას ყველა სოციალური ფენისათვის. განათლების გავრცელების საშუალებებს და მეთოდებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი მასობრიობის საკითხი იყო. სწორედ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება საგანმანათლებლო ცენტრების რაოდენობის გაზრდა, განათლების ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა, მისი დაკავშირება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ წინსვლასთან, ეროვნული ცნობიერების ამღვებასთან.

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული 1918 წლამდე მაქსიმალურად ცდილობენ ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენლები, დამოუკიდებლო-

ბის არქონის, რუსიფიკაციის პირობებში ქართული საზოგადოების ეროვნულ ფორმებში მოქცევას განათლების მეშვეობით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია თერგდალეულების მუშაობა ეროვნული თემატიკის აქტუალიზებაში. როგორც უკვე აღვნიშნე, რუსული მმართველობის პირობებში შეზღუდული იყო საგანმანათლებლო სისტემის გააქტიურებაზე ზრუნვის აფიშირება და ქართული საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მიზანმიმართულად ზრუნავდა ამ პრობლემის მოგვარება-განვითარებაზე უფლებაშეკვეცილი იყო. 1918 წლიდან ამ მიმართულებით სრულიად ახალი ეტაპი იწყება. პირველი რესპუბლიკის პერიოდი ერთ-ერთი რთული მონაკვეთია საქართველოს ისტორიაში. ერთი მხრივ, ყალიბდება და, მეორე მხრივ, ვითარდება ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური ფორმები, რომლის უპირველეს გამოხატულებას წარმოადგენდა განათლებული და საკუთარი ქვეყნის ისტორიის მცოდნე საზოგადოება. როგორც უკვე აღვნიშნე, XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესი განათლებული და ნაციონალური იდეის შეგნებით განმსჭვალული საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ იყო მიმართული. ამ პროცესების ლოგიკური გაგრძელებაა 1918-1921 წლებში მიმდინარე მოვლენები. დამოუკიდებელმა საქართველომ გეზი დასავლეთზე აიღო და მისი მიზანი გახდა ქვეყნის სხვადასხვა სფეროს ევროპეიზაცია და მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა განათლების ფაქტორმა.

It is true that on May 26, 1918, the state independence of Georgia was restored, but along with the solution of many other problems, one of the important places was occupied by the educational reform. For 117 years, the Russian educational system had a negative impact on Georgian national consciousness, and therefore, the adaptation of this occurrence to the Georgian reality was a matter of state importance.

The role and factor of education always occupied a special place in Georgia and had a great influence on the formation and development of public consciousness due to the challenges of the epoch. In the period, when attention was paid to the educational space which acquired besides the educational also the national and state importance. Georgia met those challenges in a different reality. The Russian governmental system maximally used education for the Russification and transformation of the Georgian people. That is why the political or cultural elite that came to power after the restoration of state independence was given a dual mission of responsibility. With the resolution of issues of state importance, educational reform became the key point for the resolution of foreign or domestic problems in the country.

Naturally, the interest in the problem of education was not limited to the leadership of the Democratic Republic of Georgia, and all this had certain preconditions. It should be indicated that from the 1860s a completely new stage of development began implying the raise the scale of education and, most importantly, its accessibility for all social strata. One of the most important methods of disseminating education was the increase in educational centers, raising the education factor to the forefront, its connection with economic, political, cultural progress, raising national awareness.

From the second half of the XIX century until 1918, the representatives of the Georgian political and cultural elite tried their best to convert the Georgian society to the national forms in the conditions of lack of independence and Russification through education. After the restoration of state independence, the education factor acquired a new dimension, as evidenced by the material discussed above.

იხინე საგანელიძე
Irine Saganelidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

სახელმწიფო მიდგომები და კულტურული მრავალფეროვნების
საკითხები (ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის
მაგალითზე)

State Approaches and Issues of Cultural Diversity
(Museum of Folk and Applied Arts)

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, მიდგომები, მრავალფეროვნება, გამოყენებითი, ეთნიკური
Keywords: State, Approaches, Diversity, Applied, Ethnic

მულტიკულტურულ საქართველოში ისტორიულად კულტურული მრავალფეროვნება ქართული ყოფისა და კულტურის უმთავრესი და განმსაზღვრელი მახასიათებელი იყო. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ისტორიულ წარსულშიც და, განსაკუთრებით, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სახელმწიფოთა მიერ კულტურის პოლიტიკის შემუშავების სავალდებულოდ დადგენის შემდეგ, საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული ვექტორი სწორედ კულტურული მრავალფეროვნების დაცვის სახელმწიფო მიდგომაა. ამის ერთგვარი დემონსტრირებაა ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, რადგან აქ დაცული საქართველოს მკვიდრი არაერთი მცირე ეთნოსის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები არაა მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატები, რომლებიც მოგვითხროს მათი შემქმნელი ეთნოსის შემოქმედებით პოტენციალზე, არამედ ისინი წარმოაჩენს სახელმწიფოს მიდგომას მცირე ეთნოსთა კულტურის დაცვა-განვითარებისადმი. მცირე ეთნოსთა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა შექმნა და მუზეუმში განთავსება უკავშირდება კავკასიის კუსტარულ-კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტსა (1899-1926) და მის სამართალმემკვიდრე ინსტიტუციებს – კავკასიის შინამრეწველობის მუზეუმსა (1911) და ამჟამინდელ ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს (1960), რომელიც დღეს ხელოვნების სასახლის შემადგენლობაშია.

ჩვენი სამეცნიერო კვლევის მიზანი ამ უაღრესად საინტერესო პრეისტორიის მქონე მუზეუმში დაცულ ეთნიკურ უმცირესობათა მიერ შექმნილი ტრადიციული ხელოვნების ნიმუშთა მეშვეობით წარსული და თანამედროვე სახელმწიფო მიდგომების კომპლექსური კვლევაა. საკითხის აქტუალობას ზრდის დღეს მსოფლიოში უფლებადაცვითი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად მცირე ეთნოსთა უფლებების, მათ შორის, კულტურული უფლებების დაცვა. ამ მუზეუმის კუთვნილ მცირე ეთნოსთა კულტურის ექსპონატების სახელმწიფო პოლიტიკის ჭრილში შესწავლა ჯერ ამ მომხდარა. ამიტომაც ჩვენი კვლევა, ამ თვალსაზრისით, მეცნიერული სიახლეა. კვლევის მეთოდად, მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, უმთავრესად, არჩეულ იქნა ისტორიული რეკონსტრუირების მეთოდი, ასევე – ანალიზი და სინთეზი. მათი მეშვეობით არა მხოლოდ მოვახდინეთ ცალკეული მცირე ეთნოსის წარმო-

მადგენელთა მხატვრული ნიმუშების მუზეუმში მოხვედრის ისტორიის რეკონსტრუირება, მათი მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულების მოკლე დახასიათება, არამედ, უწინარესად, გავანალიზეთ სახელმწიფო ეთნოკულტურის პოლიტიკა, რამაც განაპირობა მცირე ეთნოსთა კულტურის არცთუ უმნიშვნელო რაოდენობის ნიმუშთა სამუზეუმო ექსპონატებად ქცევა. კვლევის საბოლოო შედეგად განისაზღვრა მცირე ეთნოსთა მიერ შექმნილ ექსპონატთა განხილვის შემდგომ სამეცნიერო სივრცეში მათ შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება, რაც პირველად სახელმწიფო მიდგომების კვლევისა და წარმოჩენის შესაძლებლობას მოგვცემს.

მუზეუმში დაცულ მცირე ეთნოსთა კულტურული მემკვიდრეობიდან ყურადღება არსებითად შეჩერდა აზერბაიჯანულ, სომხურსა და დაღესტნურზე, რათა მათს მაგალითზე მოგვეხდინა მცირე ეთნოსთა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დახასიათება, და რაც მთავარია, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კულტურული მრავალფეროვნებისადმი ცვალებადი სახელმწიფო ეთნოკულტურის პოლიტიკის მიმოხილვა. კავკასიაში, მათ შორის, საქართველოსა და მსოფლიოში განთქმული ლითონზე კვეთის ტრადიციული დაღესტნური ხელოვნება ამ მუზეუმში წარმოდგენილია ყუბაჩური ლითონმქანდაკელობის ცნობილი ოსტატის, მანაბა მაგომედოვას (1928-2013), დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავი ნაკეთობებით. მისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე (7 წლიდან ცხოვრობდა თბილისში), იგი ეზიარა ყუბაჩურთან ერთად ლითონზე კვეთის ქართულ ხელოვნებას. ამიტომ მისი ხელოვნება ამ ორი ეთნოსის კულტურის ერთგვარი სინთეზია. ქართულ კულტურასთან თანაზიარობის მეორე მაგალითია კარაპეტ გრიგორიანცი (1866-1943), განჯის გუბერნიაში დაბადებული და გაქართველებული, თვითნასწავლი სომეხი შემოქმედი (მთარგმნელი, ავტორი ჩვენამდე მოღწეული ორიგინალური პროზისა – „ძველი თბილისის იშვიათი ამბები“) - ლიტერატორი და მხატვარი, რომლის პორტრეტები და ნატურმორტები ცხადყოფს, რომ იგი თბილისელ მხატვართაგან ერთ-ერთი უკანასკნელია, ვინც მოახერხა, ხელოსნურ პროფესიონალიზმთან ერთად შეენარჩუნებინა პრიმიტივისათვის სახასიათო თვითმყოფადობა. განსაკუთრებულია ამ მუზეუმში ხვედრითი წილი აზერბაიჯანული ხალიჩებისა, რადგან მათ დასამზადებლად ჯერ კიდევ შინამრეწველობის კომიტეტის შექმნის დროიდან დაარსდა სპეციალიზებული სახელოსნოები, მოეწყო ექსპედიციები ისტორიულ აზერბაიჯანში, მხატვრები ქმნიდნენ ხალიჩათა ფერად ესკიზებს, რომელთა მიხედვით სახელოსნოებში, ძირითადად, აზერბაიჯანელ მქსოველთა მიერ იქსოვებოდა ხალიჩები შინამრეწველობის კომიტეტის დაკვეთით ან გასაყიდად, ან, პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო გამოფენებზე გასატანად. მათი უმრავლესი ნაწილი კი დღეს მუზეუმშია დაცული.

Historically, cultural diversity in multicultural Georgia was the most important and defining feature of Georgian existence and culture. Based on this, after establishing the mandatory development of cultural policy by the state since the 60s of the 20 century, one of the priority vectors of the state policy in Georgia has been the state approach to the protection of cultural diversity. The exhibits of the Museum of Folk and Applied Arts demonstrate samples of the cultural heritage of a number of small ethnic groups of Georgia and their creative potential. It also represents the state's approach to the

protection and development of the culture of small ethnic groups. The creation of decorative-applied art pieces of small ethnic groups and their arrangement and disposition in the museum is connected with the Caucasian Craftsmen Committee of Handicrafts (1899-1926) and its legal successor institutions - the Caucasian Home Handicrafts Museum (1911) and the present-day Museum of Folk and Applied Arts (1960) which today is part of the Palace of Arts.

The aim of our scientific research is a complex study of past and present approaches of the state through traditional art pieces which were created by ethnic minorities and are preserved in the museum. The urgency of the issue is increased by the protection of rights of small ethnic groups, including cultural rights, as one of the priorities of human rights protection activities in the world. The study of the exhibits of the culture of small ethnic groups of this museum, in terms of state policy, has been carried out only recently. Our research, from this point of view, is scientific innovation. Based on the specificity of the material, the historical reconstruction method as well as analysis and synthesis, were chosen as the research methods.

As a final result of the research, it was decided to record the information about the exhibits in the scientific space, which will give the opportunity to study and present the state's approaches for the first time.

The special attention was focused on Azerbaijani, Armenian and Dagestan cultural heritage that characterizes metal carving, decorative and applied arts of small ethnic groups. The famous traditional Dagestan art of metal carving is represented by works of decorative and applied art of the famous master of Kubachi metal work- Manaba Magomedova(1928-2013) who shared the Georgian art of metal carving with Kubachi. Karapet Grigoriant (1866-1943) was a self-taught Armenian writer and artist (translator, author of the original prose "Old Tbilisi's Rare News"). His portraits and still lifes preserve originality and professionalism. The Azerbaijani carpets in this museum are special, they were woven in the workshops for sale and participating in international exhibitions.

ანტიკურ კულტურაში დამკვიდრებული „სიმპათიის“ ინტერდისციპლინური
კონცეფცია პტოლემეაიოსის „ოთხწიგნულში“
The Interdisciplinary Term “Sympathy” in Classical Antiquity and its Use in
Ptolemy’s “Tetrabiblos”

საკვანძო სიტყვები: სიმპათია, ელინისტური ასტროლოგია, პტოლემეაიოსი, ანტიკური მედიცინა,
სტოიკური კოსმოლოგია

Keywords: Sympathy, Hellenistic Astrology, Ptolemy, Ancient Medicine, Stoic cosmology

თანამედროვე სამყაროში ცნება „სიმპათია“ ემპათიის სინონიმად გამოიყენება. ძველ ბერძნულად კი συμπάθεια ნიშნავდა თანაგანცდას, „ერთობლივი განცდის მდგომარეობას“ (Schliesser), რომელიც ვრცელდებოდა არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ სხვა, როგორც სულიერ, ისე – უსულო საგნებზე, როგორც მიკროკოსმოსის, ისე – მაკროკოსმოსის მასშტაბით და მოიცავდა მრავალ სფეროს: ფილოსოფიას, მაგიას, ასტროლოგიას, მედიცინას, მუსიკასა და ოპტიკას. ანტიკურობიდან დღემდე ზემოთაღნიშნულ დარგებში ამ საკითხის კვლევას აქტუალობა არ დაუკარგავს.

მოხსენების მიზანია, გამოკვეთოს ტერმინი „სიმპათია“, როგორც ანტიკურობაში ფართოდ გავრცელებული მრავალდისციპლინური კონცეფცია პტოლემეაიოსის „ოთხწიგნულში“, იკვლიოს მისი მიმართება ანტიკური ეპოქის სხვადასხვა დარგობრივ ლიტერატურასთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერმინი „სიმპათიის“ ასახვას ძველ ბერძნულენოვან ასტროლოგიურ ტექსტებში (ჰეფესტიონი (D. Pingree, Ed., 1973), დოროთეუსი (D. Pingree, Ed., 1976), პორფიროსი (CCAG V.4, 1940), ვალენსი (D. Pingree, Ed., 1986), გემინოსი (K. Manitius, Ed., 1898), რეტორიუსი (D. Pingree, Ed., 2007)) და ამ ფონზე „ოთხწიგნულში“ მისი გამოყენების თავისებურებათა ანალიზს.

პტოლემეაიოსის „ოთხწიგნულში“ გამოყენებული ტერმინის კვლევას ჰქონდა ფრაგმენტული ხასიათი, შევეცადე, აღნიშნული პრობლემის კვლევისათვის სისტემური სახე მიმეცა და სხვადასხვა ანტიკურ ტექსტთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დასრულებული სურათი გამომეკვეთა ტექსტუალური ანალიზის მეთოდის (ძირითად წყაროდ აღებულია ძველ ბერძნულ ენაზე შესრულებული პტოლემეაიოსის ასტროლოგიური ტრაქტატი „ოთხწიგნული“ (Hübner, Ed., 1998)), ასევე, ძველ ბერძნულ და ლათინურენოვან ნაშრომებთან „ოთხწიგნულის“ მიმართების ძიებისას შედარებითი ანალიზის მეთოდის დახმარებით.

საკითხის კვლევისას გამოვლინდა, რომ პტოლემეაიოსი აღნიშნულ ტერმინს იყენებს: ა) წმინდა ასტროლოგიურ-ტექნიკური ტერმინის მნიშვნელობით; ბ) ფილოსოფიური დატვირთვით (სტოიკური იდეის – კოსმოსური სიმპათიის კონტექსტში); გ) მედიცინის კონტექსტში: პტოლემეაიოსი მიმართავს ბინარულ ოპოზიციურ წყვილს სიმპათია - ანტიპათიას, სა-

დაც „სიმპათია“ მიზიდვის, ხოლო „ანტიპათია“ განზიდვის ძალას განასახიერებს: წამალი კურნავს დაავადებას მასთან ანტიპათიური დამოკიდებულების წყალობით. თვალსაჩინოა ამ შეხედულების სიახლოვე პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაში“ წარმოჩენილ იდეასთან ბუნებაში სიმპათია-ანტიპათიის კანონის არსებობისა და მედიცინაში მისი გამოყენების შესახებ (Plin. HN. XX).

ტერმინი „სიმპათია“ მოიაზრებს ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც შესაძლებელია სამყაროში ერთმანეთისგან სივრცობრივად დაშორებულ საგნებს შორის. ამიტომ ასტროლოგებმა ეს კონცეფცია აიტაცეს, როგორც მანძილით გამიჯნულ ციურ სხეულთა და მიწიერ მოვლენათა ურთიერთობის დასაბუთების ეფექტური საშუალება. ელინისტური ასტროლოგიური ტექსტების ანალიზმა მოგვცა შემდეგი შედეგი: „სიმპათია“ ადგილს იმკვიდრებს ტექნიკურ-ასტროლოგიურ ტერმინთა შორის და გამოხატავს სხვადასხვა ასტროლოგიურ კომპონენტთა ურთიერთობის ერთგვარ ჰარმონიულ ფორმას. ეს ურთიერთობები ფიქსირდება:

1) ზეცის ჰიპოთეზურ მონაკვეთებს შორის; ზეცის ჰიპოთეზურ მონაკვეთებსა და ციურ სხეულებს შორის (იგულისხმება ურთიერთობა არა მხოლოდ ზოდიაქოს ნიშნებსა და ცთომილებს, არამედ, ცთომილებსა და ე.წ. დეკანებს შორისაც); თავად ციურ სხეულთა შორის.

2) ზეცისა და მიწის კომპონენტთა შორის (პირველი მოიაზრებს როგორც ციურ სხეულებს, ისე – ზოდიაქოს, ხოლო მეორე – გეოგრაფიულ პუნქტს, ადამიანს ან მისი სხეულის ნაწილებს).

3) მიწიერ არსთა შორის (ამგვარი ურთიერთობის ფორმაა ადამიანთა მეგობრობა, რომელიც ზეციური კონფიგურაციებითაა ნაკარნახევი).

სიმპათიის გამომხატველი ზემოთ აღნიშნული შემთხვევებიდან „ოთხწიგნულში“ ფიქსირდება შემდეგი:

ქოროგრაფიის საკითხებზე მსჯელობისას: სიმპათია ზეცასა და გეოგრაფიულ პუნქტებს შორის (Ptol. Tetr. 2.1, 2.3, 2.5).

სიმპათია ურყევი მეგობრობის ფორმა: პტოლემეაიოსი მეგობრობაზე საუბრისას, გამოყოფს ორი სახის მეგობრობას: უფრო მყარსა და ხანგრძლივს, ანუ *συμπάθεια*-ს, უფრო სუსტსა და დროში შეზღუდულს – *συνοστρία* (Ptol. Tetr. 4.7).

პტოლემეაიოსს ერთხელ აქვს გამოყენებული ტერმინი „ბუნებრივი სიმპათია“ კალენდარულ საკითხებზე მსჯელობისას, კერძოდ, ბუნიობა-მზებუდობის წერტილთა განსაზღვრისას (Ptol. Tetr. 2.11).

განსხვავებულ კონტექსტებში გამოყენების მიუხედავად, ტერმინი „სიმპათია“ არ სცილდება პტოლემეაიოსის მიერ „ფიზიკურ“ მეცნიერებებად მოაზრებულ დისციპლინათა ჩარჩოებს.

The term “sympathy” is currently used as a synonym for “empathy.” However, in ancient Greek, *συμπάθεια* meant fellow-feeling, “the state of feeling together”; (Schliesser, 2015, p. 3), which applied not only to humans, but also to other animate beings or inanimate objects, both on a microcosmic and macrocosmic scale, and used by a wide range of disciplines, including philosophy, magic, astrology,

medicine, music, and optics. Since antiquity and to the present, the study of this topic in these areas has not lost its relevance.

The purpose of this article is to outline "sympathy" as a multidisciplinary concept in Ptolemy's "Tetrabiblos" by investigating the interpretation of the term in Hellenistic astrological texts and by analyzing the peculiarities of its use in the "Tetrabiblos" through textual analysis of the primary source of his astrological work, written in ancient Greek (Hübner, Ed., 1998). Comparative analysis is used to relate these texts. Research on the word "sympathy" employed in Ptolemy's "Tetrabiblos" has been fragmented, however, I have tried to take a systematic look at this issue and create an overall overview.

According to this research, Ptolemy uses the term "sympathy" in three contexts: a) as a purely astrological-technical term; b) in a philosophical context (the Stoic idea of cosmic sympathy); and c) in a medical context, where "sympathy" is the force of attraction and "antipathy" is the force of repulsion. This viewpoint is very similar to the theory expressed in Pliny the Elder's Natural History regarding the presence of the rule of sympathy-antipathy in nature and its application in medicine. (Plin. HN. XX).

The following conclusions show that by analyzing Ancient Greek astrological texts (Hephaestion (D. Pingree, Ed., 1973), Dorotheus of Sidon (D. Pingree, Ed., 1976), Rhetorius of Egypt (D. Pingree, Ed., 2007), and Porphyry (CCAG V.4, 1940)), "sympathy" is a technical astrological term that indicates the (harmonious) interrelationship of various astrological components. These relationships include:

1) those between (hypothetical) regions of heaven; those between celestial bodies and regions of heaven (zodiac signs, decans); and those between the celestial bodies themselves.

2) those constituent elements between heaven and earth (the first includes both the celestial bodies and the zodiac, and the second includes geographical points, persons, or even body parts).

3) those constituent elements between inhabitants of the earth (e.g., relationships such as human friendship, which are determined by celestial configurations).

Cases of its use in astrology in the "Tetrabiblos" include:

Case of astrogeography (chorography): This designates a sympathy between the heavens and geographical regions (Ptol. Tetr. 2.1, 2.3, 2.5).

Sympathy as a kind of lifelong friendship: Ptolemy distinguished between two types of friendship: the stronger and more enduring kind called "sympathy" and the weaker and more transient kind called "synastry" (Ptol. Tetr. 4.7).

He also used the phrase "natural sympathy" when discussing calendrical issues such as the determination of the equinox-solstice points (Ptol. Tetr. 2.11).

Despite Ptolemy's use of the term "sympathy" in numerous contexts, the term does not extend beyond the scope of disciplines he designated as "physical".

ნათია ფუტკარაძე
Natia Putkaradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

მოთხრობითი ბრუნვის გამოყენების საკითხისათვის თურქეთში
მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში
For the Issue of Using the Ergative Case in the Spoken Language of the
Georgians Living in Turkey

საკვანძო სიტყვები: მოთხრობითი, ბრუნვა, თუჩქეთელი ქართველები, ტაო-კლარჯეთი, იმერხევი

Keywords: Ergative, Case, Georgians living in Turkey, Tao-Klarjeti, Imerkhevi

თურქეთში მცხოვრები ქართულენოვანი მოსახლეობის რიცხვი ყოველწლიურად კლებულობს. მიუხედავად ბოლო პერიოდის დადებითი ტენდენციისა, რაც თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ ეთნიკური უმცირესობებისათვის მშობლიური ენის კურსების დაგეგმვას გულისხმობს, ქართულის, როგორც ძირითადი ენის, გამოყენების შემთხვევები, თურქეთის სახელმწიფო ენისა და საყოველთაო თურქულენოვანი განათლების პირობებში, უაღრესად მცირეა. თურქეთში ბევრი ქართული სოფელია, სადაც მხოლოდ შუა და უფროსი ასაკის მცხოვრებნი თუ საუბრობენ ქართულად, ახალ თაობას კი, სამწუხაროდ, აღარ უჭირს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. ქართული სოფლები თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის შემდეგ რეგიონებში მდებარეობს: სამსუნი, ორდუ, გირესუნი, სინომი, კატამონუ, ამასია და თოკათი. წინამდებარე კვლევაში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ ართვინის ოლქში დიალექტოლოგიური ექსპედიციის ფარგლებში მოპოვებულ მასალას (მოვინახულეთ შემდეგი ადგილები: არტანუჯი, არქაბი, ართვინი, ბორჩხა, ხოფა, მურდული, შავშეთი და იუსუფელი). აქ ეთნიკურ თურქებთან გვერდიგვერდ ცხოვრობენ წარმომობით ქართველი და სომეხი მუსლიმები.

ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტების საფუძველზე, ვვარაუდობთ, რომ თურქულენოვანი გარემოცვა დიდ გავლენას ახდენს ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაზე. მათი ნაწილი სულ უფრო ნაკლებად იყენებს მშობლიურ დიალექტს ან, უკეთეს შემთხვევაში, საუბრობს თურქულ-ქართულ ნარევ დიალექტზე, რომელიც სამეტყველო კოდთა შერევის საფუძველზეა განვითარებული. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ენის გრამატიკული კატეგორიებიც განიცდის გარკვეულ ცვლილებას მორფოლოგიურ, სინტაქსურ თუ ლექსიკურ დონეებზე; წინამდებარე კვლევის ფარგლებში განვიხილავთ ქართველური ენობრივი ქვესისტემებისათვის სპეციფიკური მოთხრობითი ბრუნვის ფორმების ამსახველ მასალას, რომელიც საყურადღებოა თურქეთის რესპუბლიკის ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე სამეტყველო კოდთა გადართვის კუთხითაც. აღნიშნულ პროცესზე დაკვირვება იძლევა საყურადღებო დასკვნების შესაძლებლობას ეთნიკურ ქართველთა მეტყველების ეთნოლინგვისტიკური პერსპექტივით შესწავლის თვალსაზრისით, რაც უაღრესად საშურ საქმედ გვესახება თურქეთის

რესპუბლიკაში ქართველურ დიალექტებზე მოსაუბრეთა რიცხვის აშკარა შემცირებისა და, შესაბამისად, მათი მეტყველების გაქრობის საფრთხის პირობებში.

The number of Georgian-speaking population in Turkey varies from year to year. In spite of the recent positive trend of the Turkish government to plan native language classes for ethnic minorities, the number of Georgian as first language speakers decreased. There are numerous Georgian villages in Turkey where the older generation still masters the ancestors' language, but unfortunately, the younger generation no longer understands it. The Georgian villages are located in the following regions: Samsun, Ordu, Giresun, Sinop, Kastamonu, Amasya and Tokat. In the current presentation, the dialectal data obtained by us during the dialectal expedition in Artvini Region will be discussed. Our expedition visited the following regions (ilyles): Artanuji (Turk.: Ardanuç), Arhavi, Artvini, Borchkha (Turk.: Borçka), Khopa (Turk.: Hopa), Murguli, Shavsheti (Şavşat) and Yusufeli, where together with the ethnic Turks, Lazs and Acharans – Georgian Muslims, as well as Armenian Muslims are settled.

On the basis of the texts obtained by us, we can suppose that the ethnic Georgians do not speak their own dialects but the mixed version of the Georgian dialects with the dominance of the state language. The new generation of ethnic Georgians speak the version of mixed dialect learned from the people resettled there from Kobuleti, Adjara, Machakhela, Lazeti, Klarjet-Livana and Imerekhevi; under these conditions, when the Georgian language is being to be substituted by the official state language in Turkey, the grammatical categories are also influenced by the state language grammar rules. We will discuss the examples that illustrate the influence in the case of Ergative Construction, which might be considered not only as the grammatical category – one of the specific features of the Georgian morpho-syntax but also as the issue of the Georgian identity. This phenomenon is interesting from the point of view of code-switching reflected in a number of peculiarities in phonetic, morphological, syntactic, and lexical levels. The study of these dialects from the ethnolinguistic perspective seems very important as the number of people who still speak the Kartvelian dialects in Turkey decreases and these dialects become more and more endangered.

ელენა ქეხიციოშვილი
Elena Kerdikoshvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

ქართული იდენტობის დისკურსი სიმონ ჯანაშიას სახელობის
საქართველოს მუზეუმში
Georgian Identity Discourse in the Simon Janashia Museum of Georgia

საკვანძო სიტყვები: ეროვნული მუზეუმი, იდენტობა, დისკურსი
Keywords: National Museum, Identity, Discourse

მუზეუმი, ცოდნის კომუნიკატორის ძლიერი პოზიციიდან გამომდინარე, რომლითაც, როგორც წესი, ამგვარი კულტურული ინსტიტუტები სარგებლობენ, არის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი, სადაც იდენტობების შესახებ იდეები აისახება, კონსტრუირდება და გადმოიცემა სხვადასხვა მოდლობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ქართული იდენტობის დისკურსის იდენტიფიცირება. კვლევა მულტიმოდალური დისკურსის ანალიზის პერსპექტივიდან ცდილობს, პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს: ქართული იდენტობის როგორი დისკურსი კონსტრუირდება და გადმოიცემა სამუზეუმო სივრცეში? რა როლი და მნიშვნელობა აქვს ეროვნული მუზეუმის ექსპონატებსა და ამ სივრცეში წარმოდგენილ ინფორმაციას თანამედროვე ქართული იდენტობისთვის? რა ხერხებითა და მეთოდებით ხდება ამ მნიშვნელობების კომუნიკაცია მუზეუმის მიერ?

თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მიმდინარე მოვლენებმა (განსაკუთრებით კი, რუსულმა აგრესიამ უკრაინაში) ხელახალი სიმწვავეით წამოჭრა ქართული იდენტობისა და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. კვლევას გარკვეული წვლილი შეაქვს ამ დებატებში, აჩვენებს რა „ქართველობის“ როგორი მოდელს აკონსტრუირებს ეროვნული მუზეუმი და რომელ გეოგრაფიულ, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროს მიაკუთვნებს იგი ქართულ იდენტობას.

კვლევის შედეგები განიხილავს, თუ რომელი ფაქტორები იკვეთება დომინანტურად სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის მიერ კონსტრუირებული ქართული იდენტობის დისკურსში. ამასთან, ყურადღება ეთმობა იმას, თუ რომელი არტეფაქტები, მოვლენები და ინფორმაციაა ხაზგასმული მუზეუმის სივრცეში, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „ქართველობის“ კონსტრუქციასთან მიმართებაში.

მუზეუმის გამოფენების (არქეოლოგიური საგანძური, ნუმიზმატიკური საგანძური, შუა საუკუნეების საგანძური, XVIII-XX საუკუნეების ქართული კოსტიუმი და იარაღი, საბჭოთა ოკუპაციის ამსახველი ექსპონატი) მულტიმოდალური დისკურსის ანალიზის პერსპექტივიდან კვლევის შედეგად გამოიკვეთა ქართული იდენტობის დისკურსის ძირითადი თავისებურებები.

პირველ რიგში, მუზეუმის სხვადასხვა სივრცეში (შუა საუკუნეების საგანძური, არქეოლოგიური საგანძური) ქრისტიანობა, უფრო კონკრეტულად კი, ქართული მართლმადიდებლობა, ქართული იდენტობის მნიშვნელოვან მარკერად მოინიშნება. სხვადასხვა პერიოდით დათარიღებული არტეფაქტები განსხვავებული რეგიონებიდან, დროსა და სივრცეში სტაბილურად ქრისტიანული საქართველოს დისკურსს აგებს. ამ შემთხვევაში, ქართველობასთან გადაჯაჭვული ქრისტიანობა, სხვა იდენტობის მარკერების მსგავსად, ადგენს მსგავსებებს და საზღვრავს ვინ ხვდება „ჩვენ-ჯგუფში“ და, მეორე მხრივ, ავლებს განსხვავებებს და მონიშნავს, ვინ ხვდება ჯგუფის გარეთ. ამასთან, რელიგიასთან დაკავშირებული ნივთების ეროვნული მუზეუმის სივრცეში გამოფენით, მუზეუმები ჰიბრიდულ სივრცედ იქცევა, რომელიც ხასიათდება ეროვნულისა და რელიგიურის ურთიერთშედლწევით.

ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ სამუზეუმო სივრცეში ქრისტიანობა საქართველოს ევროპულობასაც უკავშირდება. საუკუნეების წინანდელი პოლიტიკურ-რელიგიური აქტი – ქრისტიანობის მიღება მოინიშნება, როგორც ევროპის კულტურასთან ზიარება და ევროპული ერთობის ნაწილად განდობა. თუმცა, ევროპის, როგორც თვითობის დისკურსთან ერთად, მუზეუმში დაკვირვებადია, ევროპის, როგორც „სხვის“ დისკურსიც. იდენტობის შესახებ სხვადასხვა იდეისა და არაერთგვაროვანი წარმოდგენების თანაარსებობა მუზეუმს იდენტობების მორიგების ადგილადაც აქცევს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სამუზეუმო სივრცეში აქცენტი რეგიონულ სიჭრელეზე კეთდება, თუმცა, არ ჩანს ეთნიკური მრავალფეროვნება. ხსენებული კი თვალშისაცემია საქართველოს მულტიეთნიკურობის ფონზე. ამრიგად, განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები გამოტოვებულია მუზეუმში იდენტიფიცირებადი ქართული იდენტობის დისკურსიდან.

ეროვნულ მუზეუმში წარმოდგენილ ექსპონატებსა და ინფორმაციას საკუთარი ადგილი და როლი აქვს ქართული იდენტობის დისკურსის კონსტრუირებაშიც. კონკრეტული ობიექტების მნიშვნელობის გადმოსაცემად მუზეუმი მრავალგვარ მოდალობას იყენებს. სივრცის განაწილება ერთ-ერთი მოდალობაა, რომელიც მნახველს კარნახობს, რომელ ექსპონატს შეიძლება მეტი დრო და ყურადღება დაეთმოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტები და ინფორმაცია მუზეუმშიც გამორჩეულ ადგილს იკავებს. ეს მნიშვნელობები შეიძლება გადმოიცეს კონკრეტული ექსპონატისთვის მეტი სივრცის გამოყოფით (მაგალითად, მეცხრე საუკუნით დათარიღებული რელიეფი ოპიზის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიიდან), ცენტრალური, ადვილად დასანახი ადგილის შერჩევით (როგორც ეს გიორგი ჩუბინაშვილის ციტატის შემთხვევაშია შუა საუკუნეების საგანძურის გამოფენის ფარგლებში) და ცალკე ვიტრინის გამოყოფით (თრიალეთის ოქროს თასის შემთხვევა).

Museum, as a knowledge authority, is one of the central venues where ideas about identities are reflected, constructed and communicated through different modalities. Accordingly, the aim of the study is to identify the ways in which Simon Janashia Museum of Georgia represent Georgian identity through their exhibits and verbal, spatial, and visual means.

The research employs the Multimodal Discourse Analysis approach to answer the following questions: which discourses of Georgian identity are constructed and conveyed in the museum space?

What role do the exhibits play in this process? How is the importance of certain artifacts and information communicated by the museum?

The research seeks to shed light on which model of 'Georgianness' the museum constructs and in which geographical, cultural, economic and social areas this model is situated.

The study thus contributes to the debates about Georgian identity and political orientation, which arose with new intensity due to current events, in particular the Russian invasion of Ukraine.

The results of the study discuss which exhibits, events, and information are brought into connection with Georgian identity in the museum space. The exhibition *Archaeological and Medieval Treasury* stresses the importance of Georgian Orthodoxy as a crucial marker of Georgian identity. Exhibited items from a range of centuries and regions construct a representation of a steadily Christian country across time and space. Taking this into account, Christianity intertwined with Georgianness, like other identity markers, establishes similarities and defines who might be considered part of the in-group and, on the other hand, highlights differences and identifies who can be denied the membership.

In addition, by showcasing religious items in the national museum, the museum becomes a hybrid space characterized by the interpenetration of the national and the religious.

Furthermore, conversion to Christianity is portrayed as becoming a part of European unity. However, along with the discourse of Europe as Self, the discourse of Europe as Other can also be observed in the museum space. The coexistence of different ideas and heterogeneous representations of identity makes the museum a site for the negotiation of identities.

The exhibits housed at the museum have their relevance in the construction of the Georgian identity discourse. The museum uses various modalities to convey the meaning and importance of specific objects and ideas. These meanings can be conveyed by assigning a separate display case to certain items, placing the artifacts in a conspicuous place, or providing them a lengthy verbal commentary.

თინათინ შიშინაშვილი
Tinatin Shishinashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოსა და ჩინეთს შორის:
პრობლემები და გამოწვევები
Intercultural Communication Between Georgia and China: Problems and
Challenges

საკვანძო სიტყვები: საქართველოსა და ჩინეთის ინტერკულტურული კომუნიკაცია, კულტურული განსხვავებები, კომუნიკაციის ბარიერები

Keywords: Georgia-China Intercultural Communication, Cultural Differences, Communicational Barriers

სწორი კომუნიკაცია ადამიანებს შორის ურთიერთგაგების საფუძველია. განსაკუთრებულ მიდგომას ითხოვს ინტერკულტურული კომუნიკაცია, სადაც კულტურული, ღირებულებითი, მენტალური, ყოფითი, ქცევითი და სხვა განსხვავებები ხშირად სტერეოტიპებსა და უსაფუძვლო მოლოდინებს წარმოქმნის, რაც, თავის მხრივ, წარუმატებელი კომუნიკაციის გამომწვევია. ენობრივი ბარიერის გადალახვის გარდა, ურთიერთგაგების დასამყარებლად, ერთმანეთის კულტურათა და ღირებულებათა ცოდნაა საჭირო. კულტურა შესაძლებელია განხილული იქნას პიროვნულ და ეროვნულ დონეზე.

საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებზე კულტურული განსხვავებების გავლენის შესწავლის აქტუალურობას გლობალური და ორმხრივი ურთიერთობების ჭრილში ჩინეთის მნიშვნელოვანი როლი, საქართველოსა და ჩინეთს შორის გააქტიურებული ორმხრივი თანამშრომლობა, საინვესტიციო, სავაჭრო, კულტურული, ტურისტული და სხვა სახის ურთიერთკავშირი და ამ პროცესებში სწორად მართული კომუნიკაციის აუცილებლობა განაპირობებს.

საქართველოში სინოლოგია ჯერ კიდევ ახალგაზრდა დარგად ითვლება. ამ სფეროში ფილოლოგიური, ისტორიული, ეკონომიკური, საერთაშორისო ურთიერთობების და სხვა მიმართულებით არაერთი მეცნიერული ნაშრომია შექმნილი ნაშრომის მიზანია, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობათა მაგალითზე, გავაანალიზო კულტურული განსხვავებების გავლენა ინტერკულტურულ კომუნიკაციაზე, რაც ამ საკითხის შესწავლის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს. იგი წინა პლანზე წამოსწევს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმაზე ამ ორი ქვეყნის უნიკალური კულტურის, ხალხის მენტალობისა და ფსიქოტიპის გავლენის საკითხებს. წარმოდგენილ მოხსენებაში მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევეხები.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო მოიცავს სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებულ ეროვნული კულტურების განზომილებათა (ტიპოლოგიის) თეორიებს: ედუარდ ჰოლის, ჰერტ ჰოფსტედეს, მიხაილ მინკოვის, რიჩარდ ლუისის კონცეფციებს. მათი სიმრავლე და თანაარსებობა არც ურთიერთგამომრიცხავია და არც ყოვლისმომცველი, არამედ კულტურათა

შორის მსგავსების და განსხვავებულობის დანახვის მრავალფეროვან საშუალებას იძლევა. არსებული წყაროების ანალიზისა და ლიტერატურის შესწავლის, ჩართული დაკვირვების, თვისებრივი კვლევის, კონკრეტულ ფოკუს ჯგუფებთან სიღრმისეული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, გამოვავლენ და გავანალიზებ ქართულ და ჩინურ კულტურათა ურთიერთქმედების, ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში არსებულ ბარიერებს, პრობლემებსა და გამოწვევებს.

დასახელებული საკითხები, ჯერჯერობით, შესწავლისა და დამუშავების პროცესშია, აქედან გამომდინარე, შემოგთავაზებთ მხოლოდ სავარაუდო დასკვნებს: კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, ქართულ და ჩინურ კულტურათა დიალოგის და კომუნიკაციის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორებია: ენის ბარიერი, განსხვავებული რელიგიური და კულტურული აღქმები, განსხვავებული ქცევითი ნორმები და ეტიკეტის წესები. საქართველო-ჩინეთს შორის კულტურული ბარიერების გადალახვისათვის აუცილებელია კულტურის, მენტალობის, ზნე-ჩვეულებით ჩამოყალიბებული ქცევითი თუ ეთიკური ნორმების და სხეულის ენის შესწავლა, კარგად გააზრება და ამ ცოდნის გამოყენება კომუნიკაციის დროს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოების სხვადასხვა წრეში კომუნიკაციის დროს ჩნდება განსხვავებული სახის ბარიერები; ყველა ადამიანი არ არის მზად და არ გააჩნია უცხო კულტურის მიმღეობის სურვილი.

კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა და მოიცავს საქართველო-ჩინეთის ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების, საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობებისა და მისი აქტორების, საგანმანათლებლო სივრცისა და მასში მოქმედი სუბიექტების, ტურიზმის და სხვა სფეროებს.

Effective communication is the basis for interpersonal understanding. Intercultural communication demands a distinctive approach, since cultural, mental, existential, behavioral, value and other - differences often create preconceptions and unjustified expectations, which, in turn, leads to ineffective communication. After overcoming the language barrier, a thorough knowledge of one other's cultures and beliefs is an indispensable step to achieving a mutual understanding. Culture can be examined at a personal and a national level.

The relevance of studying the impact of cultural differences on Georgian-Sino relations is determined by importance of China in terms of global and bilateral relations, the intensified bilateral cooperation between Georgia and China, investment, trade, cultural, tourism and other types of mutual relations and the need for properly managed communication in these processes.

In Georgia, sinology is still regarded as a young discipline. Numerous scholarly publications have been produced in the fields of Chinese philology, history, economy, international relations and other areas. The aim of my PhD thesis is to analyze the impact of cultural differences on intercultural communication, using the context of Georgian-Sino relations, making it one of the initial studies into the subject matter. It will bring to the fore the issues of influence of the unique culture, mentality and psychotype of the people of these two countries in different forms of communication. In the provided report, I will touch on specific selected topics.

The theoretical framework of my paper consists of cultural models and dimensions established by the different scholars, Edward T. Hall, Geert Hofstede, Michael Minkov, Richard Lewis. These

models are not mutually exclusive nor are they all-encompassing, instead they provide a variety of ways of examining cultural similarities and differences. Through analyzing the existing sources and related literature, with accordance to qualitative research, participant observation, interviewing of the focus groups, in my paper I'll expose the challenges, problems and barriers in the way of successful intercultural communication between Georgian and Chinese cultures.

Since the aforementioned problems are still being studied, I'll be proposing a hypothesis: Language barriers, disparate religious and cultural views, divergent social conventions, and differing etiquette are said to be the key obstacles to Georgia and China's cultural dialogue. Examining each other's cultures, mentalities, moral standards, and body language is crucial to understanding and overcoming the primary cultural divides between Georgia and China. It must be noted that different circles in society face a variety of challenges, and some people are not always tolerant of other cultures.

There are a variety of areas where study findings may be put to use, including: the bilateral diplomatic ties between Georgia and China, commercial and economic relations and the parties engaged, the educational sector and its functioning subjects, tourism, and many more.

ირინე შოთაშვილი

Irine Shotashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

არაბული ფემინისტური განვითარების რომანის ზოგიერთი ასპექტი იმან ჰუმაიდანის რომანში „ველური თუთა“ Some Aspects of the Arab Feminist Development Novel in Iman Humaydan's "Wild Mulberry"

საკვანძო სიტყვები: განვითარების რომანი, არაბული ფემინისტური რომანი, ქალი პიროვნების განვითარება

Keywords: Bildungsroman, Arab Feminist Novel, Female Protagonist, Personal Development

ტერმინი “Bildungsroman”, ანუ „განვითარების რომანი“ პირველად გერმანულ ლიტერატურაში დამკვიდრდა XIX საუკუნეში და შემდეგ გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით. მოხსენების მიზანია, შეისწავლოს არაბული ფემინისტური განვითარების რომანი, კერძოდ, ლიბანელი მწერლის, იმან ჰუმაიდან იუნისის „ველური თუთა“.

იმან ჰუმაიდანი თანამედროვე ლიბანელი რომანისტი ქალია (დაბ. 1956), რომელიც ლიბანის სამოქალაქო ომსა და, ზოგადად, ლიბანის შესახებ წერს.

„ველური თუთა“ არაბული განვითარების რომანის ჟანრს მიეკუთვნება, ამ ჟანრის მთავარი თემებია: პროტაგონისტის პიროვნული გარდატეხა, ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაძაბულობა, კულტურათა შორისი კონფლიქტები.

სწორედ ეს საკითხები ფიგურირებს ჰუმაიდანის რომანში, რომლის პერსონაჟი, სარა, ლიბანის მთიან რეგიონში, დრუზებით დასახლებულ სოფელში იზრდება. სარას მიზანია, გაიგოს სიმართლე დედის იდუმალი გაუჩინარების შესახებ, იპოვოს მისი კვალი და, შესაბამისად, შეიცნოს საკუთარი თავიც. ძიების პროცესს იგი აინ ტაჰუნედან ინგლისამდე მიჰყავს.

მოხსენებაში არაბული განვითარების რომანი „ველური თუთა“ განხილულ იქნება ფემინისტურ ჭრილში, რათა გამოიკვეთოს ამ ტიპის ნაწარმოების ნარატიული მახასიათებლები და სპეციფიკური თემატიკა, რისთვისაც გამოყენებული იქნება აღწერითი, შედარებითი და შეპირისპირებითი მეთოდები. მოხსენებაში აქცენტი კეთდება ქალი პროტაგონისტის დამახასიათებელ განვითარების ეტაპებზე, ქალი ავტორის პერსპექტივაზე, მის მიერ დანახულ ეთნორელიგიური თვალსაზრისით მრავალფეროვან ლიბანზე.

The term “Bildungsroman” was coined in German literature in XIX century and was later used worldwide. The article aims to examine Arabic bildungsroman and in particular, Arabic female bildungsroman on the example of Lebanese writer Iman Humaydan's novel “Wild Mulberries”.

Iman Humaydan is a contemporary Lebanese novelist (b. 1956) who writes about the Lebanese civil war and Lebanon in general from a female discourse.

Arabic Bildungsroman's main themes are: protagonist's personal development, tension between East and West, cross-cultural conflicts which are discussed in Humaydan's novel "Wild Mulberries" whose protagonist Sarah grows up in a Druze village in the mountainous region of Lebanon. Sarah's goal is to find out the truth about her mother's mysterious disappearance and therefore learn about her identity. The search process takes her from 'Ain Tahoona to England.

The Arab development novel "Wild Mulberry" will be discussed from a feminist point of view in order to highlight the narrative characteristics and specific themes of this type of novel, for which descriptive and comparative methods will be used. The article focuses on the characteristics of developmental stages of the female protagonist, the female author's perspective and the ethno-religiously diverse Lebanon she sees.

სალომე ჩანადირი Salome Chanadiri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakishvili Tbilisi State University/Georgia

ჰედა გაბლერი და კეთილშობილების ელემენტი Hedda Gabler and the Element of Nobility

საკვანძო სიტყვები: ჰედა გაბლერი, პეხსონაჟის ანალიზი, კეთილშობილება, გამათავისუფლებელი ძაღა, სოციუმი, ინდივიდი
Keywords: Hedda Gabler, Character Analysis, Nobility, Liberation, Society, Individual

„ჰედა გაბლერი“ ჰენრიკ იბსენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პიესაა, რომელიც ათწლეულების მანძილზე შეისწავლება და იდგმება მთელ მსოფლიოში. ქართულ თეატრშიც ის ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდა და მისი არაერთი ინსცენირება ვიხილეთ ბოლო წლების განმავლობაშიც. პიესა თავიდანვე იყო მრავალფეროვანი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციების საგანი, რაც მას ყოველ ეპოქაში აქტუალურსა და მეცნიერთათვის საინტერესოს ხდიდა. „ჰედა გაბლერი“ 1889-90 წლებში დაიწერა და პირველად 1891 წელს დაიდგა. ტრადიციულად, მას ჰ. იბსენის დრამის ფსიქოლოგიისა და სიმბოლიზმის ეტაპს აკუთვნებენ.

ნაშრომში მთავარ გმირს, ჰედას, ვანალიზებ იმ სამ კრიტერიუმზე დაყრდნობით, რომლებიც იბსენს (1885 წლის 14 ივნისს ტრონდჰაიმის მუშაკთა წინაშე მისი გამოსვლის მიხედვით) ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ჰემმარიტი თავისუფლების მისაღწევ გადამწყვეტ ელემენტებად მიაჩნდა. ჰედა გაბლერის ტექსტის სიღრმისეული ანალიზითა და პიესის მთავარი გმირის სამ ცენტრალურ პუნქტზე დაფუძნებული განხილვის გზით, ჩემი მიზანია, ჰედა გაბლერის პერსონაჟში ახალი ფენები გამოვამკარაო, რაც, ვფიქრობ, ლიტერატურის მკვლევრების წინაშე პიესის კიდევ უფრო განსხვავებული და დღეისთვის აქტუალური წაკითხვის ახალ შესაძლებლობებს განსნის.

ანალიზის დროს მივმართავ ორ მნიშვნელოვან სტატიას ჰედა გაბლერის პერსონაჟის ზოგიერთ ყველაზე პრობლემურ ასპექტთან დაკავშირებით: ფრუდე ჰელანდის „The Scars of Modern Life: Hedda Gabler in Adorno’s Prism“ (2017) და კირსტენ ე. შეფერდ-ბარის „Against Interpretation? Hedda and the Performing Self by Kirsten E. Shepherd-Barr“ (2017). ფრუდე ჰელანდი აღნიშნულ პიესას ბურჟუაზიულ სამყაროსთან მიმართებით განიხილავს და ასკვნის, რომ ჰედას იდეა ბურჟუაზიულ სამყაროში მშვენიერი ცხოვრების შესახებ წარმოადგენს ხალხის ჰემმარიტი თავისუფლების გარდასულ (წარსულში დარჩენილ) იმედებს. შეფერდ-ბარი ჰედას წარმოაჩენს, როგორც პერფორმატიულ (performative) პერსონაჟს. მისი აზრით, ჰედა გაბლერი მამაკაცების მიერ და მამაკაცებისთვის აშენებულ სამყაროში ქალის ზოგად თეატრალურობას განასახიერებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ინტერპრეტაცია ნაწილობრივ თანხვედება ჰელანდის პოზიციას, ის უპირისპირდება ჰედას, როგორც თავისუფლების გარდასული იმედის გაგებას.

ჩემი წაკითხვა აღნიშნულ პერსონაჟს წარმოაჩენს, როგორც გათავისუფლების აქტიურ ძალას. ნაშრომი ხაზს უსვამს იმას, რომ ჰედას არ ამოძრავებს პირადი თავისუფლების ეგოცენტრული სურვილი, არამედ – ზოგადად ადამიანის თავისუფლების ყოვლისმომცველი იდეა და ღირებულება. ჩემი ინტერპრეტაცია, ასევე, უპირისპირდება შეფერდ-ბარის წაკითხვას – ჰედა, როგორც ქალი მამაკაცთა სამყაროში, რომელიც ტკბება სხვების ცხოვრებაზე თავისი ძალაუფლების თეატრალური გათამაშებით. ვვარაუდობ, რომ ჰ. იბსენი მიზნად ისახავდა, ჰედას სახით გამოესახა ქალი, რომლის სოციალურ-პოლიტიკურ აქტიურობას ხალხის ნამდვილი თავისუფლება შეიძლება მოჰყოლოდა.

ნაშრომში ვცდილობ წარმოვაჩინო, რომ ჰედას აქვს ის სამივე თვისება, რომლებიც, იბსენის მიხედვით, ადამიანებს ჭეშმარიტი განთავისუფლებისთვის სჭირდებათ. პირველი, მას აქვს ნების, გონებისა და ხასიათის კეთილშობილება, რომელიც არაფერ შუაშია მის დიდგვაროვნულ წარმომავლობასთან. მეორე, ჭეშმარიტი თავისუფლების ძიება როგორც საკუთარი თავისთვის, ისე „ღირსეული“ სხვებისთვის არის ჰედა გაბლერის უმთავრესი მიზანი და მამოძრავებელი ძალა მთელი პიესის განმავლობაში. მესამე, სპექტაკლი ირიბად მიუთითებს მის სურვილზე, ჩაერთოს პოლიტიკაში და გააკეთოს რაიმე მნიშვნელოვანი ამ მხრივ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, პიესაში, ასევე, წარმოჩენილია მრავალი დაბრკოლება ჰედა გაბლერის მიზნისკენ მიმავალ გზაზე. მთავარი, რაც მისი მიზნის განხორციელებას უშლის ხელს, ბურჟუაზიული სამყაროს შინაგანი დისბალანსი და ადამიანებს შორის სოციალური უთანასწორობა აღმოჩნდა, რის გამოც, ქალები მოკლებულნი იყვნენ თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს.

„Hedda Gabler“ is one of Henrik Ibsen's most important plays being studied and staged around the world, including Georgia which has seen various events of the play throughout decades. The play has always been a subject of diverse, even controversial interpretations, making it relevant to any epoch and interesting for scholars. The play was written in 1889-90 and first staged in 1891, and traditionally, it belongs to the Psychology and Symbolism stage of Ibsen's drama.

In the paper, I analyse the main character, Hedda, based on the qualities that Ibsen considered essential to achieve true freedom in the bourgeois society according to his speech to the workingmen of Trondheim on June 14, 1885 (Ibsen, H., 1931). Via close reading of the text „Hedda Gabler“, and analysing the main character based on three critical points marked in the speech, I intend to uncover new layers in her character that could contribute to the new progressive readings of the play today.

During the analysis, I refer to two important articles concerning some of the most problematic aspects of Hedda Gabler's character: „The Scars of Modern Life: Hedda Gabler in Adorno's Prism“ by Frode Helland (2017), and „Against Interpretation? Hedda and the Performing Self“ by Kirsten E. Shepherd-Barr (2017). Frode Helland discusses the play in relation to the bourgeois world and concludes that Hedda's idea of beautiful life within the bourgeois world represents people's past hopes of genuine liberation (Helland, F., 2017). Shepherd-Barr interprets Hedda as a performative character representing the general theatricality of womanhood in a world built by and for men (Shepherd-Barr, K. E., 2017).

Although my interpretation partially meets Helland's position, it is against the understanding of Hedda as a past hope of liberation (Helland, F., 2017). My reading represents her as an active force of liberation, emphasising that it is not a self-centred desire of one's own freedom that drives her, but rather an ultimate idea and value of human freedom in general. This interpretation also comes against the understanding of Hedda as a woman in a men's world that theatrically enjoys exercising her power over others (Shepherd-Barr, K. E., 2017). On the opposite, I suggest that Hedda was meant to depict the very kind of woman who should have led to true freedom of the people.

I argue that Hedda has all three qualities that people need for genuine liberation according to Ibsen (Ibsen, H., 1931): first, she has the nobility of will, mind, and character which has nothing to do with her bloodline; second, the quest for true freedom of her own and 'worthy' others is her ultimate goal and a driving force throughout the play; and third, the play indirectly points to her wish to engage in politics and do something meaningful in this respect. On the other hand, the play uncovers many obstacles on the way toward her goal. The main issue which barred her from achieving her goal was the imbalances of bourgeois social life order, where women were exempted from opportunities for self-realisation.

ლაშა ჩანტლაძე
Lasha Chantladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakishvili Tbilisi State University/Georgia

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ფორმირება და მისი როლი
აფხაზეთში მიმდინარე 1992-1993 წლების კონფლიქტში
The Confederation of Mountain Peoples of the Caucasus and its Role in the
Abkhazian Conflict (1992-1993)

საკვანძო სიტყვები: ომი აფხაზეთში, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, გაგის დაცემა,
მუსა შანიბოვი, რუსეთის გავლენები, კაზაკები

Keywords: War in Abkhazia, Confederation of Caucasian Mountain Peoples, The fall of Gagra, Musa Shanibov,
Russian Influences, Cossacks

არსებული გეოპოლიტიკური სურათის გათვალისწინებით, თანამედროვე საქართველოში აფხაზეთის საკითხი მუდმივად არის მსჯელობის საგანი, ბევრისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია ომის გამომწვევი რეალური მიზეზები და ქართველების ომში დამარცხების საფუძველი. უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტური მონაკვეთის შესახებ არსებული კითხვის ნიშნები ხელს უშლის თანამედროვე ქართული ცივილიზებული და განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს. აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, აუცილებელია ანტიქართულ ღონისძიებებში რუსეთის აქტიური როლის გამოვლენა. რუსეთის ფედერაცია მხარს უჭერდა კონფლიქტის ესკალაციას, ხოლო უშუალოდ სამხედრო მოქმედებისას, კი, აქტიურად მონაწილეობდა როგორც საკუთრივ რუსი ოფიცრების გენშტაბი, ისე დამატებით ჩართული დაქირავებული მეომრები ჩრდილოეთ კავკასიიდან. სწორედ მთიელ ხალხთა კონფედერაციის როლზე მექნება ძირითადი მსჯელობა ჩემს მოხსენებაში. ჩემი კვლევის მიზანია, განვიხილო ის პროცესები, რომლებიც თან სდევდა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ფორმირებას და, ასევე, გამოვიკვლიო აღნიშნული ორგანიზაციის როლი აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს. კვლევის მიმდინარეობისას, ასევე, შევხვები რუსეთის ფედერაციაში არსებულ შიდაპოლიტიკურ პროცესებსაც (დაპირისპირება ბორის ელცინსა და რუსლან ხასბულატოვს შორის), რომლის ადეკვატურ ანალიზსაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული პროცესების აღქმაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კი, განვიხილავ შემდეგ საკითხებს: 1. მთიელ ხალხთა რესპუბლიკის შექმნის ისტორიული საფუძვლებს; 2. მთიელ ხალხთა რესპუბლიკის სამმართველო სტრუქტურას; 3. მთიელ ხალხთა რესპუბლიკას, რომელიც დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანებაა, თუ იარაღი რუსული სპეცსამსახურების ხელში? 4. მთიელ ხალხთა კონფედერაციის როლს აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. ჩემს კვლევაში მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს იმ მიმართულებებზე კონცენტრირება, რომელთა ანალიზსა და გამოკვლევასაც წარსულში შედარებით უფრო ნაკ-

ლებად ექცეოდა ყურადღება. გარდა ამისა, შევაჯამე საკითხის ირგვლივ არსებული ქართული, რუსული და სეპარატისტული წყაროები, ასევე, ჩავწერე ინტერვიუები და გამოვიყენე აქამდე უცნობი წყაროებიც (კვლევის პროცესში დავამუშავე გაზეთ „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ნომრები).

მოცემული ნაშრომი მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის კატეგორიას განეკუთვნება. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში დავამუშავე პირველადი და მეორეული წყაროები. პირველადი წყაროების (პრესა, დაპირისპირებულ მხარეთა ოფიციალური განცხადებები, მემუარული მასალები) განხილვისას გამოვიყენე შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი, ხოლო მეორეული წყაროების განხილვისას (საკვლევი საკითხის ირგვლივ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა) ვიხელმძღვანელებ დისკურსის ანალიზის მეთოდით. გარდა ამისა, კონფლიქტის მიზეზების, მიმდინარეობის დროს მომხდარი ცვლილებებისა და შედეგების ანალიზისთვის ვიხელმძღვანელებ პროცესის მიდევნების მეთოდით. კვლევის პროცესში, ასევე, გამოვიყენე ჩაღრმავებული ინტერვიუები როგორც საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან, ისე უშუალოდ კონფლიქტში მონაწილე პირებთან.

კვლევის შუალედური შედეგები, კი, ასეთია: 1. „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“, მართლაც, გააჩნდა შექმნის ობიექტური წინაპირობები, რომლებიც საფუძვლებს 1917-1918 წლებიდან იღებდა, რისი ხელახლა აღმოცენების შემთხვევაში თეორიულად იქნებოდა კიდევ ერთგვარი საფრთხე რუსული მმართველობისთვის, მაგრამ აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს კონფედერაცია აშკარად ატარებდა ანტიქართულ პოზიციებს; 2. მართალია, თავად ხასბულატოვი ელცინს ღიად უპირისპირდებოდა ძალაუფლების გადანაწილებისა და ეკონომიკური რეფორმების ირგვლივ, მაგრამ მათი სტრატეგია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში აშკარად ატარებდა საქართველოს საწინააღმდეგო ხაზს, განსაკუთრებით კონფლიქტის დასკვნით ეტაპზე (უფრო მეტი რადიკალიზმით, მაინც ვიცე-პრეზიდენტი რუცკოი და დუმის სპიკერი ხასბულატოვი გამოირჩეოდნენ, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს საჰაერო იერიშების განხორციელებას არამართო უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების ადგილას, არამედ თბილისის მიმართულებითაც კი); 3. იმ შემთხვევაშიც, თუ სრულად გავიზიარებთ იმ ვერსიას, რომ კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია სრულად დამოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნს წარმოადგენდა და რუსულ სპეცსამსახურებს მონაწილეობა არ მიუღიათ მის ფორმირებაში, ფაქტია, რომ რეალობაში ამ ორგანიზაციის საქმიანობამ და კურსმა პროცესში დიდწილად გაიზიარა ის სტრატეგიები და მეთოდები, რომლებიც რუსეთისთვის იქნებოდა დამხმარე და მისაღები, რუსულმა სპეცსამსახურებმა სრულად შეძლეს კონფედერაციის მნიშვნელოვანი რესურსის მიმართვა საკუთარი მიზნების მისაღწევად.

The purpose of my research is to discuss the Confederation of Mountain Peoples of the Caucasus and to investigate its role during the hostilities in Abkhazia. Furthermore, I will analyze the internal political processes in the Russian Federation (the conflict between Boris Yeltsin and Ruslan Khasbulatov), which is of great importance in understanding current events. Based on all of the above, I will consider the following issues: 1. The historical foundations of the Republic of Mountain Peoples 2.

The structure of The Confederation 3. The Confederation of Mountain Peoples of the Caucasus, an independent political union, or a weapon in the hands of the Russian intelligence services? 4. The role of the confederation of mountain peoples in the hostilities in Abkhazia. In my research, the scientific novelty is to concentrate in those directions, which in the past have received relatively less attention. In addition, I summarized the Georgian, Russian and Abkhazian Separatist sources and used previously unknown sources (for example the Abkhazia Republic newspaper).

This paper belongs to the category of methodologically qualitative research. Based on the specificity of the issue, I used the content analysis method when reviewing the primary sources (press, official statements of the conflicting parties, memoir materials), and when reviewing the secondary sources I was guided by the discourse analysis method. In addition, I was also using method of process tracing to analyze the causes of the conflict. In the research process, I also recorded interviews with the persons who directly involved in the conflict.

As a result of the research, the following intermediate results have been achieved: 1. A re-emergence of the "Confederation of Mountainous Peoples of the Caucasus" would theoretically pose a threat to the Russian government, However, during the hostilities in Abkhazia, the confederation clearly expressed anti-Georgian views. 2. While Khasbulatov himself was openly opposed to Yeltsin's economic reforms and power distribution, their strategy in Abkhazia was clearly against Georgia, especially in the final stage (with more radicalism, however, Vice President Rutskoi and Duma Speaker Khasbulatov stood out, actively supporting the implementation of airstrikes not only directly at the hostilities site, but also toward Tbilisi). 3. Even if we fully share the version that the Confederation of Mountainous Peoples of the Caucasus was a completely independent political entity and that the Russian special services did not participate in its formation, it is clear that in reality the activities and course of this organization in the process largely shared the strategies and methods that would be a assistance to Russia.

აკაკი ჩიქობავა
Akaki Chikobava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

რუსეთის იმპერიის კოლონიატორული პოლიტიკა საქართველოში -
„ეკონომიკური რუსიფიკაცია“
Colonial Policy of Russia in Georgia: “Economic Russification”

საკვანძო სიტყვები: კოლონიალიზმი, სავაჭრო კაპიტალი, საქართველო, რუსეთის იმპერია
Keywords: Colonialism, Trade Capital, Georgia, Russian Empire

ქართლ-კახეთის ანექსიისა და საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის ნელ-ნელა დაპყრობის თანადროულად, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება საქართველოში საკუთარი მმართველობის განმტკიცებას სხვადასხვა ხერხით ცდილობდა. XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში რუსეთის გამარჯვებამ საიმპერატორო კარს საშუალება მისცა, დაეწყო ამიერკავკასიის სრული და ყოველმხრივი დაქვემდებარება. ამისთვის საჭირო იყო საკუთარი მომხრეების მეტროპოლიიდან ამიერკავკასიაში ჩასახლება და ადგილზე აქტიური მხარდამჭერების გაჩენა.

გადმოსახლებულები იმპერიას საჭირო მიწის ნაკვეთებით უნდა დაეკმაყოფილებინა და შესაბამისი საწარმოო საშუალებები დაერიგებინა, რომელიც მათ საკუთარი მეურნეობის გამართვაში დაეხმარებოდა. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში საუბრობენ არა იმდენად რუსიფიკაციაზე მხოლოდით რიცხვში, არამედ „რუსიფიკაციებზე“. რას გულისხმობს ამგვარი დაყოფა და რა როლი უკავია მასში ეკონომიკურ ფაქტორებს, ეს ჩვენი მოხსენების ძირითადი დაკვირვებაა.

გამოვყოფთ რამდენიმე საკითხს, რომლის გარშემოც წარიმართება ძირითადი მსჯელობა:

რამ განაპირობა რუსეთის იმპერიის აქტიური გამოჩენა ამიერკავკასიაში და მისი მიერთება, როგორია ანექსიის ეკონომიკური შემადგენელი და რა ტიპის სარგებელს ელოდა რუსეთის იმპერია?

რა ნიშნით განსხვავდებოდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკისგან, რომელსაც ის აწარმოებდა მალორუსებისა და განაპირა მხარეების მიმართ.

საქართველოსა და ზოგადად ამიერკავკასიაში ჩაფიქრებული კოლონიების დაარსებას და მიგრაციულ პროცესებს რა ეკონომიკური საფუძველი გააჩნდა. როგორ ეწერება აღნიშნული, რუსული სავაჭრო და ინდუსტრიული კაპიტალის გაფართოების პროცესს და ნედლეულის ძიების პერიოდს.

როგორია რუსეთის შიდა ტერიტორიაზე მიმდინარე მიგრაციული პროცესები, რას ემსახურებოდა ის, რა განსხვავებაა გარე მიგრაციულ პროცესებთან. რა არსობრივი განსხვავებებია შიდა და გარე კოლონიზაციის პროცესებს შორის.

In parallel of the annexation of the Kingdom of Kartli-Kakheti and gradual occupation of the rest of Georgian territories, the Russian Imperial government used various methods to cement its rule in Georgia. Victories in the Russo-Persian and Russo-Ottoman wars in the late 1820s gave the opportunity to the imperial court to start complete and all-around subjugation of the South Caucasus. For this, it was necessary to emigrate the proponents of the imperial rule from the metropolis into the South Caucasus, as well as to gain active supporters on the ground. Settlers had to be provided with necessary land and appropriate means of production that allowed them to start their own agricultural production. Contemporary scientific literature touches upon the question of “Russifications” in the plural, rather than Russification as a singularity. The implications of this division and the role of the economic dimension of the process are the major research areas of our article. Our argument is constructed around several main topics:

What are the causes of the active presence of the Russian Empire in the South Caucasus and its annexation? What is the economic dimension of the annexation and what kind of benefits did the Russian Empire expect from it?

What is the main difference between the Russification policy of the first half of the 19th century and the Russian Eastern policy of Malorus and other peripheral areas?

What was the economic basis for the establishment of colonies and migration processes in Georgia and the South Caucasus region in general? How is the process of the expansion of the Russian trade and industrial capital, and the search for new sources of raw materials connected to it?

Migration processes in the internal territories of Russia: what are their function and what are the differences between the internal and external migration processes?

ანტიდასავლური ნარატივი საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში Anti-Western Narrative in the Soviet Georgian Literary Criticism

საკვანძო სიტყვები: ანტიდასავლური ნარატივი, საბჭოთა კრიტიკა, პოსტკოლონიური კვლევები
Keywords: Anti-west narrative, Soviet critics, Postcolonial studies

კვლევის მიზანია ანტიდასავლური ნარატივის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურული კრიტიკის საფუძველზე. აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს საქართველოში ანტიდასავლური ნარატივის არსის უკეთ გააზრებას. იმისათვის, რომ უკეთ შეფასდეს თანამედროვე ანტიდასავლური ნარატივის საფრთხე, მნიშვნელოვანია უახლესი წარსულის გააზრება სწორედ ამ კონტექსტში. კვლევა გამოკვეთს ანტიდასავლური ნარატივის საბჭოთა საწყისებსა და ფორმებს. სწორედ იმდროინდელ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოვლინდა ის აგრესიული საბრძოლო განწყობა, რაც შემდეგ აისახა მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ რეალურ ცხოვრებაში.

მედიის ანგარიშებში ხშირად მსჯელობენ ანტიდასავლური პროპაგანდის, მათ შორის, საბჭოთა კავშირის იდეალიზების ტენდენციების შესახებ (ანტიდასავლური პროპაგანდა, 2021). იმდროინდელი პერიოდის პრესის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ანტიდასავლური ნარატივის საბჭოთა მექანიზმები (IDFI, 2022). ამ თვალსაზრისით ქართული მხატვრული ლიტერატურა და ლიტერატურული კრიტიკა ჯერ არ გამხდარა სამეცნიერო კვლევის ობიექტი. საბჭოთა პროპაგანდისტული კამპანიისათვის ლიტერატურულ კრიტიკას მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა, მით უფრო ეპოქის მწირი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ფონზე. სწორედ ლიტერატურული კრიტიკა იყო ლიტერატურული მიმდინარეობებისა თუ კონკრეტული რეჟიმისათვის მიუღებელ ხელოვანებთან ანგარიშსწორების ასპარეზი. საბჭოთა პერიოდის დოკუმენტების ანალიზი კი მნიშვნელოვანი გზამკვლევი იქნება თანამედროვე ანტიდასავლური ნარატივის შესასწავლად.

ქართული ლიტერატურული კრიტიკა ჯერ არ არის შესწავლილი ანტიდასავლური საბჭოთა პროპაგანდის კონტექსტში. კვლევა გამოავლენს საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული კრიტიკის კავშირს იდეოლოგიასთან და მის გავლენას ლიტერატურულ პროცესებზე. ასევე, ანტიდასავლური ნარატივის პროპაგანდისტულ მნიშვნელობას, რაც, თავის მხრივ, მოგვცემს საშუალებას, დავინახოთ თანამედროვე ანტიდასავლური ნარატივის საფუძვლები.

კვლევისას გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დისკურსის ანალიზის მეთოდები. კერძოდ, ლიტერატურული კრიტიკის ჟანრის ტექსტები გაანალიზდება შემდეგი თვალსაზრისით: 1) კონკრეტული ისტორიული პერიოდის პოლიტიკურ-იდეოლოგიური

კონტექსტი; 2) ლიტერატურული მიმდინარეობების ფარგლები, რომლებსაც განეკუთვნება ის მნატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ლიტერატურული კრიტიკის ობიექტში მოექცა. კვლევის ობიექტად შერჩეულია იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული ლიტერატურული პერიოდიკა („პროლეტარული მწერლობა“, „მნათობი“, „კრიტიკა“). ტექსტებში გამოვლინდება ანტიდასავლური ნარატივის პროპაგანდისტული მექანიზმები.

საბჭოთა კრიტიკაში განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი გახდა დასავლური ლიტერატურული მიმდინარეობები. საზოგადოდ აღიარებულია, რომ ლიტერატურული ტენდენციების განახლება და რეფორმა სწორედ დასავლური მიმდინარეობების გავლენით მოხდა ქართულ და რუსულ ლიტერატურებში.

ანტაგონისტური ტენდენციები განსაკუთრებულად გაძლიერდა ე. წ. სამამულო ომის შემდგომ. მეორე მსოფლიო ომის დროს ანტიდასავლური ნარატივის კამპანია ცალსახად ნაციზმისა და გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული, მოგვიანებით კი ანტიდასავლურმა/ანტიკოსმოპოლიტურმა კამპანიამ უფრო აბსტრაქტული სახე მიიღო და გაფორმდა, როგორც ბრძოლა უცხოური ძალების წინააღმდეგ (მაგალითად, გლობალური იმპერიალიზმი). ამ ბრძოლამ გადაინაცვლა საბჭოთა კავშირის შიგნით და მიემართებოდა სპეციფიკურ ჯგუფებსა და ეროვნებებს. ეს კი წარმოადგენდა „ფაშისტების“, „ამერიკელი იმპერიალისტებისა“ და „უცხო ელემენტების“ წინააღმდეგ (Azadovskii & Egorov, 2002).

აღნიშნულმა კამპანიამ თავისებური გამოძახილი პოვა ლიტერატურის კრიტიკასა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით. რუსეთში ამ პერიოდში დაგმეს ე. წ. ვესელოვსკის სკოლა, ვინაიდან კრიტიკოსი იკვლევდა რუსულ ლიტერატურაში დასავლური ლიტერატურის გავლენას. ამას მოჰყვა კაპიტალისტური დასავლური ტენდენციების კრიტიკა და რუსული რეალიზმის მნიშვნელობის ხაზგასმა. გამოიკვეთა „ბურჟუაზიული დასავლეთის“ „მავნე გავლენა“. ეს დისკუსიები გაგრძელდა, ხოლო 1948 წელს გაზეთ „კულტურასა და ცხოვრებაში“ სარედაქციო კოლეგიის სახელით დაიბეჭდა სტატია „ლიტერატურაში ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ“, სადაც დაძრახეს დასავლეთის წინაშე ქედის მოხრა. ამას მოჰყვა ისტერია მთელ საბჭოთა კავშირში, ხდებოდა ამ მტრული იდეოლოგიის ნიშნების გამოვლენა ან საჯარო თვითკრიტიკა და მონანიება (Azadovskii & Egorov, 2002). აღნიშნული დისკურსის გაგრძელებაა ქართულ რეალობაში ისეთი კრიტიკული ტექსტები, რომლებშიც ქართველ მოდერნისტ მწერლებსა და პოეტებს უწუნებდნენ ლიტერატურულ მიმდინარეობას და უწოდებდნენ ფორმალისტებს, სწორედ ე. წ. საბჭოთა პარტიულობის პრინციპებიდან გამომდინარე.

The aim of the research is to study Anti-West Narrative in the Georgian literature criticism of the Soviet Period. This study will contribute to a better understanding of the essence of the anti-western narrative in Georgia. In order to appreciate the threat of the current anti-western narrative in Georgian society, it is important to analyze the recent past in the context of soviet anti-west narrative. The study outlines the Soviet origins and forms of the anti-Western narrative. It was in the literary criticism of that time that the aggressive martial mood was revealed, which was later reflected in the literature and in a real life.

Media reports often discuss anti-Western propaganda, including tendencies to idealize the Soviet Union (Anti-West Propaganda, 2021, p. 19). Based on the analysis of the soviet press, the mechanisms of the anti-Western narrative have been identified (IDFI, 2022). From this point of view, Georgian fiction and literary criticism has not yet become an object of scientific research. Literary criticism played an important role in the Soviet propaganda campaign, especially in the lack of the modern mass media means. The literature criticism was the arena of revenge for unacceptable artists and literary movements. And the analysis of documents from the Soviet period will be an important guide for studying the modern anti-Western narrative.

Georgian literary criticism has not yet been studied in the context of anti-Western Soviet propaganda. The research reveals the connection of literary criticism of the Soviet period with ideology and its influence on literary processes. As well as the propagandistic value of the anti-Western narrative, which, in turn, will allow us to see the foundations of the modern anti-Western narrative.

Content analysis and discourse analysis methods were used in the research. In particular, the texts of the genre of literary criticism will be studied from the following points of view: 1) In the political-ideological context of a specific historical period; 2) Within the framework of the literary movements that have become the object of criticism. The most popular literary periodicals at that time ("Proletarian Writing", "Mnotobi", "Criticism") were selected as the object of research. Propaganda mechanisms of anti-Western narrative will be revealed in the texts.

Western literary movements became the object of special criticism in Soviet literature. It is generally accepted, that the renewal and reform of literary trends took place in Georgian and Russian literature under the influence of Western literary movements.

The antagonistic tendencies were especially strengthened after the so-called Patriotic War. During World War II, the anti-Western narrative campaign was unequivocally directed against Nazism and Germany, later, the anti-Western/anti-cosmopolitan campaign took on a more abstract form and was framed as a struggle against foreign powers (for example, global imperialism). The struggle shifted within the Soviet Union to target specific groups and nationalities. This internal struggle took place against "fascists", "American imperialists" and "foreign elements" (Azadovskii & Egorov, 2002, 67-68).

The mentioned campaign found a special echo in the direction of literary criticism and humanities. During this period in Russia, was condemned the so-called Veselovsky school, because he studied the influence of Western literature in Russian literature. This was followed by a critique of capitalist Western tendencies in literary criticism and the press, and an emphasis on the importance of Russian realism. The "harmful influence" of the "bourgeois West" was highlighted.

These discussions continued and in 1948, the article "Against Bourgeois Liberalism in Literature" was printed on behalf of the editorial board in the newspaper "In culture and Life", where was condemned the reverence to the West. Hysteria ensued throughout the Soviet Union, with signs of this hostile ideology being exposed or public self-criticism and repentance (Azadovskii & Egorov, 2002, 69-70). The continuation of this discourse is such critical texts in Georgian reality, where Georgian modernist writers and poets were resented by the literary trend and called formalists, based on the principles of the so-called Soviet partisanship.

თინათინ წიკლაური Tinatin Tsiklauri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakishvili Tbilisi State University/Georgia

კულტურული დიპლომატიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში The Role of Cultural Diplomacy in International Relations

საკვანძო სიტყვები: კულტურული დიპლომატია, საერთაშორისო ურთიერთობები, ძივი ძალა, საქართველოს კულტურული დიპლომატია, კულტურული თანამშრომლობა

Keywords: Cultural Diplomacy, International Relations, Soft Power, Georgia's Cultural Diplomacy, Cultural Cooperation

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში კულტურული დიპლომატია, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციის ფორმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კონფლიქტებისა და არასტაბილურობის ეპოქაში ის წარმოადგენს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს.

თანამედროვე გაგებით, კულტურული დიპლომატია სახალხო დიპლომატიისა და რბილი ძალის ურთიერთკავშირის ფორმაა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოთა შორის იდეების, ინფორმაციების, ხელოვნების ნიმუშებისა და კულტურის სხვა ასპექტების ურთიერთგაცვლას. მისი მიზანია, მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის გზით, ქვეყნის შესახებ საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება და პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბება, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გაღრმავება, სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების წინ წამოწევა, სოციალური და კულტურული თანამშრომლობის გაძლიერება და ხალხთა შორის მშვიდობიანი კავშირების დამყარება.

ტერმინი „კულტურული დიპლომატია“ პირველად გამოიყენა ამერიკელმა მკვლევარმა ფრედერიკ ბარგჰორნმა 1930-იანებში. მისი თქმით, კულტურული დიპლომატია „პროპაგანდისტული მიზნების მისაღწევად მანიპულირებს კულტურული მასალებითა და პერსონალით“ (Gumenyuk et al., 2021).

კულტურული დიპლომატიის ერთ-ერთი პირველი განსაზღვრება დაკავშირებულია 1967 წელს მონაკოში გამართულ იუნესკოს მრგვალ მაგიდასთან მიღებულ ანგარიშთან „კულტურული პოლიტიკა – წინასწარი მოსაზრებები“, სადაც კულტურული პოლიტიკა გაგებულ იქნა როგორც „პრინციპების, ადმინისტრაციული და ფინანსური საქმიანობისა და პროცედურების ერთობლიობა, რომლებიც საფუძველს უქმნის მთავრობის მოქმედებებს კულტურის სფეროში“. ამ კონტექსტში კულტურული პოლიტიკის განხორციელება არის „საზოგადოების შეგნებულ და მიზანმიმართულ ქმედებათა (ან ქმედებათა ნაკლებობის) მთელი ჯამი, რომელიც მიმართულია გარკვეული კულტურული მიზნების მისაღწევად ყველა იმ ფიზიკური და სულიერი რესურსის ოპტიმალურად გამოყენების გზით, რაც საზოგადოებას აქვს მოცემულ დროს“ (Gumenyuk et al., 2021).

ეფექტური კულტურული დიპლომატიის წარმოებაში დიდი როლი ეკისრებათ სახელმწიფო უწყებებს, მათ შორის, ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს. კულტურათაშორისი ურთიერთობების გასამყარებლად, მნიშვნელოვანია, ასევე, საზღვარგარეთ მოქმედი დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და იქ მცხოვრები დიასპორის ჩართულობა. გარდა ამისა, სხვადასხვა ტიპის კულტურული აქტივობები, გამოფენები, ფესტივალები, კინოჩვენებები და ა. შ. კულტურული დიპლომატიის შემადგენელი ნაწილებია.

კულტურული დიპლომატიის განხორციელების მთავარი საშუალებებია:

- კულტურის ცენტრების და ორგანიზაციების დაარსება საზღვარგარეთ;
- ენის პოპულარიზაცია უცხოეთში;
- კულტურული ქსელების გაფართოება;
- ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში კულტურული დიპლომატიის გამოყენება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება საქართველოს მიერ წარმოებულ კულტურულ დიპლომატიაში მნიშვნელოვანი ფაქტორია. შესაბამისად, კულტურული დიპლომატიის, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციის ფორმის კვლევა და მისი პრაქტიკაში დანერგვა საგარეო პოლიტიკის წარმატების ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

საქართველოსთვის კულტურული დიპლომატიის, როგორც რბილი ძალის, გამოყენება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საზღვარგარეთ პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად და ეფექტიანი კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვისთვის. ამ მიზნის მისაღწევად, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. საქართველოში ამ კუთხით აქტიური მუშაობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო, როდესაც „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგია 2019-2022“-ში ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად კულტურული დიპლომატია განისაზღვრა და გაიწერა მისი შესაბამისი მიზნები და ამოცანები.

მოხსენების „კულტურული დიპლომატიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში“ მიზანია, კულტურული დიპლომატიის სიღრმისეული კვლევის საფუძველზე და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის მაგალითზე, წარმოაჩინოს კულტურული დიპლომატიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და განსაზღვროს მისი, როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტის, გამოყენება საქართველოს საგარეო ურთიერთობების გაძლიერებაში.

Cultural diplomacy as the form of international communication plays an important role in modern international relations. In the era of conflicts and instability, it is one of the main instruments of state's foreign policy.

In modern understanding, cultural diplomacy is a form of public diplomacy and soft power that includes the exchange of ideas, information, art works and other aspects of culture between states. Its purpose is to raise international awareness of the country and build the positive image through presenting the rich and diverse cultural heritage, deepen interstate relations, advance national interests of

the state, strengthen the social and cultural cooperation and build the peaceful relations between the nations.

The term cultural diplomacy was first introduced in 1930s by the American researcher Frederic Barghorn. According to him cultural diplomacy is "manipulating cultural materials and personnel for propaganda purposes" (Gumenyuk et al., 2021).

One of the first definitions of cultural diplomacy is related to the report "Cultural Policy - Preliminary Considerations" received at the UNESCO Round Table held in Monaco in 1967, where the cultural diplomacy was understood as a set of principles, administrative and financial activities and procedures that provide the basis for government action in the field of culture". In this context, the implementation of cultural policy is "the whole sum of conscious and deliberate actions (or lack of action) in society aimed at achieving certain cultural goals through the optimal use of all physical and spiritual resources that society has at a given time" (Gumenyuk et al., 2021).

State agencies, including the Ministry of Foreign Affairs and the Ministry of Culture, play a key role in promoting the effective cultural diplomacy. In order to strengthen intercultural relations, it is also important to involve the diplomatic representations operating abroad and diaspora representatives. In addition, cultural diplomacy embraces various types of cultural activities, such as exhibitions, festivals, film screenings, etc.

The main tools of promoting cultural diplomacy are:

- Establishing cultural centers and organizations abroad;
- Promoting language abroad;
- Expanding cultural networks;
- Effective use of digital technologies.

In western and eastern countries, the use of cultural diplomacy dates back to the late XIX and early XX centuries. Studying and sharing the experience of foreign countries is an important factor in the cultural diplomacy promoted by Georgia. Therefore, study of cultural diplomacy as a form of international communication and its implementation in practice is an important asset for conducting successful foreign policy.

For Georgia the use of cultural diplomacy as a soft power is one of the effective ways of creating positive image abroad and promoting intercultural dialogue. Presenting its rich cultural heritage is one of the main priorities of the country. In this regard, active work started few years ago, when in the "The Foreign Policy Strategy 2019-2022" of the ministry of foreign affairs of Georgia cultural diplomacy was defined and respective goals and objectives were developed.

The aim of the paper "The Role of Cultural Diplomacy in International Relations" is to present the role of cultural diplomacy in international relations and determine its use as an effective tool in strengthening Georgia's foreign policy based on an in-depth study of cultural diplomacy and the experience of foreign countries.

სოციალიზმის ნოსტალგიის დინამიკა დამოუკიდებელ საქართველოში Dynamics of Socialist Nostalgia in Independent Georgia

საკვანძო სიტყვები: სოციალიზმი, ნოსტალგია, დინამიკა, დამოუკიდებელი საქართველო
Keywords: Socialism, Nostalgia, Dinamic, Independent Georgia

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს პოსტსოციალიტარულ საქართველოში სოციალიზმის ნოსტალგიის არსი და მისი დინამიკა ქართულ რეალობაში; განიხილოს, რამ გამოიწვია ის და, კონკრეტულად, რა ენატრებათ დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეებს საბჭოთა წარსულიდან.

1900-იანი წლების შუა პერიოდში უკვე დასრულებული იყო იქამდე მიმდინარე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროცესი, მათ შორის, სამი კონფლიქტი თბილისის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ომების სახით. სახელმწიფოში ამ კუთხით მდგომარეობის სტაბილიზაციის ფონზე, მოქალაქეებს რეფლექსიის დრო და საშუალება გაუჩნდათ. დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ რა და რატომ მოხდა სისხლით აღდგენილი დამოუკიდებლობის შემდეგ. განვლილი და ჯერ კიდევ არსებული ქაოსის ფონზე, წარსული ძალიან მიმზიდველი ჩანდა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე არაერთმა სირთულემ ამ ნოსტალგიას საფუძველი მხოლოდ გაუმყარა. ამას ადასტურებს 2022 წელს ჩატარებული კვლევა. საქართველოში ინფორმაციის სანდოობის ხელშეწყობის პროგრამამ (CRRC) მთელი ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩატარა, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთა 54% საქართველოს ისტორიაში საბჭოთა კავშირის პერიოდს დადებითად აფასებს. როგორც ვხედავთ, ნოსტალგია დღემდე ნარჩუნდება.

ვფიქრობთ, ამ განწყობების საფუძველი, *ბნელი 90-იანების* გარდა, შემდგომი პერიოდის სიმძიმეც იყო. მართალია, ქართველები მზად იყვნენ „დამოუკიდებლობის ხათრით ქვაც კი ეჭამათ“, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა და ერი ახალ, არასასიამოვნო რეალობას შეეჯახა, მოქალაქეებმა თავი წარსულის სუნების, გემოების, უსაფრთხოების განცდისა და მეგობრობის გახსენებით გაიმხნვეს ისე, რომ ვერავინ შეამჩნია, ზუსტად როდის გადაიზარდა ეს ყველაფერი უწყინარი მონატრებიდან წარსულისადმი ნოსტალგიაში.

საქართველოში საბჭოთა ნოსტალგიის საკითხის გააზრებას ბოლო წლებში ცალკეული სტატიები მიეძღვნა, რომლებშიც აქცენტი, ძირითადად, სტალინის ფენომენზე კეთდება და ნოსტალგიის ცალკეული ასპექტებია განხილული. ჩვენ შევეცდებით, გავაფართოოთ როგორც კვლევის ემპირიული საფუძველი – გავაანალიზოთ საზოგადოებრივი აზრის კვლევები, ლიტერატურული, სამეცნიერო, საგაზეთო და სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული სხვადასხვა სახის ტექსტები, ასევე ფოკუსი: საბჭოთა ნოსტალგიის საკითხი გავაანალიზოთ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დამოუკიდებულებათა და ნოსტალგიის ობიექტების ცვლილების კუთხით.

ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები: შინაარსობრივი ანალიზისა და დისკურსის ანალიზის გამოყენებით გამოკვლეულია სხვადასხვა სახის ტექსტები.

კვლევა აჩვენებს, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეების პარალელურად, ადამიანებს წარსულის მონატრება გაუმძაფრდათ. აწმყოთი იმედგაცრუებამ წარსულის რომანტიზება, იდეალიზება და გამარტივება გამოიწვია, რამაც სოციალიზმი ნოსტალგიის მთავარ ობიექტად აქცია. ნოსტალგიის ფენომენმა დამოუკიდებელ საქართველოში საკმაოდ რთული გზა გაიარა. იცვლებოდა მისი მატარებელი ჯგუფები და კონტექსტი, რომლის ფონზეც ამ ნოსტალგიის სიმძაფრე განსხვავებული იყო. სხვადასხვა იყო მონატრების ობიექტიც და ის ადამიანთა ასაკის შესაბამისად იცვლებოდა. ადამიანთა ნაწილს 70-80-იანი წლები ენატრება, ნაწილს უშუალოდ სტალინი, სხვები კი, უბრალოდ, სოციალური თანასწორობის იდეის ირგვლივ გაერთიანდნენ.

The study aims to study the meaning of socialist nostalgia and its dynamics in the Georgian reality; to discuss the reasons of nostalgia as well as what exactly do the citizens of independent Georgia miss from the Soviet time.

In the mid-1990s, several important processes had already been completed in Georgia, including three armed conflicts in Tbilisi (the civil war), Abkhazia and Tskhinvali region. After the partial stabilization of the situation in the country, the time and opportunity for reflection has come. Citizens started to analyze what happened after the restoration of independence. Against the background of still existing chaos, the past seemed very attractive. Difficulties on the way of building independent state strengthened the nostalgic feelings. According to the research conducted by the Caucasus Research Resource Center (CRRC), 54% of the respondents estimates positively the Soviet period in Georgia even today.

From our point of view, the “dark 1990s” and difficulties of the period of independence formed the basis for these moods. At the end of the 1980s, Georgians declared that they were ready “to eat stones” for achieving independence, however, when the dream came true, they had to face a new, uncertain reality, and they found shelter in the smells and tastes of the past, recalling old friendship and sense of security within the Soviet state. Nobody noticed how these innocent emotions turned into the nostalgia for the Soviet past.

In the last years, some works were dedicated to the Soviet nostalgia in Georgia, mostly about its individual aspects and the phenomenon of Stalin. We will try to expand the empirical basis of research (analyzing literary texts, newspaper publications, different materials of social media, scientific works, public opinion poll) and its focus (analyzing the issue of nostalgia in terms of the attitudes of different social groups and changes in the objects of nostalgia).

The study is mainly based on the qualitative research methods are used in the paper: different kinds of texts are comprehended using methods of content analysis and discourse analysis. The study reveals that along with the economic and political difficulties, people started to miss the past which was romanticized, idealized, and simplified. Present frustration resulted into becoming socialism the main object of nostalgia. Its carrier groups, contexts as well as its intensity changed several times. The object of nostalgia was different and it highly depended on the age of the people: some of them dreamed for 70-80s, others missed Stalin, and a few more just strived for social equality.

პავლე ჭანტურიშვილი Pavle Tchanturishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

ისლამის ფუძემდებლის რეგიონული დიპლომატია The Regional Diplomacy of the Founder of Islam

საკვანძო სიტყვები: მუჰამადი, რეგიონული პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, მუჰამადის დიპლომატია, ბიზანტია, ირანი, მუჰამადის წერილები, ჰუდაიბიას ზავი, თაბუქის სამხედრო კამპანია
KeyWords: Muhammad, Regional Politics, International Relations, Diplomacy of Muhammad, The Byzantine Empire, Iran, The Letters of Muhammad, The Treaty of Hudaibyah, the Military Expedition of Tabuk

არაბული წყაროების თანახმად, ისლამის ფუძემდებელმა, მუჰამადმა, მექელ წარმართებთან (მუშრიქუნ) „ჰუდაიბიას ზავის“ გაფორმების შემდეგ (628 წ.), მედინიდან ელჩები გაუგზავნა ისლამის მიღების მოთხოვნით: 1. ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს; 2. ეილათის ეპისკოპოსს იოანე რუ'ბას ძეს (იუჰანნა იბნ რუ'ბას); 3. ეგვიპტელი კოპტების პატრიარქ ჯურაიჯ იბნ მინას (ალ-მუკაკისს); 4. სირიაში ალ-იამამას რეგიონში მცხოვრები ბანუ ჰანიფას ქრისტიანული ტომის ლიდერს - ჰავდა იბნ 'ალის; 5. ეთიოპიის (აქსუმის) ნეგუსს ასჰამა იბნ ალ-აბჯარს; 6. სირიელ დასახიანთა არაბ მმართველს - ალ-მუნზირ იბნ სავა ათ-თამიმის; 7. ომანის მმართველებს – ჯაიფარსა და 'აბდს იბნ ჯულანდა ალ-აზდის; 8. ირანის შაჰინშაჰს (ხოსროს).

ამ წერილების ავთენტურობა ეჭვქვეშ დააყენა არაერთმა დასავლელმა თუ რუსმა (საბჭოთა) მკვლევარმა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ისინი არ ფიქსირდებოდა ყურანსა და ჰადისების კრებულში. მაგალითად, ჰ. გოდარდი წერდა, რომ ეს იყო მუსლიმების მიერ შეთხზული / გამოგონილი ისტორია, რათა დაენახებინათ მსოფლიოსათვის ისლამის უნივერსალურობა (Godhard, H.A. 2001). არაერთი მკვლევარი შეუძლებლად მიიჩნევდა მუჰამადის მიერ წერილების გაგზავნის ფაქტს. ამას კი იმ არგუმენტით ამყარებდა, რომ მაშინ როდესაც ალაჰის მოციქულს არაბეთის ნახევარკუნძულზე ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ განმტკიცებული ძალაუფლება, იგი ვერ გაბედავდა წერილების გაგზავნას ისლამის აღიარების მოთხოვნით რეგიონში გაბატონებული სამხედრო-პოლიტიკური ლიდერებისგან, სახელდობრ კი, ირანის შაჰინშაჰისგან და ბიზანტიის იმპერატორისგან (Serjant). ამავდროულად, მკვლევართა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ წერილების გაგზავნის ფაქტს სრულიად შესაძლებლად მიიჩნევდნენ. მათ შორის იყო მარგოლიუსი (Margoliouth). გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი მ. უოტი წერდა, რომ ალაჰის მოციქულმა წერილები არა რელიგიის შეცვლის მოთხოვნით, არამედ პოლიტიკური და დიპლომატიური კავშირებისა და ურთიერთობების დამყარების მიზნით გაუგზავნა მეზობელი სახელმწიფოებისა თუ არაბეთის ნახევარკუნძულზე არსებული რეგიონების მმართველებს (Watt).

ეს უკანასკნელი მოსაზრება ლოგიკური და ობიექტურიც უნდა იყოს. როგორც ჩანს, ამ წერილების გაგზავნის უმთავრესი მიზნები უნდა ყოფილიყო რეგიონულ და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ჩართვა, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების

დამყარება და საკუთარი პოლიტიკური ლეგიტიმაციის გამყარება-გაძლიერება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – საკუთარი პირობების წამოყენება და ინტერესების ღიად გაქ-
ლერება.სავაჭრო და სამხედრო ურთიერთობების დამყარება არაბებისთვის არახალი იყო.
წინაისლამურ პერიოდში ისინი სამხედრო-პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად
აგზავნიდნენ ელჩს, რომელსაც السفير („ას-საფირს“) ან კი الرسول („არ-რასულს“) უწოდებდნენ.
კურაიშის ტომსაც, საიდანაც თავად ისლამის ფუძემდებელი იყო, მრავალ არაბულ ტომთან
ჰქონდა გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულება. ٤٤ (‘აჰდს), როგორც ჩანს, ორმხრივი ურ-
თიერთსარგებლიანობისა (المصلحة) და უსაფრთხოების გარანტიის გაცემის დროს დებდნენ
(Ибн Хишам), ხოლო დიდი გეოგრაფიული არეალის მომცველ სავაჭრო ხელშეკრულებებს
ისინი ايلاف („ილაფით“) იხსენიებდნენ.

ისლამური თვალთახედვით, ადამიანური ურთიერთობების დამყარებასა და
ხალხების მიერ ერთურობის შეცნობას ალაჰი მიესალმება. ყურანში ამის თაობაზე
ვკითხულობთ: „ო, ხალხო, ჭეშმარიტად, ჩვენ შეგქმენით თქვენ მამრისაგან და
მდედრისაგან და გაქციეთ ერებად და ტომებად, რათა შეიცნოთ ერთმანეთი...“ [49:13]. ეს აია
ისლამური დიპლომატიის და მშვიდობიანი მოლაპარაკებების წარმოების ერთ-ერთი
საწინდარი გახდა.

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ტექსტუალურ ანალიზსა და კომპლექსურ მიდგო-
მას. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად, არაბულიდან ქართულ ენაზე ვთარგმნეთ და
დეტალურად გავანალიზეთ ისლამის ფუძემდებლის მიერ შედგენილი წერილები. ნაშრომი
საშუალებას იძლევა არაბული წყაროების საფუძველზე (იბნ სა’დი, ატ-ტაბარი, ალ-ბალა-
ზური, იბნ ‘აბდ ალ-ჰაჰამი, იბნ ჰაშიმი და იბნ ქასირი) ანალიტიკურად და რეგიონში შექ-
მნილი გეოპოლიტიკური ჭადრაკის დაფის პრიზმაში განვიხილოთ საკვლევი საკითხი.
მთავარი შესასწავლი და განსახილველი საკითხები კი შემდეგია: როგორი იყო მუჰამადის
დროს რეგიონში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ძალთა ბალანსი? ავთენტურია თუ არა
მუჰამადის წერილები? რა ტიპის დიპლომატიურ სტრატეგიას მიმართავდა ალაჰის მოციქუ-
ლი რეგიონში არსებულ და მეზობელ პოლიტიკურ ძალებთან მიმართებით? განსხვავდებო-
და თუ არა მისი დიპლომატიური მიდგომები ამ ორ კატეგორიას შორის?

დასკვნის სახით, მუჰამადის სიცოცხლის პირველ ნახევარში რეგიონში მოქმედი ირა-
ნისა და ბიზანტიის მხარეს სასარგებლოდ არსებული ძალთა ბალანსი ისლამის ფუძემდებ-
ლის სიცოცხლის ბოლოსკენ ისლამური სახელმწიფოს მხარეს გადაიხარა. მუჰამადმა თავისი
მიზანდასახული სამხედრო სტრატეგიისა და გამჭრიახი დიპლომატიის წყალობით მოახერ-
ხა წარმატებული სახელმწიფოს დაარსება და რეგიონში საკუთარი ინტერესების წამოწევა
და დაფიქსირება დაიწყო, რაც წერილების შედგენითა და გაგზავნით გამოიხატა რეგიონულ
ძალებთან.

During the first half of Muhammad’s life, political, military, and economic influence of the
Byzantine and Persian Empires in the Arabian Peninsula were still strong. However, in the 7th century,
completely new power of the Islamic city-state had appeared on the political and military arena of the
region. The founder of the Islamic city-state united whole Arabian Peninsula under the new faith and
ideology. As a founder of that state, high commander of the army and the first diplomat, Muhammad

began to pursue and implement own military-political and economic interests, while establishing diplomatic relations and demonstrating military power at the regional level. Doing so, he entered in the system of the international relations of that period.

Our paper scrutinizes the diplomacy of the founder of the Islamic city-state. It studies the first steps of the Islamic city-state in the political field, and the process of shaping the new geopolitical landscape of the region. It was a period when the Islamic theocratic city-state emerged as a rival of the regional superpowers of the Iranian and Byzantine Empires, and Ethiopian kingdom. The paper analyzes role and the importance of the diplomacy as a tool of announcing and implementing strategic interests of the state, and that of the religion, as an ideological soft power, all these backed by furious military power. The letters have been translated from Arabic to Georgian language for the first time. As the letters written under the name of Muhammad were not included in the Qur'an and Hadith literature, their authenticity has been questioned by the Muslim as well as Western and Russian scholars. In order to neutralize the above-mentioned skepticism, it is very important to mention that in the end of Muhammad's political-military activities, the Islamic state already had more or less defined and shaped geographical area (the Arabian Peninsula), it had established diplomatic relations with almost all tribes living in the region. It also identified its own state idea, political and military strategy (maintenance and consolidation of the theocratic state). It had an ideology (Islam), as well as the conception-strategy (spreading Islam as a faith and ideology), and also own interests in the region, inspired (وحي) by the orders of Allah (Jihad and collecting the tribute / Jizyah from the misguided monotheists, who changed their scriptures). Accordingly, we think that there is nothing strange in the fact of the Prophet of Allah writing the letters to the political leaders of the neighboring states of the Arabian Peninsula. The main reason for that should have been the desire to establish diplomatic relations. As for the demand of accepting Islam, in our opinion, it had to be dictated by the desire to operate from a dominant position. Islam was a soft power of that time. In addition, the citation of these letters by the objective and reliable historical sources, such as Ibn Sa'd, Al-Baladhuri, Al-Tabari and Ibn Kathir, further validates their authenticity.

The article is based on the method of textual analysis and complex approach. It was revealed that the founder of Islam was far more categorical and demanding toward rulers living in the Arabian Peninsula. Sometimes he did not hesitate even using military threat and blackmailing tactic against them, while vis-à-vis the neighboring countries, Muhammad was more diplomatic. The letter sent to the ruler of Ma'an convince us that the infiltration and spreading of Islam as an unifying ideology begun among those people and regions, who spoke Arabic language and had kindred ties with the Arabs living on the Arabian Peninsula, and whose leaders had pure solidarity toward Muhammad.

It was a popular idea in the historiography that Muhammad sent letters in the last years of his life, when the socio-political and religious matters were in his favor. As we saw, letters were sent in the different periods and reflected concrete historical condition of the Islamic theocratic state, social-political environment of Muslims, and their concerns. These letters contain the most important and vital aspects of the domestic and foreign policy of the Islamic city-state.

In the first half of Muhammad's life the influence of the Iranian and Byzantine Empires in the Arabian Peninsula was still strong, but the situation dramatically changed in the second half of his life. The brave, categorical, and in some cases - threatening nature of the letters, which he sent to the various political leaders of the neighboring countries, was caused by the fact that regional geopolitical balance of power had changed in the favor of the Islamic city-state.

This became more evident after concluding „the Treaty of Hudaibiyah“ (الهدبية صلح) with Meccan pagans in January 628, when the Muslims began living in more or less safe environment, as

well as after military expedition of Tabuk in 630 (تبوك غزوة), when the Emperor of the Byzantine Empire did not dare to fight Muhammad in an open military confrontation and retreated. This was a clear sign for Muhammad that Constantinople recognized buffer zones between Islamic state and the Byzantine Empire as being under Muhammad's political influence.

The Byzantine Empire had quite serious problems on the European continent at the time (migration of Slavic tribes), while brutal killing and overthrowing new Shahanshahs continued for years in Iran. Accordingly, overall historical events, and the political climate in the region were ripe for militarily and politically triumphant Muhammad to write this kind of letters to the political leaders of the neighboring states.

მარია ქიტანავა-ლობჯანიძე Marika Tchitanava-Lobzhanidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

წმიდა მარკოზ მახარებლის ბიოგრაფია Biography of Saint Mark the Evangelist

საკვანძო სიტყვები: მახკობი, მახახებელი, იდენტიფიკაცია
Keywords: Mark, Evangelist, identify

წმიდა მოციქულისა და მახარებლის მარკოზის შესახებ საკმაოდ მწირი ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება. აღნიშნული საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი და გამოკვლეული საქართველოში, რამდენადაც წმინდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ამას თან ერთვის ევანგელისტის პიროვნების არასწორი იდენტიფიცირება, რაც ხელს უწყობს საეკლესიო ლიტურატურაში უფლის მიერ გამორჩეულ სამოცდაათ მოწაფეთა (ლკ. 10, 1-3) შორის მარკოზის სეხნია რამდენიმე მოციქულის მოხსენიებას, როგორც სხვადასხვა ისტორიული პერსონაჟი; ამასთანავე, მახარებლის გაიგივების ტრადიცია წმ. იოანე ღმრთისმეტყველთან. აღნიშნული ფაქტის მთავარ მიზეზად შეიძლება ჩათვალოს არაბების შემოსევებითა და მრავალი დაპყრობითი ომის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი წყაროს განადგურება, რამაც ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების მცდარი ინტერპრეტირება გამოიწვია.

მახარებლის ბიოგრაფიული მონაცემების მეტ-ნაკლები სისრულით გადმოცემა შესაძლებელია არა მხოლოდ ანტიკური და კოპტური სვინაქსარებისა და ქრისტიანი მწერლების ტექსტებზე, ასევე, მარკოზის მშობლიურ რეგიონში შემონახულ ინფორმაციაზე – ჩრდილოეთ აფრიკულ ნარატივზე დაყრდნობით. სამივე მათგანის შეჯერებით შეგვიძლია განვსაზღვროთ წმინდანის დაბადების ადგილი, ქრონოლოგია, მშობლებისა და ახლო ნათესაობის ვინაობა, მათი საქმიანობა, განათლება, რაც იმთავითვე აისახა მარკოზის სულიერ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში. როგორც ლევიტელთა შტოს წარმომადგენელი ებრაელები, მოციქულის სიყრმის ასაკში ემიგრაციით დაბრუნდნენ იერუსალიმში, სადაც საფუძველი ჩაეყარა განკაცებული მაცხოვრისა და მახარებლის დაახლოებას და შემდგომში უფლის გამორჩეულ მოწაფეთა შორის დასახელებას. ეს კარგად ჩანს ევანგელისტის საცხოვრებელი სახლის მაგალითზეც, სადაც აღსრულდა არაერთი ღვთაებრივი აქტი, კერძოდ, საიდუმლო სერობა, ფერხთბანვა, სულიწმიდის გარდამოსვლა, პეტრე მოციქულის სასწაულებრივი გათავისუფლება საპყრობილიდან და აღნიშნულ ქრისტიანთა სახლ-სამლოცველოში მოყვანება.

საგულისხმოა, რომ სულთმოფენობის შემდგომ წმ. მარკოზი ყოვლადწმიდა სამების სახელზე მოინათლა მოციქულთა თავის მიერ, რომელმაც მისიონერული მოგზაურობების დროს თან იახლა „საყვარელ ძედ“ წოდებული (1 პეტ. 5, 13) მახარებელი, თავდაპირველად როგორც ძველბერძნულ-ლათინური ენების უბადლო მცოდნე და თარჯიმანი, მოგვიანებით კი მისივე ხელდასხმით ეპისკოპოსის ხარისხში.

სწორედ მის საეპისკოპოსო მოღვაწეობის პერიოდს უკავშირდება ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლის შექმნა: 1. მარკოზის სახარება, რომელიც დაიწერა რომის იმპერიაში მისიონერული მოგზაურობის ახლადმოქცეულთა თხოვნით; 2. წმ. მარკოზ მახარებლის ლიტურგია, რომელიც ალექსანდრიის მწყემსმთავრად დადგენის შემდგომ ევანგელისტმა ძველბერძნულ ენაზე შეუდგინა ეგვიპტის მოსახლეობას, სადაც მოწამეობრივად აღესრულა კიდეც ქრ.შ.-დან 68 წელს. თუმცა არსებობს წმ. მარკოზის სახელთან დაკავშირებული კიდეც ერთი, დიდმარხვის ღმრთისმსახურების წესი, რომელიც საფუძვლად დაედო მელქიტების მიერ დადგენილ მარკოზის პირველშეწირულის ლიტურგიას.

აღსანიშნავია, რომ როგორც ახალი აღთქმის წიგნებზე, ისე ადრექრისტიანულ, კოპტურ და ჩრდილო აფრიკულ მონაცემებზე დაყრდნობით, მარკოზ მახარებელმა პეტრე, პავლე და ბარნაბა მოციქულებთან ერთად 35 წლის განმავლობაში იმოგზაურა და იქადაგა ევრაზიისა და აფრიკის ტერიტორიაზე. ყველა მათგანი უპირველესად ასახელებს ანტიოქიას. ეს ფაქტი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც თითქმის მეცხრამეტე საუკუნემდე ევანგელისტი ანტიოქიის ეპისკოპოსადაა მიჩნეული და წარმოდგენილია როგორც სხვა, დამოუკიდებელი პიროვნება.

მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრის მიხედვით, 4/17 იანვარს აღინიშნება კრება სამოცდაათ მოციქულთა, რომელთა შორის დასახელებულია მარკოზის სახელის მატარებელი სამი პიროვნება – მარკოზ მახარებელი, იოანე, იგივე მარკოზი და მარკოზი, ბარნაბას ძმისწული. ამათგან, იოანე, იგივე მარკოზი, ანტიოქიის ბიბლოსის ეპისკოპოსადაა მიჩნეული, ხოლო ბარნაბას ძმისწული მარკოზი კი – აპოლონიადელ ეპისკოპოსად. ხაზგასასმელია, რომ მცირე აზიის ეკლესიებისადმი მიწერილ პეტრეს პირველ კათოლიკე ეპისტოლეში (1 პეტ. 5,13) მოხსენიებულია ბაბილონის ეკლესია, კერძოდ, ეგვიპტის ბაბილონი (თანამედროვე კაირო) და მარკოზ მოციქული, რომელიც რამდენჯერმე იმყოფებოდა ანტიოქიაში, რამაც ხელი შეუწყო მახარებლის ნაცვლად სხვა მარკოზის სახელის დამკვიდრებას ანტიოქიის ეპისკოპოსად სამოცდაათ მოციქულთა შორის. სინამდვილეში, მარკოზ მახარებელი, ბარნაბას ძმისწული აპოლონიადელი ეპისკოპოსი და ბიბლოსის მწყემსმთავარი იოანე-მარკოზი ერთი და იგივე პიროვნებაა.

ამგვარად, ქრისტიანული წერილობითი ძეგლების შესწავლით შეგვიძლია წარმოვადგინოთ როგორც წმ. მარკოზის ბიოგრაფიული ცნობები, ისე მისი პროსოპოგრაფიული იდენტობის დამადასტურებელი ფაქტები.

We can find very little biographical information about Saint Mark the Apostle and Evangelist. The issue is less studied and researched in Georgia, as the facts depicting the life and work of the saint have reached us only in the form of small fragments. This is accompanied by the wrong identification of the evangelist's personality, which contributes to the mention of several apostles of Mark among the seventy disciples distinguished by the Lord (Luk. 10, 1-3) as different historical characters in church literature. At the same time, it depends on the tradition of identifying the evangelist with St. John the Theologian. The main reason for this fact can be considered to be the destruction of a number of

important sources as a result of Arab invasions and many conquest wars, which led to erroneous interpretation of historical events and personalities.

The evangelist's biographical data can be more or less fully conveyed based on the texts of the ancient and Coptic Synaxariums and Christian writings, also on the North African narrative. By comparing all three of them, we can determine the saint's birthplace, chronology, identity of parents and close relatives, their activities, education, which was reflected in the spiritual and intellectual abilities of Mark. As the Jews representing the tribe of Levites, they emigrated back to Jerusalem during the youth of the apostle, where the foundation was laid for the coming of the Savior and the evangelist and later being named among the outstanding disciples of the Lord. This can be clearly seen in the example of the evangelist's residence, where the important divine acts were performed.

After Pentecost St. Mark was baptized in the name of the Holy Trinity by the apostle Peter, who took the evangelist called "beloved son" (1 Pet. 5, 13) during his missionary journeys, initially as a translator, and later as bishop.

During the period of his episcopal work St. Mark composed two important writings: 1. The Gospel of Mark; 2. St. The liturgy of Mark the Evangelist, created for Egyptians in Greek. However, there is another Great Lent service of Apostle Mark, which is selected in Melchites' rite.

According to New Testament and ancient Christian, Coptic and North African narrative, the Evangelist traveled and preached in the territory of Eurasia and Africa for 35 years together with the apostles Peter, Paul and Barnabas. Mark visited Antioch several times as bishop. For this reason he was considered the bishop of Antioch and was presented as another independent person among the seventy apostles.

So, we can present as St. Mark's biographical information, as well as facts confirming his prosopographical identity on the basis of Christian documents.

ელენე ჭირაკაძე

Elene Tchirakadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakishvili Tbilisi State University/Georgia

ესპანელ ქალთა მოწოდებები ჟურნალ "Mujeres Libres"-ის
წინასიტყვაობის მიხედვით
Spanish Women's Vocations According to the Forewords of the Journal
"Mujeres Libres"

საკვანძო სიტყვები: ესპანეთი, სამოქალაქო ომი, ფიანკოს დიქტატურა, „თავისუფალი ქალები“;
წინასიტყვაობა

Keywords: Spain, Civil War, Franco's Dictatorship, "Free Women", Journal, Prefaces

ბოლო ათწლეულების მანძილზე მეტად აქტუალური გახდა გენდერული საკითხები-სა თუ პრობლემების კვლევა და მათი სამეცნიერო ანალიზი. ამ თვალსაზრისით ბევრი სხვადასხვა მიმართულება გამოიკვეთა. ერთ-ერთი საინტერესო კი უდავოდ, ჟურნალ-გაზეთებია, კერძოდ კი, ფემინისტური, ქალთა გამოცემები, სადაც ასახულია მათი პრობლემები, უფლებრივი ბრძოლისკენ სწრაფვა, მიზნები და ა. შ.

ესპანელი ქალებისთვის გარდამტეხი პერიოდი იყო მეოცე საუკუნე, როდესაც ესპანეთის სოციალკულტურული ძვრები მნიშვნელოვნად შეეხო მთლიანად საზოგადოებას, უფრო ზუსტად კი, ესპანეთის სამოქალაქო ომი, სადაც ფაშისტური ძალები აქტიურად იბრძოდნენ ქალთა უფლებების შეზღუდვისკენ. მათ წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ანარქისტული მოძრაობა *Mujeres Libres* (თავისუფალი ქალები). მათ ეჭვქვეშ დააყენეს პატრიარქატი, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც ბურჟუაზიის ინსტიტუტებში, ასევე იმდროინდელ დომინანტურ კულტურაში. ეს ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი ფემინისტური ძალა იყო ესპანეთში, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოეხდინა ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, როდესაც სურდათ გაზეთის გამოშვება, მათ ცნობილ ამერიკელ ანარქისტ ლიდერ ემა გოლდმანს გაუგზავნეს წერილი. მიმართვაში ითხოვდნენ დახმარებას, რომ გაზეთის მიზანი იყო ქალების დაქირავება ანარქიზმისთვის: „ჩვენ ვცდილობთ ქალური მორალის გამოღვიძებას ლიბერტარიული იდეების შესახებ, რომლის შესახებაც ესპანელი ქალების უმრავლესობამ, რომლებიც ძალიან ჩამორჩენილნი არიან სოციალურად და კულტურულად, არაფერი იციან.“ ემა გოლდმანმა დადებითად უპასუხა. *Mujeres Libres*-ს საწყისი პროგრამა არსებითად კულტურული და საგანმანათლებლო იყო; მისი ჟურნალი *Mujeres Libres* იყო ეფექტური ინსტრუმენტი ორგანიზაციის შეხედულებების გავრცელებისთვის, რომელსაც გადამწყვეტი საგანმანათლებლო როლი უნდა შეესრულებინა. უშუალო მიზანს წარმოადგენდა ქალებისთვის დაწყებითი განათლების მიცემა და გარკვეული სახით პოლიტიკური მომზადება, რაც მათ საშუალებას მისცემდა, მონაწილეობა მიეღოთ ანარქისტულ საქმიანობებში. 1936 წლის ივლისში ესპანელი ანარქისტებისთვის

დადგა ახალი პერიოდი, რომლის მიზნები იყო ფაშიზმის განადგურება და ამავედროულად საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა.

ამრიგად, თავისუფალმა ქალებმა შექმნეს ჟურნალი, რომლის ზოგიერთი ეგზემპლარი ვერ მოიძებნა, რადგან ფაშიზმმა დაამარცხა ანარქისტული რევოლუცია, რომელსაც ეს ქალები ხელმძღვანელობდნენ და დღეს შემორჩენილია მხოლოდ 14 ნომერი, რომელიც გამოიცა 1936-1938 წლებში.

ჟურნალი მალე გახდა *Mujeres Libres*-ის გამოხატვის ორგანო, ორგანიზაცია, რომელიც ეწეოდა დიდ კულტურულ, საგანმანათლებლო და რევოლუციურ საქმიანობას. მათი მიზანი იყო ყველასთვის მიეწვდინათ ხმა, რომ ქალების თავისუფლების გარეშე, მამაკაცების თავისუფლება არაფრად ღირს.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალს დიდი დატვირთა ჰქონდა და აქვს ადამიანთა ცხოვრებაში, მათი ყოველდღიურობის გამოხატულების კარგი საშუალებაა. პრესა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმდროინდელი რეალობის აღსადგენად და გვეხმარება წარსულის რეპრეზენტაციაში.

მოგეხსენებათ, ჟურნალის ყველა ნომრის განხილვა სტატიის ფორმატში შეუძლებელია, ამიტომ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ვისაუბროთ ყოველი ნომრის შესავალ ნაწილზე, წინასიტყვაობაზე, სადაც მოკლედაა გადმოცემული მთლიანი ნომრის პათოსი, განწყობა, მოკლე აღწერა იმისა, თუ რას შეეხება ის კონკრეტული ნომერი.

მათში მოცემულია ქალთა წერილები, მოწოდებები ომის შესახებ, ასევე, მოწოდებულია ქალთა გაძლიერების საკითხები და უფლებრივი ბრძოლის წინაპირობები, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია გასაშუქებლად და წარმოსაჩენად. აქ ძალიან კარგად ჩანს განწყობები, რომელიც ეპოქის და პროცესების თანმდევი იყო. მათი ანალიზი და შეფასება საისტორიო წყაროს კუთხით საკმაოდ საინტერესოა.

აქვე, სამომავლო კვლევებისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამგვარი ჟურნალების შესწავლა და ეს მცირე სტატია დაგვეხმარება ამ დიდი კვლევისთვის მცირე ნაბიჯების გადადგმაში.

In recent decades, the study of gender issues becomes more relevant. From this point of view, many different directions have been identified. Undoubtedly, one of the interesting ones are magazines and newspapers, in particular, women's editions, where their problems, striving for rights, goals, etc. are reflected.

The turning point for Spanish women was the twentieth century, when socio-cultural changes in Spain significantly affected society as a whole, more precisely, the Spanish Civil War, where fascist forces actively fought to restrict women's rights. Anarchist movement *Mujeres Libres* (Free Women) was formed against them. They questioned the patriarchy that was represented both in the institutions of the bourgeoisie and in the dominant culture of the time. It was one of the first and important feminist forces in Spain, which tried in every way to make an important turning point in history.

The initial program of *Mujeres Libres* was essentially cultural and educational; Its magazine *Mujeres Libres* was an effective tool for disseminating the views of the organization, which was to play a crucial educational role. In July 1936, a new period began for the Spanish anarchists, whose goals

were the destruction of fascism, the simultaneous goals of which were the destruction of fascism and the revolutionary transformation of society.

Thus, free women created a magazine, some copies have not been found, because fascism defeated the anarchist revolution led by these women, and today only 14 issues, published between 1936 and 1938, survived.

The magazine soon became the organ of expression of Mujeres Libres, an organization engaged in great cultural, educational and revolutionary activities. Their goal was to give voice to everyone that without women's freedom, men's freedom is worth nothing.

It is worth noting that the magazine had a great impact on people's lives, it is a good way to express their everyday life. The press is an important source for reconstructing the reality of that time and helps us to represent the past.

As you know, it is impossible to discuss all issues of the magazine in the format of an article, therefore, we consider it important to talk about the introductory part of each issue, the preface, which briefly conveys the pathos of the entire issue, the mood, a brief description of what that specific issue is about.

They include women's letters, calls for war, and also provide women's empowerment issues and the background of the civil rights struggle, which we think are important to cover and present. Here you can clearly see the moods that accompanied the era and the processes. Their analysis and evaluation in terms of historical sources is quite interesting.

Here, we consider it important to study such journals for future research and this small article will help us to take small steps for this big research.

თარგმნის მანძილი და ფილოსოფია The Distance of Translation and Philosophy

საკვანძო სიტყვები: მანძილი, თარგმანი, ენა, ფილოსოფია
Keywords: Distance, Translation, Language, Philosophy

ყოველი თარგმანი, როგორც კი იგი სწვდება მკითხველის თვალს, გარდაუვალად მანძილის გამოცდილებას ამწიფებს მასში. ის, რაც თავს იკრებს ასეთი მანძილის უშუალოებაში, ენის ყოფნაა. ხაზი გავუსვათ, რომ ჩვენ აქ ყოველ შესაძლებელ თარგმანზე ვლაპარაკობთ ისე, რომ ერთმანეთისგან არ ვასხვავებთ კარგ თარგმანს ცუდისგან. მანძილის გამოცდილებას მკითხველი ორივე შემთხვევაში აწყდება; განსხვავება, მხოლოდ და მხოლოდ, თარგმანიდან ამოფენილი დროის შინაარსობრივ თავისებურებებშია. მაშინ, როცა კარგი თარგმანი (და ისიც მხოლოდ ხანმოკლედ) საკუთარ თავში თან დაატარებს შეძლებას იმისა, რომ მკითხველს ორიგინალის უწყვეტად მიხედვით ჩრდილს აცილებდეს, და ამით თარგმნილი ტექსტის მცხოვრებ სინამდვილეს თავისუფალ სვლას, საკუთარ თავთან ურთიერთობის ქმნად იმანენტურობას ანიჭებდეს, ცუდი თარგმანის წიაღიდან წარმოქმნილი მანძილი მკითხველის უჩვეულო მწუხარების წყაროდ იქცევა. მწუხარების, რომელსაც გამოცდილი მკითხველი ახალ სამყაროსთან შეხვედრის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის გამო გრძნობს; იმ სამყაროსი, რომელიც მკითხველის აქტუალური განსაზღვრულობის მიღმაა, იმ ენის სფეროში, რომელიც მან არ იცის, რომელსაც იგი ჯერ კიდევ არ დაუფლებია.

თარგმანი თავის ყველაზე არსებით მნიშვნელობაში, ყოველთვის უკვე მანძილის სინამდვილითაა განმარტებული. ფიქრიანი მკითხველი ისაა, ვისაც შეუძლია ამ მანძილის ღიაში განცდა, მის შუაგულში შეუპოვრად დგომა; ვისაც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მისდა უნებურადაც კი შეუძლია გაიმეოროს დელიოზის სიტყვები: „ჩემი სიყვარული მანძილის აღმოჩენაა“ [Mon amour est une exploration de la distance] (Deleuze 1969, 210). ასეთი მკითხველი საკუთარივე ყოფნით ასხეულებს მანძილის არსებით გარდაუვალობას, მის ძირეულ ჩაუნაცვლებლობას. უვლენ გზაზე მყოფი, ცვალებადობებისა და გარდაქმნების მხედველი სულ უფრო იახლოებს მდგომარეობას, რომელშიც შესაძლებელია ამოითქვას სიტყვები: *მე თვითონვე მანძილი ვარ.*

ჩემს მოხსენებაში ვცდები ცხადვყო, რომ მანძილის გამოცდილება თარგმანის არსია. ერთმანეთისგან კონცეპტუალურად განვასხვავებ თარგმანში შინთქმული მანძილის ოთხ დონეს:

1. მანძილი ორიგინალი ტექსტის ენასა და თარგმანის ენას შორის.
2. მანძილი მკითხველსა და ორიგინალი ტექსტის ენას შორის.
3. მანძილი მკითხველსა და მის მშობლიურ ენას შორის.

4. მანძილი არსებულ თარგმანსა და მის მომავლისეულ „ორეულს“ შორის.

მანძილის ზემოთ ჩამოთვლილი ოთხივე სახე თარგმანის ურთიერთობრივ საფუძველს აყალიბებს. ჩვენ, როგორც კი ვაბიჯებთ თარგმანის სფეროში, იმავედროს ამ ურთიერთობიდან ამონათებულ ახლო სიშორეს ვეზიარებით;; ვცხოვრობთ მასში ჩაწერილ მონაცვლეობას. და თუ გულისყურით მივყვებით ამ მანძილის მაფორმირებელ შორის-სივრცეებს, მაშინ შესაძლოა, ჰაიდეგერის შემდეგი სიტყვებიც სიცხადეში ამეტყველდნენ ჩვენთვის: „ნაღდი თარგმანი ყოველთვის შეჭიდულობაა“ [Echte Übersetzung ist stets Auseinandersetzung] (Heidegger 1984, 79).

Every possible translation (as soon as it meets the eyes of the reader) matures the experience of a distance. What is gathered in the immediacy of such distance is the being of the language. Very purposefully I say ‘every possible translation’... without dissociating the good translation from the bad one. The experience of distance is endangered in both cases, just with a difference of structural temporality in play. Whilst the good translation (and that for a while) silences the demanding voice of the original, thus allowing the living reality of translated text to move in its free, we may say immanent self-relationality; it is with the bad translation that the being of a distance becomes the source of anguish, of a certain despondency for the reader; depriving the reader of a proper sense, of a truthful meaning, of an entire world of something which dwells beyond one's actuality, beyond ones reality - in the space of language one does not know.

In its essential understanding encountering translation is always already accompanied by the reality of distance. The thoughtful reader is the one who experiences this distance, the one who knows how to persevere in the midst of it, the one who is able to repeat the words of Deleuze with a sufficient degree of affirmation: “My love is the exploration of distance” [Mon amour est une exploration de la distance] (Deleuze, 210); after all such reader by one's own life starts embodying the essential irreplaceability of distance, thus and on this imperceptible passage of transformations bit by bit approaching the abode of saying: It is I myself who am the distance.

In my paper, I will argue that the experience of distance is the essence of translation. I will attempt to conceptualize that every translation is composed of four different yet of interconnected levels of distances:

- 1.Distance between the original language and that of translation;
- 2.Distance between a reader and the language of the original text;
- 3.Distance between the reader and the native language of the one;
- 4.Distance between actual translation and its future “re-actualization”.

All of these four compose the relational ground of translation. Whenever we enter the sphere of translation we experience the reality of this relation, we live its immediate distance; so that, if we are sufficiently pensive the following words of Heidegger start resonating for us: „Genuine translation is always an encounter“ [Echte Übersetzung ist stets Auseinandersetzung] (Heidegger).

არქტიკის ყინულები დნება და სუპერსახელმწიფოებს შორის კონფლიქტები უფრო ძლიერად იჩენს თავს As Arctic Ice Melts, Frozen Conflicts Among Superpowers Emerge

საკვანძო სიტყვები: არქტიკის ხეგიონი, სუპერსახელმწიფოების მეტოქეობა, ჩინეთი, რუსეთი, აშშ, ახალი სატრანსპორტო გზა, გამოუკვლევდი ნავთობისა და გაზის მახაგი
Keywords: The Arctic, Great Power Competition, China, Russia, the USA, New Transport Route, Unexplored Oil and Gas

კლიმატური ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დაინტერესება არქტიკის რეგიონით. რეგიონში არსებული ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ნავთობი, ბუნებრივი რესურსები და სავაჭრო-სატრანსპორტო გზები წარმოადგენს ისეთ ბერკეტებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მსოფლიოს ძალთა ბალანსზე. აქედან გამომდინარე, არქტიკის რეგიონის მეზობელი და არამეზობელი ქვეყნები დიდ ძალისხმევას იღებენ უპირატესობის მოსაპოვებლად. ნაშრომის მიზანია სუპერსახელმწიფოებს შორის არსებული მრავალმხრივი და კომპლექსური ურთიერთობების ფონზე დაადგინოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც უკიდურეს ჩრდილოეთში ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთისა და ჩინეთის დაპირისპირება გამოიწვია; ყურადღება გამახვილებულია ჩინეთის როლზე რეგიონში, იმდენად, რამდენადაც ის არ ესაზღვრება არქტიკის ოკეანეს, თუმცა მიუხედავად ამისა, დიდი გავლენებით სარგებლობს. აღნიშნული კვლევის თანახმად, სუპერსახელმწიფოების მეტოქეობის მთავარ საგანს სანაოსნო სავაჭრო გზებზე გავლენების მოპოვება და აღმოუჩენელი რესურსების დაპატრონება წარმოადგენს, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკურ უპირატესობას, არამედ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით. ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს, როგორებიც არის ლიტერატურის მიმოხილვა, შედარებითი ანალიზი, პირველადი და მეორეული წყაროების შესწავლა.

The paper analyzes new great power competition in the arctic given the challenging environmental circumstances and asserts that it has a significant influence on the balance of power politics. Melting ice reveals an arctic treasure of natural resources, minerals, fisheries, and shipping lanes. Superpowers compete for gaining a foothold in the region which opens up new trade opportunities through new shipping lanes which are supposed to reduce the time and cost of product delivery. The paper investigates complex relations among the arctic and non-arctic states and argues that the north pole has become crucial to the national security of Russia, the US, and, to some extent, even China. China acts wisely with regard to its foreign policy-making in the Arctic. It has already elaborated its own view of how the world is designed, depicted on its vertical map, and keeps fulfilling the schemes of

its blueprints step by step. China claims no territory in the Arctic, because it simply cannot make any claims, although, Beijing regards the Northern Pole as the “land of undetermined sovereignty” which means that China wants to be present ‘when determining the sovereignty of Arctic territories’ to get its own share. China’s increased presence in the region is a merit of its smart diplomatic approach to resort to soft power tools. In particular, China collaborates with the Arctic states in scientific and energy projects while sticking to its political and economic interests. The bottom line of China’s activities in the north pole is buying more influence and stakes where appropriate and feasible. Along with political power and influence, China wants to fully get the expected financial benefits from the Arctic and will cooperate with anyone to get more profits. However, paradoxically, one of the key barriers for China to the resources of the Arctic is Russia. The research often refers to the United Nations Convention on the Law of the Sea to discuss contested waters of the Arctic Ocean and the leverages great powers have in the region. Qualitative research methods have been applied in the study such as desk research, literature review, comparative approach to text analysis, and investigation of primary sources.

ანა ხვედელიანი Ana Khvedeliani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakishvili Tbilisi State University/Georgia

ქართული ენის მნიშვნელობა: ერი-სახელმწიფოს ფორმირებისათვის განათლების პოლიტიკის მიხედვით (1918-1921) The Importance of the Georgian Language for the Formation of Nation - State According to the Educational Policy (1918-1921)

საკვანძო სიტყვები: განათლების პოლიტიკა, ნაციონალური იდენტობა, ერი/ნაცია, ერი-სახელმწიფო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

Keywords: Educational Policy, National Identity, People/Nation, Nation-State, Democratic Republic of Georgia

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას მნიშვნელოვანი მიმართულებები იყრის თავს, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების პოლიტიკა თავის თავში აერთიანებს როგორც კულტურული, ასევე სამოქალაქო ნაციონალიზმის მარკერებს. მათი მთლიანობა კი ქმნის ერს როგორც პოლიტიკური და კულტურული ხასიათის ერთობას. ამაში მნიშვნელოვან როლს ქართული ენა, მისი სწავლებისა და ინსტიტუციონალიზაციის პროცესი ასრულებს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების სივრცის უქონლობის გამო, ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების მოღვაწეობის მიზანი ქვეყნისათვის კულტურული ნაციონალიზმის განსაზღვრა იყო. მათ კარგად უწყოდნენ, რომ საკუთარი თავის ძიება და ნაციონალური თვითგამორკვევა ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო, რომელშიც მშობლიური ენა, განათლება, ისტორია, კულტურული აღორძინება, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და თვითადმინისტრირება შედიოდა. თერგდალეულებისათვის ქართული ენა იყო ის საფუძველი, რომელზეც საქართველოს ეროვნული მთლიანობა უნდა აშენებულიყო. ამ თვალსაზრისით, თერგდალეულთა პრაქტიკულმა მუშაობამ და მათმა უშუალო მონაწილეობამ განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში, საფუძველი ჩაუყარა ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირებას. ილიასეულ ტრიადაში – „მამული, ენა, სარწმუნოება“, – ქართულ ენას, როგორც სააზროვნო სივრცის შემომსაზღვრელსა და ეროვნული იდენტობის მთავარ მარკერს, წამყვანი პოზიცია უკავია. ილიას ეპოქის ამოცანა ქართველთა კონსოლიდაციისათვის ქართული ენის აღორძინება იყო. დროთა მანძილზე ქართულ ენას ეთნიკურ-ეროვნული საზღვრების გადალახვით ქვეყნის, როგორც სახელმწიფოს ყველა მცხოვრების, ინტეგრაცია დაეკისრა. სწორედ 1918-1921 წლებში ვხედავთ ქართული ენის მიერ ეთნიკურ-ეროვნული საზღვრების გადალახვის პირველ მცდელობებს. ამ პროცესში სახელმწიფო საკანონმდებლო და ინტელექტუალური აპარატი თანმიმდევრული ნაბიჯებით იყო ჩართული: ქართული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად; მოხდა სასწავლო დაწესებულებების გაეროვნულება; სავალდებულო გახდა

ქართული ენის შესწავლა; მასწავლებლებისათვის მოეწყო ქართული ენის შემსწავლელი კურსები; შემუშავდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის სტანდარტები; ეროვნულ უმცირესობებს დაევალოთ ქართული ენის შესწავლა; დაიწყო აქტიური მუშაობა ქართულ სასკოლო პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე. თითოეული მათგანი განხორციელდა სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში. ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა და სწავლების გაქართულების შესახებ აქტიური დისკუსია მიმდინარეობდა. დისკუსიის მონაწილეთათვის სწავლა-განათლების გაეროვნულება ეროვნული იდენტობის გამოკვეთის და სახელმწიფოს არსებობის გარანტიად იყო მიჩნეული, რამდენადაც საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა მხოლოდ კულტურული თვისება არაა და ის ქვეყნის ეგზისტენციალიზმის, მისი პოლიტიკური არსებობის განმსაზღვრელიც არის. თვალსაჩინოა განსხვავება მე-19 საუკუნეში თერგდალეულების მიერ გატარებულ ქართული ენის რეფორმასა და დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას შორის: მე-19 საუკუნეში პოლიტიკური თვითმოქმედების უქონლობამ ენის, როგორც კულტურული მარკერის, გამოკვეთა დასახა მიზნად. ამ პროცესის მნიშვნელობამ შედეგი 1918-1921 წლებში გამოიღო, რომელიც ქართული ენის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებით გამოიხატა. ერთი მხრივ, ეს ერთგვარი განმტკიცებაა პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო აპარატების ლეგიტიმაციისა მისთვის დაწესებულ საზღვრებში. ასევე, დადასტურება იმ ფაქტის, რომ თერგდალეულების მიერ დაწესებული კულტურული ნაციონალიზმი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდშიც გრძელდება და, ამასთანავე, კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის ეტაპად ფორმირდება.

პოლიტიკური და ინტელექტუალური წრის წარმომადგენლები განიხილავდნენ ქართული ენის მნიშვნელობას დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში. ქვეყნის კულტურული ცხოვრების საფუძველი არის ენა, რომელზეც დაფუძნებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარება კულტურული და პოლიტიკური ნიშნით, ამიტომაც სწავლა-განათლება უნდა მოწყობილიყო ქართულ ენაზე, რადგანაც სწავლების ქართულ ენაზე მოწყობას და სასწავლო დაწესებულებების გაქართულებას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელი ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. სწორედ ამგვარი მნიშვნელობის შესახებ არის მსჯელობები საგაზეთო სტატიებში თუ საარქივო დოკუმენტაციაში. ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს იდეოლოგიის წარმართვა დაკავშირებული იყო სწავლების ნაციონალიზაციასთან. მით უფრო იმ ისტორიული საგანმანათლებლო ტრადიციის გათვალისწინებით, რომელსაც საქართველო ფლობდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრებამდე. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლითაც ქართველის იდენტობა, მისი „მე“ უნდა ჩამოყალიბებულიყო, ქართული ენის, როგორც სააზროვნო სივრცის, საგანმანათლებლო კერებში დაბრუნებით უნდა მომხდარიყო.

In the sixties of the nineteenth century, due to the absence of political decisions space, the goal of the activities of Ilia Chavchavadze and Tergdaleulebi was to define cultural nationalism for the country. They were well aware that self-discovery and national self-determination were important

aspects of the national identity formation, which included native language, education, history, cultural revival, publication of magazines and newspapers and self-administration. For Tergdaleulebi, the Georgian language was the basis on which the national unity of Georgia was to be built. In this respect, the practical work of Tergdaleulebi and their direct participation in the development of education and culture laid the foundation for the formation of the Georgian identity narrative. In Ilia's triad „Motherland, Language, Faith”, the Georgian language, which draws boundaries for the intellectual space and is the main marker of the national identity, occupies a leading position. The task of Ilia's era was to revive the Georgian language for the consolidation of Georgians. Over time, the integration of all residents of the country, as of the state, was imposed on the Georgian language by overcoming the ethnic-national boundaries. It is 1918-1921 that we see the first attempts of the Georgian language to overcome the ethnic-national boundaries. In this process, the state legislative and intellectual organs were involved in successive steps: the Georgian language was declared official language; educational institutions were nationalized; the study of the Georgian language became mandatory; Georgian language courses were organized for teachers; standards of scientific terminology were developed; national minorities were instructed to learn the Georgian language; active work on Georgian school programs and textbooks began. Each of them was implemented within the framework of the state educational policy. There was an active discussion about the declaration of the Georgian language as the official language and Georgianization of teaching. For the participants of the discussion, the nationalization of education was considered as a guarantee of defining the national identity and the existence of the state, as long as the statehood of one's own country is not only a cultural feature, it is also a determinant of the country's existentialism, its political existence. The difference between the reform of the Georgian language carried out by the Tergdaleulebi in the 19th century and the state educational policy of an independent country is visible: in the 19th century the lack of political self-action aimed to highlight the language as a cultural marker. The importance of this process produced results in 1918-1921, which was expressed by the regulation of the Georgian language at the legislative level. On the one hand, this is a kind of strengthening of the political independence and the legitimacy of the state organs within the limits set for it. It is also a confirmation of the fact that the cultural nationalism started by Tergdaleulebi also continues during the period of the independent republic, and at the same time, it forms a stage of transition from the cultural to civic nationalism.

Representatives of the political and intellectual circles discussed the importance of the Georgian language within the framework of educational policy of the Democratic Republic. The basis of the country's cultural life is the language, on which the development of this or that state is based in terms of cultural and political signs, that is why studying - education had to be organized in the Georgian language, because the arrangement of teaching in the Georgian language and Georgianization of educational institutions had political significance for the future development of an independent country. This kind of significance is discussed in the newspaper articles and archival documents. Carrying on the ideology of the Georgian democratic state was connected with the nationalization of teaching. All the more, considering the historical educational tradition that Georgia possessed before the establishment of Russian self-rule. After the declaration of independence, the determining factor by which a Georgian's identity, his/her "I" had to be formed, - had to be fulfilled by returning the Georgian language, as a space of thinking, to the educational centers.

გალის რაიონის ტოპონიმების მორფოლოგიური სტრუქტურა Morphological Structure of Toponyms of Gali District

საკვანძო სიტყვები: გალი, ოჩამჩიხე, ქახთვედუხი ტოპონიმები, აფხაზური ტოპონიმები, ჰიბრიდული ტოპონიმები, მულტიფუნქციური ტოპონიმები

Keywords: Gali, Ochamchire, Kartvelian Toponyms, Abkhazian Toponyms, Hybrid toponyms, Complex Toponyms

გალის რაიონის ტოპონიმები საკმაოდ მრავალფეროვანია როგორც ენობრივი კუთვნილების, ისე – მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით. გალის რაიონი ენობრივი თვალსაზრისით ძალიან საინტერესო რეგიონია. აქ ორი ხალხის – აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) – სამასწლოვანმა თანაარსებობამ შექმნა ერთგვარი ენობრივი, დიალექტური და ეთნიკური გარდამავალი ზონა, რაც გამოიხატა ბუნებრივ ორენოვნებაში, ორმხრივ ლექსიკურ ნასესხობებსა და ჰიბრიდულ ტოპონიმებში. აფხაზეთის ომის შემდგომ აქ ტოპონიმიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა: აიკრძალა ქართველური წარმომავლობის ყველა ტოპონიმი და გაბატონდა სეპარატისტ მეცნიერთა, განსაკუთრებით ვალერი კვარჭიას მიერ გამოგონილი ადრე არარსებული აფხაზური დასახელებანი. იმისათვის, რომ სამომავლოდ დაცულ იქნეს ჰერმეტიკობა და ისტორიული სამართლიანობა, დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ოკუპაციამდე არსებული ტოპონიმიკური ვითარების დეტალურ კვლევას. ჩვენი მოხსენების მიზანია ამ მხრივ წარმართული კვლევის პირველი შედეგების გაცნობა საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის.

გალის რაიონში ტოპონიმთა უმრავლესობა ენობრივად მთლიანად ქართველურია: ნაწარმოებია ქართული სამწიგნობრო ენის ან მეგრულის ძირის, ფუძეებისა და აფიქსების გამოყენებით. ტოპონიმთა ძალიან მცირე ნაწილი აფხაზურია.

სამურზაყანოს ყველაზე სრული ტოპონიმიკური აღწერა მკვლევარმა პაატა ცხადაიამ განახორციელა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. ჩაწერილია 11 ათასზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება. ნაშრომში მის მიერ აღწერილ ტოპონიმთა მორფოლოგიური ანალიზი იქნება წარმოდგენილი.

აქვე არის რამდენიმე ჰიბრიდული, ანუ ორენოვანი ტოპონიმი, რომლებიც ძირებად იყენებენ ერთ-ერთი ენის მასალას, აფიქსებად კი გამოყენებულია მეორე ენის მორფოლოგიური ინვენტარი, ანდა რთულფუნქციური (კომპოზიტური) ტოპონიმის შემადგენელი ერთი სიტყვა (ფუძე) ქართველურია, მეორე კი – აფხაზური.

მხარის ტოპონიმები ქმნიან რამდენიმე მორფოლოგიურ-სემანტიკურ ჯგუფს. კერძოდ, გამოვყოფთ შემდეგ ჯგუფებს:

1. საკვლევ ზონაში ვხვდებით კომპოზიტად ქცეულ კუთვნილების გამომხატველ რთულ მეგრულ ტოპონიმებს, რომლებიც წარმოდგენილია სუბსტანტიური მსაზღვრელისა და საზღვრულის სახით და გაფორმებულია ნათესაობითი ბრუნვის -იმ/-ში სუფიქსით: ბულიშინჯი; ვეშკუდელი; თხინაშკარი და ასე შემდეგ.

2. საკუთრივ აფხაზური წარმოშობის რთულფუძიანი ტოპონიმები: აჩიგვარა; შაშიკვარა; აკვარიქვა და ასე შემდეგ.

3. ჰიბრიდული ტოპონიმები: პატრახუწა და ასე შემდეგ.

4. ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულიანი მეგრული რთული ტოპონიმები: წარჩე; ჭყონხუმლა; ხუმუშქური და ასე შემდეგ.

5. კომპოზიტური წარმოების კუთვნილების გამომხატველი ტოპონიმები, რომელთაც, სავარაუდოდ, დაკარგული აქვთ -იმ/-ში ფორმანტი: ჭუბურხინჯი; ფიცარღალი და ასე შემდეგ.

6. კრებითობის გამომხატველი ტოპონიმები, სადაც მაწარმოებლად გამოყენებულია, როგორც -ონ < *ოვან, ასევე -არ სუფიქსები, რომლებიც ძირითადად დაერთვის მცენარეთა სახელწოდებებს: ლეკუხონა; ლეკუმხარა და ასე შემდეგ.

7. დანიშნულების სახელების მაწარმოებლად გამოყენებული ო-ე და სა-ო აფიქსებიანი ტოპონიმები: ოკვინორე; ოცარცე; სამარქვალო; სალხინო და ასე შემდეგ

8. გვარებისგან სა-ო კონფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები, რომელთაც ამ კონფიქსის დართვის შემდეგ დაკარგული აქვთ -ია დაბოლოება: საბერიო (შდრ. გვარი ბერია); საბუთბაიო (შდრ. გვარი ბუთბაია); სახახუბიო (შდრ. გვარი ხახუბია); საშამუგიო (შდრ. გვარი შამუგია), საგოგოხიო (შდრ. გვარი გოგოხია) და ასე შემდეგ.

ამასთან, საკვლევ ზონაში არ დასტურდება -ვა დაბოლოებიანი გვარებისგან სა-ო კონფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

9. მარტივფუძიანი ქართველური ტოპონიმები: მუხური; ფშაური; მზიური; ოქუმი; ზენი, კოხორა, თაგილონი, რზენი და ასე შემდეგ.

10. წინა ვითარების აღმნიშვნელი ტოპონიმები: ნაჯინური; ნაბაკევი; ნაჭკადუ, ნაკარღალი და სხვა.

The toponyms of the Gali district are quite diverse, both in terms of linguistic affiliation and morphological structure. Gali district is a very interesting region from the linguistic point of view. Here, the three-hundred-year coexistence of two peoples - Abkhazians and Georgians (Megrelians) - created a kind of linguistic-dialectal and ethnic transition zone, which was expressed in natural bilingualism, bilateral lexical borrowings and hybrid toponyms. After the war in Abkhazia, the toponymic situation here changed radically: all toponyms of Kartvelian origin were banned and Abkhazian names invented by separatist scientists prevailed. In order to protect the truth and historical justice in the future, a detailed study of the toponymic situation before the occupation of Abkhazia is of great importance.

The majority of toponyms in the Gali district are linguistically completely Kartvelian: they are made using the Georgian literary language, or megrelian roots and affixes. A very small part of toponyms is Abkhazian.

There are also some hybrid, i.e., bilingual toponyms, which use the material of one language as their roots, and the morphological inventory of the other language is used as affixes, or one word (composite) of a complex toponym is Kartvelian, and the other is Abkhazian.

Toponyms of the side form several morphological-semantic groups. In particular, we distinguish the following groups:

1. researchIn the zone, we find complex Megrelian toponyms expressing affiliation turned into a composite, which decorated with the suffix -ish/-sh of relative rotation: Bulishkhinji; Veshkudel; Thkhinashkari...

2. Complex toponyms of Abkhazian origin: Achigvara; Shashikvara Akvარიqva...

3. Hybrid toponyms: Patrakhutsa

4. compositeToponyms expressing belonging to production, which probably have lost the -ish/-sh formant: Chuburkhinji; Phitsarghali and so on.

5. Toponyms expressing the collection, where both -on < *ovan and -ar suffixes are used as producers, which are mainly attached to the names of plants: Lekukhona; Lekumkhara and so on.

6. Toponyms with o-e and sa-o affixes used to produce destination names: Okvinore; Otsartse; Salkhino, Samarkvalo and so on

7. Geographical names formed from surnames with the affix SA-O, which have lost the ending -ia after adding this affix: Saberio (the surname Beria); Sabutbayo (surname Butbaya); Khakhubio (surname Khakhubia); Sashamugio (surname Shamugia) and so on.

with that, geographical names formed from surnames ending in -va with the suffix sa-o are not confirmed in the study area.

8. Georgian toponyms with simple base: Mukhuri; Pshauri; Zeni, Okumi, Kokhora and so on

9. Toponyms denoting the previous situation: Najikhuri; Nabakevi, Nachkadu...

ანი ჯავახიშვილი
Ani Javakhishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

განმანათლებლობისა და ბაროკოს ტენდენციები ქართულ მწერლობაში
(XVI-XVIII საუკუნეები)
Enlightenment and Baroque Tendencies in Georgian Literature
(XVI-XVIII Centuries)

საკვანძო სიტყვები: ბაროკო, განმანათლებლობა, დიგეხატუხუდი მიმდინარეობები, ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობები

Keywords: Baroque, Enlightenment, Literary Tendencies, Georgian-European Cultural Relations

მოხსენების „განმანათლებლობისა და ბაროკოს ტენდენციები ქართულ მწერლობაში (XVI-XVIII სს.)“ მიზანია თანამედროვე ლიტერატურული მეთოდოლოგიების გამოყენებით XVI-XVIII საუკუნეების პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის კვლევა თანადროულ ევროპულ ლიტერატურასთან და მსოფლმხედველობრივ ტენდენციებთან მიმართებით.

ბაროკოსა და განმანათლებლობის ხანა დასავლური ხელოვნებისა და აზროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი პერიოდია, სწორედ ამიტომ, მივიჩნევთ, რომ საჭიროა განმანათლებლობისა და ბაროკალური ტენდენციების ფუნდამენტური კვლევა ქართულ ლიტერატურაში. ბაროკოსა და განმანათლებლობის ტენდენციების გამოვლენით ქართულ ლიტერატურაში კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვან უშუალო კავშირს ევროპულ სააზროვნო სივრცესთან, რაც თანამედროვე კულტურულ-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

მოხსენებაში საუბარი იქნება ევროპული განმანათლებლობისა და ბაროკალური მსოფლმხედველობის კონცეპტუალური ასპექტების შესახებ. გავანალიზებთ, როგორ და რა ფორმით თანაარსებობს აღმოსავლური ელემენტების გვერდით განმანათლებლური და ბაროკალური ელემენტები XVI-XVIII საუკუნეების ქართულ ტექსტებში და შეგვიძლია თუ არა ვისაუბროთ ქართული ბაროკოსა და ქართული განმანათლებლობის არსებობაზე. ვიმსჯელებთ, როგორ და რა გზით შემოაღწია ბაროკოსა და განმანათლებლობის იდეებმა ქართულ სივრცეში და რამდენად შეესაბამებოდა ისინი ქართულ ტრადიციებს. ასევე, დავასკვნით, შეგვიძლია თუ არა ვისაუბროთ საკუთრივ ქართულ ბაროკოსა და ქართულ განმანათლებლობაზე, როგორც დამოუკიდებელ ლიტერატურულ მიმდინარეობებზე.

დასახული ამოცანების მისაღწევად კვლევის ფარგლებში ვიყენებთ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით მეთოდოლოგიებს და ძირითადად ვეყრდნობით კვლევის კომპარატივისტულ-ჰერმენევტიკულ მეთოდს. აღსანიშნავია, რომ საკვლევი თემა საკმაოდ რთული სპეციფიკისაა – ის მოიცავს XVI-XVIII საუკუნეების მთელ ქართულ ლიტერატურას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებსა და ეპისტოლარულ მასალას; გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განმანათლებლური და ბაროკალური მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიური მახასიათებლების დადგენა. შესაბამისად, კვლევის პროცესში აუცილე-

ბელია მომიჯნავე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დისციპლინების – ფილოსოფია, ისტორია, ენათმეცნიერების – ჩართვა, დამხმარე მეთოდოლოგიებად კი ნარატოლოგიის, ჟანრის თეორიისა და ტექსტოლოგიის გამოყენება.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდოლოგიის საფუძველზე XVI-XVIII საუკუნეების ქართული ტექსტების სისტემური შესწავლა და მათი შედარება თანადროულ ევროპულ მწერლობასთან მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს.

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის შემდეგ, დაინტერესებული საზოგადოებისთვის უფრო ნათელი გახდება ქართული კულტურულ-ლიტერატურული პროცესის განვითარების გზა და ეტაპები. გამოვლინდება ქართული ბაროკოსა და განმანათლებლობის მახასიათებლები.

The main goal of the research “Baroque and Enlightenment tendencies in Georgian literature (XVI-XVIII centuries)” is to analyze XVI-XVIII centuries Georgian literature in comparison with its contemporary European literary tendencies based on modern literary methodologies.

Baroque and Enlightenment epoch is significant period of the development of European culture, so it's essential to study these art tendencies in Georgian literature. With this approach we will emphasize centuries-old direct connection of Georgian culture with European space of thought. We think, this is one of the most important issues according to current cultural-political situation of the region.

Within the report we will outline main conceptual and literary aspects of European Baroque and Enlightenment and define its relationship with Georgian literature. Investigate how and in what form coexist Baroque and Enlightenment literary tendencies alongside Eastern elements in XVI-XVIII centuries Georgian literature and define if we can talk about existence of Georgian Baroque and Georgian Enlightenment. Define how did the Baroque and Enlightenment tendencies penetrated into the Georgian literature and how do they correspond to Georgian literary traditions. Analyze if we can talk about the existence of Georgian Baroque and Georgian enlightenment as independent movements. Analyze the stylistic characteristics of XVI-XVIII centuries' Georgian literature and define its relation with its contemporary European stylistic models.

We mainly rely on the comparative-hermeneutical method of research. It should be noted, that the research topic is quite complex – it includes the whole Georgian literature of XVI-XVIII centuries, which combines works of different genres and epistolary material; In addition, we plan to analyze philosophical basics of Baroque and Enlightenment movements. With all this in mind, in the research process we should include the adjacent humanities disciplines – philosophy, history, linguistics. Besides, we should use narratology, theory of genre and textual criticism as auxiliary methodologies.

The research is unique as it's the first attempt to analyze XVI-XVIII centuries Georgian literary materials in comparison with contemporary western texts. We believe, as a result of the deep scientific research of the project the development of Georgian cultural-literary process will become cleaner for the international scientific society.

ტაო-კლარჯეთის მდუმარე წმინდანები: მხატვრები, კალიგრაფები, მოხელეები

The Silent Saints of Tao-Klarjeti: Painters, Calligraphers, Clerks

საკვანძო სიტყვები: ტაო-კლარჯეთი, ხელნაწიხი, კალიგრაფები, მხატვრები, ქაიხული
Keywords: Tao-Klarjeti, Manuscript, Copiers, Painters, Georgian

During the Middle Ages, the Tao-Klarjeti region became a center of artistic and religious importance, apart from being the area where great powers struggled against each other. Art centers began to emerge, especially when Georgian Bagratites settled in the region from the 8th century and laid the foundations of the process from principality to state. Undoubtedly, as in other cultures of the period, the protector of art in this region was the administrative power and took shape through religion. Therefore, monasteries, which are religious institutions, operated as academies, which are the production centers of art. The masses of priests who received education in this environment also left an impact on the socio-economic, political and religious environment of their culture as artists. In this context, monks/monks who grew up in monasteries established in Tao-Klarjeti are seen as key elements of the culture of the period. On the other hand, in the 8th century, when the political unity of Georgia was disintegrating, the Tao-Klarjeti Principality, which rose politically, came to the fore as the center of Georgian culture of the period. Ensuring political stability has affected the development of social status quo and religious institutions. Thus, the foundations of the Georgian literary tradition, especially in the Middle Ages, were laid in the Tao-Klarjeti region and transferred to the territory of today's Georgia. When we look at all these, it is understood how important the region is. Therefore, the artists, who are the key points of this environment, need to be examined separately. Painters, calligraphers, clerks, jewelers, bookbinders, paper makers, etc. masters in many branches of art worked in the monastery workshops and left their name in history. Although there is not much information about these craftsmen, there is little information about some of them. The most important sources that provide us with information about the artists are their works. Sometimes only the names are written directly on the colophon pages in the manuscripts, and in some of them it is written from which region they came from. We get information about some of the artists from the chronicles and church books. Names such as Painter Tevdore, Priest Gabriel, Priest Ioane Berai, who are considered to be the first representatives of the Georgian miniature style, are just a few of the examples to be given to our subject. In addition to all these, the fact that the Georgian priests had the right to roam in the Byzantine lands in the cultural sense also led to the emergence of traveling craftsmen. While Georgian artisans and monks were going to work from one monastery in the region to another, they had the opportunity to work by going to Mount Athos, the centers in Constantinople or the centers in the Antakya region. Thus, the scope of Georgian literary culture expanded. In addition, intercultural interactions were more effective in terms of art. As a result, in this study, as mentioned above, the importance of the region will be explained through the people and the importance of these people in the Georgian manuscript tradition will be emphasized.

სოფიო ჯაფარიძე, ნინო ახუაშვილი
Sopio Japaridze, Nino Akhuashvili

დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი/Georgia
David Baazov Museum of the History of Georgian Jews and Georgian-Jewish Relations/Georgia

საქართველოს ებრაელთა ყოფის ზოგიერთი საკითხისათვის
(„დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და
ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში“ დაცული
1930-40-იანი წლების ფოტო-ფონო არქივის მიხედვით)

For Some Issues of the Presence of Jews in Georgia
(According to the Photo-Phono Archive of the 1930s-40s Preserved in the David
Baazov Museum of the History of Georgian Jews and Georgian-Jewish Relations)

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ებრაელები, ებრაული მუზეუმი, საბჭოთა ხეპყესიები, გეჩევე
ბააზოვი, იცკა რიჟინაშვილი

Keywords: Jews of Georgia, Jewish Museum, Soviet Repressions, Gerzel Baazov, Itska Rizhinashvili

კვლევის მიზანია „საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში“ დაცული 30-40-იანი წლების ფოტო და ფონომასალების შესწავლა, რომლებიც მოიცავს დაახლოებით 20 ალბომსა და საქართველოს ებრაელთა რელიგიური სიმღერების (შირების) გაციფრებულ 25 ჩანაწერს.

საკვლევ პრობლემად დავსახეთ ფოტოალბომებში თავმოყრილი ფოტოების დალაგების პრინციპი, მათი თემატიკის განსაზღვრა და დაჯგუფება; ალბომებიდან ამოხეული თუ ამოღებული რეპრესირებულ პირთა ფოტოების იდენტიფიცირება და ალბომიდან ექსტრაქციის მიზეზების დადგენა; ფოტოებზე გამოსახულ პირთა ისტორიულ წყაროებთან შეთანადება და ამის მიხედვით მათი ამოცნობა; ფოტოებზე ასახული გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა; ალბომებისა და ფოტოების მდგომარეობის შესწავლა.

„საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში“ დაცული 30-40-იანი წლების ფოტო და ფონო მასალები, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობაა ამ პერიოდის საქართველოს ებრაელთა თემის ტიპაჟების, მათი განსახლების არეალის, საცხოვრისის თავისებურებების, მათი საქმიანობის შესასწავლად, ქართველი ებრაელობისა და, საზოგადოდ, ქართველთა და ებრაელთა ისტორიული თანაცხოვრების კონტექსტის გასააზრებლად.

ებრაელთა საქართველოში მკვიდრობის უპრეცედენტო პერიოდისა და ამ პერიოდში ქართველთა და ებრაელთა უნიკალური თანაცხოვრებისა და ურთიერთობის ამსახველმა მასალების კვლევამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თანადროულ სამყაროში – ებრაული თემის ისტორიულ სამშობლოში მასობრივი დაბრუნებისა და მათთან კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების შენარჩუნებისა და ურთიერთგაზიარების გამო.

თემის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პირველად მოხდება კომპლექსურად „დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთი-

ერთობათა ისტორიის მუზეუმში“ დაცული ფოტო და ფონო მასალის შესწავლა, მათი დაჯგუფება თემატიკის განსაზღვრის საფუძველზე.

კვლევის უმთავრესი მეთოდი შესასწავლ ალბომებში განთავსებული ფოტოების მუზეუმის „შრომების“ მასალებსა და დოკუმენტურ წყაროებთან შედარებაა, საქართველოში არსებულ ებრაულ ორგანიზაციებთან, სინაგოგის წარმომადგენლებსა და ისრაელში ასულ ებრაელობასთან თანამშრომლობით.

კვლევის შუალედური ან საბოლოო შედეგები:

საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში დაცული 40-50-იანი წლების ფოტო და ფონომასალებზე დაკვირვება გვიდასტურებს, რომ ქართველი ებრაელები ჩვენი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის განუყოფელი ნაწილია და რომ 30-40-იანი წლების კონტექსტიც, წითელი ტერორის ეს რთული და სისხლიანი პერიოდი, თანაბარი სიმძაფრით აისახა როგორც ქართველებზე, ისე საქართველოში მკვიდრ ებრაელებზე.

არქივში დაცული ფოტო-ფონო მასალის შესწავლა გაუადვილებს და დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი ქვეყნიდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმობნეულ ქართველ ებრაელებსა და მათ შთამომავლებს წინაპრებისა და მათი პირვანდელი სამკვიდრებლის ამოცნობა-მოძიებაში, საქართველოს ისტორიაში მათი როლისა და წვლილის გააზრებაში.

Research topic: The research topic is the photographic and audio materials of the 1930s and 1940s preserved in the "Museum of History of the Jews of Georgia and Georgian-Jewish Relations", which include about 20 albums and 25 digitized recordings of religious songs (shirs) of Georgian Jews.

We set as a research problem the principle of sorting photos collected in albums, defining and grouping their themes; Identifying the photos of repressed persons ripped out or removed from the albums and determining the reasons of extraction from the album; matching the persons depicted in the photographs with historical sources and identifying them accordingly; Determining the geographical area depicted in the photos; Studying the condition of albums and photos.

Relevance: The photographs and background materials of the 1930s and 1940s preserved in the "Museum of History of the Jews of Georgia and Georgian-Jewish Relations" are a unique cultural heritage for the study of the types of the Georgian Jewish community of this period, the area of their settlement, the peculiarities of their dwellings, their activities, Georgian Jewishness and Georgians in general. and to understand the context of historical Jewish coexistence.

The research of the materials depicting the unprecedented period of Jewish settlement in Georgia and the unique coexistence and relationship of Georgians and Jews during this period acquired special importance in the contemporary world - due to the mass return of the Jewish community to the historical homeland and the preservation and mutual sharing of cultural-political relations with them.

The study of photo-phono material preserved in the archive will facilitate and provide great help to the Georgian Jews who migrated from our country to different parts of the world and their descendants in identifying and searching for their ancestors and their original inheritance, in understanding their role and contribution in the history of Georgia.

The scientific novelty of the topic is that, for the first time, the photo and phono material preserved in "David Baazov Museum of History of the Jew of Georgia and Georgian-Jewish Relations" will be comprehensively studied, and they will be grouped based on the determination of thematic.

The main method of research is the comparison of the photographs of the studied albums with the materials and documentary sources of the museum's "works", in cooperation with the Jewish organizations in Georgia, representatives of the synagogue and Jewishness in Israel.

Final result of the research: Observing the photographic and audio materials of the 1930s and 1940s preserved in the „Museum of History of Jews of Georgia and Georgian-Jewish Relations“ confirms that Georgian Jews are an integral part of the history, geography and ethnography of our country and that the context of the 1930s and 1940s, red terror's this complex and bloody period affected with equal intensity on both people, on Georgians and on Jews living in Georgia.

The study of photo-phono material preserved in the archive will facilitate and provide great help to the Georgian Jews who migrated from our country to different parts of the world and their descendants in identifying and searching for their ancestors and their original inheritance, in understanding their role and contribution in the history of Georgia.

ნინო ჯახველაძე
Nino Jakhveladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ზატიკის ბრწყინვალე შვიდეულის
საგალობელთა შესახებ (სტრუქტურული და შინაარსობრივი ანალიზი)
About the Hymns of the Zatiki Easter week Edited by Giorgi Mtatsmindeli
(Structural and Content Analysis)

საკვანძო სიტყვები: ქართული ჰიმნოგრაფია, გიორგი მთაწმინდელი, ღებუხიკა, ზატიკი, სვინაქსაჰი, აღდგომა, საგალობელი, აღდგომის ბრწყინვალე შვიდეული
Keywords: Georgian Hymnography, George the Hagiorite, Liturgy, Passover, Synaxarion, East, Hymn, Seven of Passover

ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში სასულიერო მწერლობას უდიდესი წვლილი მიუძღვის. ის დაედო საფუძვლად საერო ლიტერატურას და, შესაბამისად, მთელ ქართულ მწერლობას. ამიტომ მისი სრულყოფილად შესწავლა მნიშვნელოვანია, რათა გავი-აზროთ, თუ რა გზა განვლო ქართულმა კულტურამ უძველესი საუკუნეებიდან დღემდე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ XI საუკუნიდან ქარ-თულ ჰიმნოგრაფიაში იწყება ახალი ეტაპი. ათონელი მოღვაწეების პერიოდში ახალი თარ-გმანებით განაზღვრა და შეივსო ქართული მწერლობა. მათ ახალ საფეხურზე აიყვანეს ქარ-თული ლიტერატურა. გიორგი მთაწმინდელმა უმნიშვნელოვანესი რეფორმა ჩაატარა, სწო-რედ ამიტომ მის მიერ თარგმნილმა ლიტურგიკულმა წიგნებმა მოიპოვეს კანონიკური უფ-ლება ქართულ ღვთისმსახურებაში.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ ისეთი მნიშვნელოვანი ლიტურგიკული ძეგლი, როგო-რიცაა გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი ზატიკი, კრებული, რომელშიც თავმოყრილია აღ-დგომიდან ყოველთა წმიდათა ხსენების დღესასწაულამდე პერიოდის საკითხავი საგალობ-ლები.

ჩვენამდე მოღწეულია ზატიკის კრებულის ორი უძველესი ათონური ნუსხა (Ath. 34 და Aht. 63), რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნი-ლი ავტოგრაფული ნუსხიდან გადაწერილ კრებულებადაა მიჩნეული. ჩვენი კვლევისთვის სწორედ მათ ვყურდნობით.

ზოგადად, ზატიკის პერიოდის სადღესასწაულო კრებულები ნაკლებად არის შესწავ-ლილი, შევნიშნავთ, რომ ლ. ხევსურიანი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც განსაზღვრა ზატიკის, როგორც ლიტურგიკული კრებულის ფუნქცია ქართულ ღვთისმსახურებაში.

ვეყრდნობით და უმრავლეს შემთხვევაში ვიზიარებთ ლ. ხევსურიანის მოსაზრებებს და ჩვენს კვლევას წარვმართავთ გიორგი მთაწმინდელისეული ზატიკის კრებულის კონ-კრეტულ დღეთა საგალობლების შესწავლის თვალსაზრისით.

გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის ზატიკი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმიტომ, რომ მასში შეტანილია ზატიკის პერიოდის საგალობელთა სრული რეპერტუარი. უძველესი იადგარებისა და ლექციონარების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ ზატიკის პერიოდის სადა დღეები წარმოდგენილი იყო შემდეგი სტრუქტურით: ფსალმუნდასდებელი, საკითხავი საქმე მოციქულთადას, საკითხავი კათოლიკე ეპისტოლედას, ალელუადა, საკითხავი სახარებიდას. გიორგი მთაწმინდელმა კი არსებული საგალობლები განავრცო და შეავსო ახალი თარგმანებით. მისი რედაქციის კრებულებში სადა დღეების საკითხავები წარმოდგენილია სამ- და ოთხსაგალობლებით, რაც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ სწორედ მან თარგმნა პირველად ქართულ ენაზე სტუდიის მონასტრის მამათა მიერ შექმნილი, ზატიკის პერიოდისთვის განკუთვნილი, სამ- და ოთხსაგალობელთა სისტემა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს დიდი სვინაქსარის ტიპიკონური მითითებანი, რომელთა მიხედვითაც მანამ, სანამ იოსებ მგალობლის (სიცილიელის) კანონები ითარგმნებოდა, ქართულ ღვთისმსახურებაში გამოიყენებოდა ოქტოიხოსის გალობანი.

ზატიკის კრებულები საგალობლების ვრცელ რეპერტუარს მოიცავს. შესაბამისად, ამ ეტაპზე, ჩვენი კვლევის მიზანია აღვსების შვიდეულის საგალობელთა სტრუქტურული და შინაარსობრივი შესწავლა.

გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული ნუსხიდან მომდინარე ხელნაწერებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბრწყინვალე შვიდეულის საკითხავთა შორის გვხვდება: კანონები ექვსივე დღისთვის (ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი ორ-ორი კანონით არის წარმოდგენილი), აქებდითსას დასდებელნი, მწუხრის საკითხავები: მჯდომარენი, მხნეონი, გიხაროდენტა ზედა, სტიქარონნი, ასევე, საყურადღებოა ხელნაწერისეული მითითებანი აღვსების საგალობელთა შესრულებაზე ბრწყინვალე შვიდეულის პერიოდში.

ეს საგალობლები გვაძლევს საინტერესო სურათს შინაარსობრივი თვალსაზრისით. მათზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ საგალობელთა შინაარსს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აღდგომის თემატიკა, ასევე, სახარების ის საკითხავები, რომლებიც დადებულია კონკრეტულ დღეებზე.

კვლევის ამ ეტაპზე რთულია საბოლოო დასკვნების შესახებ საუბარი, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი მთაწმინდელისეული ავტოგრაფული ნუსხიდან მომდინარე კრებული გვაძლევს ძალიან საინტერესო სურათს როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

In the history of the development of Georgian culture, religious writing made a great contribution. It laid the foundation for secular literature and, accordingly, for the entire Georgian writing. Therefore, it is important to study it thoroughly in order to understand the path Georgian culture has traveled from the ancient centuries to the present day.

Scientific literature shares the opinion that a new stage begins in Georgian hymnography from the XI century. During the period of Athenian figures, Georgian literature was updated and filled with new translations. They took Georgian literature to a new level. Giorgi Mtatsmideli

carried out the most important reform, that is why the liturgical books translated by him gained canonical rights in the Georgian liturgy.

Our aim is to study such an important liturgical monument as the Passover translated by Giorgi Athoneli, a collection of hymns from Easter to All Saints' Day.

Two ancient Athonic lists of Passover's collection have reached us (Ath. 34 and Aht. 63), which in the scientific literature are considered to be collections copied from the autograph list translated by Giorgi Mtatsmindeli, and we rely on them for our research.

In general, holiday collections of the Passover's period are less studied, we note that L. Khevsuriani was one of the first who defined the function of Passover as a liturgical collection in Georgian worship.

We rely on and in most cases we share L. We will direct Khevsuriani's opinions and our research from the point of view of studying hymns of specific days in Giorgi Mtatsmindeli's Passover collection.

Passover of the Giorgi Mtatsmideli editorial office attracts our special attention precisely because it contains a complete repertoire of hymns from the Passover's period. Based on the study of ancient records and lectionaries, it has been determined that the days of the Passover's period were presented in the following form: psalm-laying, reading from the Acts of the Apostles, reading from the Catholic Epistle, Alleluia, reading from the Gospels. Giorgi Mtatsmindeli expanded the existing hymns and filled them with new translations, In the Passover collections copied from his autograph list, the readings of plain days are presented in three- and four-hymns, which allows us to think that it was he who first translated into Georgian the system of three- and four-hymns created by the fathers of the Studio Monastery for the Passover period. This opinion is confirmed by the typicon references of the great Svinaksar, according to which, before the laws of Joseph were translated, the chant of Oktoikhos was used in the Georgian worship service.

Passover's collections include an extensive repertoire of hymns. Accordingly, at this stage, the aim of our research is the structural and content study of the Easter seven hymns.

As a result of observation of the manuscripts from the autograph list of Giorgi Mtatsmindeli, it was revealed that among the readings of the Magnificent Seven are: canons for all six days (Thursday, Friday and Saturday are represented by two canons each), praise readings, mourning readings, also noteworthy are the manuscript references to the performance of the Psalms during the Easterweek.

These hymns give us an interesting picture in terms of content. Observing them, it was revealed that the content of the hymns is significantly determined by the topic of Easter, as well as the readings of the Gospel, which are given on specific days.

At this stage of the research, it is difficult to talk about the final conclusions, however, we can say that the collection derived from the Giorgi Mtatsmindeli's autograph list gives us a very interesting picture both from the formal and the content point of view.

გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერის მოხატულობა და მისი იკონოგრაფიული თავისებურებები The Painting of the North-West Chapel of Gelati Cathedral and its Iconographic Features

საკვანძო სიტყვები: გელათი, კედლის მხატვრობა, ქახთუღი კედლის მხატვრობა, გვიანი შუა საუკუნეები, ეკვდერი, „ნუ შემომეხები მ“, „წმ. ღმერთის თაყვანისცემის სცენა“, მე-17 საუკუნე

Keywords: Gelati, Murals, Late Medieval Period, Chapel, "Noli Me Tangere", "The Composition of Amnos", 17th Century, Georgian Murals

XVI-XVII საუკუნეებში საქართველოში განვითარებულმა რთულმა პროცესებმა გავლენა იქონია ადგილობრივი კულტურის განვითარებაზეც. ამ პერიოდში არსებული რთული მდგომარეობის მიუხედავად გელათის მონასტერში კულტურული მოღვაწეობა არასდროს შეწყვეტილა. მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერის მოხატულობა მკაფიოდ წარმოაჩენს იმ პერიოდში არსებულ სახელმწიფოებრივ გეზს, აღმსარებლობით ვითარებასა და ქართული კედლის მხატვრობის განვითარების პროცესებს.

გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერის მოხატულობა ამ დრომდე საფუძვლიანი კვლევის საგანი არ გამხდარა. ერთი შეხედვით, მოხატულობის პროგრამა იმეორებს საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლურ-ქრისტიანულ კედლის მხატვრობაში დამკვიდრებულ მოხატულობის სქემას, თუმცა, მეორე მხრივ, გვიჩვენებს ახლებურ გადააზრებას როგორც პროგრამისთვის ცალკეულ სახეთა შერჩევის, ისე – გამოსახულებების იკონოგრაფიის მხრივ.

მონასტრის მთავარი ტაძრის წმ. მარინეს სახელობის ეკვდერი მთლიანადაა მოხატული. ჩრდილოეთ კედელზე არსებული ზაქარია ქვარიანის გამოსახულება იმ პერიოდში გაენათელი ეპისკოპოსი, ხოლო 1657 წლიდან აფხაზეთის კათალიკოსი გვამცნობს, რომ მოხატულობა XVII საუკუნის 1639-1657 წლებში უნდა იყოს შესრულებული. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით სწორედ ზაქარია ქვარიანმა შეადგინა ეკვდერის მოხატულობის პროგრამა, ხოლო ეკვდერი ეპისკოპოსის სამარხად მოიაზრებოდა.

ეკვდერის მოხატულობა თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი. დაზიანებულია ძირითადად კომპოზიციითა აღმნიშვნელი წარწერები, რაც ართულებს მოხატულობის საერთო საღვთისმეტყველო საზრისის დაზუსტებას.

სწორედ მოხატულობის პროგრამაში არსებული ცალკეულ კომპოზიციითა აღწერისა და დაზუსტების დროს გამოიკვეთა თავისებურებები, რამაც ერთმნიშვნელოვნად გაზარდა მოხატულობის უფრო ღრმა კვლევის საჭიროება.

თავისებურებები გამოიკვეთა ძირითადად საკურთხევლის ქვედა რეგისტრის მოხატულობასა და ძირითადი სივრცის ჩრდილოეთი კედლის ზედა რეგისტრში არსებულ კომპოზიციაში. მოხატულობის დაზიანების გამო არ იკითხება კომპოზიციების აღმნიშვნელი წარწერები.

საკურთხევლის შემთხვევაში ცალკეულ წმინდათა იკონოგრაფიულმა სახეებმა და სახელის აღმნიშვნელმა ქარაგმებმა შესაძლებელი გახდა კომპოზიციის დადგენა. საკურთხევლის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილია მსხვერპლის თაყვანისცემის სცენა. თავისებურებები, რომლებიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, ჩვენამდე მოღწეულ მოხატულობებს შორის არ ფიქსირდება.

რაც შეეხება ეკვდერის მთავარ სივრცეში არსებულ კომპოზიციას, ამ შემთხვევაში წარწერები თითქმის სრულადაა განადგურებული. ამ დრომდე მოპოვებული მასალების საფუძველზე მოხატულობის დეტალური აღწერა არ ფიქსირდება. საარქივო ფონდებში დაცული ყველაზე ადრეული პერიოდის ფოტო მასალა გადაღებულია წარწერის დაზიანების შემდგომ. იკონოგრაფიული ანალიზისა და პარალელების მოძიების საფუძველზე გამოიკვეთა სიახლოვე კომპოზიციასთან, რომელიც "Noli Me Tangere"/ „ნუ შემომეხები მე“ სახელითაა ცნობილი. კომპოზიცია არაა დამახასიათებელი აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნებისთვის, თუმცა დასავლურ-ქრისტიანულ სამყაროში ფართო განვითარება პოვა. აღმოსავლურ-ქრისტიანულ მონუმენტურ მხატვრობაში ძირითადად ამ კომპოზიციის ადგილს „წმ. თომას მიერ გვერდის განხილვა“ ან „მენელსაცხებლე დედანი მაცხოვრის საფლავთან“ იკავებდა.

გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერის მოხატულობის თავისებურებების კვლევა გარკვეულწილად ნათელს ჰფენს როგორც XVII საუკუნეში გელათში მიმდინარე შემოქმედებით ცხოვრებას, ასევე აღმსარებლობით ვითარებასა და მოხატულობის პროგრამის თვითმყოფად გამოვლინებას.

აღნიშნული კვლევა საშუალებას გვაძლევს გელათის ჩრდილო-დასავლეთის ეკვდერის მოხატულობას სათანადო ადგილი მიენიჭოს ქართული კედლის მხატვრობის ისტორიაში.

The complex processes that developed in Georgia at the turn of the XVI-XVII centuries had an impact on the development of local culture. Despite the difficult situation of the period, cultural activities in Gelati Monastery never stopped. The painting of the north-west chapel of the main cathedral clearly shows the state way, the religion situation and the development processes of Georgian wall painting in that period.

The painting of the northwest chapel of the main temple of Gelati has not been the subject of thorough research until now. At first glance, the painting program repeats the painting scheme established for centuries in Eastern-Christian wall painting, however, on the other hand, we find a new rethinking, both in terms of the selection of individual faces for the program, and the iconography of these images.

The main temple of the monastery St. The painting named after Marine is completely painted. The image of Zacharia Kvariani on the north wall, the Bishop of Gelati at that time, and the Catholicos of Abkhazia since 1657, informs us that the painting must have been done in 1639-1657 of the 17th

century. According to the reports that have reached us, it was Zacharia Kvariani who compiled the painting program of chapel, and chapel was of as a bishop's tomb.

The chapel's painting is almost completely preserved. The inscriptions indicating the compositions are damaged, which makes it difficult to specify the general theological meaning of the painting.

It was during the description and specification of individual compositions in the painting program that the peculiarities were revealed, which unequivocally increased the need for a deeper study of painting.

Peculiarities were highlighted mainly in the painting of the lower register of the sanctuary and the composition in the upper register of the northern wall of the main space. Due to damage to the painting, the inscriptions denoting the composition are not readable.

In the case of the altar, the iconographic faces of individual saints and the name-denoting garlands made it possible to determine the composition. In the lower register of the altar is a scene of sacrificial worship. Peculiarities, which were revealed as a result of the research, are not fixed among the paintings that have reached us.

As for the composition in the main space of the chapel, (in this case the inscriptions are almost completely destroyed). So far, no detailed description of the painting has been recorded on the basis of the materials obtained. The earliest photographic material preserved in archive was taken after the damage to the inscription. On the basis of the iconographic analysis and the search for parallels, a closeness to the composition known as "Noli Me Tangere". The composition is not characteristic of Eastern Christian art, although it found wide development in the Western Christian world. In Eastern-Christian monumental painting, the place of this composition is mainly " the incredulity of saint Thomas or the anointing mother was held at the tomb of the Savior.

The study of the peculiarities of painting in the north-west chapel of the main temple of Gelati sheds some light on the creative life in Gelati in the 17th century, as well as on the confessional situation and the manifestation of the painting program.

The mentioned research allows us to assign a proper place in the history of Georgian wall painting to the painting of North-West chapel of Gelati.

ერთი ხატოვანი მეგრული სიტყვა-თქმის არქაული ბუნების გაგებისათვის The Archaic Nature of a Megrelian Word-Say

საკვანძო სიტყვები: ანტიკუი ხანის მწეხდების ცნობები, კოლხური დაკჰადვის წესები, კოლხური ეთნოკულტურა, მეოხადი დაკჰადვა

Keywords: References of Ancient Writers, Colchian Funeral Rules, Colchian Ethno - Culture, Secondary Burial Rule

სამეგრელოში, სავლელე გასვლების დროს, დავაფიქსირეთ არაერთი მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმა. დღეს შევხებით ერთ მათგანს – „ჯვეშიში ძუალი ოკო ვარკალანდას“ (ქართ. „წინაპრების ძვალი უნდა პრიალებდეს“) (მთქმელი სერგო ჭანტურია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ეწერი, 60 წლის, 2004 წელი).

არსებული წერილობითი და ზეპირი ცნობები, ასვე ბოლო პერიოდში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების ურთიერთკომპილაცია საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენ მიერ ფიქსირებული გამოთქმის წარმომავლობის ინტერპრეტაცია მოვახდინოთ. მით უმეტეს, რიგით მოსახლეობაში ეს ხატოვანი სიტყვა-თქმა უპრეცედენტო (უპირატესად სამეგრელოს მთიანი დასახლებული პუნქტი) ნამდვილად არ არის. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის საგანი გახდა ამ გამოთქმის მნიშვნელობის ბუნების დადგენა, ან ხომ არ იყო ის არქაული ხანის ეთნოკულტურულ რიტუალთან დაკავშირებული, ვინაიდან ქრისტიანული კულტურა არ იცნობს მიცვალებულების გაპათიოსნების მსგავს წესს.

ბოლო პერიოდში, ჩვენი უშუალო ჩართულობით სამეგრელოს რეგიონში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მოგვცა არაერთი გამორჩეულად სამეცნიერო ღირებულების მატარებელი დოკუმენტური მასალები. განსაკუთრებით გამოსარჩევია ე. წ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის „კოლხური კულტურის“ (ძვ. წ. XV-VII სს.) მატარებელი ტომების მიერ შექმნილი დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული არტეფაქტები, რამაც მრავალი ასპექტის გააზრება გახადა შესაძლებელი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესოა ჩვენ მიერ ე. წ. „ცაიშის სამაროვანის“ შესწავლა, რომლის ზოგადი ქრონოლოგიური ასაკი ძვ. წ. X-II საუკუნეებს მოიცავს.

„ცაიშის სამაროვანი“ მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცაცხვში, კერძო მოქალაქის საკარმიდამო ნაკვეთში. ეს იმით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ აქაური კირქვიანი ნიადაგი მდიდარია კალციუმით და, შესაბამისად, აქაურ მიწას მიბარებული ოსტეოლოგიური მასალის გადარიბება არ ხდება კალციუმის მარილებისგან, შესაბამისად, ისინი შედარებით კარგი დაცულობით გამოირჩევიან.

კოლხების მიერ მიცვალებულთა გაპათიოსნების უძველესი ჩვეულება, რომელიც წერილობით წყაროებშია შემორჩენილი, ასახავს მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების შესახებ

დაკრძალვის წესების ინტერპრეტაციას. კერძოდ, გამოყოფენ დაკრძალვის რიტუალის ორ ეტაპს, პირველი: მიცვალებულის ხარის ტყავში გახვევა და ხეზე ჩამოკიდება, ხოლო შემდეგი – მეორადი დაკრძალვა, მიცვალებულის ნეშტის ძვლების ნაწილების სათანადო დამუშავების შემდეგ, გარკვეულ ნივთებთან ერთად აკლდამაში ჩაბრძანება.

თვალსაჩინოებისთვის საინტერესოა, რომ ანთროპოლოგიურად კარგად შესწავლილ იქნა ცაიშის სამაროვნის II სამარხი – აკლდამა (2007 წ.), რომელიც წარმოადგენს 80 მ2 ფართობის ტერიტორიას. ფართობი მაქსიმალურად იყო დატვირთული ძვლოვანი ნაშთებით. პრეპარირების შედეგად თავდაპირველად შესწავლილ იქნა 1 მ2 ტერიტორია. ჩონჩხები ჩაპრესილია ურთიერთში. აღმოჩნდა სამ წყებად განფენილი 25 ინდივიდის ძვლოვანი ნაშთი.

აღსანიშნავია, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთებში ხდებოდა კამერის ძირის გათავისუფლება შემდგომი მიცვალებულის მეორადი დაკრძალვის მიზნით. ამდენად, ისტორიული კოლხეთის, თანამედროვე დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში – სამეგრელო-აფხაზეთში მიცვალებულის პირველადი დაკრძალვა, ხეზე დაკიდება იყო და ცხედარს მანამდე ტოვებდნენ, ვიდრე ცარიელი ძვლები არ დარჩებოდა. შემდგომ შალითაში გახვეულ ძვლებს მიწას აბარებდნენ. პირველადებს მოაწყობდნენ კედლის ძირში, შემდგომ ერთიმეორეზე ალაგებდნენ მთელ პერიმეტრზე და ასე დროთა განმავლობაში მიწყობილი ნაშთების სიმალზე სამარხის გათხრისას, ალაგ-ალაგ 1,5 მეტრს აღწევდა, კამერის ძირზედაც რამდენიმე წყებაა, აბსოლუტურად ყველა ძვალი დაფიქსირდა, ისეთებიც კი, როგორებიცაა ენისქვეშა – ინის ძვალი და სადგისისებრი მორჩები, რომლებიც გვიანდელ სამარხებშიაც კი ძალზე იშვიათად, გამონაკლისად გვხვდება.

ოსტეოლოგიური მასალების კარგად დაცულობამ საშუალება მოგვცა რეალურ მოცემულობაში დეტალურად დაგვეთვალიერებინა მათი საგულდაგულოდ დამუშავება-გაწმენდის კვალი. ზოგიერთ მათგანზე ასევე შეინიშნებოდა ქსოვილში გახვევის ნიშნები. ამდენად, თავის დროზე თითოეული მათგანის საგულდაგულოდ გაპრიალების ფაქტიც უტყუარია. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმა „ჯვეშიმ ძვალი ოკო ვარკალანდას“//წინაპრების ძვლები უნდა პრიალებდესო, სწორედ ამ ისტორიული მოცემულობის ანარეკლია.

უდავოა, შემდგომში ამ მიმართულებით კვლევები, კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს ამ ვარაუდის განსამტკიცებლად.

In Samegrelo region, during the field trips, we observed a number of Megrelian icon words – “say”. Today we shall address one of them - "Jveshi Dzuali Oko Varkalandas" (Geo., "The bones of the ancestors should shine") (S. Chanturia, Tsalenjikha municipality, village, Etseri, 60 years old, 2004).

The existing written and oral reports, as well as the mutual compilation of the archaeological materials discovered in the last period, allow us to interpret the origin of the expression fixed by us.

Moreover, among the ordinary population, this symbolic word is not unprecedented (especially in the mountainous settlement of Samegrelo). Therefore, it became the subject of our research to determine the nature of the meaning of this expression, or whether it was related to the ethno-cultural

ritual of the archaic age, since the Christian culture does not know such a custom of propitiating the dead.

In the recent period, the archaeological excavations carried out in Samegrelo region with our direct involvement provided us with a number of documents of exceptional scientific value. Artifacts related to the funeral ritual created by the tribes of the "Kolkhian culture" (XV-VII centuries BC) of the Late Bronze Age – early iron period, which made it possible to understand many aspects are of particular interest.

In this particular case, the study of "Tsaish Cemetery", whose general chronological age is BC X- II centuries is important.

"Tsaishi Cemetery" is located in Zugdidi municipality, in the village of Tsatskvi, in the homestead of a private citizen. This is particularly interesting because the calcareous soil here is rich in calcium, and therefore the osteological material deposited here is not depleted of calcium salts, therefore they are relatively well preserved.

The ancient custom of honoring the dead by the Colchis, preserved in written sources, reflects the interpretation of the burial rules of hanging the dead on a tree. In particular, two stages of the burial ritual are distinguished, the first: wrapping the deceased in an ox hide and hanging it on a tree, and the second - the secondary burial, after proper processing of the bones of the deceased, placing them in the grave along with certain items.

It is interesting for visitors that the second tomb of Tsaish cemetery - (2007), which represents an area of 80 m², was well studied anthropologically. The area was loaded with skeletal remains as much as possible. As a result of preparation, an area of 1 m² was initially studied. The skeletons are pressed together. Bone remains of 25 individuals were found in three piles.

It should be noted that in certain periods of time, the bottom of the chamber was released for secondary burial of the deceased. Thus, the primary burial of the deceased in historical Kolkheti, modern western Georgia in Black Sea region - Samegrelo - Abkhazia was hanging on a tree, and the body was left until there were no empty bones left.

Later, the bones wrapped in cloth were buried in the ground. The first ones were arranged at the base of the wall, then they were stacked one on top of the other along the entire perimeter, and the height of the remains arranged over time during the excavation of the tomb reached 1.5 meters. There are also several piles at the bottom of the chamber, which even in later tombs are extremely rare, exceptional

The good preservation of the osteological materials allowed us to see in real detail their careful processing - the traces of cleaning. Some of them also showed signs of twisting in the fabric.

Thus, the fact of carefully polishing each of them at the same time is also unmistakable. Therefore, we assume that the Megrelian symbolic word - saying, "Jveshish dzvali Oko Varkalandas"//The bones of the ancestors should be shine, is a reflection of this historical context.

Undoubtedly, further research in this direction will provide more clarity to support this assumption.

გიორგი ჯღარკავა
Giorgi Jgharkava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
Ivane Javakhishvili Tbilisi State University/Georgia

და კავშირის ფუნქციური დანიშნულების საკითხი ჰიპოტაქსური
სტრუქტურის ანდაზებში (ქართული და მეგრული პარემიების მაგალითზე)
The Functions of the Conjunction და/[da]/and in the Proverbs of Hypotactic
Structure (on the Example of Georgian and Megrelian Paremic Units)

საკვანძო სიტყვები: ანდაზა, ქახთვედუხი ენები, და კავშირი, ჰიპოტაქსური კონსტრუქცია
Keywords: Proverb, Kartvelian languages, Conjunction და /da/ (and), Hypotactic construction

ტრადიციული სინტაქსის მიხედვით, მაერთებელი და კავშირის ძირითად ფუნქციად დასახელებულია წინადადების ორი წევრის ან სინტაქსურად თანასწორი ორი წინადადების ერთმანეთთან შეერთება. აღნიშნული ფუნქციით, ცხადია, იგი დასტურდება ქართულ და მეგრულ ანდაზებშიც; მაგალითად, ქართული: (1) *თხა ბოსტანს ხედავდა და ღობეს ვერაო* (ჩხენკელი და სხვ. გვ. 54). მეგრული: (2) *თხაშა მუთაქ აღოლესია დო შხურს კუჩხი ქუხ-ვამილესია*. „თხას ვერაფერი უყვეს და ცხვარს ფეხებში ხელი წაავლესო“ (შეროზია, მემიშიში გვ. 57, 1994).

ქართველურ ენებში და კავშირის გამოყენების სხვა შემთხვევებიც არის გამოყოფილი, რომელთა შორის საინტერესოა მისი ჩართვა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. ამ თვალსაზრისით, ქართული და მეგრული ანდაზების ენაც სპეციფიკურ ვითარებას გვიჩვენებს: ემპირიულ მასალაში და კავშირი რთული ქვეწყობილი წინადადების ერთ-ერთი წევრია. იგი მთავარი წინადადების ერთგვარი „ჩამკეტი“ ელემენტია, რომელიც მიჯნას დებს ანდაზის მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს, ანუ პირველ და მეორე ფრაზებს შორის. ამის გათვალისწინებით, და კავშირი აწესრიგებს ანდაზის რიტმულ მთლიანობას და განაპირობებს ანდაზის ფრაზებად დაყოფის კანონზომიერებას; მაგალითად, ქართული: (3) {თავი ვინ მომჭრა და} {ჩემმა ენამო} (ჩხენკელი და სხვ. გვ. 47). მეგრული: (4) {წინარტკაპალა მიქ შუელიდუა დო} {მუნჯიქია}. {„ენაგატლეკილი ვინ დაღალაო და} {მუნჯმაო“} (შეროზია, მემიშიში გვ. 105).

მაგალითებიდან ჩანს, რომ და კავშირი ყოველთვის პაუზის წინაა და მთლიანად ფრაზა აღმავალი ინტონაციით არის მარკირებული; მომდევნო ფრაზის ინტონაცია კი დამავალია. აღმავალი და დამავალი ინტონაციების მონაცვლეობა დამახასიათებელია განსხვავებული ინფორმაციებისთვის.

საინტერესოა ისიც, რომ ორ ფრაზად დაყოფილ ამგვარ ანდაზებში გამოტოვებულია და კავშირის მომდევნო წევრი/წევრები; მათ შორის ერთ-ერთი ზმნა-შემასმენელია; სწორედ გამოტოვებული წევრების საკომპენსაციოდ გამოიყენება პაუზა:

ქართული: (5) *ობოლო, ვის აგინებ და – ვინც გამზარდაო* (ჩხენკელი და სხვ. გვ. 87);

შდრ.: *ობოლო, ვის აგინებ და, [იმას ვაგინებ], ვინც გამზარდაო.*

მეგრული: (6) *გორდი ძერას მეულუდგ დო – „მაფურინალი ვორექია“*. „ბაყაყი ძერას მიჰქონდა და – „მფრინავი ვარო“ (შეროზია, მემიშიში გვ. 32, 1994);

შდრ.: გორდი ძერას მეულუდღ დო, [იჩიებუდუ], „მაფურინალი ვორექია“. „ბაყაყი ძერას მიჰქონდა და [ამბობდა], „მფრინავი ვარო“.

ანდაზებში ასახული ამგვარი ვითარება ადასტურებს, რომ და კავშირს ქართველურ ენებში დიაქრონიულად მეტი ფუნქციურ-სემანტიკური დატვირთვა უნდა ჰქონოდა; ამ თვალსაზრისით, ანდაზების, როგორც უძველესი კოდური ინფორმაციის მატარებელი ერთეულების, ენაზე დაკვირვება საინტერესო და აქტუალურია.

According to traditional syntax, the main function of the coordinative conjunction და /da/ (and) is to join two members of a sentence or two sentences of equal syntactic value. The conjunction under analysis performs this function also in Georgian and Megrelian proverbs.

Yet, there are other cases of usage of the conjunction და /da/ (and). Out of these, mention should be made of its inclusion in the hypotactic construction. In this regard, the language of Georgian and Megrelian proverbs reveals specific features: the empirical material has proved that the conjunction და /da/ (and) is frequently found in complex sentences. It is a kind of “closing” element of the main clause, which separates it from the subordinate one i.e. it separates the first and second phrases of the proverb. The conjunction და /da/ (and) helps achieve rhythmical unity of the proverb and governs the law of division of the proverb into phrases. It should also be mentioned that the conjunction და /da/ (and) always stands before a pause; the entire first phrase is pronounced with a rising tone, whereas the following phrase is pronounced with a falling tone. The sequence of rising and falling tones is peculiar of sentences containing different kinds of information.

In the proverbs where this conjunction separates two phrases, the members preceding or following the conjunction are omitted. One of these members is the predicate verb. The pause compensates the omitted members:

Georgian:

(1) { თავი ვინ მომჭრა და } – { ჩემმა ენამო } / tavi vin momčra da – čemma enamo / (I was disgraced by my own tongue) (Chkhenkeli et al., p. 47).

Cf.: თავი ვინ მომჭრა და, [მომჭრა], ჩემმა ენამო } / tavi vin momčra da, [momčra], čemma enamo / (I was disgraced by my own tongue).

Megrelian:

(2) { ნინარტკაპალა მიქ შულიდუა დო } – { მუნჯიქია }. { „ენაგატლეკილი ვინ დაღალაო და } – { მუნჯმაო“ } / ninartkapała mik šulidua do – munžikia / (The chatterbox was exhausted by the mute) (Sherozia, Memishishi, p. 105).

Cf.: ნინარტკაპალა მიქ შულიდუა დო, [შულიდუ], მუნჯიქია. „ენაგატლეკილი ვინ დაღალაო და, [დაღალა], მუნჯმაო. / ninartkapała mik šulidua do, [šulidu], munžikia / (The chatterbox was exhausted by the mute).

The above-mentioned phenomenon reflected in the proverbs proves that diachronically the conjunction და /da/ (and) was functionally and semantically more diverse in the Kartvelian languages. Therefore, analysis of proverbs as the units containing most ancient encoded information is both topical and interesting.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) საგრანტო პროექტის FR-21-352 ფარგლებში / The research was carried out with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG). Grant number FR-21-352.

სარჩევი/Contents

ლელა აბდუშელიშვილი/Lela Abdushelishvili თარგმანი, როგორც ინტერდისციპლინარული და ინტერკულტურული დიალოგი/Translation as an Interdisciplinary and Intercultural Dialogue	6
საბა ბუგიანიშვილი/Saba Bugianishvili უადრესი წონითი სისტემები საქართველოს ტერიტორიაზე (მოლოდინები და არსებული რეალობა)/Earliest Weight Systems on the Territory of Georgia (Expectations and Reality)	9
თათია ბუწურაძე/Tatia Butsuradze არტეფაქტების ორი ჯგუფი გუდიაშვილის მოედნიდან (სფეროკონუსები, ჩიბუხები)/Two Groups of Artefacts from Gudiashvili Square (Sphero-Conical Vessels, Tobacco Clay Pipes)	12
რიკი ბრაუნი/Rikki Brown აღმოსავლეთი თუ დასავლეთი? – ეროვნული მუზეუმის ნარატივები და ისტორიები ქართული მელვინეობის შესახებ/East or West? – National Museum Narratives and Histories of Georgian Winemaking.....	15
თამარ გიორგაძე/Tamar Giorgadze „ცხოველური სტილი“ კოლხური გრავირებული აბზინდების მიხედვით/“Animal Style” Based on Colchian Engraved Bronze Buckles	16
ნინო გოგელია/Nino Gogelia აქტორები, როგორც „ტექსტისა და დისკურსის ფილტრი“ და კონკრეტული დისკურსული დინამიკის ნაწილი/Actors as “Filters of Text and Discourse” and Part of Specific Discursive Dynamics	19
ზაალ გოგენია/Zaal Gogenia ფეხბურთი და ანტიკომუნიზმი ფრანკისტულ ესპანეთში/Football and Anti-communism in Francoist Spain	21
ანა გოგუაძე/Ana Goguadze წარმოსახვიდან აქტუალურამდე: შესაძლო სამყარო ჩენ ციოუფანის რომანში „ნარჩენების ტალღა“/From Imagination to Real: Possible World of Chen Qiufan’s “The Waste Tide”	24
ფიქრია ვარდოსანიძე/Pikria Vardosanidze ინტერნაციონალიზაციის პროცესები საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში/The Processes of the Internationalization in the Space of Higher Education of Georgia	26
გვანცა ევანისელი/Gvantsa Evaniseli 1346-1348 წწ. „შავი ჭირის პანდემიის“ გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე (წყაროები, ვარაუდები, დასკვნები)/The Impact of the 1346-1348 Bubonic Plague Pandemic on the Political Life of Georgia (Sources, Assumptions, Conclusions)	28
არპად ელეში/Árpád Éles „მოგზაური მეფის კარზე“ – საქართველო უნგრულ მოთხრობაში (ლაიოშ ტარდი: „იაკუბ ბეი“)/ “A Traveler in the King’s Court” – Georgia in a Hungarian Novel (“Jakub Bei” by Lajos Tardy).....	31

მანანა ერემაშვილი/Manana Eremashvili სხეულის რეპრეზენტაცია და გენდერის პერფორმაცია კულტურული დისკურსის ფარგლებში ნანა აბულაძის „აკუმსა“ და ვირჯინია ვულფის „ორლანდოში“/Representation of the Body and Gender Performativity within the Cultural Discourse in the Texts of Nana Abuladze and Virginia Woolf (“Akumi” and “Orlando”).....	32
ქეთევან ევაძე/Ketevan Epadze კავკასიის ომის მემორიალიზაცია აფხაზეთის დე-ფაქტო სახელმწიფოში (1987-2021)/ Memorialization of the Caucasian War in the De-facto State Of Abkhazia (1987-2021).....	35
ომიკო ეჯიბია/Omiko elibia ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის ცნობები თბილისის შესახებ (შედარებითი ანალიზი/ References of At-Tabari and Ibn Al-Athiri About Tbilisi (Comparative Analysis)	38
ნინო ზანდუკელი/Nino Zandukeli ეროვნული გმირის კონცეფცია მარია ტოდოროვას „განხეთქილების ვაშლის“ მიხედვით. საქართველოსა და ბულგარეთის ეროვნულ ფიგურათა ანალიზი/The Concept of a National Hero According to Maria Todorova’s “Bones of Contention” Analysis of National Figures in Georgia and Bulgaria	41
გიორგი თავაძე/Giorgi Tavadze ადგილები და სივრცეები უნივერსიტეტის შიგნით და მის მიღმა/Places and Spaces in and outside of the University	44
კახა თავდგირიძე/Kakha Tavdgiridze სამეტყველო აგრესიის სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები/Socio-Political Aspects of Verbal Aggression	46
ნათია იაკობიძე/Natia Iakobidze ChatGPT და აკადემიური კეთილსინდისიერება: გამოვიყენოთ თუ არა ხელოვნური ინტელექტი უმაღლეს სასწავლებლებში?/ChatGPT and Academic Integrity: Examining the Feasibility of Artificial Intelligence in Higher Education.....	49
ქეთევან იმედაშვილი/Ketevan Imedashvili ცნება „ბრალთან“ დაკავშირებული პრობლემები ქართულსა და ბრიტანულ ინგლისურში/ The Problems of the Concept of Blame in the Georgian Language and British English	52
ნია კახიძე/Nia Kakhidze ჰარუსპიციის მხატვრული ინტერპრეტაცია ანტიკურ დრამაში/The Function of Haruspicy in Ancient Drama	55
როსტომ კაჭახიძე/Rostom Katchakhidze თამარ მეფის ეპოქა და შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულებები სევერიან მაისაშვილის შემოქმედებაში/The Epoch of King Tamar and the Portrait Images of Shota Rustaveli in the Work of S. Maisashvili	58

კლაუდია კოსიცინსკა/Klaudia Kosicińska ტრანსლოკალურობის მკვიდრნი: მობილურობის განზომილებები და საზღვრების დეტერმინაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აზერბაიჯანელებში/Settled in Translocality: Dimensions of Mobility and Boundaries Determination Among Azerbaijanis in Southeast Georgia	61
მარგო კუბლაშვილი/Margo Kublashvili კულტურული იდენტობის პრობლემა მრავალეთნიკურ სამუშაო გარემოში: კატარის ავიანაზების მაგალითი/The Problem of Cultural Identity in a Multiethnic Workspace: The Case of Qatar Airways	62
ლალი კუკავა/Lali Kukava ანტიგმირის მხატვრული სახის ევოლუცია ქართულ მხატვრულ ტექსტებში/Evolution of the Image of Anti-hero in Georgian Fiction	65
ჯიანფენგ ლი/Jianfeng Li „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა H-ტიპის სოციალური კავშირი/H-shaped Social Network of the Characters in “The Knight in the Panther’s Skin”	67
ირაკლი ლეონიძე/Irakli Leonidze დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა საკომლო ქონების კრძოლ საკუთრებად გარდაქმნის მაგალითზე/Building an Independent State: Transformation of Household Property into Private Property	71
სალომე ლომოური/Salome Lomouri მირზა გელოვანის ომის ლირიკის პოეტიკა/The Poetics of Mirza Gelovani’s War Lyrics.....	75
ნინო მაისურაძე/Nino Maisuradze ერის ევროპული კონცეფციები და მათი გავლენა საქართველოში ერის ცნების ფორმირებაზე 1893-1917 წლებში/European Concepts of Nation and Their Influence on The Formation of the Concept of Nation in Georgia (1893-1917).....	78
თეა მაჭავარიანი/Tea Matchavariani საბჭოთა ეპოქის რეცეფცია გურამ ფანჯიკიძის რომანში „ემშაკის ქვა“/Reception of the Soviet Era in Guram Panjikidze’s Novel “The Devil’s Wheel”	81
მარინე მახათაძე/Marine Makhatadze ფრაზეოლოგიზმები ქართველი და ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა ინგლისურ აკადემიურ ტექსტებში(სასწავლო კორპუსული შედარებითი ანალიზი)/Phraseology in English Academic Texts of Georgian and Ethnic Minority Students (Learner Corpus-based Comparative Analysis) .	84
მიხეილ მეფარიშვილი/Mikheil Meparishvili შუა საუკუნეების იუდაურ-ქრისტიანული ნარატივი ქართველი ერის მშენებლობის პროცესში/ (XIX საუკუნის მეორე ნახევარი – XX საუკუნის დასაწყისი) Medieval Judeo-Christian Narrative in the Process of Building the Georgian Nation (Second Half of the 19th Century – Beginning of the 20th Century)	88

ლუსი მინიკოზი-ვილენდი/Lucy Minicozzi-Wheeland დამოუკიდებლობის ფასი: რუსეთის საომარი მოქმედებებისა და ოკუპაციის გავლენა ადგილობრივ ქართულ თემებზე/The Price of Independence: Impacts of Russian Warfare and Occupation on Local Communities in Georgia	91
ნანა მუქერია/Nana Mukeria არისტოფანეს „ლისისტრატეს“ ტრანსკოდირების ძირითადი ხერხები სპაიკ ლის ფილმში „ჩი-რაკი“/The Basic Ways of Transcoding Aristophanes’ Lysistrata in Spike Lee’s Movie Chi-Raq.....	93
თამარ ნამგლაძე/Tamar Namgaladze გენდერი და იდენტობის პოლიტიკა საბჭოთა საბავშვო მხატვრულ ლიტერატურაში/Gender and Identity Politics in the Soviet Children’s Literature	96
ირინა ნოზაძე/Irina Nozadze ევგენი ზამიატინის რომანის „ჩვენ“ ქართული თარგმანი და თარგმანმცოდნეობითი პრობლემები/Georgian Translation of Yevgeny Zamyatin’s Novel “We” and the Issues of Translation Studies	99
ბაია ჟუჟუნაძე/Baia Zhuzhunadze მესხური მუსიკალური დიალექტის მრავალხმიანობის საკითხისათვის/For the Issue of Polyphony of Meskhetian Musical Dialect	102
მარი სიმონიშვილი/Mari Simonishvili გივი მარგველაშვილის ეთიკური მრწამსი, ანუ როგორ აგრძელებენ პერსონაჟები სიცოცხლეს/Givi Margwelashvili’s Ethical Beliefs or How the Characters Continue their Lives	105
თინათინ სოზიაშვილი/Tinatin Soziashvili განათლება და ეროვნული იდენტობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)/Education and National Identity in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)	111
ირინე საგანელიძე/Irine Saganelidze სახელმწიფო მიდგომები და კულტურული მრავალფეროვნების საკითხები (ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის მაგალითზე)/State Approaches and Issues of Cultural Diversity (Museum of Folk and Applied Arts).....	113
გვანცა ფოფხაძე/Gvantsa Popkhadze ანტიკურ კულტურაში დამკვიდრებული „სიმპათიის“ ინტერდისციპლინური კონცეფცია პტოლემეაოსის „ოთხწიგნულში“/The Interdisciplinary Term “Sympathy” in Classical Antiquity and its Use in Ptolemy’s “Tetrabiblos”	116
ნათია ფუტკარაძე/Natia Putkaradze მოთხრობითი ბრუნვის გამოყენების საკითხისათვის თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში/For the Issue of Using the Ergative Case in the Spoken Language of the Georgians Living in Turkey.....	119

ელენა ქერდიკოშვილი/Elena Kerdikoshvili ქართული იდენტობის დისკურსი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში/Georgian Identity Discourse in the Simon Janashia Museum of Georgia	121
თინათინ შიშინაშვილი/Tinatin Shishinashvili ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოსა და ჩინეთს შორის: პრობლემები და გამოწვევები/Intercultural Communication Between Georgia and China: Problems and Challenges	124
ირინე შოთაშვილი/Irine Shotashvili არაბული ფემინისტური განვითარების რომანის ზოგიერთი ასპექტი იმან ჰუმაიდანის რომანში „ველური თუთა“/Some Aspects of the Arab Feminist Development Novel in Iman Humaydan’s “Wild Mulberry”	127
სალომე ჩანადირი/Salome Chanadiri ჰედა გაბლერი და კეთილშობილების ელემენტი/Hedda Gabler and the Element of Nobility	129
ლაშა ჩანტლაძე/Lasha Chantladze კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ფორმირება და მისი როლი აფხაზეთში მიმდინარე 1992-1993 წლების კონფლიქტში/The Confederation of Mountain Peoples of the Caucasus and its Role in the Abkhazian Conflict (1992-1993)	132
აკაკი ჩიქობავა/Akaki Chikobava რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკა საქართველოში - „ეკონომიკური რუსიფიკაცია“/Colonial Policy of Russia in Georgia: “Economic Russification”	135
თამარ ჩოკორაია/Tamar Chokoraia ანტიდასავლური ნარატივი საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში/Anti-Western/Narrative in the Soviet Georgian Literary Criticism	137
თინათინ წიკლაური/Tinatin Tsiklauri კულტურული დიპლომატიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში/The Role of Cultural Diplomacy in International Relations	140
ირმა ჭანტურია/Irma Tchanturia სოციალიზმის ნოსტალგიის დინამიკა დამოუკიდებელ საქართველოში/Dynamics of Socialist Nostalgia in Independent Georgia.....	143
პავლე ჭანტურიშვილი/Pavle Tchanturishvili ისლამის ფუძემდებლის რეგიონული დიპლომატია/The Regional Diplomacy of the Founder of Islam	145
მარია ჭითანავა-ლობჯანიძე/Marika Tchitanava-Lobzhanidze წმიდა მარკოზ მახარებლის ბიოგრაფია/Biography of Saint Mark the Evangelist.....	149

ელენე ჭირაკაძე/Elene Tchirakadze ესპანელ ქალთა მოწოდებები ჟურნალ „Mujeres Libres“-ის წინასიტყვაობის მიხედვით/Spanish Women’s Vocations According to the Forewords of the Journal “Mujeres Libres”	152
ლაშა ხარაზი/Lasha Kharazi თარგმნის მანძილი და ფილოსოფია/The Distance of Translation and Philosophy	155
მარიამ ხაჯომია/Mariam Khazhomia არქტიკის ყინულები დნება და სუპერსახელმწიფოებს შორის კონფლიქტები უფრო ძლიერად იჩენს თავს/As Arctic Ice Melts, Frozen Conflicts Among Superpowers Emerge	157
ანა ხვედელიანი/Ana Khvedeliani ქართული ენის მნიშვნელობა: ერი – სახელმწიფოს ფორმირებისათვის განათლების პოლიტიკის მიხედვით (1918-1921)/The Importance of the Georgian Language for the Formation of Nation - State According to the Educational Policy (1918-1921)	159
მონიკა ხობელია/Monika Khobelia გალის რაიონის ტოპონიმების მორფოლოგიური სტრუქტურა/Morphological Structure of Toponyms of Gali District	162
ანი ჯავახიშვილი/Ani Javakhishvili განმანათლებლობისა და ბაროკოს ტენდენციები ქართულ მწერლობაში (XVI-XVIII საუკუნეები)/Enlightenment and Baroque Tendencies in Georgian Literature (XVI-XVIII Centuries).....	165
მუჰამედ ენეს ჯანოზი/Muhammed Enes Canöz ტაო-კლარჯეთის მღუმარე წმინდანები: მხატვრები, კალიგრაფები, მოხელეები/The Silent Saints of Tao-Klarjeti: Painters, Calligraphers, Clerks.....	167
სოფიო ჯაფარიძე, ნინო ახუაშვილი/Sopio Japaridze, Nino Akhuashvili საქართველოს ებრაელთა ყოფის ზოგიერთი საკითხისათვის („დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში“ დაცული 1930-40-იანი წლების ფოტო-ფონო არქივის მიხედვით)/For Some Issues of the Presence of Jews in Georgia (According to the Photo-Phono Archive of the 1930s-40s Preserved in the David Baazov Museum of the History of Georgian Jews and Georgian-Jewish Relations)	168
ნინო ჯახველაძე/Nino Jakhveladze გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ზატიკის ბრწყინვალე შვიდეულის საგალობელთა შესახებ (სტრუქტურული და შინაარსობრივი ანალიზი)/About the Hymns of the Zatiki Easter week Edited by Giorgi Mtatsmindeli (Structural and Content Analysis).....	171
ანა ჯიქია/Ana Jikia გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერის მოხატულობა და მისი იკონოგრაფიული თავისებურებები/The Painting of the North-West Chapel of Gelati Cathedral and its Iconographic Features	174

ლაშა ჯიქია/Lasha Jikia
ერთი სატოვანი მეგრული სიტყვა-თქმის არქაული ბუნების გაგებისათვის/The Archaic
Nature of a Megrelian Word-Say 177

გიორგი ჯღარკავა/Giorgi Jgharkava
და კავშირის ფუნქციური დანიშნულების საკითხი ჰიპოტაქსური სტრუქტურის ანდაზებში
(ქართული და მეგრული პარემიების მაგალითზე)/The Functions of the Conjunction და/[da]/and
in the Proverbs of Hypotactic Structure (on the Example of Georgian and Megrelian Paremic Units)..... 180

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნათია დვალის, ლელა წიკლაური და მარიამ ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
2023

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279

